

# გაზნა

675-თ/2  
1973

ფილოსოფიის  
ფსიქოლოგიის  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

2.1973



# МАЩНЕ

## ВЕСТНИК

Серия философии,  
психологии,  
экономики и права

2.1973

# გაცნა



ფილოსოფიის  
ფსიქოლოგიის  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

2.1973

ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა : ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), ბ. გუგუშვილი,  
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),  
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В., Тевзадзе Г. Б.,  
Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

**შ ი ნ ა რ ს ი**

ფ. ნაღბაძე, დიდმნიშვნელოვანი ისტორიული თარიღი . . . . . 7

**ფილოსოფია**

დ. დანელია, ყოფიერების ირაციონალობის საკითხისათვის ირაციონალიზმში . . . 15  
 ნ. კილაძე, ალ-ჩაღლის ლოგიკის („შაკისიდ ალ-ჩაღლისიქას“) ზოგიერთი საკითხი . . . 35  
 ბ. მარკვილაშვილი, ჰეგელის მეტაფიზიკისა და ჰაიდელგერის ეგზისტენციალურ-ონტო-  
 ლოგიკური მოძღვრების სტრუქტურათა სიანალოგისათვის . . . . . 46  
 ვ. შვანიძე, აბსოლუტურობისა და ფარდობითობის კატეგორიათა გამოკვლევის ზოგიერთი  
 თავისებურება თანამედროვე ფიზიკაში . . . . . 67  
 ი. ჯორჯაძე, მუსიკის სოციალური ფუნქციები . . . . . 79

**ფსიქოლოგია**

ნ. ძორჯაშვილი, კონტრასტული ილუზიის გაზომვის საკითხისათვის . . . . . 87  
 ი. საბრი, გადაწყვეტილების მიღება და განწყობის თეორია . . . . . 96

**ეკონომიკა**

რ. აბურჯანიძე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების საკითხები  
 შეცხრე ხუთწლედში . . . . . 105  
 დ. ბალაბანოვი, თ. თურმანიძე, სოფლისმეურნეობრივი პროდუქტების საცალო  
 საქონელბრუნვისა და მათზე მოსახლეობის მოთხოვნის პროგნოზირების საკითხი-  
 სათვის . . . . . 117  
 შ. ძარჩაშვილი, საქართველოს ხის დამამუშავებელი მრეწველობის თანამედროვე მდგომა-  
 რება და განვითარების პერსპექტივები . . . . . 123  
 დ. ონიანი, მეფასშეობის განვითარება რეფორმისმერმინდელი პერიოდის სეანეთში . . . 130  
 დ. კაციტაძე, თურქეთ-საქართველოს საეკონომიკური ურთიერთობა XVII—  
 XVIII საუკუნეების ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით . . . . . 143  
 მ. ნარბიჯაშვილი, ტექნიკური პროგრესის გააღწევა შრომის ნაყოფიერებაზე . . . 151

**სამართალი**

თ. ლილუაშვილი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სასამართლო შემეცნება . . 162

**პუბლიკაცია**

იოანე გოტფრიდ პერდერი, გამოკვლევა ენის წარმოშობის შესახებ (გერმანულიდან  
 თარგმნა ლ. რამიშვილმა) . . . . . 173

**პრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

ა. სტეფანიშვილი, რ. გომოხია, მელიორაციის აქტუალური პრობლემები . . . . . 186  
 შ. კობახიძე, დიალექტიკურ-მატერიალისტური დეტერმინიზმი — მეცნიერული შემე-  
 ცნების საფუძველი . . . . . 193

**ძრონიკა და ინფორმაცია**

შ. ჩხარტიშვილი, გამოჩენილი მეცნიერი და აღმზრდელი — ანჯია თადეოზის ძე ბოჭო-  
 რიშვილი . . . . . 203  
 ვ. ბინცაძე, აღამიანი, პიროვნება, გაგება . . . . . 211  
 1973 წელს გამოხული წიგნები

## СОДЕРЖАНИЕ

Ф. НАДИБАИДЗЕ, Значительная историческая дата

### ФИЛОСОФИЯ

Д. А. ДАНЕЛИЯ, К вопросу об иррациональности бытия в иррационализме . . . . .	15
Н. В. КИЛАДЗЕ, Некоторые вопросы логики ал-Газали . . . . .	35
Г. Т. МАРГВЕЛАШВИЛИ, К общности структуры гегелевской метафизики и хайдеггеровского экзистенциально-онтологического учения . . . . .	46
В. В. ЖВАНИЯ, Некоторые особенности проявления категорий абсолютного и относительного в современной физике . . . . .	67
И. А. ДЖОРДЖАДЗЕ, Социальные функции музыки . . . . .	79

### ПСИХОЛОГИЯ

Н. Р. КОЧИАШВИЛИ, К вопросу об измерении контрастной иллюзии . . . . .	87
Ю. Е. САБРИ, Принятие решения и теория установки . . . . .	96

### ЭКОНОМИКА

Р. У. АБУРДЖАНИДЗЕ, Вопросы повышения эффективности общественного производства в девятой пятилетке . . . . .	105
Д. БАЛАБАНОВ, Т. ТУРМАНИДЗЕ, К вопросу прогнозирования товарооборота сельскохозяйственных продуктов и спроса населения на них . . . . .	117
Ш. И. ҚАРЧАВА, Современное положение и перспективы развития деревообрабатывающей промышленности Грузии . . . . .	127
Д. С. ОНИАНИ, Развитие ростовничества в пореформенном периоде в Сванетии	130
Д. Г. КАЦИТАДЗЕ, Торгово-экономические связи Турции и Грузии по материалам XVII—XVIII вв. . . . .	143
М. Д. НАРГИЗАШВИЛИ, О слагаемых влияния технического прогресса на производительность труда . . . . .	151

### ПРАВО

Т. ЛИЛУАШВИЛИ, Научно-технический прогресс и правовое познание . . . . .	162
--	-----

### ПУБЛИКАЦИЯ

ИОГАН ГОТФРИД. ГЕРДЕР, Трактат о происхождении языка (Перевод и вступительная статья Л. Рамишвили) . . . . .	173
--	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. СТЕПАНИШВИЛИ, Р. ГОГОХИЯ, Актуальные проблемы мелиорации . . . . .	186
Ш. А. КОБАХИДЗЕ, Диалектико-материалистический детерминизм — основа научного познания . . . . .	193

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Ш. Н. ЧХАРТИШВИЛИ, Выдающийся ученый и педагог А. Т. Бочоришвили . . . . .	203
Г. И. ЦИНЦАДЗЕ, Человек, личность, познание . . . . .	211
Вышедшие в 1973 г. книги . . . . .	





ლიზმის განვითარება რუსეთში გამოწვეული იყო ქვეყნის შიდა ეკონომიური განვითარებით, 1861 წლის საგლეხო რეფორმა კი მხოლოდ იმდენად დაეხმარა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო ძველ წარმოებით ურთიერთობათა გასახანგრძლივებლად. ამიტომ იყო, რომ რეფორმის შემდეგ რუსეთის გლეხობის მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა: საუკეთესო მიწების დიდი ნაწილი მათ ჩამოაპრეს, უფრო მეტიც, მათი მდგომარეობა ფაქტიურად გაუარესდა, რადგან გლეხობის დიდმა ნაწილმა მიწის გამოსყიდვა ვერ შეძლო და სულ უშიწოდ დარჩა; რაც მათ იძულებულს ხდიდა ან იჯარით აეღოთ მიწა, ან მოჯამაგირედ დადგომოდნენ მიწის პატრონს ანდა ქალაქად წასულიყვნენ სამუშაოს საძებნელად.

ამ ისტორიულ ვითარების უშუალო მონაწილე იყო საქართველო, რომელიც 1801 წელს შეუერთდა რუსეთს. ქართველმა გლეხობამ რუს ხალხთან ერთად მიიღო ცარიზმის მიერ ნაბოძები „ყბადღებულო“ საგლეხო რეფორმა, რომელმაც სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი სოფლის ბურჟუა-კულაკებად გადააქცია. მეორე — პროლეტარებად, ხოლო მესამე — მათ შორის მერყევი, სამუშაო გლეხობად.

ასეთ გარდამავალ ხანაში რუსეთის გლეხობას, რომლის რევოლუციური მღელვარება დღითიდღე მატულობდა, თავისი იდეოლოგიები გამოუჩნდნენ, — ესენი იყვნენ ხალხოსნები, რომელნიც ვერ გაერკვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მაშინდელ ვითარებაში და შეცდომით დაიწყეს იმის მტკიცება, თითქოსდა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში ნიადაგი არა ჰქონდა და ამიტომ ვერც პროლეტარიატი განვითარდებოდა; მთავარ რევოლუციურ ძალად მათ ნიაჩნდათ გლეხობა, ხოლო სოციალიზმის ჩანასახ ფორმად გლეხური თემი; ისტორიის შემოქმედად ისინი თვლიდნენ ცალკეულ პიროვნებას და ამიტომ, საბოლოოდ, ტერორის გზას დაადგნენ. ყოველივე ამან, მართალია, დიდი როლი ითამაშა ხალხთა ფართო მასების გარევოლუციონერების საქმეში, მაგრამ, ამასთან ერთად, დიდი დაბრკოლებაც შექმნა მარქსიზმის გავრცელებისა და რევოლუციური ძალების სწორი ორიენტირების გზაზე მაშინ, როდესაც რუსეთის ახალგაზრდა პროლეტარიატი სამოქმედო ასპარეზს იკაფავდა, სტიქიურად ებმოდა რევოლუციურ გამოსვლებში. ასეთი გამოსვლები კი ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან დაიწყო, 70-იანი წლებიდან დიდად იმატა და სულ მოკლე ხანში (1870—1879) მუშათა 326 გაფიცვა და მღელვარება მოხდა.

რუსეთის მუშათა კლასს ბრძოლას აიძულებდა ულმობელი სოციალური ჩაგვრა და მძიმე ექსპლოატაცია, აუტანელი საბინაო პირობები, ხანგრძლივი სამუშაო დღე და ის პოლიტიკური უუფლებობა, რომელშიც მას მეფის რუსეთი აყენებდა. საკუთარი ბრძოლის გამოცდილებისა და დასავლეთის მუშათა ახგალითზე რუსეთის მოწინავე მუშები ხვდებოდნენ, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო გაერთიანება, ხოლო გაერთიანებისათვის — საკუთარი ორგანიზაციების შექმნა. გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში „სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირისა“ და „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირის“ სახით რუსეთში მართლაც ჩნდება ასეთი ორგანიზაციები; ამ ორგანიზაციებს დიდხანს არ უარსებია: ისინი ჩქარა აღმოაჩინა და გაანადგურა ცარიზმმა, მაგრამ ეს მარცხი რუსეთის მუშათა საბრძოლო გაერთიანების დასასრული როდი იყო, — პირიქით, რუსეთის მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ ამის შემდეგ კიდევ უფრო აშკარად დააყენა მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის საკითხი.

მართლაც, 1883 საზღვარგარეთ, ვ. ვ. პლეხანოვის ხელმძღვანელობით იქმნება რუსეთის პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. პლენანოვმა და მისმა ჯგუფმა დიდი როლი შეასრულეს რუსეთში მარქსიზმის შემოტანისა და გავრცელების საქმეში, გაბატონებული ხალხოსნური იდეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა პლენანოვის ამ მოღვაწეობას და მისივე შრომებს, როგორცაა: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, „ჩვენი უთანხმოებანი“, „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“ და სხვ.; მაგრამ პლენანოვმა ვერც ხალხოსნური იდეების საბოლოო განადგურება შეძლო და ვერც რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა, — ამ დიდი ამოცანის შესრულება წილად ხვდა პროლეტარიატის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს.

მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის უკვე ჩამოყალიბებულ მარქსისტად გვევლინება. იგი ყველაზე უკეთესად ხედავდა, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა და ვითარდებოდა რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობა, რომ კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობანი თანდათან რუსეთში იყრიდნენ თავს და საერთაშორისო რევოლუციის ცენტრი დასავლეთიდან — აღმოსავლეთში გადმოდიოდა. ამ გარემოებათა გამო ვ. ი. ლენინი 1893 წელს სამარიდან პეტერბურგს გადადის, რათა უშუალო მონაწილეობა მიიღოს და სათავეში ჩაუდგეს რუსეთის მუშათა რევოლუციურ მოძრაობას; მისი პირველივე გამოსვლები პეტერბურგის მუშათა წრეებში იმას მოწმობდნენ, რომ ვ. ი. ლენინის სახით რუსეთის პროლეტარიატს ჰყავდა ღრმა თეორეტიკოსი, ბრწყინვალე ორგანიზატორი, დაუშრეტელი ენერჯისა და რკინისგუბრი ნებისყოფის შეუდრეკელი რევოლუციონერი, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული მუშათა კლასის მომავალ გამარჯვებაში.

ვ. ი. ლენინმა დაინახა, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭირო იყო მუშათა პარტიის შექმნა, ამიტომ იგი ხელს ჰკიდებს ამ დიდ ისტორიულ საქმეს და 1895 წელს პეტერბურგის მარქსისტულ წრეებს „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირად“ აერთიანებს. ვ. ი. ლენინის აზრით, მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა ყოფილიყო სოციალიზმის მეცნიერული თეორიისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის ერთიანობის ცოცხალი განსახიერება; მაგრამ ამ გზაზე მთავარ დაბრკოლებად ისევე ხალხოსნური იდეები რჩებოდა და საჭირო იყო ხალხოსნების იდეური განადგურება ბოლომდე. ხალხოსნური იდეების განადგურებაში დიდი როლი შეასრულეს ვ. ი. ლენინის ისეთმა შრომებმა, როგორცაა: „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ თმობენ ისინი სოციალ-დემოკრატიების წინააღმდეგ“ და „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. ვ. ი. ლენინის შრომა „რანი არიან „ხალხის მეგობრები...“ 1894 წელს დაიბეჭდა არალეგალურად; მასში თანმიმდევრულად იყო გაკრიტიკებული ხალხოსნების მსოფლმხედველობა, ეკონომიური შეხედულებანი, პოლიტიკური პლატფორმა და ტაქტიკა; ამ წიგნში ვ. ი. ლენინმა პირველად წამოაყენა პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა და დასვა საკითხი პროლეტარიატის მოკავშირეებისა რევოლუციურ ბრძოლაში. განსაკუთრებული ღირებულებისაა ვ. ი. ლენინის შრომა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომელიც 1899 წელს გამოიცა და რომლითაც საბოლოოდ დამთავრდა ხალხოსნების იდეური განადგურება: ეს

შრომა ნიშნულია მეცნიერული კვლევისა, — მასში სინამდვილის ღრმა ანალიზის საფუძველზე შემდეგ დასკვნამდე მივიდა ვ. ი. ლენინი: დღევანდელ რუსეთში გლახა „ეკონომიურ ურთიერთობათა წყობა“ კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობით ხასიათდება; რუსეთის სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლა „სამეურნეო დამოუკიდებლობისათვის“, „მიწების ხელში ჩაგდებასათვის“, რასაც თან სდევს „წარმოების თავმოყრა უმცირესობის ხელში“, „უმრავლესობის გადასროლა პროლეტარიატის რიგებში“ და სასტიკი კონკურენცია; ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ დღეისათვის რუსეთში არ არსებობს „...არცერთი ეკონომიური მოვლენა, რომელსაც არ ჰქონდეს ეს, სპეციფიკურად კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი, წინააღმდეგობრივი ფორმა“. ამ წინააღმდეგობათა ერთობლიობის განხილვის შედეგად კი ვ. ი. ლენინი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: დღევანდელ რუსეთში „ძველი გლახობა არა თუ „დიფერენციაციას“ განიცდის, არამედ სავსებით ნადგურდება, არსებობას წყვეტს, რადგან თანდათანობით გამოიძევება სოფლის მოსახლეობის სრულიად ახალი ტიპებით, — ტიპებით, რომლებიც წარმოადგენენ იმ საზოგადოების ბაზისს, სადაც გაბატონებულია სასაქონლო მეურნეობა და კაპიტალისტური წარმოება, ეს ტიპებია: სოფლის ბურჟუაზია (განსაკუთრებით წვრილი) და სოფლის პროლეტარიატი, საქონელმწარმოებელთა კლასი მიწათმოქმედებაში და სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშების კლასი“. რაც შეეხება კაპიტალიზმის განვითარებას ქალაქად, რომლის დონეც შინაური ბაზრის განვითარების დონით განიზომება, იგი, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — პირობადებულია იმავე შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით, სოფლის მეურნეობაში მომხდარი დიფერენციაციით. სასაქონლო მეურნეობამ, რომლის პირველ ფორმასაც მრეწველობაში ხელოსნობა წარმოადგენდა, თავისი სათავეები მიწათმოქმედებიდან აიღო; ხოლო თავისი შემდგომი განვითარება ვაჭრობის გაფართოებაში, სპეციალისტ ვაჭარ-შემსყიდველთა გაჩენაში ჰპოვა, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი მსხვილი მრეწველობის განვითარებას რუსეთში.

ყოველივე ამით ვ. ი. ლენინმა ნათლად გვიჩვენა, რომ ფეოდალური წყობილებიდან კაპიტალიზმზე გარდამავალმა ხანამ, რომელსაც რუსეთში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი დასჭირდა, არ გაამართლა არც მეფის ხელისუფლების სურვილები და არც ხალხოსნების ის მტკიცება, თითქოსდა რუსეთში კაპიტალიზმი ვერ განვითარდებოდა. სინამდვილეში, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება კაპიტალისტური გზით წავიდა. უმოკლეს ხანაში რუსეთის პროლეტარიატმა მეფის მთავრობისა და კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი საბრძოლო წრთობა მიიღო. რუსეთის მუშათა რევოლუციური წრთობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მე-19 საუკუნის მიწურულს. 1895-1896 წლები, ვ. ი. ლენინის თქმით, რუსეთის მუშათა მოძრაობაში იყო უდიდესი გაფიცვების წლები, რომლებმაც რუსეთის მუშათა კლასს შეაგნებინა თავისი პოლიტიკური მდგომარეობა და თავისი პოლიტიკური საჭიროებანი. ამიერიდან რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში იწყება სრულიად ახალი ეტაპი: მარქსიზმის ვიწრო პროპაგანდიდან ფართო საავტოცაციო მუშაობაზე გადასვლისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების ეტაპი, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ „თავდაპირველად ათობით და ასობით, შემდეგ ათასობით და მილიონობით ადამიანს, კომუნისტების იდეალებით აღფრთოვანებულს, იერიში მიქონდა ძველ სამყა-

როზე“. სწორედ ასეთ ვითარებაში, — როცა საერთაშორისო რევოლუციის ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოდიოდა, როცა რუსეთის მუშათა კლასს პირდაპირი იერიში მიჰქონდა ძველ სამყაროზე, — რუსეთის რამდენიმე „ბრძოლის კავშირმა“ (რომელიც პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ კვალდაკვალ შეიქმნა) ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად სცადა გაერთიანება. პარტიის პირველი ყრილობა გამართა მინსკში 1898 წლის 1-3 მარტს. ყრილობამ გამოაცხადა რსდმპ-ს შექმნა, რასაც დიდი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამით ნამდვილი მარქსისტული პარტია არ შექმნილა, რადგან ყრილობამ ვერ შეძლო ცალკეული მარქსისტული წრეებისა და ორგანიზაციების გაერთიანება, პარტიის პროგრამისა და წესდების მიღება; ვერ შექმნეს ერთი ხელმძღვანელი ცენტრი, რომელიც იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას იკისრებდა. ყოველივე ამას დაემატა ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე წევრის დაპატიმრება, რასაც, საბოლოო ჯამში, პარტიის შიგნით დაბნეულობა გამოიწვია და ხელი შეუწყო ოპორტუნისტული მიმდინარეობის — „ეკონომიზმის“ — გაძლიერებას მუშათა მოძრაობაში.

ასეთივე ვითარება იყო ფაქტიურად საქართველოშიც, სადაც მუშათა რევოლუციური გამოსვლები გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო და უმოკლეს ხანაში მთელს საქართველოს მოედო. ამ გარემოებამ ნოყიერი ნიადაგი შეჰქმნა მარქსიზმის გავრცელებისათვის და ერთდროულად რამდენიმე მარქსისტული ორგანიზაცია გაჩნდა ჩვენში. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია იყო „მესამე დასი“, რომლის პირველი სხდომა 1892 წლის 25 დეკემბერს მოეწყო ზესტაფონში; ე. ნინოშვილის და მ. ცხაკაიას გარდა სხდომას ესწრებოდნენ: ს. ჯიბლაძე, კ. ჩხეიძე და სხვები. წარმოდგენილი და განხილული იქნა ნ. ჟორდანის პროექტი, რომელიც სხდომამ გააკრიტიკა და დაიწუნა, რადგან იგი ითვალისწინებდა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის შექმნას; ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე და სხვები მოითხოვდნენ მარქს-ენგელსის მეცნიერულ თეორიაზე დაფუძნებულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნას; ერთი სიტყვით, პირველსავე სხდომაზე ნათელი გახდა, რომ „მესამე დასის“ შემადგენლობა ერთნაირი არ იყო: ნ. ჟორდანია და მისი მომხრეები ტიპიურ ოპორტუნისტულ ფრთას წარმოადგენდნენ „მესამე დასის“ შიგნით.

რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასი კი, რომლის განუყრელ ნაწილსაც ამიერკავკასიისა და, მასხადაძემ, საქართველოს მუშათა კლასი წარმოადგენდა, დღის წესრიგში აუცილებლობით აყენებდა ერთიანი პროგრამის მქონე მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნას, რასაც ერთიორად აჩქარებდა ის ეკონომიკური კრიზისი, რომლის შედეგადაც 3000-მდე საწარმო დაიხურა ცხრაასიანი წლების იმპერიალისტურ რუსეთში და 100 000-მდე უმუშევარი ადამიანი დარჩა ქუჩაში. ასეთ ისტორიულ ვითარებაში მუშათა რევოლუციური პარტიის შექმნის საქმეს ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა, მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება ადვილი როდი იყო მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, „ეკონომისტები“ სრულიად უარყოფდნენ მუშათა პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობას; მეორე მხრივ, პარტიაში გაბატონებული იყო ორგანიზაციული „ეუსტარულობა“. ამიერიდან ვ. ი. ლენინის მოღვაწეობაში დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი: „ეკონომისტთა“ იდეური განადგურებისა და მუშათა რევოლუციური პარტიის შექმნის ეტაპი.

ვ. ი. ლენინის გეგმის მიხედვით, პარტიის შექმნისათვის მუშაობა უნდა დაწყებულიყო საბრძოლო პოლიტიკური გაზეთის დაარსებით. მისი აზრით, ასეთი გაზეთის საშუალებით უნდა მომხდარიყო გამოცენა ყველა ოპორტუნისტულ ელემენტთან, რაც, თავის მხრივ, ცალკეული პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებისა და განმტკიცების რეალურ საფუძველს შექმნიდა. დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, ასეთი გაზეთის გამოშვება შეძლო ვ. ი. ლენინმა „ისკრის“ სახით, რომლის პირველი ნომერი 1900 წლის 24 დეკემბერს გამოვიდა. „ისკრის“ პირველივე ნომრის მოწინავე, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ იყო დაწერილი, იტყობინებოდა, რომ გაზეთი მთავარ ამოცანად ისახავდა მარქსისტული პარტიის შექმნას, რუსეთის ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებას; მაგრამ იმისათვის, რომ ეს გაკეთებულიყო, გაზეთი „ისკრა“ გარკვევით აცხადებდა: „სანამ გავერთიანდებოდეთ და იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ, — უნდა გარკვევით ჩამოვყალიბოთ ჩვენი პოზიცია რუსეთის მუშათა რევოლუციური კლასისა და მისი რევოლუციური პარტიის მიმართ“. ვ. ი. ლენინის აზრით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა აგებულიყო მარქსისტულ პოზიციაზე, მისი ძირითადი მისია იქნებოდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან. ამისათვის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია შეიარაღებული უნდა ყოფილიყო სოციალიზმის მეცნიერული თეორიით, რადგან, როგორც ამას ვ. ი. ლენინი მიუთითებდა „...მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“. ამ მხრივ უდიდესი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის წინაშე „რა ვაკეთოთ?“, რომელშიც მეცნიერულადაა დასაბუთებული პარტიის როგორც მუშათა მოძრაობის გამარეგოლუციონერებელი, ხელმძღვანელი და მორგანიზებელი ძალის იდეა. ამასთან ერთად, ვ. ი. ლენინმა აქვე გვიჩვენა, რომ ოპორტუნიზმის, კერძოდ კი მისი სახესხვაობის — „ეკონომიზმის“, იდეურ დასაყრდენს წარმოადგენს მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრა და ამ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების როლის დაკნინება; მან აქვე გვიჩვენა მეცნიერული სოციალიზმის თეორიის უდიდესი მნიშვნელობა მუშათა მოძრაობისათვის, დაამუშავა საკითხი პარტიის როგორც პროლეტარიატის პოლიტიკური ბელადისა, რომელიც წინ უნდა წარუძღვეს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლას, როგორც მისი მოწინავე რაზმი. გაზეთმა „ისკრამ“ მართლაც შეასრულა თავისი მისია. „ისკრის“ ფურცლებზე და, განსაკუთრებით, ისეთ შრომაში, როგორიცაა „რა ვაკეთოთ? ვ. ი. ლენინმა სამუდამოდ დაასამარა „ეკონომიზმი“, შეიმუშავა, დაიცვა და განამტკიცა პარტიის იდეურ-ორგანიზაციული საფუძველები.

ლენინურ-ისკრულ პოზიციებზე დადგა თავიდანვე თბილისის მუშათა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. ა. წულუკიძის, ი. სტალინის, ვ. კეცხოველის, პ. ჯაფარიძის, ფ. მახარაძისა და სხვა გამოჩენილი რევოლუციონერთა ხელმძღვანელობით საქართველოში გაჩაღდა ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად; ამ მიზნით, თბილისის კომიტეტმა გადაწყვიტა საკუთარი არალეგალური გაზეთის გამოშვება; მიუხედავად ნ. ჟორდანიასა და მისი ოპორტუნისტული ფრთის დიდი წინააღმდეგობისა, თბილისის კომიტეტმა 1901 წლის სექტემბერში მაინც შესძლო ასეთი გაზეთის გამოცემა „ბრძოლის“ სა-

ხით. ამ გაზეთის პირველივე ნომერი საქვეყნოდ იტყობინებოდა, რომ: „...ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მამასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“.

ასეთი ტიტანური ბრძოლის შემდეგ, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით და დაუღალავი ბრძოლის შედეგად ჩატარდა მთელს რუსეთში, შესაძლებელი გახდა პარტიის მეორე დამფუძნებელი ყრილობის მოწვევა. 70 წლის წინათ, 1903 წლის 17 ივლისიდან 10 აგვისტომდე შედგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა, რომელიც ფარულად მიმდინარეობდა ჯერ ბრიუსელში, ხოლო შემდეგ — ლონდონში. ამ ყრილობამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, კომუნისმის მშენებელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში; ამ ისტორიულად ღირსშესანიშნავმა ყრილობამ ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებულ და დამუშავებულ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნა მუშათა კლასის მებრძოლი, ახალი ტიპის მარქსისტული პარტია, რომელმაც დასაბამი მისცა ბოლშევიზმის არსებობას. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობაში თავისი მისია შეასრულა: მან შესძლო რუსეთის მუშათა რევოლუციური პარტიის იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუძველზე, რომელიც „ისკრამ“ წამოაყენა და დაამუშავა; მაგრამ ამავე ყრილობამ საბოლოოდ გამოააშკარავა ის უთანხმოებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ პარტიის შიგნით, — ეს უთანხმოება, პირველ რიგში, გამოჩვენდა ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნის საკითხთან დაკავშირებით: ფედერალისტურად განწყობილი ბუნდელეები, რომლებიც ლენინურ ხაზს უპირისპირდებოდნენ, დამარცხდნენ; ბოლშევიკებმა ასევე გაიმარჯვეს პარტიის პროგრამის იმ საკითხების განხილვის და განმტკიცების საქმეში, რომელიც ეხებოდა პროლეტარიატის დიქტატურას და პარტიის ხელმძღვანელ როლს მუშათა მოძრაობაში. განსაკუთრებული დავა გაჩაღდა ყრილობაზე ეროვნული საკითხის ირგვლივ, მაგრამ ეს დავაც ლენინური ხაზის გამარჯვებით დამთავრდა, რამაც უდიდესი ლახვარი ჩასცა მენშევიკებს. ისკრელებმა ოპორტუნისტების იერიში მოიგერიეს და ნამდვილი მარქსისტული პროგრამა მიიღეს, რომელშიაც ყველა სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან განსხვავებით, გარკვევით იყო ჩამოყალიბებული პროლეტარიატის დიქტატურის იდეა.

პარტიის მეორე ყრილობაზე განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა პარტიის წესდების ირგვლივ. ვ. ი. ლენინი რამდენჯერმე გამოვიდა პარტიის წევრობის შესახებ წესდების პირველი პარაგრაფის იმ ფორმულირების დასაცავად, რომელიც მის მიერ იყო წამოყენებული და რომელსაც მარტოვი უპირისპირებდა თავის ფორმულირებას. ლენინური პრინციპების გამარჯვება პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში უნდა განმტკიცებულიყო ცენტრალური ორგანოების არჩევით, რაც უზრუნველყოფდა პარტიის შემდგომ მუშაობას. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებმა ცხადყო, რომ მტკიცე ლენინელებმა ხმების უმრავლესობა მიიღეს და ამიერიდან მათ ბოლშევიკები ეწოდათ, ხოლო ლენინის მოწინააღმდეგეებს — მენშევიკები.

პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ ხელში ჩაეგდოთ პარტიული ხელმძღვანელი ცენტრი; ამ მიზნით, — აქსელორდის, მარტოვის და ტროცკის მეთაურობით, — რუს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის საზღვარგარეთულ ლიგაში“ მოკალათდნენ ოპორტუნისტები და იქედან დაიწყეს ლაშქრობა ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ მათი ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა: ბოლშევიკებმა ამ ბრძოლაშიც გაიმარჯვეს და მტკიცედ წარუძღვნენ რუსეთის პროლეტარიატს სამართლიან ბრძოლაში მეფის რუსეთისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც პროლეტარიატის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა 1917 წლის ოქტომბერში. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსეთის პროლეტარიატმა კაცობრიობის ისტორიაში პირველმა დაიწყო უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენება და ამ ფაქტით შეძრწუნებულმა უცხოელმა ინტერვენტებმა პროლეტარული სახელმწიფოს განადგურება სცადეს. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატი ამ ბრძოლიდანაც გამარჯვებული გამოვიდა და მტკიცედ მოჰკიდა ხელი წარმოების სოციალისტური წესის განმტკიცებას როგორც ქალაქად, ისე — სოფლად და ეკონომიურად ჩამორჩენილი, აგრარული რუსეთი უმოკლეს ხანაში მოწინავე ინდუსტრიული სახელმწიფოების რიგში ჩაღვა; მაგრამ 1941 წელს, ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შედეგად, საბჭოთა ქვეყანა უკიდურესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისმის მშენებელი საბჭოთა ხალხი დიდი სამამულო ომიდანაც გამარჯვებული გამოვიდა და მტკიცედ განაგრძო კომუნისმისაკენ წინსვლა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მშვიდობის უძლეველი მეზარახტრეა დღეს, რასაც უღაოდ აღსატურებს არა მარტო XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, არამედ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ის საგარეო პოლიტიკაც, რომლის საფუძველზედაც, — ბოლშევიკური პარტიის შექმნის 70 წლის თავზე, — მშვიდობიანი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებები დაიდო ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, როგორცაა დასავლეთ გერმანია ა. შ. შ., საფრანგეთი და სხვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 70 წლის ისტორია არის კომუნისმისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ისტორია, რომელიც თავის დასაბამს იღებს რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ისტორიულ ყრილობიდან.

**ვ. ნალიბაიძე**



## ფილოსოფია

### ღალი დანალია

#### ყოფიარების ირაციონალიზმის საკითხისათვის ირაციონალიზმში

ეროპული რაციონალიზმის პანლოგიზმსა და მისგან გამომდინარე ოპტი-  
მისტურ მსოფლმხედველობას ირაციონალიზმმა დაუპირისპირა გონების გაუ-  
ფასურება, ყოველივე არსებულის საფუძველში მდებარე ბრმა, ქაოტური,  
ალოგიკური საწყისის კონცეფცია და ამ უკანასკნელით განსაზღვრული პესი-  
მიზმი. სინამდვილის იმ განზომილებების კვლევა, რომლებიც უთანაზომოა  
სხილულ სინამდვილესთან და მიუწვდომელია რაციონალური აზროვნებისა-  
თვის, არის მე-19 ს-ის მეორე ნახევრისა და მე-20 ს-ის ირაციონალიზმის ონ-  
ტოლოგიური ძიების ძირითადი პრინციპი, რომლის გააზრება და გადაწყვეტა  
უდევს საფუძვლად ონტოლოგიურის პრობლემების იმ ახლებურ დამუშავე-  
ბას, ონტოლოგიის იმ გადაზრებას, რაც ირაციონალიზმმა მოგვცა. ირაციო-  
ნალისტური ფილოსოფიური სისტემების კარდინალურ საკთხს წარმოადგენს  
დებულება სინამდვილის, სამყაროს ქაოტურობისა და მასში დაფარული  
იღუმალი, სტიქიური, შეუცნობელი ძალების არსებობის შესახებ.

ადამიანის გონება უძლურია, რომ შეიმეცნოს სამყაროს ეს იღუმალი ძირები, ყოფიერების ეს  
მისტერია. ლოგიკა, ცნებითი აზროვნება იმეცნებს უმოძრაოსა და კანონზომიერს, ხოლო, თუ კი  
სინამდვილე ქაოტურია, —ის ვერ დაემორჩილება ლოგიკურ აზროვნებას; ყოფიერება დგას რაციო-  
ნალური აზროვნების სფეროს გარეთ.

ირაციონალიზმმა ექვემდებარა დააყენა აზროვნების კანონების ქეშმარიტება  
და სამყარო და ადამიანური არსებობა სრულიად სხვა განზომილებაში მოა-  
თავსა, ვიდრე ამ კანონების ბატონობის სფეროებია. საკმაო საფუძვლის კა-  
ნონის კრიტიკა შოპენჰაუერთან და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანო-  
ნისა — ჰაიდეგერთან არის შეტევა რაციონალური აზროვნების წინააღმდეგ.  
ლაიბნიცის „თეოდიცეაში“ დასმული კითხვა ირაციონალიზმშიც ზშირად და-  
ისმის, მაგრამ პრინციპულად სხვაგვარ გადაწყვეტას პოულობს: ირაციონა-  
ლისტების უმრავლესობის აზრით, ჩვენი სამყარო ყველა შესაძლებელ სამ-  
ყაროს შორის ყველაზე უარესია. სამყაროს აბსურდულობისა და ირაციო-  
ნალობის მტკიცებიდან ირაციონალიზმი საცვებით ლოგიკურად გადადის დე-  
ბულებაზე ადამიანური არსებობის აბსურდულობისა და უგუნურების შესა-  
ხებ. მე-20 საუკუნის ირაციონალიზმის ძირითად დებულებად იქცა ჰაიდეგერ-  
ის დებულება, რომ ადამიანის არსება არის არა cogito-ში, არამედ — sum-  
ში ანუ ეგზისტენციაში. ეგზისტენციისადმი მიმართვას ეგზისტენციალიზმში ერ-  
თი ზოგადი და ყველასათვის საერთო დებულება აქვს წინამძღვრად — დებუ-  
ლება გონებასთან სინამდვილის, სამყაროს უთანაზომო არსებობის შესახებ:  
ადამიანს უხდება არსებობა ყოფიერებაში, რომელიც თვითონ ბნელი, ქაო-  
ტური და ირაციონალურია.



ყოფიერების ირაციონალისტური გაგება, ყოფიერების მისტერია ევროპულ ფილოსოფიაში ნების მეტაფიზიკით შემოდის. მე-19 ს-ის გერმანულ ფილოსოფიაში პირველად შელინგმა გაკვალა გზა ნების ირაციონალიზმის თეორიისათვის. სამყაროს, ბუნების როგორც ბნელი, არაციონობიერი ნების განხორციელების კონცეფციასთან შელინგი თავისი ფილოსოფიური შემოქმედების მესამე პერიოდში მიდის ღმერთში ბუნების როგორც მისი საფუძვლის მტკიცების გზით. იაკობ ბემეს თეოსოფიითა და მისტერიოზოფიით დავალებული შელინგის ეს კონცეფცია წინააღმდეგობაში მოდის პანთეიზმთან (ღმერთი = ბუნებას), რომელსაც შელინგი იდეალიზმის საფუძველზე ავითარებდა თავისი მოღვაწეობის ე. წ. ტრანსცენდენტალური იდეალიზმის პერიოდში:

ყოველი არსებული არის ღმერთში არსებული; მაშასადამე, თვით ღმერთის არსებობის საფუძველიც მხოლოდ მასშია, — ეს საფუძველი არის მისგან მოუცილებელი და, ამავე დროს, მისგან განსხვავებული არსება-ბუნება. ქრისტიანული ორთოდოქსალიზმი და მთელი ღვთისმეტყველება ასაბუთებდა დებულებას, რომ ღმერთის არსებობის საფუძველი არის თვით ღმერთი, ე. ი. ასაბუთებდა აზრს ღმერთის როგორც თვითსაფუძვლის შესახებ. შელინგთან ღმერთის საფუძვლის საკითხი განსხვავებულ გადაწყვეტას პოულობს: „საგნების საფუძველი არის ღმერთში და ამავე დროს განსჯადება მისგან;“<sup>1</sup> საგანთა საფუძველი არის იმაში, რაც ღმერთში არ არის ღმერთი, მაშასადამე — იმაში, რაც ღმერთის არსებობის საფუძველს შეადგენს.

ვფიქრობთ, რომ ღმერთის ცნების მიმართ საკითხის შელინგისებური დასმა უკანონოა არა მხოლოდ მონოთეისტური რელიგიებისათვის, არამედ — დეიზმისა და, საერთოდ, რელიგიური რაციონალიზმისათვისაც: ღმერთის თვით ღმერთისაგან განსხვავებული საფუძვლის ძიება აუქმებს ღმერთის ცნებას. ღმერთში მისგან განსხვავებული საფუძვლის — ბუნების — არსებობის დებულება შელინგს სჭირდება თეოლოგიისა და ფილოსოფიის უძველესი პრობლემების — ერთისაგან მრავლის წარმოშობის და ბოროტების არსებობის — გადასაჭრელად. ბოროტება, შელინგის აზრით, სამყაროში შეიძლება აიხსნას, თუ დაშვებული იქნება ბოროტების ისეთი საფუძველი, რომელიც დამოუკიდებელია ღმერთისაგან.

ბუნება, რომელიც არის ღმერთში და განსხვავებულია ღმერთისაგან, არის არაციონობიერი ღმერთში და, ამდენად, ბნელი საფუძველი, რომლისგანაც ღმერთი ქმნის თავის თვითგამოცხადებას. ბუნებას შელინგი უწოდებს ღმერთის სწრაფვას თვითგამოუღონის, თვითგამოცხადებისაკენ, და, რამდენადაც ბუნება არის სწრაფვა, ამდენად, — ის არის ნება; ხოლო ეს ნება ბნელია, რადგანაც მას არა აქვს ცნობიერება, გონება, — თუმცა ნება ისწრაფვის გონების სინათლისაკენ.

აქ ერთი საინტერესო მომენტიცაა: რამდენადაც ნება მიისწრაფვის თვითგამოვლენისაკენ, გონებისაკენ, ამდენად გონება წარმოადგენს „ნებას ნებაში“<sup>2</sup>.

გონება არის ნების ლტოლვის მიზანი, ის „მძაფრი სურვილის ლოგოსია“, ის არის „სინათლე — მოცემული პირველსაწყის ბუნებაში“. ბუნება, რომელიც არის ბნელი ნება, თავის თავში ჩაქეტილი, შემოზღუდული ღვთაებრივი ერთიანობაა, რომელიც ქაოტიურია მაანამ, სანამ ღმერთის თვითგამოცხადება მას ჰარმონიის სახეს მისცემდეს. ბუნებაში, რომელიც არის ბუნება ღმერთში, ფარული სახითაა მოცემული ყველა ძალა, რაც მომავალში უნდა განთავისუფლდეს. მიზნისკენ ნების სწრაფვა განვითარებაა, რომელიც ხორციელდება ნებაში ფარულად მოცემული ძალების გამოყოფის გზით. ეს გამოყოფა, რომელიც მიმდინარეობს როგორც ბნელი ნების წინააღმდეგობის გადალახვა, მთავრდება ღმერთის მიერ ბუნების დამორჩილებით.

<sup>1</sup> Шеллинг, Собр. соч. т. 7, стр. 354.

<sup>2</sup> Шеллинг, Собр. соч. т. 7, стр. 358—360.

ღმერთის მიერ ბუნების დამორჩილებისა და სინათლესთან წყვდიადის ბრძოლის შეღინგისეულ თეოსოფიას ჩვენ აქ აღარ გვაყვებით. ღმერთისა და ბუნების სხვადასხვაობას შეღინგთან ეზიარებიან ბუნებრივი საგნები, რომლებიც ატარებენ ერთსა და იმავე დროს ბუნებრიობისა და ღვთაებრიობის ნიშნებს.

ყოველი არსება წარმოიქმნება ღმერთის არსებაში არსებული ამ ბნელი არსებიდან და ვითარდება სინათლისაყენ. ამ ორი პრინციპის ერთიანობა, რომლის ხარისხი სხვადასხვა არსებებში სხვადასხვაა, აღწევს უმაღლეს სრულყოფილებას „უნივერსალურ ნებაში“ — გონებაში, რომელიც უპირისპირდება ბნელ, ბრმა ნებას. უნივერსალურ ნებაზე ბატონობს ეს ბნელი პრინციპი — ბრმა ნება, რომელიც ცალკეულ საგნებში ივივება, რაც მათი თვითნებობაა. ბოროტება იბადება სწორედ აქ. შაშასადაწმ, ბოროტება მდგომარეობს ბნელი ნების ბატონობაში გონებაზე.

გარდა იმისა, რომ აქ გვაქვს საინტერესო ცდა სამყაროში ბოროტების არსებობის მარადიული პრობლემის გადაწყვეტისა, შეღინგის ეს კონცეფცია ყურადღების ღირსია სხვა მხრივაც: ნების როგორც მსოფლიოში არსებული ბოროტებისა და ქაოტურობის მიზეზის შეღინგისეული კონცეფცია გაიზიარა შემდეგდროინდელმა ირაციონალიზმმა (შოპენჰაუერის, ჰარტმანისა და ნიცშეს სისტემები). ნების ის თეორია, რომელიც შეღინგმა მოღვაწეობის ბოლო პერიოდში მოგვცა, შეკუმშული სახით შეიცავს ბევრ ისეთ მომენტს, რომელმაც შემდგომ განვითარება ჰპოვა ირაციონალისტურ ფილოსოფიაში.

ღმერთში არსებული საფუძველი — **ბუნება ანუ ბრმა ნება** — ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა ერთიანობაა. ნება არსებობს წინააღმდეგობების საშუალებით, რომელთა გარეშე არ იქნებოდა არც სიცოცხლე და არც განვითარება. ძალთა ურთიერთდაპირისპირების შინაარსი არის პირველადი მისწრაფება ყოფნისაკენ, სიცოცხლისაკენ, მხოლოდ საკუთარი მე-ს ნდობა; მაგრამ ეს არის არსებობისაკენ სწრაფვა, მარადიული ყოფიერებისაკენ სწრაფვა, რაც მარად დაუქმყოფილებელია. რამდენადაც იგი მარადიულობისაკენ მიილტვის, იმდენად ეს არ არის ნება, რომელსაც უნდა ესა თუ ის განსაზღვრული მდგომარეობა, არამედ ეს არის სურვილისგან დაცლილი, თავისუფალი ნება: „რა თქმა უნდა — წერს შეღინგი, — ასეთი მდგომარეობა **არაა**, მაგრამ ეს ისეთივე **არაა**, როგორც — აბსოლუტური თავისუფლება, როგორც — ნება, რომელსაც არაფერი არ უნდა, რომელიც არ მიისწრაფვის არავითარი საგნისაკენ; მისთვის ყველა საგანი თანატოლია, და ამიტომ არაფრით არ მოდის მღელვარებაში. ასეთი ნება არის არაა და ამავე დროს ყველაფერი“<sup>3</sup>.

ბრმა ნების ცნება მოითხოვს მის დასრულებას **არაარასა და მარადიულ უძრავობაში**, — ეს კანონზომიერია და ეს აჩვენა კიდევ ევროპული ირაციონალიზმის ისტორიამ; ეს მისწრაფება, რომელიც საბოლოოდ **არაარაში** სრულდება, ევროპული აზროვნების ისტორიაში პირველი კონტურებია სამყაროს პესიმისტური და ნიპოლისტური სურათისა, რომელიც მოგვცა ირაციონალიზმმა შოპენჰაუერის, ნიცშეს, ედუარდ ჰარტმანის მოძღვრებებში, რომელიც სამყაროს გრანდიოზულ სურათად გადააქცია თანამედროვე ეგზისტენციალიზმმა ყოველივეს **არაარაში** ჩაძირვის კონცეფციით.

ღმერთის მიერ თავისთავის გამოცხადების საფეხურებს შეღინგი **პოტენციებს უწოდებს**. სვლა გამოცხადებისაკენ დახასიათებულია როგორც ევოლუცია. უპირველესი და ყველაზე დაბალი პოტენცია არის დაუცხრომელი სწრაფვა ყოფიერებისაკენ, არსებობისაკენ — ნება როგორც სწრაფვა და ლტოლვა. არსებობისაკენ ლტოლვა, როგორც არსებულის საფუძველში მდებარე ნება, არის ის პრინციპი შეღინგის ბოლო პერიოდის ფილოსოფიაში, რომელიც აკავშირებს

<sup>3</sup> Schelling, Weltalter, გვ. 235—236.

2 „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1973, № 2

კ. მარტენსი  
სახ. დამამუშავო რ. მარტენსი  
პი. ლინდენბატი

მას შოპენჰაუერის ფილოსოფიასთან და რომელშიც შელინგისეული პირველი პოტენცია უკვე სამყაროს, ყოფიერების ერთადერთ პოტენციალ და უძირითადეს კოსმოსურ პრინციპად იქცევა. შელინგისა და შოპენჰაუერის ნების თეორიები კიდევ ერთ პუნქტში თანხვედრიან ერთმანეთს: ნების როგორც სამყაროს ტრაგიკული პრინციპის, გაგებაში. არის მოსაზრება, რომ შოპენჰაუერი არ იცნობდა გვიანდელ შელინგს, მაშასადამე — მის კონცეფციას მსოფლიო ნების შესახებ და რომ შელინგიც არ იცნობდა მაშინ ჯერ კიდევ უცნობ შოპენჰაუერს; მაგრამ მთავარი აქ ეს არ არის: რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლი შოპენჰაუერი თავის ფილოსოფიას აფუძნებს პრინციპზე, რომლის პირველი მონახაზები შელინგის თეოსოფიამ მოგვცა. ღმერთში არსებული ბრმა ნებიდან, რომელიც ღმერთში არსებულ ბუნებასთან არის გაიგივებული შელინგის ფილოსოფიაში, ეს პრინციპი შოპენჰაუერის ფილოსოფიაში იქცევა ყოველივე არსებულის ბრმა, უგონო, ქაოტურ საფუძველად. ირაციონალიზმის დამფუძნებელი პრინციპის განვითარების ხაზი უნდა წასულიყო სამყაროს ქაოტიური, გონებასთან უთანაზომო არსებობის მტკიცების გზით, რაც გაკეთდა კიდევ გერმანულ ფილოსოფიაში შოპენჰაუერის, პარტმანის, ნიცშეს ირაციონალიზმის სახით.

შელინგის ფილოსოფიის ეფემერული ნაკადი ნების კონცეფციის სახით გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის განვითარების შემდგომ საფეხურზე იქცევა ვოლუნტარიზმის დიდ სისტემად — ა. შოპენჰაუერის ნების მეტაფიზიკად. ნების გნოსეოლოგიურ თეორიას შოპენჰაუერის ფილოსოფიაში ჩვენ არ შევვხებით, არამედ — ნებას როგორც ონტოლოგიურ პრინციპს. ნება შოპენჰაუერის ფილოსოფიაში სამყაროს ალოგიკური, ბნელი საფუძველია, თვითონ ნებას კი საფუძველი არა აქვს; ის არსებობს მხოლოდ თავის თავში, არსებობს როგორც **მხოლობა** და ამიტომ ის — როგორც ერთი — მდგომარეობს ყველა მოვლენასა და არსებაში; ნების არსება ერთია ყველგან და ყოველთვის. ასეთ რეალობას შოპენჰაუერი უძებნის ანალოგიას ფილოსოფიის ისტორიაში და ეს არის კანტის **ნივთი თავისთავად**. რამდენადაც „ნივთი თავისთავად“ არის ის ერთადერთი რეალობა, რომელიც დევს იდეალური საგნების, მოვლენებისა და ჩვენი შემეცნებითი უნარის წყობის საფუძველში, რამდენადაც ის დამოუკიდებელია სივრცისა და დროისაგან და არ ექვემდებარება მიზეზობრიობის კანონის ბატონობის სფეროს, ამდენად ნება შოპენჰაუერის აზრით, არის იგივე „ნივთი თავისთავად“. ერთი ნიშანიც აქვთ საერთო შოპენჰაუერის ნებასა და „ნივთს თავისთავად“. გონებისათვის შეუშეცნებლობა; მაგრამ ეს ნიშნები არ კმარა, რომ შოპენჰაუერის ნებისა და კანტის „ნივთი თავისთავად“ ტოლობაზე შეიძლებოდეს ლაპარაკი.

შოპენჰაუერის ნება როგორც მისი ირაციონალიზმის ღერძი, სამყაროს ის აქტიური საფუძველია, რომლის ობიექტივაციების ურთიერთიდილი, მათი უაზრო, ქაოტიური, უმიზნო მოძრაობა ქმნის მსოფლიოს სურათს. შოპენჰაუერის მიერ დაწყებული ეს ცდა — ირაციონალიზმისათვის კანტის დასაკუთრებისა, — მისი „ნივთი თავისთავად“ ტენდენციური ინტერპრეტაციის გზით, — გააგრძელა თანამედროვე ირაციონალიზმმა ჰაიდეგერის ფილოსოფიის სახით. ის, რაც ნეოკანტიანელებისათვის იყო კანტის ფილოსოფიის მეტაფიზიკური არათანმიმდევრობა, — „ნივთი თავისთავად“, ჰაიდეგერისათვის ქეშმარტი ონტოლოგია და ირაციონალიზმია, რასაც იგი „ნივთის თავისთა-

ვად“, როგორც ყოფიერების, გონებისათვის მიუწვდომლობაში ხედავს ამის საფუძველზე კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ ძირითად პრობლემად ჰაიდეგერს ესახება არა გნოსეოლოგიური, არამედ ონტოლოგიური პრობლემა<sup>4</sup>.

რამდენადაც ნებას არა აქვს თავისი არსებობის საფუძველი, ამდენად ის, შოპენჰაუერის აზრით, არ ემორჩილება ლაიბნიცისეულ **საკმაო საფუძვლის კანონს**, რომელიც არის რაციონალური აზროვნების კანონი. ნების გატანით ამ კანონის დაქვემდებარების ფარგლებს გარეთ შოპენჰაუერმა დაასაბუთა ნება როგორც სამყაროსა და ადამიანური არსებობის ირაციონალისტური პრინციპი და მიანიჭა მას შეუმეცნებადობის, ალოგიკურობისა და ირაციონალობის ატრიბუტები. მაგრამ ნების შეუმეცნებადობის თეზისის მიღებამ უნდა აღკვეთოს მისი თვისებების დადგენისა და მათი რაციონალური აზროვნების ენაზე გამოხატვის ცდა, რასაც შოპენჰაუერი სრულიად არ ითვალისწინებს. შოპენჰაუერის თხზულება — „მსოფლიო როგორც ნება და წარმოდგენა“ — არის სწორედ ნების დახასიათება, მისი რაობის კვლევა, რაც წინააღმდეგობაშია ნების დაფუძნების საწყის პრინციპებთან.

ხილული სამყარო არის გამოვლენა, ობიექტივაცია პირველადი ნებისა (Urville). სამყარო ავლენს თავს როგორც ნება, მაშასადამე, ის ატარებს ნების თვისებებსა და ხასიათს. ეს პირველადი, პირველადი ნება არის ყოვლადი და ერთიანი, თავისი თავის იგივეობრივი, უსაფუძვლო, უმიზნო, უმიზნო, შეუმეცნებელი და არაეცნობიერი; მისი არსება მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, „ბრმა ღრუბელში“, უმიზნო და უშედეგო მისწრაფებაში; მისი ღრუბელი არ არის ჩვეულებრივი ღრუბელი, არამედ ქარიშხლისებური, გაწირული, საბედისწერო მისწრაფება, რომელსაც შოპენჰაუერი Drang-ს უწოდებს. დებულება ნების ერთიანობის შესახებ იდენტურია სამყაროსათვის ნების იმანენტურობის დებულებისა: სამყაროს ყოველ საგანსა და მოვლენაში ნება ეკონინდება, სამყარო თვითონ წარმოშობს თავისი თავიდან ამ საგნებსა და მოვლენებს, თვითონ ეწინააღმდეგება და მარადილია. მსოფლიო ნება როგორც უმიზნო და უშედეგო ღრუბელი, არარაობისაგან ღრუბელია, და როგორც ასეთი, ქაოტიურია. ეს ქაოტიურობა ნებისა არის მსოფლიოში ძალთა ურთიერთდაპირისპირებისა და ჭიდილის, მოძრაობის წყარო. ეს ბრძოლა არის ბუნებაშიც, ცხოველთა და ადამიანთა სამყაროშიც, მაგრამ ეს ბრძოლა უმიზნო და უშედეგოა, რამდენადაც არ იწვევს განვითარებას.

შოპენჰაუერთან მოძრაობა არ ნიშნავს განვითარებას: რამდენადაც არსებულის საფუძველში მყოფი პირველადი ნება მუდამ თავისი თავის ტოლი და უცვლელია, — მაშასადამე, — მუდამ თავის თავის ტოლი და უცვლელია ისიც, რაც მის ობიექტივაციას წარმოადგენს; აქედან გამომდინარე, შოპენჰაუერის ფილოსოფიაში უარყოფილია ისტორიული პროცესი, ბუნების საფენების განვითარება. მსოფლიოს ირაციონალისტურად გააზრების ლოგიკური შედეგი პესიმისტური მსოფლმხედველობაა, რამაც თავისი გამოხატულება შოპენჰაუერისეულ **ცხოვრების ფილოსოფიაში** ჰპოვა.

თუ მსოფლიოს საფუძველი უგონო, ბნელი და ბოროტი პრინციპია, — მაშასადამე, — თვითონ მსოფლიოც ბოროტებაა; ნება არის ბოროტება და, ამდენად, მსოფლიოში გამეფებული ბოროტების, ტანჯვის, ამოების საფუძველია. შოპენჰაუერის აზრით, მსოფლიო ისეა მოწყობილი, რომ ჩვენ უბედურები უნდა ვიყოთ და ვართ კიდევ; მსოფლიოს არყოფნა სჯობია მის ყოფნას; ეს მსოფლიო არა თუ ყველა შესაძლებელ მსოფლიოებზე უკეთესია, როგორც ამტკიცებდა ლაიბნიცი. არამედ — შესაძლებელიდან ყველაზე უარესია.

შოპენჰაუერის მოძღვრება ნების როგორც სამყაროს არაცნობიერი და ბრმა საფუძვლის შესახებ გადაიხარდა მისტიკასა და მაგიის თეორიაში. ნე-

<sup>4</sup> Heidegger, Kant und das Problem der Metaphysik, Frankfurt a/M, 1934, s. 10.

ბის დახასიათების ზემოთაღნიშნული კოორდინატები აუცილებლობით მისტიციზმში შეერთდნენ. იაკობ ბემეს მისტერიოზოფია შოპენჰაუერთანაც თავის მემკვიდრეს ბოულობს. ნებას კიდევ ერთი ნიშანი მოეძებნა შოპენჰაუერის ფილოსოფიაში: ნება თავს ავლენს მაგიურად — შორ მანძილზე ქმედების ან ხილვის (ნათელხილვის) სახით.

ნების ეს თვისება ემყარება დებულებას პირველადი ნების (Urville) დროისა და სიყრცისაგან დამოუკიდებლობის შესახებ. თუ ნებას შეუძლია იმოქმედოს ამ პირობებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ერთმანეთისაგან აცალკევებენ, თიშავენ მოილოდინესა და საგნებს (დრო და სიყრცე), მამასადავ, მას შეუძლია თავისი ქმედება გამოამქლავოს უშუალოდ, შუამავალი ვითარებების გარეშე — ფიზიკური სამყაროს გონებისათვის მისაწვდომი კანონების მიღმა. ფიზიკური კანონების გარდა, შოპენჰაუერის აზრით, არსებობს სამყაროს საგნებსა და მოვლენებს შორის რაღაც იდენტური, ძირითადი, სიღრმისეული კავშირები, არსებობს საგანთა ის არსობანი, რომლებიც ერთი ავლენადერთი. ამით თითქოს ისპობა მოვლენათა ინდივიდუაცია, უქმდება ნების ცალკეული ობიექტივაციების იზოლირებული ნება. პირველადი ნება არის საყოველთაო და ერთიანი — ყველა მოვლენებში ერთი და განუყოფელი. მაგია გულისხმობს არა მხოლოდ კოსმოსურ პირველად ნებას, არამედ სუბიექტის ნების, — ასე ვთქვათ, — მაგიურობასაც, სუბიექტის სურვილის უდიდეს, მყარ ძალას. შოპენჰაუერს მოაქვს პარაცელსის სიტყვები: „მაგია უდიდესი ფარული სიბრძნეა, გონება — უდიდესი აშკარა სისულელე“; აგრეთვე — იაკობ ბემეს ნათქვამი: „მაგია — ყველა არსებათა არსების დიალა, რადგანაც მხურვალე სურვილში ქმნის თავის თავს და შეიმეცნება. ქეშპარიტი მაგია არ არის რაიმე არსება, არამედ არსების მხურვალედ მოსურნე სული. საბოლოოდ, მაგია არის ქმედება მნებავ სულში.“ (Willengeist)<sup>6</sup>.

ყოფიერების ეს მისტერია — სამყაროს უძირითადეს და სიღრმისეულ კანონად მაგიურობის გამოცხადება — ერთ მიზანს ემსახურება შოპენჰაუერთან: დაასაბუთოს ნების მეტაფიზიკა.

ნება წარმოადგენს ირაციონალიზმის დამფუძნებელ პრინციპს ელუარდ ჰარტმანის ფილოსოფიურ მოძღვრებაშიც. ედ. ჰარტმანის არაცნობიერის ფილოსოფია ნების როგორც არაცნობიერის ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური თეორიაა. ნება, არაცნობიერი ჰარტმანის ფილოსოფიაში სუბსტანციადაა გამოცხადებული.

არაცნობიერა — ზეარსი, ინდივიდუალური არსება, რომელსაც ორი ატრიბუტი აქვს: არაცნობიერი ნება და არაცნობიერი წარმოდგენა. არაცნობიერი აზროვნებს, მაგრამ მისი აზროვნება სრულიად განსხვავებულია ადამიანური აზროვნებისაგან: მატერიალურ და ცნობიერებაც ორი სხვადასხვა სახეა არაცნობიერის ანუ არაცნობიერი ნების გამოვლენისა; მატერია ატომების ნების სისტემაა, კოსმოსური ნება კი — მარად ცოცხალი, მარად შემოქმედი სუბსტანციაა; სუბსტანცია შეუცნობადია. თუ ყოველივე არსებული სათავეს ღებულობს არაცნობიერში, მამასადავ, ცნობიერებაც არაცნობიერიდან წარმოიშობა.

არაცნობიერი სულიდან ცნობიერი სულის წარმოშობა იმავე კოლაზიასთან აყენებს ჰარტმანის მეტაფიზიკას, რომლის წინაშე შოპენჰაუერც აღმოჩნდა. აღნიშნული წინააღმდეგობიდან ჰარტმანი ცდილობს გამოსავალი ანახოს დაშვებაში, რომ ცნობიერება შეიძლება წარმოშობილიყო სულიერი ბუნების არსიდან და არა მატერიიდან, და ასეთი სულიერი არსი შეიძლება იყოს მხოლოდ ნება.

მსოფლიო პროცესის საბოლოო მიზანი ნებისაგან ინტელექტის სრული ემანსიპაციაა, ხოლო ნება ეწინააღმდეგება ინტელექტის მისწრაფებას განთავისუფლებასაგან. წარმოდგენა სწყდება ნებას, რათა მომავალში წინ აღუდგეს მას როგორც დამოუკიდებელი ძალა; მაგრამ ნება „განციფერებულია“ ამ წინააღმდეგობით, და ნების ეს გაკვირვება, „შეკრთობა“, — რომელიც ეუფლება

<sup>6</sup> A. Шопенгауэр, Мир как воля и представление. кн. I, гл. VII, стр. 100.

არაცნობიერს წარმოდგენის მასში შესვლისას, — არის ცნობიერება,<sup>6</sup> (რად უნდა და შეხვ-  
ლა, — წარმოდგენა ხომ ისედაც იყო არაცნობიერში, როგორც  
მისი ერთ-ერთი ატრიბუტი?! — დ. დ.).

როგორ არის შესაძლებელი, რომ უგონო და ბრმა ნება, რომელშიც არ  
არის არავითარი ცნობიერება, განცვიფრდეს? — განცვიფრებისათვის ხომ  
ცნობიერებაა საჭირო? არაცნობიერი ნების „განცვიფრებით“ ცნობიერების  
წარმოშობის ახსნა, რა თქმა უნდა, მეცნიერული თეორია ვერ იქნება. არა  
ცნობიერის ფილოსოფიამ სრული კრახი განიცადა ცნობიერების წარმოშობის  
საკითხში. ედ. ჰარტმანის არაცნობიერი როგორც სულიერი კოსმოსური სა-  
წყისი ძალიან ჰგავს — პოზიტიური რელიგიების თუ არა — დეიზმის ღმერთს  
მაინც. არაცნობიერის ნათელხილვას, — ამბობს ჰარტმანი, — უშუალოდ და  
წამიერად ეძლევა ყველამონაცემი „არაცნობიერი“ აზროვნებისათვის, —  
ის ნომენტალურად გაიაზრებს დებულებებისა და დასკვნების მთელ ჯაჭვს.  
არაცნობიერი ხედავს მომავალ, თვით ყველაზე შორეულ მიზნებს და ყველა  
საშუალებას მათი განხორციელებისათვის. არაცნობიერის ცნების განსაზღვრე-  
ბაში ჰარტმანს შეაქვს ერთი საყურადღებო მომენტი: კერძოდ — თვისება,  
რომელიც პოზიტიური რელიგიების ღმერთების უძირითადესი პრედიკატია, —  
ეს არის სიბრძნე: არაცნობიერი ყოვლისმცოდნე ბრძენია. განსხვავებით  
შოპენჰაუერის ნებისაგან, რომელსაც გონება არა აქვს, ჰარტმანის არაცნობი-  
ერს გონება, სიბრძნე აქვს და არა განყენებული, — ასე ვთქვათ, — პოტენცი-  
ური სიბრძნე, არამედ — ცოდნა, ყოვლის ცოდნა. არაცნობიერის  
თეისტურ დახასიათებაში ყველაზე ძირეულად ჰარ-  
ტმანთან მიგვაჩნია ჩვეულებრივი რელიგიური კრე-  
აციონიზმი და ამ უკანასკნელის უმნიშვნელოვანესი მომენტი — სამყა-  
როს შექმნამდე თვითონ ამ შექმნისა და სამყაროს ითვის არებობა არაცნო-  
ბიერში; არაცნობიერს მიეწერება სამყაროს შექმნა. არაცნობიერში იყო  
სამყაროს იდეა, მაგრამ როგორი სამყაროსი? ჰარტმანის მიხედვით, ყველა  
შესაძლებელ სამყაროში ყველაზე უკეთესისა — ისევე ქრისტიანული არგუმენ-  
ტის ძალით, რომ ყოვლისმცოდნე და შეუცდომელი არაცნობიერი ყვე-  
ლაზე უკეთესს აირჩევდა. მაგრამ როგორაა შესაძლებელი, რომ არაცნობი-  
ერში იყოს სამყაროს ცნობიერი იდეა? როგორაა შესაძლებელი, რომ არა-  
ცნობიერი ცნობიერად ერევა ცნობიერ სიტუაციებში? ჰარტმანი ვერ ამჩ-  
ნევს თავისი სისტემის კარდინალურ დებულებებს შორის ამ წინააღმდეგობ-  
რობას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა ბოროტების  
არსებობის საკითხში. მსოფლიო ბოროტების ბატონობაა. ადამიანური ცხოვ-  
რება ძირითადად ტანჯვა და უსიამოვნებაა. მაგრამ როგორ დაუშვა ბრძენმა  
არაცნობიერმა ასეთი სამყარო? ჰარტმანი იფიქვებს თავის ზემომოყვანილ  
დებულებას არაცნობიერის სიბრძნის შესახებ და ამბობს, რომ მსოფლიო  
შექმნილია არაგონიერი, ე. ი უგონო აქტის შედეგად<sup>7</sup>.

რომანტიზმისა და შოპენჰაუერის ფილოსოფიის შემდეგ სამყაროს პესი-  
მისტურ სურათს ჰარტმანი ბევრს ვერაფერს უმატებს. მსოფლიოსა და ადამიანური ცხოვრების სრული უპერსპექტივობა, უიმედობა და სიბნელეა გამო-

<sup>6</sup> Ed. Hartmann, Philosophie des Unbewukten. B. II, S. 17.

<sup>7</sup> Ed. Hartmann, Philosophie..., s. 153, 165.

ხატული „არაცნობიერის ფილოსოფიის“ რიგ გვერდებზე და პესიმისმიხედვით მიძღვნილ სპეციალურ შრომებში.

პარტამანმა ასე უბასუხა მსოფლიოს ყოფნა-არყოფნის საკითხს: მსოფლიოს არარსებობა სჯობს მის არსებობას. მომავალი „პროგრესის“ სურათი ასე ესახება პარტამანს: მსოფლიო პროცესის მიზანი აბსოლუტურ უნებულობაში გადასვლაა, რომელთან ერთად შეწყდება ყოველგვარი არსებობა. კაცობრიობა მოწოდებულია მიაღწიოს მსოფლიო პროცესის ამ მიზანს და ამის ერთ-ერთ პირობად ითვლება კაცობრიობის გამსჭვალვა ნებისა და არსებობის მოსპობის სურვილით. ეს მისწრაფება ისე ძლიერი უნდა იყოს, რომ ნებამ, რომელსაც საპირისპირო მისწრაფება აქვს, ვერ უნდა შეძლოს მისი დათრგუნვა. მაგრამ მხოლოდ კაცობრიობის მოსპობა არ არის მსოფლიო პროცესის მიზანი, რადგან, თუ დედამიწა და სხვა ციური სხეულები დარჩებიან, სიცოცხლე და, მაშასადამე, ადამიანიც ისევ შეიძლება წარმოიშვას, და ყველაფერი დაიწყება თავიდან; ე. ი. არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ კოსმოსური ნებაც უნდა მოისპოს და ეს იქნება უკანასკნელი წამი, რომლის შემდეგ იქნება სრული არარსებობა, სრული უღრობა, — „დრო შეწყვეტს არსებობას“.

ედ. პარტამანის ირაციონალისტურმა ფილოსოფიამ საყოველთაო სიკვდილისა და კოსმოსური კატასტროფის აუცილებლობის მტკიცებაში ჰპოვა დასასრული.

ყოფიერების მისტერიისა და ირაციონალიზმის, ასე ვთქვათ, ონტოლოგიურ პლანს ირაციონალიზმის შემდგომ განვითარებაში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე — შელინგთან, შოპენჰაუერთან და პარტამანთან. ირაციონალიზმის დაფუძნების ამ ტენდენციის დამწყები ფრიდრიხ ნიცშეა, რომელსაც ონტოლოგია უკვე ნაკლებად აინტერესებს და ყურადღების ცენტრი სიცოცხლესა და ადამიანურ არსებობაზე გადააქვს. გრანდოზული მიზანი და ამოცანა ნიცშესთვის არის ძველ ღირებულებათა გადაფასების აუცილებლობის დასაბუთება, და ირაციონალიზმი ის ნიადაგია, რომელზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ამ მიზნით განხორციელება. მორალურ ღირებულებათა გადაფასების პრობლემა ევროპული კაცობრიობის ცნობიერებაში გადატყდა როგორც „ღმერთის სიკვდილით“ განსაზღვრული კრახი ძველი იდეალებისა. ნიცშეს მთელი მოძღვრება ეყრდნობა დებულებას გონებასთან სამყაროს უთანაბრობის, ქაოტიურობისა და მისტიკურობის შესახებ. ნიცშეს ონტოლოგია მეტაფიზიკასთან კამათისა და მეტაფიზიკის სრული უარყოფის პლანშია მოაზრებული. ფილოსოფიური მეცნიერების ერთ-ერთ კარდინალურ ამოცანად ნიცშეს ესახება მეტაფიზიკის სრული განდევნა. შოპენჰაუერის ფილოსოფიით დავალებული ნიცშე უარყოფს ნების როგორც მეტაფიზიკური არსის გაგებას. ის იღებს ნებას, მაგრამ ისე, რომ მეტაფიზიკასთან მას საერთო არაფერი ჰქონდეს. ნიცშეს ონტოლოგია ვოლუნტარიზმის პრინციპებზეა აშენებული. არსებული ნიცშესთან განმარტებულია როგორც ნება, ძალა-უფლებისადმი ნება.

სინამდვილე არ ემორჩილება არავითარ კანონს, არავითარ წესრიგს. მსოფლიო — ქაოსია და კანონზომიერება მასში ჩვენს გონებას შეაქვს, ჩვენ გვეჩვენება იგი წესრიგს დამორჩილებულად. ნამდვილად კი მსოფლიოში სრული უგუნურება, ალოკურობა, ქაოსი ბატონობს; ყოფიერების ქემ-მარიტი სიღრმისეული ძირი, მისი საწყისი დიონისურია, — ალოკიური, ბნელი, გიჟური, სტიქიური; სამყარო არის გონებით აუხსნელი და გონების კანონების მიღმა არსებული, — ტრაგიკული, საბედისწერო, უშედეგო ლტოლვა, ნგრევა და შენება, ვიღური გახელება, რომლისთვის არ არის საზღვრები და კანონები; ღმერთი დიონისე — თრობისა და ველური ინსტიქტების ორგანისტული მისტერიების ღმერთი — ნიცშესათვის სამყაროს ირაციონალური არსის მითოლოგიური განსახიერებაა. ღმერთ დიონისეს ნიცშე უპირისპირებს ღმერთ აპოლონს, რომელიც პარმონიას, წესრიგს, ნათელ საწყისს განსახიერებს; დიონისესა და აპოლონის დაპირისპირება ხდება, ასე ვთქვათ,

მფლობელობის სფეროების მიხედვით. ნიცმე თავის აღრინდელ ნაწარმოებში — „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ (1872) — ხელოვნებასაც ორგავარ ხელოვნებად ჰყოფს: ღიონისურ და აპოლონურ ხელოვნებად. ხელოვნების აპოლონური საწყისი პლასტიკურ ხელოვნებაში პოეზიობს განხორციელებას, ღიონისური — მუსიკაში. ნიცმეს აზრით, ღიონისური და აპოლონური საწყისების წინასწორება ხელოვნებაში შესაძლებელია (ატიკური ტრაგედია), და ქეშმარტი ხელოვნების მიზანი სწორედ მათს გაწონასწორებაში უნდა მდგომარეობდეს; ყოველი ხელოვნების წინამძღვარი ზმანება და თრობა, მოჩვენების მშვენიერი ილუზიები, რომლებიც ბერძენებმა კლასიკური ფორმით თავიანთ ღმერთებში — აპოლონსა და ღიონისეში გამოხატეს; თრობა და ზმანებები თითქმის აუქმებს ინდივიდს და ათავისუფლებს მას ბუნებასთან ერთიანობის მისტიკური შეცნობის საშუალებით. ბერძნული კულტურის ინტელექტუალისტურ და რაციონალისტურ ტენდენციებს, რომლებსაც ნიცმე ნათლავს ზოგადი სახელით — „სოკრატული“, იგი მომაკვინებლად თვლის ხელოვნებისათვის. მსოფლიო არის ძალთა და „ძალთა ტალღების“ თამაში, რაც ღიონის არც ერთ მონაკვეთში არ წყნარდება, — ძალთა დინამიკური კვანტები დაუსრულებელ ბრძოლაში არიან ერთმანეთთან; როგორც არაორგანულ, ასევე ორგანულ ბუნებაში ბრძოლა წარმოებს ძალაუფლებისათვის, თავისი თავის დამკვიდრებისათვის; ყოველი ატომი გამსჭვალულია ძალაუფლების, თავისი თავის შენარჩუნების ნებით. სწრაფვა ძალაუფლებისაკენ გამოიხატება სხვების დამარცხების გზით საკუთარი თავის გაძლიერებაში; ძალაუფლების ნებას ნიცმე განსაზღვრავს როგორც „არისის შინაგან არსებას;“ ხილული სინამდვილე ფენომენების სამეფოა, ყველაფერი ფენომენალურია ერთის — ძალაუფლების ნების — გარდა; ძალაუფლების ნება არის ყველა მოვლენის უპირველესი წყარო.

შოპენჰაუერის ნება ქაოტიური, უაზრო, უმიზნო სწრაფვაა. ის არის სწრაფვა, მიდრეკილება, მაგრამ რისკენ? — არაფრისაკენ. ამ კითხვის პასუხი შოპენჰაუერის პესიმიზმის საფუძველია. არაორგანული ბუნებიდან ცოცხალ არსებებსა და, საბოლოოდ, ადამიანში ნების განვითარების გზა არის გზა არაციონობიერიდან თანდათან მეტი ცნობიერებისა და, ბოლოს, ადამიანში თვითცნობიერების, თვითშემეცნების საფეხურისაკენ. ეს თვითშემეცნება არის იმის შეგნება, რომ ნება უგონო და უმიზნოა, რომ არავითარი აზრი არა აქვს სურვილსა და სწრაფვას. შოპენჰაუერის ნების მეტაფიზიკა მ ლოგიკური დასრულება, ამრიგად, პესიმიზმში 330 ა.

შოპენჰაუერის ფილოსოფიაში ნებამ არ იცის, თუ რა უნდა; ნიცმეს ფილოსოფიაში კი ნებამ იცის, რაც უნდა: ნებას სურს ძალაუფლება, ე. ი. სხვებზე გამარჯვებისა და სხვების დამორჩილების გზით საკუთარი თავის დამკვიდრება. ამრიგად, ძალაუფლება არის ნების მიზანი. მაგრამ სადაც არის მიზანი და მიზნობრიობა საერთოდ, იქ არის ცნობიერებაც: თუ ნებამ იცის, რისკენ მიისწრაფვის, ის ცნობიერი ყოფილა. მაშინ როგორ არის მსოფლიო ქაოტიური და უგონო? ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ვითარება წინააღმდეგობაა ნიცმეს ფილოსოფიაში. ის „საოცარი“ ლოგიკურობა და მონოლითურობა, რომელსაც ასე უქმებს ნიცმეს ბევრი მკვლევარი, ამ წინააღმდეგობის გაანალიზების ფონზე საექვო მოჩანს.

სამყაროში არაფერია ისეთი, ნიცმეს აზრით, რაზეც შეიძლება თქმა, რომ არის, — არამედ შეიძლება მხოლოდ თქვას, რომ ყოველივე იქნება, რადგან სამყარო დაუსრულებელ, უწყვეტ, უგონო და ქაოტიურ მოძრაობაში იმყოფება, ხოლო ქმნალობა არ ემორჩილება ახსნას, ლოგიკურ დასაბუთებას; ეს უწყვეტი მოძრაობა და ქმნალობა არის ურთიერთდაპირისპირებულ ნებათა ბრძოლა ძალაუფლებისათვის, წინააღმდეგობა ძირითადი მიზეზია სამყაროს ქაოტიურობისა, ეს უყანასყენო კი შეუძლებელს ხდის ცნებების ენაზე ქმნალობის აღქვებურ გამოხატვას. ის განვითარება და ქმნალობა, რომელზეც ლაპარაკობს ნიცმე, არ არის ნამდვილი, დიალექტიკური განვითარება, არამედ რაოდენობრივი ცვლილება და არა ახლის წარმოშობა, რამდენადაც ეს



„ახალი“ როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში ისე უსასრულოდაა განმეორებული ისევე და ისევე, რომ აღარავითარი სიახლე მასში არაა.

ნიცშეს ქმნადობის თეორია არის მარადიული დაბრუნების ანტიდიალექტიკური თეორია. ძალაუფლების ნების — როგორც კოსმიური კანონისა და სამყაროს დიონისეული ძირის მოტივები — სხვადასხვა ვარიაციებით არაერთხელ გაისმის ნიცშეს შემდგომდროინდელ გერმანულ ფილოსოფიაში. ყოფიერების ირაციონალობის ეს ნიცშესეული კონცეფცია საინტერესოდ გადამუშავდა ფრიც იოახიმ ფონ რინტელენის მოძღვრებაში, რომელსაც თვითონ ავტორი „ტრაგიკულ ჰუმანიზმს“ უწოდებს. რინტელენის „ტრაგიკული ჰუმანიზმი“ ქრისტიანულ მსოფლგაგებასთან ნიცშეანობის მორიგების ცდას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ნიცშესთვის, რომელიც ქრისტიანობას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე აბსურდულ და მკენე მოძღვრებად თვლიდა, ასეთი მორიგების შესაძლებლობაზე ფიქრიც კი დაუშვებელი იყო. თანამედროვე კაცობრიობის აღორძინება, რინტელენის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ სულის აღორძინების შედეგად; სული კი ევლინება კაცობრიობას მსოფლიოსადმი სიყვარულის სახით; ეს სიყვარული მსკვალავს საგანთა არსებას\*. ნიცშეს დებულება — „მსოფლიო ძალაუფლების ნებაა“ — რინტელენს მიაჩნია პრინციპად, რომელიც გამოხატავს ევროპული კაცობრიობის სულს, მის დაუცხრომელ სწრაფვასა და ძლიერებას. ეს პრინციპი გამოხატულებაა ყოფიერების დემონური, იღუმალი, დიონისური საწყისისა.

ბუნების უმცირესი სხეულებიდან დაწყებული და ადამიანით გათავებული, — ყოველი არსებულის არსებობა არის ძალაუფლების ნება ან, სხვაგვარად, სრულქმნისაკენ ლტოლვა (Vollendungsstreben). ყოფიერების საფუძველში დემონური ძალებია, და ბოროტება არსებობს როგორც ამ დემონური ძალების გამოვლენა. ისინი ხშირად ვლინდებიან როგორც შემოქმედებითი ლტოლვა და, ამდენად, წარმოადგენენ არა მხოლოდ ბოროტების საფუძველს, არამედ სიყეთისაც. მაგრამ რა არის ეს ნება ის დემონია? რინტელენის განმარტებით, ესაა რაღაც უჩვეულო, ზეადამიანური ძლიერება, რომელსაც აქვს უნარი — გამოვლინდეს ნეგატიურადაც. ეს დამანგრეველი ბოროტი დემონური ძალები ყოველივე ნათელის, ღვთაებრივის განადგურებისაკენ, ყოფიერების მთლიანობის დარღვევისაკენ მიილტვიან. ყოფიერების სიღრმისეული ქვესფეროები დიონისური საწყისის მეფობის სფეროებია. ეს არის ღამე, სიბნელე და ის იღუმალეა ყოფიერებისა, რომელიც მიუწვდომელია გონებისათვის. ყოფიერების ეს, სტიქიურ მოძრაობაში მყოფი იღუმალი ფენა „დიონისურ-ვიტალისტური“<sup>9</sup> აქტივობის ფენაა. სიცოცხლის დიონისური ძირებია: სიცოცხლე. (რომელიც თვითონ არის ძალა), ვნება, ქმნადობა, დაუსრულებელი ლტოლვა.

დიონისიზმის ნიცშესეულ გაგებაში რინტელენს კორექტივი შეაქვს, — ესაა დიონისეულ პრინციპში აპოლონური საწყისის ელემენტებზე მითითება. დიონისეულ და აპოლონურ საწყისებად ყოფიერების გაორებას რინტელენი ბუნებისა და სულის ურთიერთმიმართების ქრისტიანულ-იდეალისტურ კონცეფციას უკავშირებს. ყოფიერების მომწესრიგებელი და მისთვის საზრისისეული განსაზღვრულობის მიმინჭებელი სული რინტელენს გაგებული აქვს როგორც ნათელი და ჰარმონიული აპოლონური საწყისი. დიონისური საწყისი, რომელშიც არის აპოლონურის მომენტები, გადადის აპოლონურში მალა სწრაფვის გზით და აღწევს სრულქმნილი სულის — ღმერთის — საფე-

\* F. F. Rintelen, Dämonie des Willens, Mainz a/R, 1947, S. 1.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 7.

ხურს. ყოფიერება, ამრიგად, სინათლისა და სიბნელის, სულიერისა და სხეულბერვის, დღისა და ღამის ჰარმონიაა და ამ ჰარმონიაშია ყოფიერების უდიდესი საიდუმლოება.

აღსანიშნავია, რომ აფორისტული ფორმითა და ბიბლიის წინასწარმეტყველების სტილით დაწერილი ნიცშეს ნაზარევი შინაარსითაც ბევრ რაიმეში კეშპარიტად წინასწარმეტყველური გამოდგა დასავლეთევროპული აზროვნებისათვის. ევროპული ფილოსოფიის განსაზღვრული ნაკადი ძირითადად წავიდა იმ გზით, რომელიც ნიცშემ დასახა. ნიჰილიზმის პრობლემამ, როგორც ნიცშესეზური კლასიკური ფორმით არავის დაუყენებია, ევროპული ფილოსოფიის ისტორიაში ყოფიერების როგორც არ არს ეგზისტენციალისტურ კონცეფციაში ჰპოვა ფილოსოფიური დასაბუთება. ნიჰილიზმი და „ღირებულებათა გადაფასების“ პრობლემა თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების კრიზისის გამოხატულებას წარმოადგენს. ნიჰილიზმის პრობლემა ეგზისტენციალიზმშიც ცენტრალურ პრობლემად რჩება და არის ის ძირითადი რგოლი, რომელიც ნიცშეს ფილოსოფიას ეგზისტენციალიზმთან აკავშირებს.

ნიცშე როგორც ექსისტენციალიზმის წინამორბედი და წყარო ბრწყინვალედ დანახა და დაასაბუთა მარტინ ჰაიდეგერმა. ნიცშეს ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაცია არის არა მხოლოდ გადმოცემა და ანალიზი ნიცშეს ფილოსოფიისა, არამედ, როგორც არაიშვიათად ხდებოდა ფილოსოფიის ისტორიაში, არის საკუთარი მოძღვრების დანახვაც წინამორბედის მოძღვრებაში. ჰაიდეგერისთვის ნიცშე არის „უქანასკნელი დიდი მეტაფიზიკოსი“ და „ახალი ფილოსოფიის განთიადი“, მოძღვარი იმისა, რომ ყოველი არსებული (Seiende) არის ძალაუფლების ნება, რომ აღამიანს უნდა დაუბრუნდეს ყოფიერების დავიწყებული საზრისი<sup>11</sup>. მეტაფიზიკად ნიცშესთან ჰაიდეგერს ესახება ის, რომ ნიცშე საკითხს სვამს არა ყოფიერების არსობის, არამედ არსებულის ყოფიერების შესახებ. ამ არსებულის ფუძემდებელ პრინციპად ნიცშე ძალაუფლების ნებას აცხადებს: „ყოველი არსებული არის ძალაუფლების ნება“ — ეს, ჰაიდეგერის აზრით, ევროპული მეტაფიზიკის უქანასკნელი სიტყვაა. მთელი ევროპული ფილოსოფიის კრიზისი, მთელი ნიჰილიზმი, რომელსაც, სხვათა შორის, ჰაიდეგერი ბევრად უფრო ხანგრძლივ მოვლენად თვლის, ვიდრე ნიცშე (ქრისტიანობამდელ ეპოქებიდან — დღემდე), — წარმოიშვა და გაგრძელდა იმიტომ, რომ ელენტების შემდგომდროინდელმა მთელმა ევროპულმა ფილოსოფიამ დაივიწყა ყოფიერება და თავისი კვლევის საგნად გაიხიდა არსებული; ამ ვითარების აღსანიშნავად ჰაიდეგერს სპეციალური ტერმინიც აქვს — Seinsvergessenheit. ამდენად, ნიჰილიზმი არის თვითონ ყოფიერების, როგორც ფილოსოფიური ცნების, ისტორია<sup>11</sup>.

ყველა ონტოლოგია ბრმაა, თუ ის ვერ არკვევს ყოფიერებას. ონტოლოგიური საკითხი პოზიტიური მეცნიერებების მიერ დასმულ ონტიურ (ontische) საკითხებზე წინარეა. „ყოფიერება — ეს არც ღმერთია და არც მსოფლიოს საფუძველი. ყოფიერება უფრო ფართოა, ვიდრე — არსებული და უფრო ახლოს დგას აღამიანთან, ვიდრე — რომელიმე არსებული: იქნება ის ცხოველი, ხელოვნების ნაწარმოები თუ მანქანა; იქნება ის ანგელოზი თუ ღმერთი. ყოფიერება ყველაზე ახლოს მყოფია; მაგრამ ახლოს მყოფი

<sup>10</sup> M. Heidegger, Vorträge und Aufsätze, Pfüllingen, 1954, S. 106.

<sup>11</sup> M. Heidegger, Holzwege, Frankfurt a/M, 1957, s. 196—202.

ადამიანისათვის ყველაზე შორეულია, — ადამიანი ყოველთვის მიჯაჭვულია მხოლოდ არსებულზე<sup>12</sup>. ყოფიერებას ჰაიდეგერთან მხოლოდ უარყოფითი პრედიკატები ენიჭება. ადამიანის გონებას იგი ართმევს ყოფიერების პოზიტიურად განსაზღვრის უფლებას. ყოფიერების დადებითი განსაზღვრება არის მისი გაიგივება არსებულთან, რაც, რა თქმა უნდა, ყოფიერების განსაზღვრება არ იქნება.

ყოველივე არსებულს აქვს თავისი არსებობის საფუძველი, რომელსაც თვითონ არსებობა ვერ მიეწერება, რომელიც თვითონ არსებული არ არის. არსებულის საფუძველი არსებულისაგან განსხვავებული უნდა იყოს, ე. ი. არსებული არ უნდა იყოს. ყოველივე არსებულის ეს არარსებული საფუძველი არის ყოფიერება და, რამდენადაც ყოფიერება არსებულების საფუძველია, ამდენად ის არის „არარა“ (das Nichts), — ის არის არარა მიმართებაში არსებულთან, ე. ი. იმასთან, რაც არის. არარა არის ის, რაც შემოსაზღვრავს, საზღვარს უდგებს ყოფიერებას და რასაც არა აქვს არც საზრისი და არც მიზეზი. არარას შესახებ არ შეიძლება თქმა, რომ ის არის, არამედ არარა არარაობს (das Nichts nichtet). არარა მიეკუთვნება არა არსებულს, არამედ — ყოფიერებას, ის გულისხმობს არსებულს მის ყოფიერებაში და ამიტომ იგი ყოფიერების ცნება და არა ღირებულებისა. არარა არის დაპირისპირებული არსებულთან. ყოველი არსებული მის მართ. ყოფიერების შესახებ რაიმეს თქმა, მისი განსაზღვრება ლოგიკის არსენალში გამოყენებული საშუალებებით შეუძლებელია. ჰაიდეგერის აზრით, ყოფიერება როგორც ფილოსოფიის საგანი არ არის არსებულის (Seiende) რიგისა, მისი აუნივერსალობა“ უფრო მაღლა უნდა ექიმოთ. ყოფიერება და ყოფიერების სტრუქტურა დევს ყოველი არსებულის მიღმა. ყოფიერება არის უბრალოდ ტრანსცენდენტური (Sein ist das transcendens schlechthin). ყოფიერების, როგორც ტრანსცენდენტურის, ყოველი გახსნა (Erschließung) არის ტრანსცენდენტალური შემეცნება. ფენომენოლოგიური ჰეგემონია (ყოფიერების გახსნა) არის veritas transcendentalis.<sup>13</sup> დისკურსული აზროვნებას შეუძლია ყოფიერების ერთადერთი განსაზღვრება მოგვეცეს, — ის, რომ ყოფიერება არის „არარა“. „ყოფიერების, როგორც ასეთის, შესახებ საკითხის დასმით ჩვენ ეხვედით მივიღეთ იმ საზღვრებთან, რომელიც გვეფარს სრული წყვედიდან“<sup>14</sup>.

ყოფიერების და არარას შეუმეცნებადობას, გამოუთქმელობას, ადამიანის გონებასთან მის უთანაზომობას არაერთხელ აღნიშნავს ჰაიდეგერი. ყოფიერების ანუ არარას ირაციონალისტური გაგების ძირითადი მომენტი ჰაიდეგერთან არის ყოფიერების გამოცხადება იდუმალ სფეროდ, ე. ი. სფეროდ, რომელიც არის სიცოცხლისა და სიკვდილის, არსებობისა და არსებულთა მიღმა, რომელშიც დაფარულია არსებობისა და შემეცნების უღრმესი საიდუმლოება. თუ ჰაიდეგერის წინამორბედი ირაციონალიზმი თვითონ სამყაროს ირაციონალობასა და ქაოტიურობაზე ლაპარაკობდა, ჰაიდეგერი ახლა სამყაროს გარეთ, მიღმა ეძებს სამყაროს ირაციონალურ ძირს; ეძებს არა სამყაროში, მის ძალთა ქაოტიურ თამაშში, არამედ — რაღაც იდუმალში, რომელიც არის ყოფიერება ანუ არარა. ყოფიერებისა და არარას ცნებები ჰაიდეგერის ფილოსოფიაში ადამიანური არსებობის საზრისის პრობლემის გადასაწყვეტად არის გამიზნული. გზა ყოფიერებიდან (Sein) მუნყოფიერებისაკენ (Dasein) არის საკუთრივ ეგზისტენციალიზმის გზა; ეს არის გზა, რომელმაც უნდა გააჩვეოს ეგზისტენციალიზმის ძირითადი ცნება — ეგზისტენცია.

„ადამიანი არის ყოფიერების გუშავი“<sup>15</sup>. ადამიანის არსებობა სამყაროში (das In-der-Welt-sein) არის მუნყოფიერება. სამყაროს მნიშვნელობის მეტაფიზიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ

<sup>12</sup> M. Heidegger, Platons Lehre von der Wahrheit, S. 54.

<sup>13</sup> M. Heidegger. Sein und Zeit. Tübingen, 1957, S. 38.

<sup>14</sup> M. Heidegger. Kant und das Problem der Metaphysik, s. 217.

<sup>15</sup> Heidegger, Über den Humanismus, S. 7.

ის დაიყვანება ადამიანის არსებობის ახსნაზე მის მიმართებაში არსებულთან მთლიანად.<sup>16</sup> სამყარო ჰაიდეგერის ფილოსოფიაში გაიზარება როგორც ადამიანის აღვილსამყოფელი. ადამიანის არსებობა სამყაროში (Dasein) არის მისი „გადავლებულობა“ (die Geworfenheit), მიუსაფარობა, გაწირულება,<sup>17</sup> ადამიანის მიერ დანახული ყოფიერება, ყოფიერების ღიაობა ადამიანის ცნობიერებისათვის, ადამიანი ყოფიერებასთან მიმართებაში — არის ადამიანის არსებობა ანუ ეგზისტენცია: „ფიქსირებული ყოფიერებას, — რომელთანაც არსებობა შეიძლება რაიმეგვარად მიმართებაში იყოს და ყოველთვის რაიმეგვარად არის მიმართებაში, — ჩვენ ვუწოდებთ ეგზისტენციას“.<sup>18</sup> მაგრამ ყოფიერების ეს, ასე ეთქვათ, ღიაობა — ყოფიერების მიერ თავისი თავის გაცხადება არის ფარული გაცხადება: ის გაცხადებაცა და დაფარავც, დამალვაც თავისი თავისა.

ცნებთს აზროვნებასა და ენას, რომელიც ცნებით აზროვნების ენაა, — ყოფიერების შემეცნება, გაგება არ შეუძლია. ლოგიკის კანონებით ყოფიერების ახსნის შეუძლებლობა ჰაიდეგერთან საბუთდება იმ ვითარებაზე მოთხოვნით, რომ ყოფიერება არ არის რაღაც არა არაა ვერ დამატებადობა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს, რადგან ეს უკანასკნელი ირაციონალური აზროვნების კანონია და მოითხოვს, რომ აზრი იყოს აზრი რაიმეს, ე. ი. არსებულის და არა არარსებულის, შესახებ აზრი. ეგზისტენცია შეუძლებელი და ირაციონალურია. ლოგიკური, ცნებით აზროვნება მიზეზობრიობის კატეგორიაზე დაფუძნებული აზროვნებაა, მიზეზობრიობა კი თავისუფლებას გამოირიცხავს. ეგზისტენცია ადამიანის შინაგანი თავისუფლებაა, და, ამდენად, „არათავისუფალი“ აზროვნებით მისი გაგება შეუძლებელია, — ეგზისტენციის მხოლოდ განათება (erhellen) შეიძლება; ეს erhellen ეგზისტენციალიზმში ირაციონალისტური შინაარსის მატარებელი ცნებაა — რაღაც მისტიკური ხედვის, შინაგანი შუქით განათებისა თუ ნათელხილვის გამოხატველი.

სამყარო არსებულთა, ყოფიერთა ერთობლიობაა, მათი სამყაროა. ამ სამყაროს შედარება ყოფიერება-არარსისთან აჩვენებს ადამიანის ცნობიერებას, რომ არსებულთა სამყარო უმნიშვნელოა; არარას მნიშვნელოვნებასთან შეპირისპირებით ყოფიერთა სამყარო უფასურდება, არარავედება, უმნიშვნელო ხდება. ის არარავედება იმიტომ, რომ არარას არსი გაარავეება.

სამყაროს უმნიშვნელობის ჰაიდეგერისეული დებულება, ჩვენი აზრით, მხოლოდ ახალი ვარიანტია წინამორბედ ირაციონალიზმში სამყაროს გაუფასურების ზემოგანხილული ტენდენციისა.

ადამიანს აქვს უნარი (თუმცა იშვიათად) დაინახოს არსებულთა სამყაროს ეს უმნიშვნელოვანება ყოფიერებასთან შედარების გზით და ეს იწვევს მასში ძრწოლას (Angst) — ყოფიერების ნამდვილი სახე ჩანს ძრწოლაში.

არსებულთა სამყაროს არარაობის, უმნიშვნელოვანების დანახვას ჰაიდეგერი თვლის ნიჰილიზმის ძირითად მიზეზად. სამყაროს არარაობრიობა ნათელს ხდის, რომ უნაყოფოა სამყაროს რაიმე საზრისის ან ღირებულების ძიება. კაცობრიობის მისწრაფებებმა და მიზნებმა ვერ ჰპოვეს განხორციელება ისტორიაში: იმედები გაცრუებულია, უმალღესი ღირებულებები — გაუფასურებული. კაცობრიობის პროგრესის ილუზორულობის შეგნებასთან ერთად ადამიანის კარგავს თავისი ძალებისა და, საერთოდ, საკუთარი ღირებულების რწმენას. საკუთარი ღირებულების რწმენის დაკარგვამ აიძულა ადამიანი ეძია „ნამდვილი“, მყარი, საიმედო სამყარო და ეს სამყარო მან შექმნა რელიგიისა და მეტაფიზიკის ტრანსცენდენტური სამყაროს სახით; მაგრამ ამ უკანასკნელის ილუზორულობასაც დაინახავს შემდგომ ადამიანი; ის ხედავს, რომ აზრი ტრანსცენდენტური სამყაროს შესახებ შექმნა მოთხოვნილებამ, რომ ასატანი ყოფილიყო ყოფიერთა ეს სამყარო. ადამიანი ჩასწვდა თავისი არსებობის ნამდვილ აზრს: უმიზნობასა და უაზრობას.<sup>19</sup>

<sup>16</sup> Heidegger, Vom Wesen des Grundes, S. 34.  
<sup>17</sup> Heidegger, Sein und Zeit, S. 135.  
<sup>18</sup> იქვე, გვ. 12.  
<sup>19</sup> M. Heidegger, Nietzsche, B. II, S. 69.

ღირებულებათა გადაფასება ნიცშეს ესმოდა როგორც საშუალება კაცობრიობის დაცემის თავიდან ასაცილებლად. ჰაიდეგერსაც სურს გამოიხადოს რაიმე ისეთი, რაც პესიმიზმისა და ნიჰილიზმის ჩიხიდან გამოიყვანდა თანამედროვე ევროპის ბურჟუაზიულ საზოგადოებას. ამ გამოსავალს ის ხელავს ე. წ. „ძალა პესიმიზმში“, რომელსაც უპირისპირებს „სისუსტის პესიმიზმს“.

„ძალის პესიმიზმი“ არის რაღაც ექსტატიური აქტივობა, სიმაჰე არარას წინაშე; სურკილი, რომ შემეცნებული იქნას პირობები, რომლებიც მოგვეყვანს საშუალებას, რათა დავეფულოთ საგნებს, წინააღმდეგეთ ისტორიული პროცესის არასასურველ მდინარეებს და ა. შ.<sup>20</sup>

მაგრამ რა აზრი აქვს ასეთს აქტივობას, თუ იცი, რომ სამყაროს არავითარი საზრისი არა აქვს და კაცობრიობის ისტორიას — არავითარი მიზანი? ჰაიდეგერის ფილოსოფიაში პესიმიზმისა და ნიჰილიზმის გადალახვის მოთხოვნა აბსოლუტურად უსაფუძვლოა. მოძღვრება ყოფიერება-არარას შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სამყაროში არსებობას და იწვევს მასში ძრწოლის მისტიურ გრძნობას, კონცეპცია ადამიანის არსებობის შესახებ, რომელიც არის „ყოფიერება სიკვდილისათვის“ (das Sein zum Tod) — პესიმიზმის დაფუძნებაა და არა უარყოფა.

თანამედროვე გერმანული ბურჟუაზიული ფილოსოფიის მეორე დიდ წარმომადგენელს კარლ იასპერსს თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად, ჰაიდეგერის მსგავსად, მსოფლიო აზროვნების ისტორიაში ნიცშეს როლისა და საკუთარი ფილოსოფიის ნიცშეს მოძღვრებასთან მიმართების გარკვევა ესახება. ნიცშესადმი მიძღვნილი კ. იასპერსის შრომები: „ნიცშე“, „ნიცშე და ქრისტიანობა“, „ნიცშეს მნიშვნელობისათვის ფილოსოფიის ისტორიაში“. ბევრს მანიშნებელია ის გარემოება, რომ ეგზისტენციალიზმის ორი ბუმბერაზი ნიცშესთან. ასე ვთქვათ, ანგარიშის გასწორებით აყალიბებენ თავისი ფილოსოფიის პროგრამას. ჰაიდეგერიცა და იასპერსიც ფილოსოფიის აუცილებელ პირობად ნიცშეს შესწავლასა და ნიცშეზე რეფლექსიას თვლიან. ნიცშეში — ახალი ფილოსოფიის „მოძღვარში“, იასპერსის აზრით, „მოცემულია ახალი ფილოსოფია“, ამ ფილოსოფიის გზები, ამიტომ ყოველი მოაზროვნე უნდა მიდიოდეს „ნიცშესთან შესახვედრად“; ნიცშეს ფილოსოფია თავისი არსებით „ეგზისტენციალურია“ და სწორედ ამაშია მისი დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

გერმანული ეგზისტენციალიზმის ონტოლოგიური ძიებანი იასპერსის ფილოსოფიაში ახალი მეტაფიზიკის დაფუძნებაში ვადაიზარდა, და ეს ახალი მეტაფიზიკა შემოვიდა ეგზისტენციალიზმის პრობლემატიკაში ტრანსცენდენტის იასპერსისეული კონცეპციის სახით. ყოფიერება იასპერსთანაც ცენტრალური პრობლემაა. იასპერსი ასახელებს ყოფიერების სამ სახეს: სამყარო, ეგზისტენცი და ტრანსცენდენცი (ტრანსცენდენტური).

მატერიალური სამყაროს (Welt) ერთიანობის უარყოფა იასპერსთან დასაბუთებულია იმაზე მითითებით, რომ სამყარო ოთხი სფეროსაგან შედგება: არაოცხალი ბუნება, ცოცხალი ბუნება, სული და გონი, — არც ერთი ამათგანი ერთიმეორისაგან არ გამოიყვანება, არ ღელეუცირდება; გადასვლა ერთი სფეროდან მეორეზე შესაძლებელია მხოლოდ ნახტომის საშუალებით, რომელიც იასპერსთან გაგებულია, როგორც ორ სფეროს შორის არსებულ უფსკრულზე გონებისათვის მიუწვდომელი გადახტომა. აქედან გამომდინარე, სამყაროს ერთიანობა არ არის მის მატერიალურობაში:

<sup>20</sup> იქვე, გვ. 93.

„ჩვენი ზილულად მოცემული სამყაროს დაყვანა ერთ პრინციპზე შეუძლებელია; მუნყოფიერებაში ის გავრცელებულია უსასრულო მცირესა და უსასრულო დიდს შორის, რომლებიც ერთნაირად მიუწვდომელი არიან ჩვენი ჭკრებისათვის“.<sup>21</sup> სამყაროს ერთიანობის მატერიალისტურ დებულებას იასპერსი უპირისპირებს იდეალისტურ თეზისს: „სამყაროს ერთიანობა მხოლოდ იდეაშია“, ეს იდეა არის ტრანსცენდირების იდეა: ყოველივეს ტრანსცენდენციისკენ მიმართება, სწრაფვა, დაყვანა, — აღამიანის ცნობიერების ტრანსცენდენციისკენ მიღრკილება. თავისი ფილოსოფიის უპირთადელი ცნება — ეგზისტენცი — იასპერსს გააქვს ცნებითი აზროვნების ფარგლებს გარეთ და ართმევს „ეგზისტენციის“ ცნებას, ასე ვთქვათ, ცნებად არსებობის უფლებას. რაციონალური აზროვნებისა და, მამასადამე, დასაბუთების მიღმა მდებარე ეგზისტენციის კვლევის სფეროში შემოსსლა ნათელხილვის, განათების (Erhellung) საშუალებით არის შესაძლებელი.

მაგრამ რა არის თვით ეს ნათელხილვა, განათება (Erhellung) იასპერსის ფილოსოფიაში? ის არ არის არც განცდა, როგორც ეს დილთაის ესმოდა და არც ცნებითი აზროვნების პროცესი. განათება იასპერსისთვის არის აზროვნება, მაგრამ ჩვეულებრივი აზროვნება კი არა, რომელსაც ობიექტი სჭირდება (რომელშიც ყველაფერი, რაც შეიმეცნება, ხდება ობიექტად საგნობრიობის აზრით), არამედ — აზროვნება, რომელსაც არა აქვს საგანი, მიუხედავად იმისა, რომ ის საგნებზეა მიმართული. გახათება მიმართულია საგნებზე, რათა თავი დაიდგინოს როგორც აზროვნებამ, მაგრამ, ამავ დროს, ის არ გულისხმობს, არა დებს თავის წინაშე არაფერს საგნობრივს<sup>22</sup>. მამასადამე, ეს მისტიკური განათება არის შინაარსისაგან დაცილილი, საგნობრიობისაგან განრიდებული აზროვნება, თუ შეიძლება ასე თქმა, — აზროვნება თვისთვის. ჩვენი აზრით, მის მიმართ შეუფერებელია ტერმინი — აზროვნება, რამდენადაც აზროვნება არის სწორედ საგანზე აზროვნება, არის სწორედ ცნებებით ოპერირება. იასპერსის ეს „განათება“ არც რაციონალისტების ინტელექტუალურ ინტუიციას ჰგავს და არც ირაციონალისტების ინტუიციას. შესამეცნებელის ერთბაშად, არადისკურსიული გზით, მომენტალური წვდომა ან, თუ გნებავთ, განათება (ამ ტერმინს სხვა ირაციონალისტებიც ხმარობენ) არის სწორედ შესამეცნებელი ობიექტის წვდომა და არა უშინაარსო, უსაგნო თვითაზროვნება, როგორც ეს იასპერსს აქვს. ეგზისტენცი ეფემერულია, ის არ იძლევა მასთან მისვლის საშუალებას: მიახლოებისას ის ხელიდან გვისხლტება, გვშორდება; ეგზისტენციან ახლოს მისვლა მისი რაობის გასარკვევად შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც ასეთი მიახლოებით ეგზისტენცი აღარ არის ის, რაც არის; ეგზისტენცი ვერ შემოვა მეცნიერების სფეროში იმიტომ, რომ ის არ არის საგანი (არც მატერიალური და არც სულიერი), მეცნიერების ობიექტი კი მხოლოდ საგანი შეიძლება იყოს.

ეგზისტენციის შემეცნებადობისა და ცნებითი აზროვნებისადმი მის დაუქვემდებარებლობაზე ორიენტაცია ვერ აცდენს იასპერსის ფილოსოფიას კითხვას: „რა არის ეგზისტენცი?“; თვითონ იასპერსიც სწორედ ცნებითი აზროვნების რესურსებით იკვლევს მის რაობას, მიუხედავად ეგზისტენციის დაფუძნების საწყისი პრინციპებისა. როგორც ჩანს, მხოლოდ განათებაზე მითითება არ არის საკმარისი ფილოსოფიური თეორიისათვის.

ის, რაც არის აღამიანი და რაც არის აღამიანში, ყველაფერი ვერ გახდება მეცნიერების ობიექტი, ვერ დამორჩილება რაციონალურ აზროვნებას. აღამიანი, როგორც სამყაროსეული არის,

<sup>21</sup> K. Jaspers, «Philosophie», B. I, S. 108.

<sup>22</sup> K. Jaspers. «Philosophie», B. I, S. 29.

როგორც კვლევის ობიექტი, იასპერსის ფილოსოფიაში მონყოფიერებად (Dasein) არის წოდებული. მაგრამ ადამიანი არ არის მხოლოდ მუნყოფიერება. ადამიანში არის ისეთი მოცემულობაც, რომელიც შეუქმნებადი, გამოუთქმელი და გამოუხატავია. სწორედ ეს არის მასში ის ძირითადი, ის არსებითი, რაც ქმნის ადამიანს როგორც ადამიანს, რაც აქცევს ადამიანს ყოფიერებას სახელდობრ ადამიანურ და არა სხვაგვარ ყოფიერებად. აი, ეს არსებითი ადამიანში, იასპერსის აზრით, არის ეგზისტენცი: შეიძლება ითქვას, რომ „მე ვარ ეგზისტენცი“, მაგრამ არ შეიძლება თქმა, რომ „მე შემიძლია მქონდეს ეგზისტენცი“. ეგზისტენციის ერთ-ერთი დახასიათება, მოცემული იასპერსის მიერ, შემდეგია: „ეგზისტენცი, რომელიც არასოდეს არ წარმოადგენს ობიექტს, არის პირველმოხვეუნი, რომლის ძალით მე ვაზროვნებ და ვმოქმედებ... ეგზისტენცი არის ის, რაც მიმართულია თავის თავისკენ და, ამასთან ერთად, — თავისი ტრანსცენდენციისკენ... ეგზისტენციის ყოფიერების გამოთქმა არ შეიძლება განსაზღვრული ცნებით.“<sup>23</sup> ეგზისტენციის ერთ-ერთი დახასიათებაა — ეგზისტენცი როგორც ადამიანის თ ვ ი თ ყ ო ფ ი ე რ ბ ა , როგორც ადამიანის თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ (an sich) ყ ო ფ ი ე რ ბ ა . ადამიანის ყოფიერება როგორც საგანი (მუნყოფიერება) და ადამიანის ყოფიერება როგორც არასაგანი — არაობიექტი — არის მუნყოფიერებისა და ეგზისტენციის დაპირისპირება. სამყაროში ყოფიერებიდან ანუ არსებობიდან ეგზისტენცზე გადასვლა არის ნახტომი, არის არსებობის გაუქმება, მოხსნა.

ეგზისტენციის გავება იასპერსთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული თავისუფლების ცნებასთან. რამდენადაც ეგზისტენცი არის თვითყოფიერება (Selbstsein) და მიმართულია თავისი თავისადმი, ამდენად ის არის თავისუფლების სფერო. ადამიანი ეგზისტენცი ხდება იმის მეშვეობით, რომ ის თვითონ ირჩევს თავის არსობას, ქმნის თვითონ თავის თავს. ეგზისტენცი თავისთავადი, ინდივიდუალური და კონკრეტულია და, როგორც ასეთი, იგი არ შეიძლება იყოს ზოგადის, ცნების ბუნებისა. ადამიანის მიერ თავისი ეგზისტენციის პოვნა, დანახვა შეიძლება განხორციელდეს ადამიანის მიერ თავისი თავის გახსნაში, ღიად ყოფნაში; ეს უკანასკნელი კი მიიღწევა სხვებთან კავშირის, ურთიერთობის ან, როგორც იასპერსი ამბობს, — კომუნიკაციის გზით. კომუნიკაცია შეუქმნებადი და ლოგიკური აზროვნების კანონების მიღმა არსებულია, მაშასადამე, ისიც არ ექვემდებარება მეცნიერულ შესწავლას. კომუნიკაციის კონცეფციას ეგზისტენციის იასპერსისეული თეორია ვერ გამოჰყავს ინდივიდუალიზმის ჩარჩოებიდან, რამდენადაც კომუნიკაცია არის თავის თავში ჩაკეტილი, სინამდვილიდან იზოლირებული ინდივიდუუმების ურთიერთობა. კომუნიკაცია ანუ ინდივიდუუმის ურთიერთობა სხვა ინდივიდუუმებთან, რომელიც ისევე ბნელი და შეუქმნებადია, როგორც ეგზისტენცი, რა თქმა უნდა, ნამდვილი კომუნიკაცია არ არის, არ არის გავება ინდივიდისა როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობისა.

ეგზისტენციის ირაციონალისტური გავება, რაც ეგზისტენციალიზმის უძირითადესი ნიშანია, უკიდურესობამდეა მიყვანილი იასპერსის ფილოსოფიაში. ეგზისტენციის ნიშნები, — რომლებიც აფუქნებენ მის ადგილს იასპერსის ფილოსოფიურ სისტემაში, ამ სისტემის სხვა მხარეებთან მის მიმართებას, — საბოლოოდ, ეგზისტენციის მისტიკურ გავებაში იყრიან თავს. ეგზისტენციის მისტიფიცირებული ცნება კანონზომიერად გადადის იასპერსთან ტრანსცენდენციის შესახებ მოძღვრებაში, რომელშიც ლოგიკური დასასრული კპოვა იასპერსის ირაციონალიზმმა.

<sup>23</sup> K. Iaspers, Philosophie, B. I, S. 15.

ეგზისტენცი და ტრანსცენდენციც არის გასვლა არსებობის ფარგლებს გარეთ. არსებობის მიღმა გასვლის აუცილებლობა იასპერსთან საბუთდება იმ ვითარებაზე მითითებით, რომ სამყაროში ორიენტაცია (Weltorientierung-არსებული საგნების ცოდნა) არასაკმარისი ცოდნაა, რამდენადაც ვერ მოიცავს ყოველს მომცველს (Umgreifende); ეს უკანასკნელი შეიცავს შვიდ სახეს: ყოფიერებას (Sein), მუნყოფიერებას (Dasein), სანყარს (Welt), ცნობიერებას საერთოდ (Bewußtsein überhaupt), გონებას (Vernunft), სულს (Geist) და ტრანსცენდენტურს (Transzendenz). სამყაროს იმანენტურობა ვერ გაიგება ტრანსცენდენტურის დაშვების გარეშე, და სწორედ ამაში ხედავს იასპერსი ნიციშეს ფილოსოფიის ერთ-ერთ ნაკლს<sup>24</sup>. საერთოდ, ფილოსოფიის როგორც ფილოსოფიის არსებობის აუცილებელ პირობად იასპერსი ტრანსცენდენციის დაშვებას თვლის: ფილოსოფია დაფუძნებულია არსებითად ტრანსცენდენტზე. იასპერსი სვამს კითხვას: უნდა იყოს თუ არა ფილოსოფია დაფუძნებული გონებაზე? ამ კითხვაზე იასპერსის პასუხი, ვფიქრობთ, ირაციონალიზმის საყოველთაო პრინციპად გამოდგებოდა: „არა, რამდენადაც ის დაფუძნებულია გონების გავლით (durch Vernunft) ყოველს მომცველის (Umgreifende) ყველა სახეში სხვაზე და საბოლოოდ არსებითად ტრანსცენდენტზე; კი, რამდენადაც მისი თვითდაფუძნების ხერხებს მიყვაროთ გონებაზე მალა (über Vernunft), ფილოსოფია ცოცხლობს არა მხოლოდ გონებით, თუმცა მას ნაბიჯის გადაღმა არ შეუძლია გონების გარეშე“<sup>25</sup>.

ისევე, როგორც მსოფლიო მონოთეისტურ რელიგიებში ღმერთის ყოველს მომცველობა, ყოველივეში მისი არსებობა და ყოველი არსებული ღმერთში არსებობა არის უპირობადესი დოგმა, რომელზე დაყრდნობიანაც საბუთდება მთელი მოძღვრება, ასევე იასპერსთანაც, საბოლოოდ, სწორედ ტრანსცენდენციის იდეა და სახელდობრ ასე გაგებელი, გამოდის მოძღვრების ფუნდამენტად. არსებობისა და ყოფიერების ყველა სახე და სფერო, რომელსაც იჩილავს იასპერსი, ტრანსცენდირებულია, მიმართულია ტრანსცენდენციისაკენ და მისით არის განსაზღვრული: ადამიანი არის ადამიანი იმის მეოხებით, რომ ცხოვრების მიმართებაში ტრანსცენდენტთან. ტრანსცენდენცი ყოფიერებაში ვლინდება და გავრცობილია უსასრულობაში. ეგზისტენცი მიმართულია ტრანსცენდენციისადმი სამყაროსა და სამყაროს ცოდნის გზით: თავის თავში ჩაღრმავებით ეგზისტენცი კითხულობს შესაძლებელ შიფრებს. მეორეგვარადაც მიდის ეგზისტენცი ტრანსცენდენტთან — წმინდა აზროვნების ფორმალურ ტრანსცენდირებაში, — აზროვნებაში, რომელიც მსხვრევას განიცდის. ტრანსცენდენტთან ეგზისტენციის მისვლის მესამე გზა უკვე მთლად თეისტურად არის გაგებელი იასპერსთან: ეს არის რწმენის პროცესში სულის შეერთება ღმერთთან<sup>26</sup>. საკვებით თეოლოგიურია ტრანსცენდენტურის მოაზრებადობისა და შემეცნებადობის საკითხის იასპერსისეული დასმა და გადაწყვეტა. ტრანსცენდენტურის მოაზრების შეუძლებლობა საკითხი აზროვნების მსხვრევის ცნების საფუძველზეა გადაწყვეტილი: აზროვნება უძლურია — შეიმეცნოს აბსოლუტი, ტრანსცენდენცი, მას შეუძლია მხოლოდ დადგენა, რომ ტრანსცენდენცი არის. რწმენისადმი ცოდნის და-

<sup>24</sup> K. Jaspers. Nietzsche, Berlin, 1950, S. 317—318.  
<sup>25</sup> K. Jaspers. Vernunft und Existenz, 1935, S. 96.  
<sup>26</sup> K. Jaspers, Von der Wahrheit, 1947, S. 143.



მორჩილებისა და აბსოლუტის წვდომაში გონების უძლურების უძველესი სა-  
კითხის ახალი ფორმით აღორძინებასთან გვაქვს აქ საქმე.

იასპერსის ფილოსოფიაში მეორდება ნეგატიური თეოლოგიის დებულე-  
ბა იმის შესახებ, რომ აბსოლუტის ტრანსცენდენტურობა არის ზღვარის  
დადება ინტელექტის შესაძლებლობებისათვის. იასპერსთან აზროვნება ვერ  
წვდება აბსოლუტს, მაგრამ აბსოლუტი მისთვის მაინც მნიშვნელობს, — არც  
მისი გააზრება შესაძლებელი და არც სრულიად განრიდება, გათიშვა აზროვ-  
ნებიდან თუ ეგზისტენციდან. „რომ ტრანსცენდენცი არის საერთო, ამაში  
ვერ დაგვარწმუნებს ვერავითარი ემპირიული დადგინება, ვერავითარი მნიშ-  
ვნელოვანი დასკვნა. ტრანსცენდენციის ყოფიერება არის ტრანსცენდირება-  
ში, მაკრამ არ ექვემდებარება დაკვირვებას და აზროვნებას. თუ მე მანდა  
გავიზარო ეს როგორც წმინდა ცნობიერება საერთოდ, მაშინ მე ვეჭვობ  
ტრანსცენდენციის ყოფიერებაში და ამავე დროს ვიმყოფები იმპულსის ქვეშ  
შესაძლებელი ეგზისტენციისა, რომლისთვისაც ეს დაეჭვება მნიშვნელოვან-  
ია“<sup>27</sup>.

ტრანსცენდენციის არსებობის გააზრება შესაძლებელია იმდენად, რამდენა-  
დაც თვითონ ტრანსცენდენცი იძლევა თავისი არსებობის ნიშნებს: ის გახს-  
ნის თავის თავს სუბიექტის წინაშე თავისი არსებობის მანაშნებელი შიფრე-  
ბის საშუალებით. შიფრის ცნება ტრანსცენდენციის იასპერსისეული მეტაფი-  
ზიკის უმნიშვნელოვანესი ცნებაა. შიფრები ირაციონალურ, გონებასთან უთან-  
აზრობა რაობად არის გაგებული იასპერსთან: „მეტაფიზიკურ საგნობრიობას  
ეწოდება შიფრი, რადგანაც, — არ არის რა თვითონ ტრანსცენდენცი, — არის  
მისი ენა. ის, როგორც ენა, გაიგება და მოისმინება არა ცნობიერებით, არა-  
მედ სახე ენისა და ის, თუ როგორ ლაპარაკობს ის, არსებობს შესაძლებელ  
ეგზისტენციისათვის“<sup>27</sup>. შიფრების წაკითხვა არის მდგომარეობა „არაცნო-  
ბიერ სიმბოლიკაში“, — ის ჩვენთვის ისევე შეუუმეცნებადია, როგორც — სიმ-  
ბოლიკა. ახსნა და განმარტება შიფრების მიმართ სრულიად გამოუსადეგარ-  
ია: რასაც განმარტება შიფრებში ჰპოვებს, ის არც არის შიფრის გაგება,  
არამედ, ისევე შიფრის დამწერლობის უბრალო სიმბოლიკაა<sup>28</sup>.

გარდა ზემოთქმულისა, იასპერსი ერთ პუნქტშიც სავსებით ქრისტიანუ-  
ლად აზროვნებს: საქმე ეხება იასპერსის დებულებას იმის შესახებ, რომ ტრანს-  
ცენდენტურისკენ მიმართება ადამიანურ ცხოვრებას სიმშვიდესა და სიმყარეს  
აძლევს, აძლევს საშუალებას — დაძლიოს შიში. „სასოება გქონდეთ ღმრთი-  
სა“-ს თეზისს აქ მეტაფიზიკური ჟღერადობა აქვს მიცემული.

ღმერთისადმი მიმართვა ადამიანური არსებობის საზრისისა და არსის სა-  
კითხში ვერ ათავისუფლებს იასპერსის ფილოსოფიის პესიმიზმისაგან, მისივე  
ტერმინით, „აზროვნების ნეგატიურობისაგან“. თვით ტრანსცენდენციის იდეის-  
კენ გადასვლა იასპერსის ფილოსოფიაში ადამიანური ყოფიერებისა და აზროვ-  
ნების ღრმად პესიმიზმის გაანალიზების საფუძველზეა შესრულებული: ჩემი  
არსებობის ამაოების, უკიდურესი განდეგილობისა და მარტოობის, უაზრობის  
ხილვა ეგზისტენციაში არის ჩემი და სამყაროს არსებობის მსხვრევა, ეგზისტენ-  
ციის მსხვრევა; ამ მსხვრევის შედეგად ეგზისტენცი გადადის ტრანსცენდენტურ-  
ში. ადამიანური არსებობა მიმდინარეობს ანტინომიებში, დაპირისპირებულთა

<sup>27</sup> Jaspers. Philosophie, B. III, S. 200.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 129. 141.

ბრძოლაში, სხვადასხვა ინტერესების შეჯახებაში. ადამიანის ემპირიულ ყოფიერებასა და არსებობას შორის საზღვრითი სიტუაციებია. საზღვრით სიტუაციებში იასპერსს შეაქვს ტანჯვა, დანაშაულის გრძნობა, ბრძოლა, სიკვდილი; ადამიანი მუდამ და აუცილებლად დგას რომელიმე საზღვრით სიტუაციაში. ნიჰილიზმის გადალახვის გზებისა და ცნობიერების კრიზისიდან გამოსავლის ძიება იასპერსის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. როგორც მე-19 საუკ. მეორე ნახევრისა და მე-20 საუკ. არა ერთ მოაზროვნეს, იასპერსსაც კაცობრიობის სულიერი დაცემის ერთ-ერთ მიზეზად ტექნიკური პროგრესი, ტექნიკის ეპოქის დადგომა მიაჩნია. თანამედროვე ადამიანს იასპერსი უწოდებს პატარა კაცუნას, რომელიც სცენაზე — ჩვენს პლანეტაზე — ღარბის და რომლის ცხოვრებაც ყალბი და თეატრალურია; ამ პატარა კაცუნას ბედნიერებისათვის სულ ცოტა რამ სჭირდება: მატერიალური სიკეთეებისა და სიამოვნებათა ხელმისაწვდომობა, აზროვნებისა და მოქმედების საყოველთაო ნიველირება.

როგორც, საერთოდ, ეგზისტენციალიზმის — იასპერსის ფილოსოფიის საგანიც ადამიანი, ინდივიდი, რომელსაც იასპერსი ართმევს უფლებას, რომ ინტელექტით შეიმეცნოს საგანთა და საკუთარი ყოფიერება; იგი განწირულია იმისათვის, რომ ყოველთვის საზღვრით სიტუაციებში იყოს ან მის თავზე იყოს ამ საზღვრითი სიტუაციების დამოკლეს მახვილი. ამ ქაოსურ და უგონო სამყაროში ადამიანის გადარჩენის მხოლოდ ერთ გზას ხელავს იასპერსი — ღარყაფოდ და განდევნილ ღმერთთან მიბრუნებას. თუ ნიციშე ნიჰილიზმის უმთავრეს მიზეზს „ღმერთის სიკვდილი“ ხელადვდა, იასპერსი ნიჰილიზმის მოსპობის საშუალებას ღმერთის რწმენის აღდგენაში ხელავს. ის, რომ თავისი ფილოსოფიის უმთავრეს ცნებას — ეგზისტენცს (ადამიანური ყოფიერების არსებას) — იასპერსი ვერ უძებნის დადებით პრედიკატებს და მიუთითებს მის ალოგიკურობასა და ირაციონალობაზე, ის, რომ ადამიანის გონება, მისი გაგებით, უძლურია ეგზისტენცის არსის ჩასაწვდენად, მე-20 საუკუნის ირაციონალიზმისათვის უაღრესად სიმპტომატური გარემოებაა: ეგზისტენცის ალოგიკურობა და ირაციონალობა წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ცნობიერების კრიზისის, — ინდივიდის უშინაარსო, უმიზნო და უაზრო არსებობის გამოხატულებას. მე-19 საუკ. მეორე ნახევრისა და მე-20 საუკ. ევროპულ ფილოსოფიაში კარლ იასპერსის ფილოსოფია ირაციონალიზმის ყველაზე მკვეთრად გამოხატული ფორმაა.

ირაციონალიზმის ფილოსოფიაში სამყაროსა და ადამიანური არსებობის ირაციონალური ძირების ძიება, მათი ალოგიკურობისა და არაცნობიერობის მტკიცებება თავის ალოგიკურ დასასრულს არარაობის თუ არარაობასთან მოსაზღვრე ცნებების დაფუძნებაში პოულობს. ცალკეული განსხვავებებისა და რიგსაკითხში სხვადასხვა პოზიციების მიუხედავად, გენერალური ხაზი აქ ერთია: ნიჰილიზმი, პესიმიზმი, სიკვდილისა და ძრწოლის ფილოსოფია, სამყაროს ღირებულების უარყოფის გზით ტრანსცენდენტური-სადმი მიმართვა.

ამ ე. წ. „კრიზისის ფილოსოფიის“ დომინანტური ტენდენცია სამყაროსა და ადამიანური ცხოვრების აბსურდულობის შეგნებაა. დაღუპვის, მიუსაფა-3 „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1973, № 2

რობის, ძრწოლის, სიკვდილისა და არარას ცნებები ხდება ირაციონალისტური ფილოსოფიის კარდინალურ ცნებებად: ადამიანს არ შეუძლია რეალიზება გაუკეთოს თავის არსებობას, ამიტომაა მისი ცხოვრება აბსურდული და ილუზორული, მწუხარებით სავსე. სიცოცხლე ქაოტიური, შეუცნობელი, ირაციონალური რაობაა.

თანამედროვე ირაციონალიზმში რელიეფურად აისახა იმპერიალიზმის ეპოქის კრიზისი და ამ უკანასკნელით განპირობებული სულიერი სამყარო ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანისა.

კაპიტალიზმის წინააღმდეგობები და სტიქიურობა ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა ცნობიერებაში გადატყდა, როგორც ყოფიერების, არსებობის ირაციონალობა, სტიქიურობა, როგორც სინამდვილის აბსურდულობა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

ნანა კილაძე

ალ-ღაზალის ლოგიკის („მაკასიდ ალ-ქალასიქას“) ზოგიერთი საკითხი

XI—XII სს. არაბულენოვანი საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის აბუ მუსლიმ მუჰამად იბნ მუჰამად ალ-ღაზალის პირველი ფილოსოფიური თხზულება „მაკასიდ ალ-ქალასიქა“ შედგება სამი წიგნისაგან. მათში ცალ-ცალკე არის გარჩეული ლოგიკის, თეოლოგიისა და ფიზიკის ძირითადი დებულებები<sup>1</sup>. მაკასიდს სხვა საკითხებთან ერთად ხშირად განიხილავენ, როდესაც ამ მოაზროვნის შემოქმედებას ეხებიან<sup>2</sup>. მის შესახებ სპეციალური გამოკვლევა კი მხოლოდ გ. ბეერს ეკუთვნის<sup>3</sup>. გ. ბეერმა საფუძვლიანად შეისწავლა „მაკასიდის“ პირველი წიგნის, ე. ი. ლოგიკის I და II თავები. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ლოგიკის დანარჩენი თავების გარჩევა, რასაც მიზნად ისახავს წინამდებარე წერილი.

„მაკასიდის“ I წიგნის III თავი ეთმობა მსჯელობათა კლასიფიკაციას<sup>4</sup>. ტერმინი قضية-ი, რომელიც ამ შემთხვევაში მსჯელობას უნდა გამოეხატა, ტავდეს, შეიძლება ითქვას, უფრო არისტოტელეს *πρῶταρχ-ის* შესატყვისია<sup>5</sup>. იგი მსჯელობის აღმნიშვნელ ტერმინად შუა საუკუნეებში გადაიქცა. არისტოტელესთან ნიშნავდა, საერთოდ, სილოგზიმის შემადგენელ წინადადებებს და, კერძოდ, — წინამძღვარს. დასახელებულ თხზულებაში قضية-ი,

<sup>1</sup> *ذخائر العرب ٢٩ مقدمة توافقت الفلاسفة المسماة مقاصد الفلاسفة للإمام الغزالي*. بتحقيق الدكتور سليمان دنيا استاذ الفلسفة بجامعة الأزهر وركيل كلية أصول الدين الطبعة الثانية دار المعارف بمصر ١١١٩ (გვ. 31—2).

<sup>2</sup> *ib. Macdonald. D. B., The life of al-Gazzali with special references to his religious experiences and opinions, IROS, 1899, 20, (გვ., 99—111); Bouyges M, Essai de chronologie des oeuvres de Al-Ghazali (Algazel) ed. et mis a jour par M. Allard, Beyronth, Imp. Catholique, 1959, t. 24, (გვ. 23); Hourni, G. F. The chronology of Ghazzali's Writings, Univ. of Michigan, IACS, 1959, (გვ. 227-8).*

<sup>3</sup> *ib. Al-Gazzali's Makāsīd al-Falāsīfāt, I Teil, Die Logik, Cap. I, II, Nach der Berliner und Oxfordter Handschrift zum ersten male herausgegeben, übersetzt und mit Vorwort nebst Anmerkungen, versehen und als Inaugural Diss. eingereicht von Georg Beer, Leiden, Brill, 1888.*

<sup>4</sup> *ib. مقاصد* გვ. 53.

<sup>5</sup> ლოგიკურ ტერმინოლოგიასთან ერთად „მაკასიდში“ გამოთქმული შეხედულებების დადგენას ძირითადად ეცდებოდნენ ალ-ღაზალის განმარტებების მიხედვით; ტრადიციული ლოგიკის თვალსაზრისით, მათი გაგებისათვის ვითვალისწინებთ შემდეგ ნაშრომებს: *Enzyklopädie des Islams, Leiden, Leipzig, 1908—1934, Encyclopaedie of Islam new ed., 1953; Dictionary of Philosophy and Psychology* written by many hands and edited by Lames Mark Baldwin, London, 1901—1905; *Dictionary of Philosophy in the words of Philosophers*, edited with an introduction by S. Radford Thomson, M. A. London, 1887; კ. ზაქარაძე, ლოგიკა, თბილისი, 1946; Зигварт, Логика, тт. I—II M. 1956.

საერთოდ, მსჯელობას გამოხატავს, კერძოდ კი სოლოგიზმის შემადგენელ წინადადებებს. ტერმინის ასეთი გაგება იმას უნდა ემყარებოდეს, რომ ალ-ლაზნლისთან მსჯელობათა ნაირსახეობები ერთ მსჯელობამდე დაიყვანება. უნდა ითქვას, რომ ალ-ლაზნლი ამტიკებს მარტივი მსჯელობიდან რთულის წარმოქმნას ლოგიკურ კოპულათა საშუალებით, რაც თანამედროვე ლოგიკაში მიღებულია<sup>6</sup>. ლოგიკური კოპულების გარეშე სოლოგიზმის შემადგენელი წინადადებების მსჯელობასთან გატოლება ადვილი წარმოსადგენია. ისიც აშკარაა, რომ ეს მსჯელობა ყოველთვის მარტივი იქნება, თუ მას სიმარტივისა და სირთულის თვალსაზრისით განვიხილავთ. მსჯელობები ამ თვალსაზრისით ორად დაჰყო არისტოტელემ, მაგრამ ალ-ლაზნლი, როგორც ჩანს, უფრო მეგარულ-სტოიკური სკოლის გავლენას განიცდის. სუბიექტისა და პრედიკატისაგან შედგენილ მსჯელობას იგი მარტივს უწოდებს, ყველა დანაჩენს კი რთულს. რთული მსჯელობა მას არ აინტერესებს, რამდენადაც საერთოდ მსჯელობას მარტივ მსჯელობასთან აიგივებს. ამიტომ, შემოსხენებულ ტერმინს მარტივი მსჯელობის გამომხატველად ვერ ჩავთვლით. ამის სასარგებლოდ ისიც მეთყველეს, რომ قضية-ი იმას გადმოსცემს „მაკნსიდიშა“, რის შესახებაც რაიმეს ვადასტურებთ ან უარვყოფთ; იგი განსხვავდება წინადადებისაგან: ყოველი قضية-ი წინადადებაა, ყოველი წინადადება კი قضية-ის არ არის. როგორც ვხედავთ, ტერმინის შინაარსი ტრადიციული ლოგიკის მიხედვით მსჯელობის მნიშვნელობას შეესატყვისება.

მსჯელობის განმარტების შემდეგ ალ-ლაზნლი იწყებს მის კლასიფიკაციას, პირველ რიგში სუბიექტისა და პრედიკატის მიმართების მიხედვით. ხსენებული პრინციპის თანახმად, მსჯელობის პირველ სახედ მას მიაჩნია ე. წ. حمليه-ი. ტერმინი უნდა შექმნილიყო მეგარულ-სტოიკური გავლენის შედეგად. ისინი აიგივებენ სუბიექტისა და პრედიკატისაგან შემდგარ მსჯელობას არისტოტელეს სამწევრა მსჯელობასთან (სუბიექტი + კოპულა + პრედიკატი). ტრადიციული ლოგიკის მსჯელობის ორ ძირითად ელემენტს S-სა და P-ს „მაკნსიდი“ موضوع-ითა და محمول-ით გადმოსცემს. موضوع-ი გულისხმობს იმას, რის შესახებაც რაიმე აზრს გამოვთქვამთ, ე. ი. უტოლდება გრამატიკულ ტერმინ *المخبر عنه*-ს, ხოლო محمول-ი აღნიშნავს გამოთქმულ აზრს, ე. ი. გრამატიკულ *المخبر*-ს. ეს ელემენტები მარტივიცაა და რთულიც, ამიტომ შეესატყვისება არაბულ *مفرد*-სა და *مركب*-ს, რიპლებიც ასახვენ ბერძნულ *ἀπλῆς* -ს და *ἐπιπῆς* -ს: მასხადაძე, ალ-ლაზნლისთან დაცულია მსჯელობის ტრადიციული სქემა S—P. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სქემა გულისხმობს მხოლოდ იმ მსჯელობას, რომელსაც ალ-ლაზნლი حمليه-ს<sup>7</sup> უწოდებს, იგი კი „მაკნსიდიშა“, როგორც მოსალოდნელი იყო, კატეგორიული მსჯელობის შესატყვისია.

<sup>6</sup> იხ. Черч А. Введение в математическую логику т. I (пер. с англ.) Москва, 1960, гл. 36—7; Клиш С. К., Введение в математику, (пер. сангл.) Москва, 1957, гл. 14-20.

<sup>7</sup> იხ. مقاصد გვ. 54.



მაშასადამე, სუბიექტ-პრედიკატის მიმართების მიხედვით დაყოფისას მსჯელობის პირველი სახე კატეგორიულია. იგი დაპირისპირებულია კიდევ ორ სახესთან, რომლებსაც პირობითს ანუ **ჰიპოთეზურს** და გაყოფითს ან **დისიუნქტურს** უწოდებენ; „მაკასიდში“ პირველს **المشطية المتصل**-ი ჰქვია, მეორეს კი — **المشطية المنفصل**-ი<sup>8</sup>. ზემოხსენებული ლოგიკური კოპულელების მოხსნის შედეგად ალ-ლაზალის უკანასკნელი ორი მსჯელობა ადვილად დაჰყავს კატეგორიული მსჯელობის სახემდე, მაგრამ მათს შემადგენელ წევრებს მაინც გამოყოფს კატეგორიულისაგან. **საფუძველს**, რომელიც ბერძნული **εἰς ἄριστον**-ის შესატყვისია, **المقدمات**-ს უწოდებს, ხოლო ბერძნული **εἰς ἄριστον**-ს ე. ი. შედეგს **النتيجة**-ის; **დანახვეს** კი ბერძნულ **συμπέρασμα**-სთან ერთად **النتيجة**-სთან აიგივეებს<sup>9</sup>. ალ-ლაზალი აქვე განიხილავს ამ სამი მსჯელობის განმასხვავებელ ნიშნებს. კატეგორიული პირობითისაგან განსხვავდება ორი ნიშნით: 1. პირობითის შემადგენელ ნაწილებს, კატეგორიულისაგან განსხვავებით, მარტივ გამოთქმას ვერ გაუტოლებთ; 2. კატეგორიულის სუბიექტზე შეიძლება ვიკითხოთ — პრედიკატი იგი თუ არა; პირობითის საფუძველსა და შედეგს შორის კი ასეთივე ურთიერთობა არ მყარდება. შედეგი საფუძველთან არის დაკავშირებული და აუცილებლად მოსდევს მის არსებობას. პირობითი და გაყოფითი მსჯელობებიც ორი ნიშნით განსხვავდებიან: 1. პირობითისაგან განსხვავებით, გაყოფითში საფუძველისა და შედეგის მონაცვლეობა დასაშვებია და არავითარ ცვლილებას არ იწვევს; 2. პირობითში შედეგი საფუძველს შეესაბამება, აუცილებლად გამომდინარეობს მისგან და არ ეწინააღმდეგება მას; გაყოფითში კი ორი შემადგენელი ნაწილიდან ერთ-ერთი ეწინააღმდეგება მეორეს და ისე გამოეყოფა, რომ ერთის არსებობა მეორის არარსებობას განაპირობებს.

ალ-ლაზალი ელემენტარული ლოგიკის ოთხად დაყოფილ მსჯელობათა მეორე კლასში განიხილავს მსჯელობებს თვისებრიობის თვალსაზრისით. მისი აზრით, თვისებრიობის ანუ სუბიექტის მიერ პრედიკატის დადასტურებისა და უარყოფის მიხედვით მსჯელობა იყოფა დადებითად და უარყოფითად. ალ-ლაზალის მიაჩნია, რომ პირობითი და გაყოფითი მსჯელობები თავისებურებას იჩენენ უარყოფისას. მათი უარყოფა შედეგია მხოლოდ **انقضاء**-ისა; როგორც ჩანს, **იმპლიკაციის** გამომსატველი კავშირის და **انقضاء**-ის ანუ **დასუნქციის** გამომსატველი კავშირის უარყოფისა. წინააღმდეგ შემთხვევაში საფუძველი და შედეგი შეიძლება უარყოფითი იყოს, მსჯელობა კი — დადებითი. ცნობილია, რომ, ამავე თვალსაზრისით, შეიძლება მესამე სახის მსჯელობის დაძებნაც. მას ალ-ლაზალი, ტრადიციული განუსაზღვრელისაგან განსხვავებით, **مؤقتة**-ს, ე. ი. **გადახრილს** უწოდებს<sup>10</sup>, მისი განმარტებისას კი აღნიშნავს, რომ ასეთი სახელწოდება გამართლებულია ამ მსჯელობის

<sup>8</sup> ამ ტერმინებთან დაკავშირებული ბუნდოვანების შესახებ იხ. Averroes' Abu-l-Walid Muhammad, *Tahafut al-Tahafut* (The incoherence of the incoherence) Transl. from the arabic with introduction and notes by Simon Van Den Bergh, London, 1954, ტ. II გვ. 146; შდრ. **اصاح**, გვ. 54.

<sup>9</sup> იხ. Bergh, 1954, გვ. 146; შდრ. **اصاح**, გვ. 55.

<sup>10</sup> იხ. **اصاح** გვ. 57—58.

სინამდვილეში, დადებითი ხასიათის ფორმით უარყოფითისაქენ გადახრის გამო.

მსჯელობის თვისებრიობის თვალსაზრისით დაყოფის შემდეგ განხილულა მსჯელობათა რაოდენობრივი კლასიფიკაცია. ალ-ლაზალმ სავსებით მართებულად მიიჩნევს, რომ ეს არის მსჯელობის დაყოფა სუბიექტის თვალსაზრისით, როდესაც გვიანტერესებს მსჯელობა მთელ სუბიექტს მიეწერება, თუ მის ნაწილს. რაოდენობრივი კლასიფიკაციისას პირველი სახის მსჯელობა ალ-ლაზალმსათვის არის ერთეული მსჯელობა, რომელიც გადმოცემულია **مُخَصَّصًا**-ით და დაპირისპირებულია **مُخَصَّصًا بِغَيْرِ**-თან ე. ი. არაერთეულთან<sup>11</sup>, „მაკასიდში“ არაერთეული მსჯელობა, თავის მხრივ, ორად იყოფა: პირველს ეწოდება **مُحَصَّصًا**-ი, მეორეს კი — **مُحَصَّصًا** პირველი ტერმინით, ალ-ლაზალმს მიხედვით, აღინიშნება ისეთი სახის მსჯელობა, როდესაც გაურკვეველია, პრედიკატი მთელ სუბიექტს მიეწერება, თუ მის ნაწილს. „მაკასიდის II თავზე დაყრდნობით გ. ბეერი მიიჩნევს, რომ ეს ტერმინი აღნიშნავს იმას, რაც შეკრული, ზუსტი მეცნიერული ფორმით არაა მოცემული<sup>12</sup>. გ. ბეერის მოსაზრება ალ-ლაზალმს სიტყვებითვე მართლდება. „მაკასიდის“ ავტორის განცხადებით, ტერმინ **مُحَصَّصًا**-ით შემოსაზღვრული მსჯელობები პოტენციაში უფრო კერძობითს ჰგვანან, რადგან მათი ზოგადობა მეტად საეჭვოა და ეს საკითხი იმდენად რთულია, რომ მისი დადგენა შეუძლებელია. რაც შეეხება მის საპირისპირო ტერმინ **مُحَصَّصًا**-ს, იგი ისეთ მსჯელობებს გამოხატავს, რომლებშიც ზუსტად არის აღნიშნული პრედიკატი სუბიექტის მთელ მოცულობას ეხება, თუ ნაწილს. ასეთი სახის მსჯელობები ოთხგვარია: 1. ზოგადდადებითი, 2. კერძობითდადებითი, 3. ზოგადუარყოფითი და 4. კერძობითუარყოფითი. ტრადიციული ლოგიკის ამ მსჯელობებს „მაკასიდში“ შემდეგი ტერმინები გადმოსცემს: **كلية موجبه جزئية**, **كلية سالبة جزئية** და **كلية سالبة موجبه جزئية**. ტრადიციულისაგან განსხვავებით „მაკასიდში“ კიდევ ოთხ ასეთსავე ტერმინზე არის ლაპარაკი. ეს ტერმინებია: **مُخَصَّصًا**, **مُحَصَّصًا**, **مُحَصَّصًا** და **مُحَصَّصًا**<sup>13</sup>, მაგრამ ჩამოთვლილ ტერმინთა ხელოვნურობას თვით ალ-ლაზალმ ამჩნევს და ხაზს უსვამს მათი შემეცნებითი ღირებულების სისუსტეს. ამრიგად, ალ-ლაზალმ მსჯელობათა რაოდენობრივი დაყოფით დაიწყო და რაოდენობისა და თვისებრიობის შეერთების შედეგად დაყოფილი მსჯელობების საკითხიც ამოწურა. უყურადღებოდ არ დაუტოვებია გაყოფით და პირობით მსჯელობათა ზოგად-კერძობითობის მიხედვით დაყოფის თავისებურებაც.

„მაკასიდში“ ცალკე საკითხად გამოიყოფა აგრეთვე, მსჯელობათა კლასიფიკაცია ე. წ. მოდალობის მიხედვით. აღიარებულია, რომ საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ როგორ მიეკუთვნება სუბიექტი პრედიკატს განაპირობებს მსჯელობათა დაყოფას სამ სახედ, ესენია: 1. **პრობლემატური**, ე. ი. შესაძლებლობის გამომხატველი, რომელსაც არაბული ტერმინი **ممكن**-ი შეესატყვისება; 2. **ასერტორული**, რომელიც სინამდვი-

<sup>11</sup> იხ. იქვე.

<sup>12</sup> იხ. Beer, 1888, გვ. 12.

<sup>13</sup> იხ. مقاصد 33. 58—60.

ლეს ასახავს და გადმოიცემა **ممكن**-ითა და **واجب**-ით; 3. აპოდიქტიკური, რომელიც აუცილებლობას გამოხატავს და არაბუ-ლი **واجب**-ით აღინიშნება<sup>14</sup>. ტრადიციული ლოგიკისაგან განსხვავებით „მაკასიდი“ მსჯელობათა დაპირისპირების ხერხს წარმოგვიდგენს როგორც მსჯელობათა კლასიფიკაციის მეხუთე სახეს. „მაკასი-დის“ მიხედვით ყველა მსჯელობას გააჩნია თავისი **საპირისპირო მსჯელობა** (**مقضى**), რომლის საშუალებით უშუალოდ დავსკვნით რომელიმე მსჯელობის ქვეშარტების ან მცდარობის შესახებ<sup>15</sup>. ორი მსჯელობის ურთიერთობისა დაპირისპირება შემდეგი პირობების დაცვით ხორციელდება: ორ დაპირისპი-რებულ მსჯელობაში ორივე სუბიექტი და პრედიკატი ყოველმხრივ ერთი და იგივე უნდა იყოს. მსჯელობები არ უნდა განსხვავდებოდნენ როგორც ზოგადობისა და კერძობითობის, ისე პოტენციასა და მოქმედებაში ყოფნის მიხედვით; ორივე მსჯელობა ერთნაირ მიმართებაში უნდა იყოს ყოველი მი-მართებისას. ერთნაირ მიმართებაში უნდა იყვნენ მსჯელობები დროსა და ად-გილთან; არ შეიძლება ერთი მსჯელობა იყოს ზოგადი, მეორე კი ერთეული. აშკარაა რომ აქ ლაპარაკია პრედიკატისადმი დაპირისპირებასა და ე. წ. ლო-გიკური კვადრატის შემადგენელი უშუალო დასკვნების შესახებ, თუმცა — მეტად ზოგადად.

მსჯელობათა კლასიფიკაციის მეექვსე სახესაც ალ-ლაზალ უკავშირებს უშუალო დასკვნას წინამძღვრის პრედიკატის შესახებ, ე. ი. — **უკუქცევას**, რაც არაბულში **عكسي** -ით გადმოიცემა<sup>16</sup>. უკუქცევაზე ალ-ლაზალ უფრო დაწვრილებით მსჯელობს, ვიდრე მსჯელობათა დაპირისპირებაზე. იგი ტრადიციული ლოგიკის მიხედვით ალაგებს უკუქცევის შედეგად მიღებულ მსჯე-ლობათა პარალელებს, ესენია: 1. ზოგადუარყოფითი — ზოგადუარყოფითი-საგან, 2. უპარალელო კერძობითუარყოფითი, 3. კერძობითდადებითი — ზოგადდადებითიდან, 4. კერძობითდადებითი — კერძობითდადებითიდან. ამით მთავრდება ლოგიკის III თავი, რომელიც, ტრადიციული ლოგიკის ენაზე რომ ითქვას, ძირითადად ამოწურავს მსჯელობათა კლასიფიკაციისა და უშუალო დასკვნების საკითხს.

ლოგიკის IV თავს ალ-ლაზალ უთმობს სილოგიზმის საკითხს. პირველ რიგში საუბარია ორად დაყოფილ ცოდნასა და მის შემადგენელ ნაწილებზე, კერძოდ — აფირმაციასა, ე. ი. **تصديق**-სა და **تحقيق**-ზე, რაც დადასტურებას ნიშნავს და აპრეჰენზიაზე, ე. ი. **تصور** -ზე, რაც წარმოსახვის, ან წარმოდ-გენის შესატყვისია<sup>17</sup>. შემდეგ ავტორი მიუთითებს, თითოეულის საძიებელ საგანზე და მიიჩნევს, რომ პირველი განიხილავს განსაზღვრებას ანუ დეფი-ნიციას (**حد**), მეორე კი დასაბუთებას ანუ არგუმენტაციას (**حجة**); და-საბუთება კი სამგვარია: 1) სილოგიზმი (**قياس**), 2) ინდუქცია (**استقراء**) და

<sup>14</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობათა მოდალობის თვალსაზრისით დაყოფა არატრადიციუ-ლად შეიძლება ჩაითვალოს, იმდენად, რამდენადაც **ممكن**-ისა და **واجب**-ის სინამდვილესთან გატოლება სადაოა „მაკასიდში“ იხ. **مقاصد**, გვ. 61.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 62.

<sup>16</sup> იხ. **مقاصد** გვ. 64.

<sup>17</sup> იხ. Beer, 1888, გვ. 8, შ. 4; შდრ. **مقاصد** გვ. 66.



3) ანალოგია (تشابه). ამ სამი სახიდან ალ-ლაზალმ აინტერესებს სილოგიზმი. „მაკასიდის“ მიხედვით, სილოგიზმი გამონათქვამთა ისეთი შეთხზვაა, რომლისგანაც თანაწარუვალობით მიიღება ახალი გამონათქვამი. თუ დავუმატებთ, რომ სილოგიზმი დედუქციური დასკვნის ფორმაა, რის უფლებასაც გვაძლევს შემომოყვანილი მსჯელობა, სილოგიზმის განმარტება სრული სახით წარმოგვიდგება. „მაკასიდის“ მიხედვით, სილოგიზმი ორგვარია: შემაგრო-

ბელი (اقتراي) და მაცალკევებელი (استثناي)<sup>18</sup>. შემაერთებელ სილოგიზმში ორი მსჯელობის დაწყვილება არ განხორციელდება. ამგვარად, შემაერთებელი სილოგიზმი სამი ნაწილისაგან შედგება. ესენია: საერთო ცნება, ე. ი. საშუალო ტერმინი (حد الاوسط), დანასკვის სუბიექტი, ე. ი. მცირე ტერმინი (حد الاصغر) და დანასკვის პრედიკატი, ე. ი. დიდი ტერმინი (حد الاكبر), ბოლო ორს კიდურ ტერმინებსაც უწოდებენ. ალ-ლაზალმს მიაჩნია, რომ წანამძღვარი (مقدم) ისეთ მსჯელობას ეწოდება რომელიც სილოგიზმის ნაწილია. საშუალო ტერმინი ორივე წანამძღვარშია. მისი სახელის მიხედვით წანამძღვრებს არ აღვნიშნავთ. ამიტომ მცირე ტერმინის მომცველი მსჯელობა არის მცირე წანამძღვარი (المقدمة الصغرى), დიდი ტერმინისა კი — დიდი წანამძღვარი (المقدمة الكبرى). შემოსხენებული ორი მსჯელობის დაწყვილების შედეგად მიღებულ მესამე მსჯელობას დანასკვი (نتيجة) ეწოდება. ამას გარდა, ალ-ლაზალმს მიაჩნია, რომ ორი წანამძღვრის გაერთიანებისას ვიღებთ اقتران-ს, ე. ი. შეერთებას, ხოლო ორი წანამძღვარის შეერთების შედეგად شکل-ს ე. ი. ფიგურას<sup>19</sup>.

7. Uznadze D. N. a. The Psychology of Set, *Tran. to English*, New York, 1966.
8. Узнадзе Д. Н. Психологические исследования, Москва, 1966.

## ეკონომიკა

როგორც აბურჯანიძე

### საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების საკითხები მაცხრე სუთფლადში

სკკ XXIV ყრილობაზე საზგასმით აღინიშნა, რომ მეცხრე ხუთწლიდის გეგმით დასახულ ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანათა შესასრულებლად აუცილებელია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ყოველმხრივი ზრდა, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ტემპების დაჩქარება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში: „ამოცანა ის არის, რომ გავაუმჯობესოთ ეკონომიკის სტრუქტურა, გავადიდოთ ძირითადი ფონდების ყოველ ერთეულზე პროდუქციის გამოშვება, გავადიდოთ დაბანდებული სახსრების უკუგება, შევამციროთ მასალატევადობა და შრომითი დანახარჯები, ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი“.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობა წარმოადგენს საერთო ეკონომიკურ კატეგორიას და ასახავს ადამიანთა წარმოებრივი საქმიანობის შედეგების დამოკიდებულებას მთელ შრომითსა და მატერიალურ დანახარჯებთან, ამ კატეგორიის შინაარსი იცვლება წარმოების წესისა და შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობების შეცვლასთან ერთად. თავისი სოციალურ-ეკონომიკური არსით, ძირითადი დანიშნულებითა და შედეგებით წარმოების ეფექტურობა ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში.

სოციალისტის პირობებში ეკონომიკა ვითარდება წარმოების საშუალებების გამოყენების საღუქველზე, რაც თავისუფალ, ასოცირებულ მშრომელებს ეკუთვნით; მათი კოლექტიური შრომის პროდუქტი წარმოადგენს საზოგადოებრივ საკუთრებას. ამის გამო, წარმოების ეფექტურობის ზრდა უშუალოდ ნიშნავს საზოგადოების, თვით მშრომელთა სიმდიდრის გამრავლებას. წარმოებრივი საქმიანობის ეფექტურობის გეგმაზომიერი ზრდა ობიექტურად გამოხატავს სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრის ძირეულ ეკონომიკურ ინტერესებს.

ამისგან განსხვავებით, კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების საშუალებათა დანახარჯები გამოდიან სრულიად სხვა ეკონომიკური ფორმით — კაპიტალის დანახარჯების სახით, — რაც კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნით; ცოცხალი შრომა აქ იღებს საზოგადოების ძირითადი ნაწილის დაქირავებული შრომის ფორმას, რომლებსაც არა აქვთ წარმოების საშუალებები. კაპიტალის მესაკუთრეთა მიზანს წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების მაქსიმუმის მიღება, რომელიც მოიცავს მშრომელთა აღნაზღაურებელ შრომას; ამიტომ წარმოების ეფექტურობა ხასიათდება მოგების ნორმით — ზედმეტი ღირებულების შეფარდებით კაპიტალის დანახარჯებთან, რაც ავანსირებულია წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის შესაქმნად და გამოხატავს ბურჟუაზიის გამდიდრების ხარისხს დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ხარჯზე.

მეურნეობრივი რეფორმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, ხელს უწყობს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობის გამოყენ-

<sup>1</sup> სკკ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 251.

ნებას წარმოების ეფექტურობის ზრდისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის; აქეთვე არის მომართული სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული ღონისძიებანი ცენტრალიზებული გეგმური მართვის შემდგომი ვანმტუიციების, ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერებისა და მშრომელთა აქტივობის შემოქმედებითად განვითარებისათვის: „მართვის და დაგეგმვის სისტემის და მეთოდების სრულყოფა, უწინარეს ყოვლისა, მიზნად უნდა ისახავდეს — უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია და მისი ეფექტურობის ამაღლება“<sup>2</sup>. წარმოების ინტენსიფიკაცია და მისი ეფექტურობის ზრდა განუყოფლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული: წარმოებრივი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება კანონზომიერი ხდება მხოლოდ წარმოების ინტენსიური გაფართოების შედეგად; თავის მხრივ, ინტენსიფიკაცია შეუძლებელია ახალი, უფრო ეფექტური ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ მანქანების და რკინიგზების გამოყენების ხარისხი წარმოადგენს მეურნეობის ინტენსიური მართვის უშუალო მაჩვენებელს: „თუ როგორ ეწევიან მას — ცუდად თუ ბევრად, ინტენსიურად, ტექნიკურ გაუმჯობესებათა მეტი თუ ნაკლები გამოყენებით“<sup>3</sup>.

ვ. ი. ლენინმა შეისწავლა კაპიტალიზმის დროს შრომის დამატებითი დანახარჯებისა და მატერიალური საშუალებების ეფექტურობის ზრდა და გვიჩვენა, რომ ეს ეფექტურობა უცვლელია ან ეცემა ტექნიკისა და წარმოების ორგანიზაციის უცვლელობასთან ერთად და, პირიქით, ტექნიკის პროგრესი, წარმოების გამსხვილება და მისი სპეციალიზაცია იწვევს, როგორც წესი, შრომის დამატებითი დანახარჯებისა და კაპიტალდამანდებების ეფექტურობის ზრდას: „არსებითად ხომ თვით ცნება: „დამატებითი (ანუ თანმიმდევრით) დაბანდება შრომისა და კაპიტალისა გულისხმობს წარმოების წესების შეცვლას, ტექნიკის გარდაქმნას“<sup>4</sup>.

სოციალისტური წარმოების ეფექტურობის ამაღლებას, კაპიტალიზმთან შედარებით შრომის მაღალ მწარმოებლურობის მიღწევას, ვ. ი. ლენინი იხილავდა როგორც სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების გადამწყვეტ პირობას. იგი მოითხოვდა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების დამუშავებისას მთელი წარმოებრივი დანახარჯები დაეპირისპირებინათ მიღებული ეფექტისათვის. სოციალიზმის პირობებში წარმოების ეფექტურობის ამაღლების კანონი გარკვეულ ურთიერთკავშირშია ძირითად ეკონომიკურ კანონთან, ხოლო მისი მოქმედება ექვემდებარება სოციალისტური წარმოების ობიექტურად განსაზღვრულ მიზნობრივ ფუნქციას — მუდმივად მზარდ მოთხოვნადათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება და მთელი საზოგადოების წევრთა შესაძლებლობის ყოველმხრივი განვითარება. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომელიც გამოხატავს ურთიერთკავშირს წარმოების მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებათა შორის, გარკვეულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების მექანიზმზე.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის გამოყენება წარმოების ეფექტურობის ამაღლების კანონთან დასხვა ეკონომიკურ კანონებთან ურთიერთკავშირში

<sup>2</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 369.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 55.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 125-126.

წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მეურნეობრივი პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას. ამასთან დაკავშირებით, სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა მიმართულაა პატერნალური, შრომითი, ფინანსური რესურსებისა და ბუნებრივი სიმდიდრის უფრო რაციონალური, ეფექტური გამოყენებისა და, ამავე დროს, დანაკარგების თავიდან აცილებისაკენ. სკკპ XXIV ყრილობაზე ა. ნ. კოსიგინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ, საჭიროა გავაუმჯობესოთ ეფექტიანობის თვითეული მაჩვენებელი: შრომის ნაყოფიერება, მასალატევადობა, ფონდუკულება, რათა საბოლოო ანგარიშით მივალწიოთ საზოგადოებრივი შრომის ყველა დანახარჯების რაც შეიძლება მეტ ეკონომიას<sup>5</sup>. ყველა აღნიშნული მაჩვენებელი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და იქმნება ერთიანი სისტემა, რადგან ისინი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების პროცესის სხვადასხვა მხარეს ახასიათებენ; ამიტომ უდიდესი საერთო წარმოებრივი შედეგის მიღწევისათვის საჭიროა ეკონომიკური ეფექტურობის ამ ცალკეული მაჩვენებლების ოპტიმალური ურთიერთობის უზრუნველყოფა;

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ნიშნავს ხარისხობრივად ახალ ეტაპს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, რომელიც იწვევს ძირეულ ცვლილებებს შრომის საშუალებებსა და შრომის საგნებში; ტექნოლოგიას, წარმოების პროცესების ორგანიზაციასა და მართვაში. ეს რევოლუცია, უწინარეს ყოვლისა, სახეს უცვლის წარმოების ტრადიციებს და ქმნის წარმოების საშუალებათა პრინციპულად ახალ ნივთობრივ ელემენტებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ღრმა ხარისხობრივ ძვრებს მატერიალური წარმოების ეკონომიკურ სტრუქტურაში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ატარებს კომპლექსურ ხასიათს, რადგან იგი მოიცავს მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში გარდაქმნების ფართო პროგრამას. ამასთან დაკავშირებით სკკპ XXIV ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ თანამედროვე პირობებში მთავარი ხდება არა მეცნიერების ცალკეული მიღწევები, რაგინდ მნიშვნელოვანი არ იყოს იგი, არამედ მთელი საზოგადოებრივი წარმოების მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საყოველთაო ამოსავალს წარმოადგენს მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება და წარმოების ყველა სფეროს ავტომატიზაცია და კიბერნეტიზაცია; ეს თავის მხრივ ხელს უწყობს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ყველა სხვა მიმართულებას — ატომური ენერგეტიკის, პლიმერული ქიმიის, სარაკეტო, კოსმოსური ტექნიკის და სხვ. — წარმატებით განვითარებას. ამით იხსნება უდიდესი შესაძლებლობანი ბუნების ძალების დასამორჩილებლად, საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარების დასაჩქარებლად. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, კერძოდ, ავტომატიზაციამ, არსებითი ცვლილებები შეიტანა მანქანის სამრგოლოვან სისტემაში (მათქმავებელი მანქანა, გადამცემი მექანიზმი, სამუშაო მანქანა); დამატა კიდევ ერთი რგოლი — ავტომატური სამართავი გაწყობილობა (იგი წარმოების პროცესის ავტომატური რეგულირებისა და მართვის მექანიზმთა კომპლექსისაგან შედგება), რითაც მომზადდა წარმოების პროცესში ადამიანის როლისა და ადგილის შეცვლის რეალური საფუძველი.

ეფექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენების შედეგად თანამედროვე ავტომატიზაციის განვითარებაში ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი დადგა. რეფლექტორულ ავტომატურ განწყობილობებთან შორეული ეს მანქანები არა მარტო ანალიზს უკეთებენ მიღებულ ინფორმაციებს ტექნიკ

<sup>5</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 180.

ლოგიური პროცესების მსვლელობის შესახებ, არამედ მოცემული პროგრამით ანგარიშობენ პროდუქციის გამოშვების საუკეთესო პირობებს და პარამეტრებს. ამჟამად მანქანებზე ხდება გონებრივი შრომის ბევრი ლოგიურ-ინფორმაციული ფუნქციის გადატანა, რაც დაკავშირებულია ინფორმაციების შეკრებასა და მათემატიკური გაანგარიშებით დამუშავებასთან და ა. შ.

ელექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენება ქმნის ახალ მიმართულებას ავტომატური ტექნიკის განვითარებაში და იწვევს მისი ეფექტურობის მკვეთრ ამაღლებას. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში გამოყენებულ ვიწროდ სპეციალიზებულ ავტომატურ აღჭურვილობას შეეძლო მხოლოდ განსაზღვრულ ნაკეთობათა დამზადება. მაგრამ დამზადებული პროდუქციის ნომენკლატურის სწრაფმა ცვლილებამ გამოიწვია ასეთი გაწყობილობის უფარგისობა და ნაწილობრივ არარენტაბელურიც გახადა იგი. ამათგან განსხვავებით, 60-იან წლებში გამოშვებულ დაზგებს რიცხობრივი პროგრამული მმართველით აქვთ, როგორც წესი, სხვადასხვა ინსტრუმენტების უნივერსალური ნაერთი მრავალგვარი ნაკეთობის დასამუშავებლად და გადასაცემად სამუშაოს მოცემული რეჟიმის შესაბამისად. ამით ხდება მათი მაღალი ეფექტურობის უზრუნველყოფა.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ელექტროგამომთვლელი მანქანების სულ უფრო ფართო გამოყენება უდიდეს ეკონომიკურ სარგებლობას იძლევა სოციალისტური წარმოების და გეგმვასა და მართვაში; ასე, მაგალითად: ნავთობპროდუქტებისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში გამომთვლელი მანქანების მიერ ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელის დამუშავებით 1971-1973 წწ. გამოღწეულია შრომისა და კაპიტალდაზღვევების 800 მლნ მანეთის ეკონომიის შესაძლებლობა<sup>6</sup>.

მეცხრე ხუთწლედში ხორციელდება გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ დანერგვა მართვისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესებში. დარგებსა, ტერიტორიულ ორგანიზაციებსა, გაერთიანებებსა და საწარმოებს შორის მართვისა და დაგეგმვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვისათვის გაიშალა მუშაობა. გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, მართვისა და აღრიცხვისათვის ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავების საერთო სახელმწიფოებრივი ავტომატიზირებული სისტემის შექმნა გამოთვლითი ცენტრებისა და ქვეყნის ერთიანი ავტომატური კავშირის ქსელის ბაზაზე. ხუთწლედში ამოქმედდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის და ტრანსპორტის არანაკლებ 1600 მართვის ავტომატიზებული სისტემა.

მართვის ავტომატიზებული სისტემა წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორს; ისინი ამაღლებენ წარმოებრივი სიმძლავრეების ლატერითვის კოეფიციენტს 7%-ით, ამცირებენ შეკეთების შესრულების ვაღებს 25—30%-ით; ამავდ დროს, მათს შექმნისთან დაკავშირებული დანახარავები ნაზღაურდება არა უმეტეს ერთობრივი წლის განმავლობაში.

კომპლექსური ავტომატური სისტემის მანქანების პირობებში, მართვის ელექტროგამომთვლელი მანქანების დახმარებით, ადამიანის მდგომარეობა წარმოებაში ძირეულად იცვლება. ტექნოლოგიური პროცესი აქ მიმდინარეობს

<sup>6</sup> Е. Ф. Борисов. Научно-техническая революция — решающий фактор повышения эффективности экономического роста, М., 1972, стр. 17—18.

შრომის საგანზე ადამიანის უშუალოდ ზემოქმედების გარეშე, მისი ამოცანები რთულდება და პროგრამების შედგენისას ითვალისწინებენ: მანქანების მუშაობას, მათს ტექნიკურ მომსახურებას, მართვისა და კონტროლის ახალი საშუალებების გამოყენებას, წარმოების ყველა მხარის უწყვეტ სრულყოფას. უკანასკნელის განვითარება, ამრიგად, არ არის დამოკიდებული უშუალოდ ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოფიზიოლოგიურ შესაძლებლობებზე, არამედ სულ უფრო მეტად დამოკიდებულია მეცნიერების დონესა და მათი ტექნოლოგიური გამოყენების ხარისხზე.

ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა ძირეული განსხვავება სოციალიზმისა და კაპიტალიზმს შორის მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების საზოგადოებრივი წესის მიმართ: „წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე ერთისთვის მიეცა, სხვებისათვის კი მოესპო უსაქიროესი რამ — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო-სახალხო კუთვნილება, და ამიერიდან არასოდეს ადამიანის გონება და გენია არ გარდაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად“<sup>7</sup>.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების უპირატესობა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აშკარა გამოხატულებას პოულობს, განსაკუთრებით, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში. 70-იან წლებში ჩვეს ქვეყანაში მიღწეული მაღალი ეკონომიკური პოტენციალი ამჟამად საშუალებას იძლევა უზრუნველვყოთ სახალხო განათლებისა და კულტურის შემდგომი განვითარება და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის საგრძნობი ამაღლება. ათწლეულში 1966-დან 1975 წლის ჩათვლით ნაციონალური შემოსავლიდან გამოყენებული თანხა, მიმდინარე მოხმარებაზე გაიზარდა თითქმის ორჯერ; მეცხრე ხუთწლედის დასასრულს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს თვეში 150 მანეთს. ანუ 22,4%-ით მეტს, ვინემ 1970 წ., ხოლო მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე შედგათების მიცემის გათვალისწინებით, ამ კატეგორიის მუშაკთა შემოსავლები თვეში 200 მანეთს გადააჭარბებს.

საბჭოთა კავშირში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები გამოიყენება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დასაჩქარებლად და დიდი სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების შესაბამისად. ჩვენმა პარტიამ დაიხანა მიზნად და თანდათან, გულმოდგინეთ წყვეტს ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას: ორგანულად შეაერთოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობასთან, ფართოდ განავითაროს სოციალიზმისათვის დამახასიათებელი მეცნიერების წარმოებასთან შეერთების ფორმა. ამ მიზნით, უშუალოდ მრეწველობაში მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად ფართოვდება მეცნიერული კვლევა და ანალიზი, საწარმოებაში იქმნება საკონსტრუქტორო ბიურო, მძლავრი ექსპერიმენტალური ბაზა; საწარმოებში მიიზიდება მეცნიერული კადრების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ხდება მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების შეერთება საწარმოებ-

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 563.

თან, იქმნება მეცნიერულ-წარმოებრივი კომპლექსები, მიმდინარეობს მსხვილი მრეწველური გაერთიანებებისა და კომბინატების დაჩქარებული ზრდა, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ წარმოების მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონე, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება შრომის მწარმოებლურობის ზრდის დასაჩქარებლად, წარმოების ეფექტურობის ასამაღლებლად და ამის საფუძველზე საბჭოთა ხალხის უფრო მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად.

დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების გეგმაზომიერი განხორციელება, რაც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა ახალ ხუთწლეულში, გულისხმობს სოციალიზმის ეკონომიკური კანონების გამოყენების გაუმჯობესებას, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მათი მოქმედების ცვლილებების უფრო სრულ გათვალისწინებას. ეს პირველ რიგში წარმოების ეფექტურობის ამაღლების კანონს ეხება. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელება ქმნის ახალ ეტაპს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების კანონის მოქმედებაში. იგი ხარისხობრივად გარდაქმნის წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველსა და ცოცხალი და განვითარებული შრომის დანახარჯების ეფექტურობის ზრდის საშუალებებს და არსებითად ცვლის წარმოების პროცესის წესებს და შედეგებს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია იწვევს ცოცხალი შრომის უდიდეს ეკონომიას, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თანამედროვე ავტომატური სისტემის მანქანებისა და კიბერნეტიკული ტექნიკის დანერგვასთან. ამიტომ თანამედროვე პირობებში კანონზომიერად ითვლება გამომუშავებული პროდუქციის შრომატევადობის მნიშვნელოვანი შემცირება. მაგალითად, მეცხრე ხუთწლეულში პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომის დანახარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება. თუკი 1 მლნ მანეთის ღირებულების მთლიანი პროდუქციის წარმოებაზე 1960 წელს დაიხარჯა 267 მუშაკის შრომა, 1970 წელს — 150, ხოლო 1975 წელს დაიხარჯება მხოლოდ 113 მუშაკის შრომა<sup>8</sup>. 1971-1975 წწ. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მაღალეფექტური, უწყვეტი და ერთსტადიური ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება, რაც ამცირებს შრომით და მატერიალურ დანახარჯებს და უზრუნველყოფს ნედლეულის კომპლექსურად გამოყენებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და დანაკარგების შემცირებას.

ჭერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მრეწველურ წარმოებაში ფართო გამოყენება პოვა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინაშე ტრადიციულად მდგარმა შემდეგმა ტექნიკურ-ეკონომიკურმა კანონზომიერებამ: მთელ მრეწველურ წარმოებასთან შედარებით ელექტროენერგეტიკის, ქიმიის და მანქანათმშენებლობის უფრო სწრაფი ზრდა. გასწრების კოეფიციენტი (განსახვრული დარგის პროდუქციის მოცულობის ნამეტის ტემპის შეფარდება მრეწველური პროდუქციის საერთო მოცულობის ნამეტის ტემპთან) 1940 და 1970 წწ. პერიოდში სსრ კავშირში შეადგენდა: ელექტროენერგეტიკაში — 156, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში — 225. ამის საფუძველზე მე-20 საუკუნეში უზრუნველყოფილი ხდება მატერიალური წარმოების ყველა დარგში მექანიზაციის, ელექტროფიკაციის და ქიმიზაციის განხორციელება, რაც წარმოადგენს ეფექტურობის ზრდის მნიშვნელოვან პირობას.

<sup>8</sup> Государственный пятилетний план развития народного хозяйства СССР на 1971—1975 годы, М., 1972, стр. 87.

თანამედროვე პირობებში უპირატესობა ეკუთვნის მრეწველობის უახლესი დარგებისა და წარმოების ისეთ საშუალებათა განვითარებას, რომელიც მიღებულია მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით. ტექნიკური პროგრესის შედეგად აღრინდელი პრობორციები სრულყოფილი ხდება, რაც ასახავს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგებს. უახლეს ტექნიკურ-ეკონომიკურ კანონზომიერებად ითვლება გაზომვისა და მართვის ხელსაწყოების წარმოების უფრო სწრაფი ზრდა, ასევე ავტომატიზაციის საშუალებების ზრდა — მანქანებისა და გაწყობილობის ზრდასთან შედარებით და უფრო მაღალი ტემპით — მრეწველური წარმოების მოცულობის ზრდასთან შედარებით. 1961-1970 წწ, მაგალითად, მანქანათმშენებელი ინდუსტრიის წარმოების მოცულობა გაიზარდა 1,4-ჯერ უფრო მეტად, ვინემ მთელი მრეწველური პროდუქციის საერთო გამოშვება და, თავის მხრივ, ხელსაწყოთა წარმოებამ გადააჭარბა მანქანათმშენებლობის ზრდას 1,5-ჯერ. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის დამახასიათებელია ასევე ელექტრო-ტექნიკური აღჭურვილობის წარმოების, ელექტრონიკის და რადიოელექტრონიკის კიდევ უფრო სწრაფი ზრდა.

თანამედროვე ინდუსტრიის განვითარების მნიშვნელოვან კანონზომიერებას წარმოადგენს პოლიმერული მასალების წარმოების გასწრებადი ზრდა ქიმიური დარგის განვითარებასთან შედარებით და უფრო მეტად — მთელ მრეწველურ წარმოებასთან შედარებით: თუკი სსრ კავშირის მთელმა მრეწველურმა პროდუქციამ 1970 წელს გადააჭარბა 1960 წლის დონეს 2,3-ჯერ, ქიმიურმა ინდუსტრიამ — 3,8-ჯერ, ხოლო სინთეტიკური ფისისა და პლასტიკური მასალებისამ — 3,9-ჯერ.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ხასიათდება წარმოების ენერგოტევადობის სწრაფი ზრდით ელექტროენერჯის შემდგომი გამოყენების შედეგად ამჟამად ძალის სახით და, განსაკუთრებით, მისი სულ უფრო ფართო გამოყენებით ტექნოლოგიური საჭიროებისათვის; ამის გამო ელექტროენერჯის წარმოება მნიშვნელოვნად აჭარბებს მრეწველური წარმოების საერთო ზრდას, მაგრამ უფრო სწრაფად იზრდება ატომური ენერჯის წარმოება, — ეს ამაღლებს ატომური ენერგეტიკის ჰვედარწონას მთელ ენერგეტიკულ ბალანსში. თუ 1970 წელს ატომური ენერჯია შეადგენდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ელექტროენერგეტიკული ბალანსის 2%-ს, პროგნოზების თანახმად, მან 2000 წელს უნდა შეადგინოს 25%; აქედან ელექტროენერჯის ნახევარი მიღებული იქნება ატომურ ელექტროსადგურებში.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარების ახალი ტექნიკურ-ეკონომიკური კანონზომიერებანი არსებითად ცვლიან მთელი აღწარმოების პროცესის ხასიათს. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში წარმოების ეფექტურობის ზრდის დაჩქარება, ასევე, ობიექტურად გაპირობებულია აღწარმოების პროცესის ინტენსიფიკაციის აუცილებლობით. ეს, პირველ რიგში, იმით აიხსნება, რომ წარმოების ზრდის ისეთი ექსტენსიური ფაქტორი, როგორცაა მუშაკთა რიცხვის ზრდა, სულ უფრო კარგავს თავის მნიშვნელობას. გარდა ამისა, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი ებმება არაწარმოებრივ სფეროში: მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და



სხვა დარგებისა; ასევე მომსახურების სფეროს სწრაფად განვითარების გარეშე არ შეიძლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უზრუნველყოფა და წარმოების მუშაკთა მეცნიერული მომზადების ახალი აღმავლობა, მთელი საზოგადოების წევრთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გაუმჯობესება.

ყოველივე ამის შედეგად მეცხრე და შემდგომ ხუთწლედებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი არა მარტო ცალკეულ დარგში, არამედ მთლიანად წარმოებრივ სფეროში საჭიროა უზრუნველყოფით, როგორც წესი, მუშაკთა რაოდენობის ზრდის გარეშე. მეცხრე ხუთწლედში საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა გაიზარდება 34%-ით, რის შედეგადაც მიღებული იქნება ნაციონალური შემოსავლის ზრდის 80%-ზე მეტი; ამავე დროს, მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის ხარჯზე უნდა მიღებულ იქნას 87% პროდუქციის ნამეტი, მშენებლობაში — 95%; მოქმედ მრეწველურ საწარმოებში, რკინიგზის ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში წარმოების მთელი ნამეტი მიღებული უნდა იქნას მუშაკთა რიცხვის ზრდის გარეშე.

დამატებითი კაპიტალდაბანდებები მიზანშეწონილია და ხელსაყრელია არა ძირითადი წარმოებრივი ფონდების ექსტენსიურად გასაფართოებლად, არამედ მათი უკეთ გამოყენებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საშუალებით. ახალი კაპიტალური მშენებლობა გარდუვლად აღიღებს დანახარჯებს ძირითადი ფონდების პასიურ ნაწილზე (შენობები, ნაგებობები), რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი პროდუქციის გამოშვებასთან და რაც კაპიტალდაბანდებების ეფექტურობის რამდენადმე შემცირებას იწვევენ. ამისგან განსხვავებით, მოქმედ საწარმოების რეკონსტრუქციას და ტექნიკურად სრულყოფას თან ახლავს კაპიტალდაბანდებების სვედრითი წონის ზრდა ძირითადი ფონდების აქტიურ ნაწილზე, რის შედეგადაც საზოგადოებრივ წარმოებაზე მალდდება კაპიტალდაბანდებების ეფექტურობა.

ამრიგად, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების კანონის გამოყენების თანამედროვე თავისებურებანი დაკავშირებულია: ჯერ ერთი, გაფართოებულ სოციალისტურ აღწარმოებაში ინტენსიფიკაციაზე ფართოდ გადასვლასთან; მეორე, თანამედროვე უდიდესი შესაძლებლობების გამოყენებასთან პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით ცოცხალი და, განსაკუთრებით, განივობული შრომის ეკონომიისათვის, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით მიიღწევა; მესამეც, პროგრესულ-სტრუქტურულ ძვრებთან სახალხო მეურნეობაში. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმოებისა და მთელი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი მართვის სრულყოფა, რაც დაკავშირებულია ეკონომიკური რეფორმის განხორციელებასთან; ამავე მიმართულებით მოქმედებს ახალი წარმოებრივი შესაძლებლობების უფრო ფართო გამოყენება მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად, რის საფუძველზეც ძლიერდება მათი დაინტერესებულობა წარმოების ეფექტურობისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის დასაჩქარებლად.

სკკპ XXIV ყრილობის ანგარიშვებით მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სტრუქტურული პრობლემების სწორად გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის ტემპები და დაგროვების შესაძლებლობა, რაც აუცილებელია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მისი სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის



მორღ კუბ. მეტრამდე ანუ 1,6-ჯერ, ქვანახშირისა — 624-დან 695 მლნ. ტონამდე ანუ 1,1-ჯერ; ამის შედეგად ნავთისა და გაზის ხვედრითი წონა სათბობის საერთო ბალანსში გაიზარდება 60%-დან 67%-მდე<sup>9</sup>.

არსებითი თვისებრივი ცვლილებები მრეწველობის ყველა დარგში საშუალებას იძლევა, ავამაღლოთ წარმოების ეფექტურობა, განსაკუთრებით — მრეწველობის წარმოების საშუალებათა წარმოების ხაზით (ჯგუფი „ა“), რაც მოხმარების საქონელთა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის საფუძველია.

მოხმარების საგნების წარმოების ზრდა დიდად უწყობს ხელს უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები შედარებით ხანგრძლივი გამოყენების საგნების დასამზადებლად. დამახასიათებელია, მაგალითად, რომ მოხმარების საგნების წარმოება 1960-1970წწ. 2,0-ჯერ გადიდება; მათ შორის: მაცივრებისა — 7,8-ჯერ, სატექსტილ მანქანების — 5,9-ჯერ, ტელევიზორებისა — 3,9-ჯერ და ა. შ. მერვე ხუთწლეულის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანა იყო ტექნიკური პროგრესის საფუძველზე წარმოების ეფექტურობის ამაღლება. იგი ხორციელდებოდა წარმოების ახალ ნაკადურ ტექნოლოგიურ სქემებზე გადასვლისა და უწყვეტმოქმედი აპარატურის დანერგვის გზით. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს კვების მრეწველობისათვის დამახასიათებელი იყო განუხრედი ტექნიკური პროგრესი, კომპლექსური მექანიზაციისა და წარმოებრივი პროცესების ავტომატიზაციის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, ელექტროფიკაციის და ქიმიზაციის, აგრეთვე, მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა. მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა მოხმარების სტრუქტურა, მაგალითად: 1970 წელს 1963 წელთან შედარებით, მოსახლეობის ერთ სულზე განაგარიშებით, ხორცის მოხმარება გადიდა 17 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა — 22%-ით კვერცხისა — 23%-ით თევზისა და თევზის პროდუქტებისა — 33 პროცენტით და ა. შ.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია კვების პროდუქტების წარმოების შემდგომი მძლავრი განვითარება: „კვების, ხორცის, რძის და თევზის მრეწველობაში პროდუქციის წარმოება გაეზარდოს 33-35 პროცენტით, აქედან ხორცისა — 40-43 პროცენტით, მოუხდელი რძის პროდუქტებისა 29 პროცენტით, შაქრისა დაახლოებით 34 პროცენტით, საკვები თევზის პროდუქტებისა სულ ცოტა 47 პროცენტით. ავამაღლოთ კვების პროდუქციის ხარისხი, გავაფართოვოთ მათი ასორტიმენტი და გავაუმჯობესოთ ყუათიანობა და საგემოვნო ღირსებები. ... უზრუნველყოთ კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაჩქარება, თანამედროვე მაღალი წარმადობის მოწყობილობით მათი აღჭურვა“<sup>10</sup>.

მეცხრე ხუთწლეულში ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად განვითარდება კვების მრეწველობის ყველა დარგი. კვების მრეწველობის იმ დარგებში, რომელნიც ჩვენს მოსახლეობას ამარაგებენ სასურსათო ნაწარმით, გათვალისწინებულია როგორც მოცულობის გადიდება, ისე პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესება. ხორცის მრეწველობის პროდუქცია დაგეგმილია, გაიზარდოს ხუთწლეულში 25 პროცენტით, ყველისა — 6,5 პროცენტით; ამავე დროს, გათვალისწინებულია უპირატესად გადიდდეს ბავშვთა კვებისა და დიეტური კვების პროდუქტების წარმოება. სპეციალური ღონისძიებანი

<sup>9</sup> Государственный пятилетний план развития народного хозяйства СССР на 1971 — 1975 годы, стр. 99.

<sup>10</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 323.

უნდა გატარდეს სხვადასხვა ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის გამოშვების გადიდებისათვის.

საქართველოს სსრ მრეწველობის პროდუქციის ზრდა, მისი ასორტიმენტის გაუმჯობესება და ხარისხის სრულყოფა მიღწეული უნდა იქნას წარმოების შემდგომი გადიდებისა და, საბოლოო ანგარიშში, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების გზით. მეცხრე ხუთწლედში დამთავრდება სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანაბრებულ მყოფი საწარმოების, მატერიალური წარმოების დარგების და მომსახურე სფეროს დაეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სახალ მეთოდებზე გადასვლა.

სკკპ XXIV ყრილობამ დასახა ამოცანა მოსახლეობისათვის აუცილებელი პროდუქტების წარმოებაში გაიზარდოს საწარმოების მატერიალური დაინტერესებულობა, რომელიც შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტურობის ზრდას უწყობს ხელს დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე, სკკპ XXIV ყრილობამ განსაზღვრა საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის შემდგომი სრულყოფის რეალური გზები: „ეს, — ამბობდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე, — არის ეკონომიური პირობების შექმნა, რომლებიც, ჯერ ერთი, საწარმოებს გაუღვიძებდნენ ინტერესს იკისრონ ოპტიმალური ვალდებულებანი; ესე იგი იკისრონ დამატებითი გეგმები, უფრო რაციონალურად გამოიყენონ კაპიტალდამანდებანი და შრომითი რესურსები. მეორეც, მაქსიმალურად აძლევდნენ სტიმულს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და, მესამეც, ხელს უწყობდნენ უფრო თანმიმდევრულ ბრძოლას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის“<sup>11</sup>.

ამრიგად, მეცხრე ხუთწლედში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფართოდ დაინერგება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების მაღალი ტემპებით განვითარებას, მისი ეფექტურობის ამაღლებას და ამის საფუძველზე საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის მნიშვნელოვან ზრდას.

Р. У. АБУРДЖАНИДЗЕ

## ВОПРОСЫ ПОВЫШЕНИЯ ЭФФЕКТИВНОСТИ ОБЩЕСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА В ДЕВЯТОЙ ПЯТИЛЕТКЕ

### Резюме

Повышение эффективности общественного производства в целях максимального удовлетворения потребностей населения является важнейшей задачей хозяйственного строительства СССР. Только на основе этого можно обеспечить высокие и устойчивые темпы развития социалистической экономики. Значительное возрастание уровня жизни Советского народа.

Планомерное управление процессом повышения эффективности социалистического производства опирается на глубокое познание сис-

<sup>11</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 89.

темы экономических законов социализма и объективного механизма их действия. Особое внимание при этом уделяется научному изучению эффективности производства как экономической категории, его взаимосвязей с другими экономическими законами социализма, а так же особенностей его действия, обусловленных научно-технической революцией.

Рост эффективности неразрывно связан с научно-технической революцией — это звенья единого процесса прогрессивного развития социалистической экономики. В связи с этим изучение взаимосвязи и взаимозависимости между ними, в особенности воздействия научно-технической революции на эффективность экономического роста, имеет научное и практическое значение. Эти актуальные теоретические и практические вопросы рассматриваются в данной статье.

ABURJANIDZE R. U.

## THE PROBLEMS OF RISING THE EFFECTIVE OF SCIAL PRODUCTION IN THE NINTH FIVE-YEAR PLAN

### Summary

Raising the effectioeness of social production for maximum satisfaction of population's require is the most important problem of the economic building of the USSR. The influence of the scientific-tecnical revolution over the efficiency of economic increase has practical and scientific importance.

These actual and practical questions has been discussed in this article.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

**დიმიტრი ბაქაძის, თამაზ თურმანიძე**

**სოფლისმეურნეობრივი პროდუქტების საცალო საქონელბრუნვისა  
და მათზე მოსახლეობის მოთხოვნის პროგნოზირების  
საკითხისათვის**

ვაჭრობაში დაგეგმვისა და მართვის მეცნიერული დონის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მსყიდველობითი მოთხოვნის პროგნოზირების მეთოდოლოგიისა და პრაქტიკული გამოყენების გაუმჯობესება. დროის პერიოდის მიხედვით განასხვავებენ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პროგნოზებს. საზოგადოდ, მოკლევადიანი პროგნოზი არ გულისხმობს 1 წელზე ნაკლებ პერიოდს, იგი დიფერენცირებულია ცალკეული კვარტალებისა და თვეების მიხედვით; საშუალოვადიანი პროგნოზის ცენტრალურ მნიშვნელობად მიღებულია 5 წელი, გრძელვადიანი პროგნოზი კი 10 წლით განისაზღვრება. თხუთმეტწლიანი და უფრო ხანგრძლივი პერიოდის გრძელვადიანი პროგნოზი გულისხმობს გენერალურ პერსპექტივას. ჩვენი აზრით, მოთხოვნის პროგნოზირების ვადები უნდა ითვალისწინებდნენ მოთხოვნის პროგნოზების კლასიფიკაციას დიფერენცირებულად, გამსხვილებული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით; მაგალითად, ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე მოთხოვნის პროგნოზირების ვადები უნდა განსხვავდებოდნენ ყოველდღიური მოხმარების საქონელზე მოთხოვნის პროგნოზირების შესაბამისი ვადებისაგან.

სახალხო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის ფორმირება ხდება მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით, რომელთაგან უმეტესობა ალბათური ბუნებისაა. გარკვეულ ფარგლებში, სახალხო მოხმარების საქონლის, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მოსალოდნელი მოცულობა სტოხასტური სიდიდეა. პროგნოზირებაში საზოგადოდ განასხვავებენ მიკრო და მაკრომიდგომას. მიკრომიდგომა გულისხმობს პროგნოზის დიფერენციაციას სასაქონლო და ასორტიმენტულ ჭრილში და განისაზღვრება პროგნოზის ვადით. პროგნოზირების ვადის გაზრდისას მიკრომიდგომა თანდათან იცვლება მაკრომიდგომით. მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების სისტემა იერარქიული სისტემაა და, შესაბამისად, მიკრო და მაკრომიდგომა პროგნოზირების პროცესში იერარქიის სათანადო საფეხურით განისაზღვრება.

მოთხოვნის სიდიდე იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, რომელთა მიწოდება არასაკმარისია, განისაზღვრება არსებული რესურსების მოცულობით. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზის რეალურ ბაზას წარმოადგენს პროდუქტების მოსალოდნელი რე-

სურსების მოცულობა. არსებული და მოსალოდნელი რესურსების მოცულობა აუცილებლად უნდა გაითვალისწინებოდეს ურთიერთშემცველ კვების პროდუქტებზე მოთხოვნის პროგნოზირებისას; მათს რიცხვს მიეკუთვნებიან უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. სასურსათო საქონლის ერთ ჯგუფზე რესურსების ნაკლებობა ზრდის მოთხოვნას ურთიერთშემცველი საქონლის ჯგუფზე.

მაგალითად, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა კარტოფილზე ზრდის მოთხოვნას ისეთ პროდუქტებზე, როგორცაა მაკარონის ნაწარმი, ბოსტნეული და სხვა. ამდენად, დღესდღეობით მეტად მწვავედ დგას ურთიერთშემცველი პროდუქტების აგრეგირებული ჯგუფების შედგენის საკითხი, სადაც გათვალისწინებულია ჯგუფის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის რესურსების ნაკლებობა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოკლებადიანი პროგნოზების შედგენისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ წლის განმავლობაში მოხმარების ცვლილების ხარისხი ასორტიმენტულ ჭრილში; ეს გამოწვეულია წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში არსებული მთელი რიგი ფაქტორებით, — მათ შორის აღსანიშნავია კლიმატური, საყოფაცხოვრებო, ფიზიოლოგიური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორები. მოხმარების სეზონური ხასიათი მოითხოვს ამ ფაქტორების შესწავლას სეზონური ცვალებადობის განსაზღვრის მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის სეზონური ცვალებადობის დასადგენად ჩვენ მიერ შესწავლილია საცალო საქონელბრუნვის დინამიკური მწკრივები კვარტალების მიხედვით (1960-1972 წწ.) როგორც გამოკვლევამ ცხადყო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის სეზონურობა რეგულარული და მდგრადი ხასიათისაა, მთელი რიგი კვების პროდუქტების რეალიზაციის კვარტალური ცვალებადობა კი მუდმივად განმეორებადი პროცესია. გამოკვლევის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის საერთო მოცულობის უდიდესი ნაწილი მოდის წლის მეორე ნახევარზე: რეალიზაციის კვარტალური მონაცემები საშუალო წლიურ მონაცემებთან შედარებით III კვარტალში 8,2 %-ით მეტია, ხოლო IV კვარტალში — 5,6 %-ით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის სეზონური ცვალებადობა საცალო საქონელბრუნვის დანვითარების ობიექტური კანონზომიერებაა. სეზონურობის თანდათანობით დაძლევა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, პროდუქტების შენახვის, გადაზიდვისა და დაგროვების მეცნიერული მეთოდებისა და მექანიზაციის დანერგვასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიდან და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ზოგიერთი კვების პროდუქტის რეალიზაციის კვარტალური ცვალებადობა ყოველთვის იარსებებს. ვაჭრობა მოწოდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს სეზონურობის შერბილება და გაზარდოს სეზონური მოთხოვნის სასურსათო საქონლის რეალიზაცია. სეზონურობის არსებობის ერთ-ერთი ობიექტური პირობაა რესურსების მოცულობა. ხშირად რესურსების ნაკლებობითაა განპირობებული კარტოფილით, კვერცხით, ბოსტნეულით, ზოგიერთი სახის ხილით, რძითა და რძის პროდუქტებით ვაჭრობის სეზონურობა. არ შეიძლება ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის სეზონურობის იზოლირებულად განხილვა; მათზე მოთხოვნა, როგორც წესი, კომპლექსურია და, ერთ რომელიმე სახეობაზე მიწოდების უკმარისობის შემთხვევაში, სეზონურობა ვლინდება მის შემცველ პროდუქტებზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის სეზონურობის შესწავლა არ უნდა შემოიფარგლოს დინა-

მიკის შეზღუდული მწკრივით, ვინაიდან დროის ხანმოკლე პერიოდში თავს იჩინეს ცალკეული კვების პროდუქტების რეალიზაციის ვარიაცია მათი შემცველელი პროდუქტების ნაკლებობის პირობებში, ამიტომ სეზონური ცვალებადობის მთელი სიღრმით გამოსავლენად აუცილებელია დინამიკური მწკრივის განხილვა 10-15 წლის პერიოდისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას სიმცირით გამოწვეული ცვალებადობის ანივილაცია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციისა და მოხმარების სეზონურობა უარყოფით გავლენას ახდენს მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე. რეალიზაციის სეზონურობის შერბილება დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, დამზადების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის შედგომი განვითარება, ამ დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვა და ფართოდ გამოყენება ხელს შეუწყობს მოხმარების სეზონურობის შერბილებას და კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება უკეთ დამაკმაყოფილებას. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოხმარების სეზონური რხევა არ წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს: ცვალებადობას განიცდის როგორც სეზონური ტალღის ხასიათი, ისე თვით მისი ფორმაც.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტენდენციას წარმოადგენს სასაქონლო და არასასაქონლო მოხმარების თანაფარდობის ცვლილება მთლიან მოხმარებაში, რაც დიდ გავლენას ახდენს მოხმარების ფორმირებასა და სტრუქტურაზე. არასასაქონლო მოხმარების ხვედრითი წონის შემცირების არსებული ტენდენციის შედეგია მოთხოვნის გაზრდა უმნიშვნელოვანეს კვების პროდუქტებზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელში. ეს პროცესი კიდევ უფრო ჩქარდება სოფლის მოსახლეობის მოხმარების დენატურალიზაციის შედეგად. ამდენად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნა განისაზღვრება არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლის მოსახლეობის ზრდის ტემპებითაც. მოხმარებისა და შემოსავლების დენატურალიზაციის დონე იცვლება მთელი რიგი ფაქტორების გავლენით, რომელთა შორის აღსანიშნავია საწარმოო ძალების განვითარების დონე, მოხმარების საგნების განაწილების ფორმები, საქონელგაცვლის განვითარების ხარისხი, მოსახლეობის შემოსავალთა ოდენობა და ა. შ. მოხმარების დენატურალიზაცია აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოთხოვნის გრძელვადიანი პროგნოზების შედგენისას.

ცვაკშირის მოთხოვნის შესწავლის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მონაცემებით, ზორცისა და ზორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, პურისა და პურფუნთუშეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის, მცენარეული ზეთის, კვერცხისა და სხვა უმნიშვნელოვანესი კვების პროდუქტების ხვედრითი წონა მთლიან მოხმარებაში შემცირდა 53-დან 43 %-მდე (1970 წელს 1960 წელთან შედარებით შესაბამისი ფასების მიხედვით).

მოხმარების სეზონური ტალღების პერსპექტიულ გამოთვლას უნდა უსწრებდეს მოხმარების კანონზომიერებათა დადგენა ცალკეული თვეების მიხედვით. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მოხმარების შიგაწლიური საორიენტაციო მაჩვენებლები საგვემო პერიოდისათვის, მიზანშეწონილია პროგნოზირების იმ გამარტივებული მოდელებით სარგებლობა, რომლებიც დაფუძნე-



ბულია შიგაწლიური ცვალებადობის ექსტრაპოლაციაზე დინამიკაში, დროის ან მოხმარების დონის მიხედვით. ეს მოდელები არ ასახავენ მოხმარებაზე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების ზემოქმედებას, როგორცაა შემოსავალთა ოდენობა, ფასები და სხვ. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მოხმარების შიგაწლიური ცვალებადობის დინამიკური, მრავალფაქტორიანი მოდელის გამოყენებით. ოჯახების მოთხოვნისა და მოხმარების სეზონურობის პროგნოზირების დინამიკური, მრავალფაქტორიანი მოდელი საშუალებას გვაძლევს რაოდენობრივად გავზომოთ კავშირი ოჯახების მოთხოვნასა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის წლის ცალკეული თვეების მიხედვით; იგი ზრდის გაანგარიშების სიზუსტეს და პროგნოზს მეტ დასაბუთებულობას აძლევს. გარდა ამისა, აღნიშნული მოდელის გამოყენება შესაძლებელია კვების პროდუქტებზე სეზონური ფასების პროგნოზირებისათვის.

მოთხოვნის პროგნოზირების ამჟამად არსებულ მეთოდებს შორის განსაკუთრებით ფართო გამოყენებას პოულობს ეკონომიკურ-სტატისტიკური მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია კორელაციურ და რეგრესიულ ანალიზზე და რომელთა საწყისი ინფორმაციის წყაროა ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემები. ჯერ კიდევ სრულად არ მოგვეპოვება რეალიზებული მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია ასორტიმენტულ ჭრილში, ამიტომ სავალდებულოა რეალიზებული მოთხოვნის რაოდენობრივი და თანხობრივი აღრიცხვა. ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების არსებული სისტემის გაუმჯობესებით და ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავებისათვის თანამედროვე გამოთვლითი და საორგანიზაციო ტექნიკის გამოყენებით. ასეთ პირობებში იქმნება მოთხოვნის პროგნოზირების შესაძლებლობა არა მარტო თანხობრივ, არამედ — ნატურალურ მაჩვენებლებში აღსარიცხავადაც. ცალკეული საქონლის ჯგუფის რეალიზაციის აღრიცხვის მონაცემები შეიძლება ჩავთვალოთ საკმაოდ რეპრეზენტატულ და საიმედო წყაროდ მოთხოვნის პროგნოზირებისათვის. გარდა ამისა, ეკონომიკურ-სტატისტიკური მოდელები მათი შემოწმების შესაძლებლობით ხასიათდებიან. ინტერპოლაციის გზით შემოწმების დამაკმაყოფილებელი შედეგი ჯერ კიდევ არ იძლევა პროგნოზის რეალურობის გარანტიას, თუმცა, რეალური პროგნოზის მიღების თვალსაზრისით, კიდევ უფრო ნაკლები სიზუსტით ხასიათდებიან ის მოდელები, რომელთათვისაც ინტერპოლაციის შედეგი არადამაკმაყოფილებელია. ფაქტიურად, ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მხოლოდ საცალო საქონელბრუნვის პროგნოზია შესაძლებელი. ამიტომ დღის წესრიგში დგება საცალო საქონელბრუნვისა და მოთხოვნის პროგნოზირების ერთმანეთისაგან მკაცრად გამოყოფის აუცილებლობა. მოთხოვნის პროგნოზი მოიცავს საცალო საქონელბრუნვის პროგნოზს და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის პროგნოზულ სიდიდეს, ამიტომ მოთხოვნის დასაბუთებული პროგნოზის შესადგენად უნდა გაეთვალისწინოთ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნაც, განესაზღვროთ მისი პროგნოზული სიდიდე.

არსებობს საქონელბრუნვის პროგნოზირებისადმი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული ორი მიდგომა: ზოგადი და ნაკლები და ნაკლები და ნაკლები; პირველი შეხედულება გულისხმობს ჯერ ბაზრის ტევადობის, შემდეგ კი — საქონელბრუნვის პროგნოზირე-

ბას; მეორე შეხედულების მიხედვით, საქონელბრუნვის პროგნოზი წინ უნდა უსწრებდეს ბაზრის ტევადობის პროგნოზირებას. დღესდღეობით საცალო საქონელბრუნვის პროგნოზირებისადმი ამ ორი განსხვავებული მიდგომის მომხრეებს შორის დისკუსია მიმდინარეობს. არსებულ ვითარებაში ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა ორივე მეთოდის კომპლექსური გამოყენება და მიღებული შედეგების ურთიერთდაპირისპირება, სადაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღება საექსპერტო შეფასების მეთოდის გამოყენებაზეა დაფუძნებული. საცალო საქონელბრუნვის პროგნოზის სტოხასტიურ ხასიათს ატარებს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო პროგნოზის აბსოლუტურ სიზუსტეს, არამედ — იმ ინტერვალის დაზუსტებასაც, რომელშიც განსაზღვრული ალბათობით მოხვდებიან მოთხოვნის პროგნოზული მნიშვნელობანი.

საცალო საქონელბრუნვის პროგნოზირების ამოცანა შეიძლება განვიხილოთ როგორც ვაჭრობის მართვის ავტომატიზებული სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვესისტემა, რომელიც სამი ბლოკისაგან შედგება: მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზის ბლოკებისაგან. მართლაც, ბაზრის ტევადობისა და საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურის მოდელების სისტემის რეალიზება საესებო შესაძლებელია ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე. ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციაზე დაყრდნობით დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის გათვალისწინება რეალურად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მისი პროგნოზირებით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის შესწავლისათვის ჯერ უნდა დადგინდეს იმ პროდუქტების ნომენკლატურა, რომლებზეც არსებობს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ამჟამად და მოსალოდნელია მისი არსებობა მომავალ პროგნოზირებად პერიოდში; ამ მიზნით, საჭიროა კორელაციური, დინამიკური მოდელების გამოყენება. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის დინამიკური მწკრივის შესადგენად გასათვალისწინებელია სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთების, გამოყოფილი ფონდებისა და ფაქტიური საქონელბრუნვის მონაცემები რიგი წლების მანძილზე ასორტიმენტულ ჭრილში როგორც თანხობრივ, ისე რაოდენობრივ მაჩვენებლებში.

საცალო-სავაჭრო ქსელში მოთხოვნის შესწავლის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს, რათა მეტი დასაბუთებულობით ჩავთვალოთ სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთების სამრწველო საწარმოებისადმი მოთხოვნის საერთო მოცულობის სიდიდე; გამოყოფილი ფონდი კი პირველ რიგში გამომდინარეობს მრწველობის რეალური შესაძლებლობებიდან, ამიტომ ათ შორის სხვაობა დღეს (და მეტი სიზუსტით მომავალში) გამოსახავს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის საგვემო მაჩვენებელს. რაც შეეხება ფაქტიურ საქონელბრუნვას, მისი მაჩვენებლები ასახვენ რეალიზებული მოთხოვნის სიდიდეს სამომხმარებლო ნიშნების (მოდა, ფერი, ფასი და ა. შ.) ჭრილში და ითვალისწინებენ საგვემო მაჩვენებლებში აუსახავ ფაქტორებს; ამიტომ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის სიდიდე დაკვეთებსა და გამოყოფილ ფონდებს შორის სხვაობის ნაცვლად (ეს უკანასკნელი თუ აღემატება ფაქტიურ საქონელბრუნვას) უნდა განვიხილოთ დაკვეთებსა და ფაქტიურ საქონელბრუნვას შორის სხვაობა. ცხადია, პერსპექტივაში, მოთხოვნის სრულ დაუკმაყოფილების პირობებში, მოთხოვნის სიდიდე უნდა ემთხვეოდეს ან მცირედ აღემატებოდეს საქონელბრუნვის სიდიდეს, ამიტომ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის პროგნოზული სიდიდის ნულთან მიახლოება პერსპექტივაში განსაზღვრავს ამ პერიოდს.

მოთხოვნის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზები, განსხვავდებიან რა პროგნოზირების ვადით, ამავე დროს მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ურთიერთგანაპირობებენ და ავსებენ ერთმანეთს. პროგნოზირება მიმდინარე პროცესია, იგი უნდა ატარებდეს არა იმპულსურ, არამედ — სისტემატურ ხასიათს; ამიტომ მოკლევადიანი პროგნოზით უნდა მოხდეს საშუალოვადიანი პროგნოზის კორექტირება, ხოლო საშუალოვადიანი პროგნოზი საფუძვლად უნდა დაედოს გრძელვადიანი პროგნოზის კორექციას; მაგალითად, 1974 წლისათვის შედგენილი პროგნოზით უნდა მოხდეს მიმდინარე ხუთწლედის უკანასკნელი 1975 წლის, აგრეთვე, მომდევნო ხუთწლედის შესაბამისი წლების მოსწორება 1979 წლამდე, ხოლო ეს უკანასკნელი გაგლენას მოახდენს გრძელვადიანი პროგნოზის სიდიდეზე 1990 წლისათვის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზის შედგენა ვარკვეული თავისებურებით ხასიათდება: თუ მოკლევადიანი პროგნოზის შედგენისას ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციაზე აგებულმა დინამიკური მწკრივების ანალოზმა უნდა გამოამყდვენოს მოთხოვნის განვითარების კანონზომიერებანი, მისი განმსაზღვრელი ფაქტორების ხასიათი და რესურსების არსებული მოცულობა, — საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზების შედგენისას ეს უკვე საკმარისი აღარ არის. მოკლევადიანი პროგნოზირება თუ რეალურ სინამდვილეს ეფუძნება, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირება აუცილებლად გულისხმობს რეალური სიტუაციიდან აბსტრაქტირებას. ამავე დროს, აბსტრაქტირების ხარისხი პირდაპირ-პროპორციულ დამოკიდებულებაშია პროგნოზირების ვადასთან, ამიტომ გრძელვადიანი პროგნოზების შედგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ კვების პროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები. აღსანიშნავია, რომ მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები არ წარმოადგენენ სტატიკურ სიდიდეებს. მოხმარების საერთო სტრუქტურის ცვლილება, ცხადია, იწვევს საკავშირო სამედიცინო აკადემიის კვების ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული ნორმების ცვლილებას, მაგრამ ამ ცვლილების ტენდენციის გათვალისწინება ყოველთვის შეიძლება.

პროგნოზირების მეთოდოლოგია, საზოგადოდ უნდა ემყარებოდეს სისტემურ მიდგომას. იგი გულისხმობს კომპლექსურ მიდგომას მოთხოვნის პროგნოზირებისადმი (კორელაციური და სტრუქტურული მოდელების გვერდით გამოიყენება პროგნოზირების საექსპერტო და სხვა მეთოდები). მხოლოდ ამ პირობებში იქმნება რეალური პროგნოზის მიღების გარანტია.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

**შარდენ ქარჩავა**

**საქართველოს ხის დამამუშავებელი მრეწველობის თანამედროვე  
დამოუკიდებლობა და განვითარების პერსპექტივები**

საქართველოს ხის დამამუშავებელ მრეწველობას დიდი ხნის ისტორია აქვს, ეს აიხსნება ხე-ტყის რესურსების სიუხვით, რამაც ხელი შეუწყო ხის დამამუშავების ჩასახვას და განვითარებას. პირველად ხის დამამუშავებას აწარმოებდნენ თვით გლეხები, შემდეგ კი — ხელოსნები; ხისგან ისინი ამზადებდნენ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღის ნაწილებს, ურმებს, გობებს, თითისტარებს, ავეჯს და სხვ<sup>1</sup>.

XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში უკვე არსებობდა ხის დამამუშავებელი 18 საწარმო, რომლებიც ძირითადად თავმოყრილი იყვნენ ბათუმში, ქუთაისში და თბილისში. 1896 წელს ქუთაისში მოქმედ ხის დამამუშავებელ 6 საწარმოში დასაქმებული იყო 146 მუშა, ხოლო 1901 წელს ბათუმის ხის დამამუშავებელ საწარმოებში დამზადდა 57,0 ათასი ცალი კასრი.<sup>2</sup> შემდგომ მრეწველობის ეს დარგი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგალითად: 1914 წელს ხის დამამუშავებას ეწეოდა საწარმო, რომლებშიაც თავმოყრილი იყო 1172 მუშა. მრეწველობის ეს დარგი გაიზარდა არა მარტო საწარმოთა რაოდენობის, არამედ მათში დასაქმებული მუშათა რაოდენობის მიხედვითაც: თუ 1896 წელს საშუალოდ ერთ საწარმოზე მოდიოდა 23 მუშა, 1914 წელს ეს რიცხვი 26-მდე გაიზარდა.<sup>3</sup>

სერიოზული ზიანი განიცადა ხის დამამუშავებელმა მრეწველობამ იმპერიალისტური ომისა და მენშევიკური ხელისუფლების დროს. რის შედეგად 1923-1924 წელს, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ხის დამამუშავებელ მრეწველობაში გაერთიანებული იყო მხოლოდ 6 საწარმო, რომლებშიც მუშაობდა 356 მუშა; ამავე დროს აღნიშნულ დარგს უმნიშვნელო ადგილი ეკავა საქართველოს მრეწველობაში.

ხის დამამუშავებელი მრეწველობის ზვედრიწონა საქართველოს მრეწველობაში  
1923-1924 წელს<sup>4</sup>

ცხრილი 1

დარგების დასახელება	საწარმოთა რაოდენობა		მთლიანი პროდუქცია		მუშების რიცხონობა	
	აბს.	%-ით	ათას მან.	%-ით	აბს.	%-ით
საქართველოს მრეწველობა მთლიანად	126	100	22268,7	100	8027	100
ხის დამამუშავებელი მრეწველობა	6	4,7	1108,3	4,9	356	4,3

<sup>1</sup> П. Г у г у ш в и л и . Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., Тб., 1954, стр. 158.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 297.

<sup>3</sup> Статистический сборник 1909-1921 гг. ЦСУ Грузии. Тифлис, 1923, стр. 42-44.

<sup>4</sup> Промышленность Закавказья. Тифлис, 1928, стр. 2, 4, 11, 14, 98, 99.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული დარგის ხვედრითი წონა მთლიანად საქართველოს მრეწველობაში დასახელებულ მაჩვენებელთა მიხედვით 4,3-4,9% არ აღემატებოდა. ხის დამამუშავებელი მრეწველობის თითოეული საწარმო 1923-1924 წელს საშუალოდ 185,1 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდა მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში, მთელი მრეწველობის მიხედვით, ეს მაჩვენებელი 176,7 ათას მანეთს შეადგენდა; გარდა ამისა ხის დამამუშავებელი ერთი მუშის გამომუშავება 48 მანეთით მეტი იყო ვიდრე საშუალოდ მთელს მრეწველობაში.<sup>5</sup>

საქართველოში ხის დამამუშავებელი მრეწველობა სწრაფი ტემპით ვითარდება სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის შემდეგ: უკვე 1926-27 სამეურნეო წელს აშენდა ბათუმის დაწებებული ფანერის ქარხანა; სამამულო ომის წინა ხუთწლეულების პერიოდში აშენდა ზუგდიდის, კოდორის, თბილისის, ცხინვალის, მცხეთის, ახმეტისა და სხვ. სახერხი ქარხნები; არსებულ წერილ საწარმოთა ბაზაზე ბათუმში და სამტრედიოში შეიქმნა ხის დამამუშავებელი კომბინატები. ამავე პერიოდში ფართოდ ვითარდება ავეჯის წარმოებაც: 1926 წელს მწყობრში ჩადგა მარტოხის გრეხილი ავეჯისა და გავრის ავეჯის ფაბრიკები, ხოლო 1930-1932 წლებში აშენდა და ამუშავდნენ თბილისის მეორე, მესამე და მეოთხე ავეჯის ფაბრიკები.

ამრიგად, 1940 წლისათვის საქართველოს ხის დამამუშავებელი მრეწველობა საგრძნობლად გაფართოვდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი ძირითადი ფონდები 1925-1940 წლებში 30-ჯერ გაიზარდა. უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდა საქართველოს ხის დამამუშავებელი მრეწველობა სამამულო ომის შემდგომ პერიოდში.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ხის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპები 1940-1970 წწ. (პროცენტობით 1940 წელთან)<sup>6</sup>

ცხრილი 2

ხის დამამუშავებელი მრეწველობა	წ ლ ე ბ ი					
	1940	1950	1960	1965	1970	1971
სსრ კავშირი	100	137	297	379	498	526
საქართველოს სსრ	100	127	275	306	435	492

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ხის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალია და ბევრად არ ჩამორჩება საკავშირო მაჩვენებელს. 1960-1970 წლებში კი საქართველოს ხის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპი შეადგენდა 158%, ხოლო სსრ კავშირისა — 168%<sup>7</sup>.

საქართველოს ხის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია აბსოლუტურად გაიზარდა; ასე, მაგალითად: თუ 1940 წელს საქართველოში იწარმოებოდა 258 ათასი მ<sup>3</sup> დახერხილი მასალა, 1970 წელს მისი მოცულობა გაიზარდა 696 მ<sup>3</sup>-მდე და საგრძნობლად გადიდა ავეჯის გამოშვება: 1970 წელს საქართველოში დამზადებული იყო 37 მლნ მანეთზე მეტი ღირებულების ავეჯი, რაც 6-ჯერ აღემატება 1940 წლის დონეს.

<sup>5</sup> Промышленность Закавказья, стр. 98-99.

<sup>6</sup> Народное хозяйство СССР, 1922-1972. Юбил. Стат. ежегодник, М., 1972, стр. 233; საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატ. კრებული. თბილისი, 1971, გვ. 85.

<sup>7</sup> საბჭოთა საქართველოს 50 წელი, გვ. 135 და გვ. 86.

მიუხედავად ამისა, ხის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპები 1,8-ჯერ ჩამორჩებოდა საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპებს. ხის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ზრდის შედარებით დაბალმა დონემ განაპირობა მისი პროდუქციის ხვედრითი წონის შემცირება რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის მიმართ; მაგალითად: თუ 1940 წელს ხის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა 5,2%-ს შეადგენდა საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქციაში, 1970 წელს ეს მაჩვენებელი, 3,2%-მდე შემცირდა<sup>8</sup>. ამ გარემოებაზე ისიც ახდენს ვაგლენას, რომ ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმოები გაბნეულია მრავალ სამინისტროსა და უწყებას შორის. გვაქვს მონაცემები დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი 59 ასეთი საწარმოსი.

საქართველოს სსრ ხის დამამუშავებელი მრეწველობის უწყებრივი დაქვემდებარება (1971 წლის მონაცემებით)<sup>9</sup>

ცხრილი 3

სამინისტროები და უწყებები	მ.თი ხ ედრიწონა %-ით	
	საწარმოთა რაოდენობის მიხედვით	მოლანი პროდუქციის მიხედვით
1. საქ. სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი სამინისტრო	37,8	65,6
2. სსრ კავშირის გზათა მშენებლის სამინისტრო	1,6	8,3
3. საქ. სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	15,3	2,4
4. საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	5,1	1,4
5. საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	5,1	2,2
6. საქ. სსრ მშენებლობის სამინისტრო	10,1	9,1
7. საქ. სსრ სოფ. მშენებლობის სამინისტრო	3,4	1,5
8. საქ. სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო	1,6	0,8
9. საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1,6	0,2
10. საქ. სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო	1,6	0,5
11. საქ. სსრ განათლების სამინისტრო	5,1	0,6
12. ც ე ქ ა ვ შ ი რ ი	3,4	0,7
13. სკკონსერვაციის ბოსტანი	6,7	2,4
14. თბილისის აღმასკომი	1,6	4,3
ს უ ლ	100	100

როგორც მე-3 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საწარმოთა რაოდენობისა და წარმოებული პროდუქციის მიხედვით, დარგში წამყვანი ადგილი საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს უკავია; ამ სამინისტროში თავმოყრილია საწარმოთა 37,8%, რომლებიც აწარმოებენ დარგის პროდუქციის 65,6%-ს. 1971 წელს ამ სამინისტროზე მოდიოდა დაწებებული და ნათელი ფანერის, შპონისა და მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოების 100%, ავეჯის — 90,7%, პარკეტის — 70%. ამჟამად ხის დამამუშავებელი მრეწველობა წარმოდგენილია სახერხი, სამშენებლო დეტალების, ფანერის, ტარისა და ავეჯის წარმოებებით.

<sup>8</sup> იქვე, გვ.85—87.

<sup>9</sup> ცხრილი შედგენილია საქ. სსრ ცსს 1971 წლის ანგარიშებითი ფორმა «список II»-ის მასალების მიხედვით.

საქართველოს ხის დამამუშავებელი მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა 1971 წ.  
 (%-ის ჯამის მიმართ)<sup>10</sup> ცხრილი 4

ქვედარეობი	საწარმოთა რიცხვი	მთლიანი პროდუქცია	მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი	ძირით. დი. წარმოებრივი ფონდების საშუალო წლიური ღირებულება
სახერხი წარმოება	14,5	12,6	14,6	10,9
სამშენებლო დეტალების წარმოება	19,3	17,2	18,9	22,9
ფანერის წარმოება	1,5	1,4	1,1	0,7
ფეხის წარმოება	35,5	50,3	53,6	51,8
ტარის წარმოება	9,9	5,0	5,1	3,7
სხვა დანარჩენი	19,3	13,5	6,7	10,0
ს უ ლ:	100,0	100,0	100,0	100,0

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, სახერხი წარმოების ხვედრითი წონა ხის დამამუშავებელ მრეწველობაში შედარებით დაბალია. ეს გარემოება აიხსნება საქართველოში ხე-ტყის დამზადების მცირე მოცულობით, რის გამოც ჩვენს რესპუბლიკას დახერხილი მასალა სსრ კავშირის შორეული რაიონებიდან შემოაქვს.

1970 წლის მონაცემებით, საქართველოს ხის დამამუშავებელმა მრეწველობამ მოიხმარა 2,5 მლნ მ<sup>3</sup> მეტი დახერხილი მასალა, აქედან რესპუბლიკაში დამზადებული იყო მხოლოდ 696 ათასი მ<sup>3</sup>. სახერხი საწარმოს მუშაობაზე ისიც ახდენს გავლენას, რომ ეს საწარმოები ძალზე მცირე სიმძლავრისაა. საკმარისია ითქვას, რომ 1971 წლის მონაცემებით, მათი რაოდენობა 1172 შეადგენდა; ამასთან ისინი გაფანტულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამ დარგის შედარებით მსხვილი საწარმოები უშვებენ დახერხილი მასალის 50%; დანარჩენიდან ყოველ ერთ საწარმოზე წლიურად მოდის მხოლოდ 250-300 მ<sup>3</sup>, რაც საშუალო მწარმოებლურობის მქონე დანადგარს ერთი-ორი თვით დატვირთავს. გამოდის, რომ საშუალოდ ეს დანადგარები 10-11 თვის განმავლობაში მოცდენილია. მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ ეს მცირე სიმძლავრის საწარმოები ნაკლებად სპეციალიზებულია და აწარმოებენ მრავალი დასახელების პროდუქციას, რაც არა მარტო არ ქმნის პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფის შესაძლებლობას, არამედ ადაბლებს არსებული დანადგარების გამოყენების ეფექტურობას. ეს ვითარება საბოლოო ჯამში აუარესებს საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

პერსპექტივაში, 1980 წლისათვის სადირექტივო ორგანოების მითითებით გათვალისწინებულია სახერხი წარმოების ხვედრითი წონის კიდევ უფრო შემცირება 10,1—10,5%-მდე. ეს შემცირება განპირობებულია რესპუბლიკის საკურორტო და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობის ტყეების შენარჩუნების აუცილებლობით. ამასთან დაკავშირებით საქართველოში ხე-ტყის დამზადება და დაუხერხავი მასალების შემოზიდვა შემცირდება. სამაგიეროდ საგრძნობლად გაიზრდება დახერხილი მასალის შემოტანა. 1970 წლის მონაცემებით, სამშენ-

<sup>10</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცსა 1971 წლის ანგარიშებითი ფორმა C—O-ს მასალების მიხედვით.



ნებლო დეტალების წარმოებას ხის დამამუშავებელი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 17,2% ეკავა. სამშენებლო დეტალების ძირითადად აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 6 კომბინატი, რომლებმაც 1970 წელს გამოუშვეს 8,0 მლნ მან. მეტი პროდუქცია.

მეტხრე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სამშენებლო დეტალების წარმოების გადიდება, რათა დაკმაყოფილდეს როგორც სამრეწველო ობიექტების, ისე საბინაო მშენებლობის მოთხოვნილება, — კერძოდ, — პარკეტის წარმოება 1975 წლისათვის 1,4-1,5 ათას მ<sup>2</sup>-ს მიაღწევს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე მერქან-ბურბუშელოვანი ფილების გამოშვებას. ფილები მზადდება წარმოების ნარჩენებისაგან, რის გამოც შედარებით იაფია, ამასთან მეტად მოხერხებულია და სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ავეჯის წარმოებაში და მშენებლობაში. მიმდინარე ხუთწლედში, მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოების გადიდების მიზნით, გაფართოვდება ან ახალი საამქროები აშენდება თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადში“ და სამტრედიის ხის დამამუშავებელ კომბინატთან. გარდა ამისა, თელავში მიმდინარეობს მერქნის ბოჭკოს საამქროს მშენებლობა, რომელიც მერქან-ბურბუშელოვან ფილას გამოუშვებს წალმისაგან; ყოველი ამის შედეგად 1975 წელს აღნიშნული სახის ფილების წარმოება მიაღწევს 22,0 ათას მ<sup>2</sup>-ს.

პერსპექტივაში ჩვენ საპიროდ მიგვაჩნია მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოების კიდევ უფრო გადიდება, ვინაიდან 1980-1985 წლისათვის ამ სახის პროდუქციაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება ამ სახის პროდუქციის 50-52 ათასი მ<sup>2</sup>-ის რაოდენობით; ამ მიზნისათვის გარდაუვალი იქნება ახალი საამქროთა მშენებლობა რუსთავისა და ბათუმის ხის დამამუშავებელ კომბინატებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ საამქროებს იაფი ნედლეულით.

ფანერის წარმოების ესოდენ მცირე ხვედრითი წონა — 1,4% — მთლიანი პროდუქციის მიხედვით გამოწვეულია იმით, რომ ამ სახის პროდუქცია იწარმოება მხოლოდ ადგილობრივი ავეჯის მოპირკეთებისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს სულ 4 ფანერის ქარხანა, რომლებმაც 1970 წელს გამოუშვეს: ნათალი ფანერა 13,8 მლნ მ<sup>2</sup>, დაწებებული ფანერა — 2,8 ათასი მ<sup>2</sup>, შპონი — 11,3 ათასი მ<sup>3</sup>. შემდგომ კი 1975 წლისათვის ნათალი ფანერის წარმოება გაიზრდება თითქმის ორჯერ, შპონის გამოშვება მიაღწევს 15-18 ათას მ<sup>3</sup>-ს, ხოლო დაწებებული ფანერის წარმოება ლიკვიდირებული იქნება.

ამჟამად ტარის საწარმოები ხის დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა რაოდენობის თითქმის მეათედ ნაწილს შეადგენენ, მაგრამ პროდუქციის ხვედრითი წონა საკმაოდ მცირეა და 5,0%-ს არ აღემატება. სულ 1970 წელს გამოშვებული იქნა 15,3 ათასი მ<sup>3</sup> ტარის დეტალები. პერსპექტივაში ხის ტარის წარმოების ზრდას არ ექნება ადგილი, ვინაიდან, ხის შემცველების (პლასტიკური მასები, ლითონი, დაპრესილი მუყაოს) ფართოდ გამოყენებით, მცირდება ხის ტარის ხვედრითი წონა ტარის საერთო წარმოებაში.

განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ხის დამამუშავებელ მრეწველობაში ავეჯის წარმოებას, რომელიც წლითოწლობით იზრდება. ასე, მაგალითად: თუ 1960 წელს ავეჯის წარმოების ხვედრითი წონა ხის დამამუშავებელი მრეწველობის (მთლიანი პროდუქციის მიხედვით) მხოლოდ 33,1%-ს შეადგენდა, 1970 წელს ეს მაჩვენებელი უდრის 50,3%-ს, ე. ი. — საქართვე-



ლოს ხის დამამუშავებელი მრეწველობის ნახევარს. ამგვარი დიდი ხვედრითი წონა ავეჯის წარმოებისა მიღწეულია ამ ღარჯის განვითარების უფრო მაღალი ტემპებით.

საქართველოს სსრ ხის დამამუშავებელი მრეწველობის ღარჯების განვითარების ტემპები 1966—1970 წწ. (%-ით წინა წლების მიმართ)<sup>11</sup>

ცხრილი 5

მრეწველობის ღარჯები	წ ლ ე ბ ი				
	1966	1967	1968	1969	1970
საქართველოს სსრ ხის დამამუშავებელი მრეწველობა მათ შორის:					
სახერხი წარმოება	107,7	112,5	107,5	110,8	106,2
სამშენებლო დეტალების წარმოება	111,3	106,6	103,5	108,6	94,2
ფანერის წარმოება	107,9	101,3	99,2	110,3	105,7
ტარის წარმოება	104,9	102,5	114,7	103,6	102,6
ავეჯის წარმოება	104,4	108,5	104,4	105,7	101,0
ავეჯის წარმოება	111,9	108,0	108,6	111,3	106,4

როგორც ცხრილიდან ჩანს, ავეჯის წარმოების ზრდის ტემპები აღნიშნულ პერიოდში თითქმის ყოველთვის წინ უსწრებდა ყველა სახის წარმოებას და აღემატებოდა ხის დამამუშავებელი მრეწველობის ზრდის ტემპებს. 1970 წლის მონაცემებით, საავეჯო წარმოება აერთიანებდა 22 დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საწარმოს, რომელთა მთლიანმა პროდუქციამ 43,2 მლნ მანეთი, ხოლო მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის რიცხოვნებამ 6,1 ათასი კაცი შეადგინა.

ყველაზე დიდ საწარმოდ ავეჯის წარმოებაში გვევლინებიან თბილისის ავეჯის კომბინატი „განთიადი“ და ქუთაისის ავეჯის ქარხანა, რომელთა წლიური მთლიანი პროდუქციის მოცულობა 5,0 მლნ მანეთს აღემატება, ხოლო დანარჩენ საწარმოებში ავეჯის გამოშვება წლიურად 0,9-2,5 მლნ მანეთს შორის მერყეობს. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ხის დამამუშავებელ მრეწველობაში ავეჯის წარმოების კონცენტრაციის დონე ყველაზე მაღალია.

საქართველოს სსრ ხის დამამუშავებელ მრეწველურ საწარმოთა ზოგიერთი საშუალო მაჩვენებელი (1970 წლის მონაცემებით)<sup>12</sup>

ცხრილი 6

და რ გ ე ბ ი	მოდის ს შუ ლოდ ერთ ს წარმოზე		
	მთლი.ნი პროდუქცია (მლნ. მან.)	მომუშავეთა საშუალო სიბრძნე რიცხვი (კაც.)	ძირითადი ფონდების ღირებულება (მლნ. მან.)
საქართველოს სსრ ხის დამამუშავებელ მრეწველობაში მათ შორის:			
ავეჯის წარმოებაში	1,4	179	0,6
სამშენებლო დეტალების წარმოებაში	1,9	274	0,9
დანარჩენ ღარჯებში	1,0	145	0,5
დანარჩენ ღარჯებში	1,0	110	0,2

<sup>11</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცსს ფორმა C-O-ს (1966—1970 წწ) მიხედვით.

<sup>12</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცსს ანგარიშგებითი ფორმა C-O-ს მიხედვით (1970წ).



ავეჯის წარმოება მიუხედავად ზრდის მაღალი ტემპებისა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს. ასე, მაგალითად, საქართველოში 1970 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 7,7 მანეთის ავეჯი, რაც 4,6 მანეთით ნაკლებია საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე და 5,1-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ესტონეთის სსრ-ში.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია მეცხრე ხუთწლედში საქართველოს ავეჯის წარმოების ორჯერ გადიდება, რის შედეგადაც 1975 წელს საქართველოს ავეჯის წარმოება მომხმარებელს მიაწვდის 71 მლნ მანეთის პროდუქციას, ან 91%-ით მეტს, ვიდრე — 1970 წელს. ამ ამოცანის შესასრულებლად აუცილებელია არსებულ საწარმოთა გაფართოება, ახალ საწარმოთა მწყობრში შეყვანა და სიმძლავრეების მაქსიმალური გამოყენება.

### А Н Н О Т А Ц И Я

В статье рассматриваются вопросы возникновения и развития лесобрабатывающей промышленности Грузии. В ней дан анализ темпов развития, структуры и современного состояния концентрации лесобрабатывающей промышленности республики. Главное внимание уделяется перспективам развития отдельных производств данной отрасли: мебельного, лесопильного, фанерного и др.

### A N N O T A T I O N

This article deals with the questions of the beginning and the development of the timber industry. This article gives the analysis of the rate development, the structure and the modern condition of the timber industry concentration in the republic. It also gives the critical consideration of the exploitation of the large tracts of the forests in the Georgia.

The main attention in this article is paid to the future development of the beginning separate production of this branch: sawing, plywood and furniture production.

<sup>13</sup> Государственный пятилетний план развития народного хозяйства СССР на 1971—1975 годы, М., 1972, стр. 392.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



დანიშნული

მეცნიერების განვითარება რეფორმისმხარეში და პერიოდის სპეციფიკა

მეცნიერული კაპიტალი, სავაჭროსთან ერთად, მრეწველური კაპიტალის წინამორბედი. კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით კაპიტალის ეს ფორმები თანდათანობით კარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას და მათი ფუნქცია მხოლოდ მრეწველური კაპიტალის მომსახურებით განისაზღვრება. კაპიტალისტური ურთიერთობების შემდგომი განვითარების პირობებში, საქონლური კაპიტალი განცალკევდება სავაჭრო კაპიტალის სახით, ხოლო ფულადი კაპიტალი კი სასესხო კაპიტალის სახით. მეცნიერული კაპიტალს ცვლის სასესხო კაპიტალი. თუ მეცნიერული კაპიტალი კაპიტალიზმამდელმა ფორმაციებმა წარმოშვეს, სასესხო კაპიტალი კაპიტალისტური წარმოების წესის პირმოა. შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და გაცვლის განვითარება, საკუთრების გაჩენა და ქონებრივი უთანასწორობის აღმოცენება, მეცნიერული კაპიტალის წარმოშობის საერთო საფუძველი იყო. მეცნიერება, დაწყებული პირველყოფილი თემური წყობილებიდან, რომლის დაშლაშიც იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ფართო გასაქანს პოულობს კაპიტალიზმამდელ ფორმაციებში. კარლ მარქსი აღნიშნავს, რომ მეცნიერული კაპიტალის არსებობისათვის მხოლოდ ერთი რამაა საჭირო „პროდუქტების ერთი ნაწილი მაინც საქონლად იყოს ქცეული და სასაქონლო ვაჭრობასთან ერთად ფული მის სხვადასხვა ფუნქციაში იყოს განვითარებული“<sup>1</sup>. ამდენად, მეცნიერული კაპიტალის განვითარება სავაჭრო და, სპეციალურად, ფულად — სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთანაა დაკავშირებული.

მეცნიერება მე-19 საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც მანამდე, ორი მისთვის დამახასიათებელი ფორმით იყო წარმოდგენილი: 1) მეცნიერება წვრილმწარმოებელთა (გლეხის, ხელოსნის, შინამრეწველის) მიმართ და 2) მეცნიერება ფეოდალ-მემამულეთა, მფლანგველი არისტოკრატის მიმართ. ორივე შემთხვევაში მეცნიერება ანადგურებს თავის მსხვერპლს და იწვევს დიდძალი ფულადი კაპიტალის კონცენტრაციას მეცნიერება ხელში.

კ. მარქსი აღნიშნავს „... თუ რამდენად სობს ეს პროცესი ძველ წარმოების წესს... და აყენებს თუ არა იგი მის ადგილას კაპიტალისტური წარმოების წესს, ეს საკვებით ისტორიული განვითარების საფეხურზე და მასთან დაკავშირებულ გარემოებაზე არის დამოკიდებული“<sup>2</sup>. მეცნიერების მიზანი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის ფეოდალური წარმოების წესის შეცვლა, იგი ხელუხლებელს ტოვებს მას, თუმცა მაინც ასრულებს რევოლუციურ როლს, რამდენადაც არღვევს ფეოდალურ საკუთრებას (ანადგურებს წვრილგლეხურ და წვრილბურჟუაზიულ საკუთრებას) და სობს ყველა იმ ფორმას, როდესაც მწარმოებელი ჯერ კიდევ მესაკუთრეა თავისი წარმოების საშუალებებისა.

ამრიგად, მეცნიერება ფეოდალურ ფორმაციაში ანადგურებს და არღვევს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე საფუძველზე და ერთსა და იმავე ფორმაში აღწარმოებაზე „დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება“.

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ., II, თბ., 1945, გვ. 124.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 125.

საქმე ისე მიდის, რომ მევახშე თვითონ ხდება მემამულე, იგი, ვიღაც „სასტიკი და გულხარბი ვიგინდარა“, იქერს ფეოდალ-ექსპლოატატორის ადვილს. მაგრამ წარმოების წესი მიიწვდის არ იცვლება. კ. მარქსის შესანიშნავი თქმით, „სავაჭრო კაპიტალს ახასიათებს ექსპლოატაციის წესი კაპიტალისა, მისი წარმოების წესის უქონლად“<sup>3</sup>. კაპიტალისტური კრედიტის დროს გასესხებული ფული ორივე მხარისათვის კაპიტალს წარმოადგენს, მევახშეობის დროს კი იგი მხოლოდ გამსესხებლისათვისაა კაპიტალი.

მევახშური კრედიტი უზომო სარგებლის საშუალებით ანადგურებს სესხის ამღების მეურნეობას. გარდა ამისა, მევახშეობის დროს ადგილი აქვს ფულის არა როგორც კაპიტალის, არამედ როგორც ყიდვისა და გადახდის საშუალების სახით გასესხებას, რაც სასტიკად ამუხრუჭებს სავაჭრო და სასესხო კაპიტალის განცალკევებისა და მრეწველური კაპიტალის წარმოშობა-განვითარების პროცესს. მევახშე იმდენად გაუმაძღარია, რომ, ათასგვარ კანონმდებლობათა მიუხედავად, მევახშური სარგებლის მტკიცე ნორმები მისთვის არასოდეს არ არსებულა.

კ. მარქსი აღნიშნავს, რომ „მევახშემ სხვა ზღუდე არ იცის, გარდა ფულის მსაჭიროებელთა გადახდის უნარისა ან მათი წინაღმდეგობის უნარისა“<sup>4</sup>. ფულის როგორც გადახდის საშუალების ფუნქციამ, მით უფრო გადასახადთა კომუტაციის შემდეგ, მევახშეს არანახული სარფი მოუტანა; იგი განუკითხავად ზრდიდა სარგებელს. მევახშეობის შესაზღუდავად დგებოდა მთელი რიგი კანონმდებლობითი აქტები და კანონები პროცენტის დაღვენისა და შემცირების მიზნით, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მიიწვდის ახლად წარმოშობილ კაპიტალიზმს უნდა ეთქვას.

კ. მარქსი აღნიშნავს, რომ „ეს გააფთრებული ბრძოლა მევახშეობის წინააღმდეგ, ეს მოთხოვნა, რომ სარგებლის მომცემი კაპიტალი დაექვემდებაროს სამრეწველო კაპიტალს, იმ ორგანულ მოქმედებათა წინამორბედია, რომელთაც კაპიტალისტური წარმოების ეს პირობები განახორციელებს საბანკო წყობილების სახით“<sup>5</sup>. საბანკო სისტემის განვითარება, ახერხებს რა უმოქმედო ფულის კონცენტრაციასა და მის გადასროლას ფულის ბაზარზე, საბოლოოდ, ართმევს მევახშეობას მონოპოლიურ მდგომარეობას. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ „საკრედიტო საქმის განვითარება წარმოსდგება როგორც რეაქცია მევახშეობის წინააღმდეგ“<sup>6</sup>.

ასეთია მევახშეობის არსი, რომელიც მე-19 საუკუნის ფეოდალურ საქართველოში ზუსტად იმავე ნიშნებით ხასიათდებოდა.

პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ „მევახშეობამ ჩვენში უდიდესი როლი ითამაშა, როგორც წვრილი მწარმოებლის, ისე თავადაზნაურული არისტოკრატის გაღატაკებისა და გაჩანაგების და ამდენადვე საერთოდ ფეოდალურ-პატრიარქალური საკუთრების დარღვევის საქმეში; მაგრამ იგი (მევახშეობა) უძღური იყო იმისათვის, რომ გამოეწვია შეცვლა არსებული წარმოების წესისა — ფეოდალურ ურთიერთობათა, — თუმცა ამასთანავე სულ

<sup>3</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 128.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 129.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 134.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 131.

უფრო სასტიკს და აუტანელს ხდიდა ამ ურთიერთობათ უშუალო მწარმოებელთა ექსპლოატირებული მასებისათვის<sup>7</sup>.

მე-19 საუკუნის სვანეთშიც, მით უფრო რეფორმისმერმინდელ პერიოდში, მევახშეობის განვითარება იმავე კანონზომიერებით ხასიათდებოდა, როგორც ბარის საქართველოში. საერთოდ, მევახშეობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს<sup>8</sup>.

პროფ. პ. გუგუშვილი ამის ნათელსაყოფად აღნიშნავს, რომ „მე-18 საუკუნის და უფრო ადრინდელი ჩვენი იურიდიული ძეგლების გვერდაუხვევლობა ამ მხრივ ნათელი გახდება, როდესაც მკითხველს მოვავაგონებთ, რომ ჩვენში მე-19 საუკუნის თითქმის მთელ რეფორმამდელ პერიოდში სამოქალაქო საქმეების სფეროში, მცირეოდენი დამატება-შესწორებებით, თვითმპყრობელობის მიერ დატოვებული იყო ძველი ქართული კანონმდებლობა, კერძოდ ვახტანგ VI-ის კანონთა სამოქალაქო ნაწილი და ადრინდნვე განმტკიცებულ-ჩამოყალიბებული ადათობრივი სამართალი, რომელიც ცარიზმის ხელისუფლების ბრძანებით ჩაიწერა 1808-1814 წწ. და რუსულად ნათარგმნი დაკანონდა როგორც ვახტანგის სამოქალაქო ნაწილის უშუალო დამატება ანდა შესწორება“. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ დასაბამიდან საქართველოს განუყოფელ ნაწილში — სვანეთში (მეფეთა კანონების რეალიზაციისა და ადათობრივი სამართლის კლასიკურ კუთხეში) მევახშური კრედიტის ფორმები, ამ უკანაქნელის განვითარების მთელ მანძილზე, საქართველოს ბარის ერთბაშე იყო. პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ ფეოდალურ საქართველოში კრედიტი ჩანასახურ ფორმებში ვითარდებოდა. რამდენადაც ფულადი მეურნეობა საკრედიტო მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს, კრედიტის საქმის, ე. ი. ფულით ვაჭრობის განვითარება საქონლით ვაჭრობის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა. ფეოდალურ წარმოებრივ ურთიერთობათა ნიადაგზე ასე თუ ისე განვითარებული ვაჭრობა ცხადია ჩვენშიც (საქართველოში — დ. ო.) ჰქმნიდა პირობებს უმარტივესი და მარტივი ფორმის კრედიტის გაჩენისათვის — იმ კრედიტისა, რომელსაც განვითარება შეუძლია მარტივ საქონლურ მეურნეობაშიც<sup>9</sup>.

პროფ. პ. გუგუშვილისავე ცნობით, „...კერძო პირთა (ვაჭართა) ხელში კომერციული თაოსნობით, ე. ი. სავაჭრო ოპერაციებით მიღებულ მოგებათა გზით, ამიერკავკასიაშიაც იმდენად მნიშვნელოვანი სიმდიდრის დაგროვება ხერხდებოდა, რომ იგი (ვაჭრული კაპიტალი) თავისი სიდიდის მიხედვით ძალიან უახლოვდება იმდროინდელ, კერძოდ XII—XIII სს იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში... და რამდენადმე შეგვიანებით საერთოდ დას. ევროპაში მიმდინარე შესაბამის მოვლენებს“<sup>10</sup>. ცხადია, ვაჭრობის მეოხებით მიღებული კაპიტალი, მისი წარმოებაში დაბანდების მოუხერხებლობის გამო, მევახშურ კაპიტალად იქცეოდა, ხოლო მისი მფლობელი, მალასარგებლადანი კრედიტის მეოხებით, ისაკუთრებდა ფეოდალთა ადგილ-მამულებს ყმებიანად. ამდენად, მევახშური კაპიტალის დამშლელი და გამომფიტველი გავლენა ფეოდალური წარმოების წესის მიმართ მეტად მნიშვნელოვან როლს თამა-

<sup>7</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, ტ. II, თბ., 1956, გვ. 188.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 114—187.

<sup>9</sup> პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 118.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 144.

შობდა საქართველოში. იგი არა თუ სავსებით იმორჩილებდა ეკონომიკურად მოვალეს (წვრილმწარმოებელს) და მიჰქონდა მთელი მისი ზედმეტი და ხშირად აუცილებელი პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ პირად თავისუფლებასაც კი უპარგავდა მას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მევახშეობას და მევახშურ კაპიტალს თვით მე-19 საუკუნეშიც არ უთამაშია საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა საბოლოოდ დამარღვევი რევოლუციური როლი. შეიძლება ითქვას, რომ იგი მის კონსერვირებას უფრო ემსახურებოდა. საერთოდ, მევახშეთა კლასი კომერციული თაოსნობის ადამიანებს აერთიანებდა, მაგრამ არსებული სინამდვილე და მეურნეობრივი თაოსნობის ყველა დარგში მოგების ნორმის დაბალი დონე კრედიტის სარგებელთან შედარებით მაინც არ ქმნიდა პირობებს მევახშური კაპიტალის მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში გადასვლისათვის, თუმცა ამის თქმაროდი ნიშნავს აღნიშნული პროცესის განვითარების აბსოლუტურად უგულვებელყოფას, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მევახშეობა ფანტასტიკურ ხასიათს ღებულობდა სხვადასხვა სტიქიური უბედურებების დროს. საქართველოში და, მით უფრო, სვანეთში — მოუსავლიანი წლები (შიშმილობა), ადამიანებში სხვადასხვა სახის ეპიდემია და საქონლის ჭირი — მევახშეთა აყვავებას იწვევდა. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ თვით რეფორმისმერმინდელ პერიოდშიც კი მევახშური კაპიტალი, სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა შორის, დიდად უწყობდა ხელს ადამიანებით ვაჭრობას<sup>11</sup>. შიშმილისაგან სიკვდილის შიშით ოჯახი (დედა) იძულებული ხდებოდა თავისი წევრი (შვილი) მონად მიეყიდა მევახშისათვის.

ეფიქრობთ, „თავისუფალ“ სვანეთში შინაყმათა არსებობა, სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან ერთად, მევახშური კაპიტალის თარეშის შედეგიც უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ მევახშეობას ფართოდ ეწეოდა ეკლესიაც. მევახშეობა განვითარებული იყო საეკლესიო გლეხთა შორისაც, რომელთა „მფარველადაც“ (მევახშეთა მიერ მათი დაკაბალების შემთხვევაში) ღმერთის ნიღაბს ამოფარებული დიდი მევახშე — ეკლესია — გამოდიოდა.

გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ საეკლესიო გლეხებზე არანაკლებ იყვნენ მევახშეთა ქსელში გაბმული სვანეთის სახაზინო და საბატონო ყმა-გლეხებიც. მევახშეებს თვით თავდაზნაურობაც უხდოდა ხარკს. მართალია ეს უკანასკნელი მევახშის ვალს ყმა-გლეხის ექსპლოატაციის უკიდურესი ზრდით ფარავდა, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით მევახშე მაინც აჩერებდა ფეოდალ-არისტოკრატთა ადგილ-მამულის ხელში ჩაგდებას. ქართველ ფეოდალთა გულისტივილი ყოველივე ამის გამო ნათლად არის გამოთქმული თბილისის გუბერნიის მარშლის დიმიტრი ყიფიანის მიერ გლეხთა განთავსუფლების საკითხის გამო მათთვის დაგზავნილ ანკეტებზე 1863 წელს გაცემულ პასუხებში. ანკეტაში ასეთი შეკითხვაც იყო: ითხოვდნენ თუ არა თავად-აზნაურები ყმათა გათავისუფლებისათვის ფულს ხაზინისაგან და თუ ითხოვდნენ რა ანგარიშით და მიზეზით?<sup>12</sup> პასუხები, რა თქმა უნდა, ერთტიპიური იყო:

<sup>11</sup> ვრცლდ იხ. პ. გუგუშვილი, ტყვეებით ვაჭრობა საქართველოში, ჟურნ. „მ. თბიბი“, 1938, №№ 10, 11.

<sup>12</sup> ვრცლდ იხ. პ. გუგუშვილი მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 196-200.

ყმათა გათავისუფლებისათვის ხაზინისაგან საფასურის მოთხოვნის მიზეზად ყველა ასახელებდა მევახშეთა და სხვადასხვა საკრედიტო უწყებათა აუტანელ ვალებს.

რეფორმისმერმინდელ ხანაში თავადაზნაურულ წრეებში და, საერთოდ, საქართველოში ევროპული ცხოვრების ფართოდ შემოჭრის შედეგად (ფუფუნება, მოღურის სამოსი, ნაღიმები, ქრთამები და ყოვლად უსაქმური ცხოვრებისათვის „შინაარსის“ მიცემა) გაიზარდა მოთხოვნილება ფულზე, რამაც უფრო ფართო გასაქანი მისცა მევახშეობის განვითარებას და ხელი შეუწყო გლეხთა და თავადაზნაურთა მიერ ადგილ-მამულის მეტი რაოდენობითა და სიჩქარით დაკარგვის პროცესს.

მევახშეები, თუმცა მოხერხებულად და „მშვიდობიანად“, მაგრამ დაუნდობლად ფტქენდინენ თავადაზნაურობას, ამიტომაც ეს უკანასკნელნი მზად იყვნენ ნებისმიერ შემთხვევაში დაედვარათ მათი სისხლი. ასეც ხდებოდა. ამბის მომსწრეთა გადმოცემით ირკვევა, რომ რეფორმისმერმინდელი პერიოდის სვანეთში, თავადაზნაურობა უკვე გახლართული იყო ვაჭარ-შემსყიდველთა და მევახშეთა ვალეზში.

ქვემო სვანეთში (სოფ. ვახუნდერი) 1909 წელს გ. ონიანმა გახსნა დუქანი. საქმე იქამდე მივიდა, რომ მან დუქანი საკრედიტო ორგანიზაციად აქცია და ხალხით დაიწყო ნასიად ვაჭრობა, აგრეთვე გლეხებზე და თავადაზნაურობაზე ფულის გასესხება მაღალი სარგებლით. გ. ონიანმა მოახერხა ქვემო სვანეთის თავად გარდაფხაძეთა „მშვიდობიანი“ გზით დაკაბალება. ერთხელაც მას „თავაზიანად“ უთხოვია ვალის გადახდა, მასთან საქეიფოდ მისულს. გარდაფხაძისათვის (თავად გარდაფხაძეთა გვარის უკანასკნელი წარმომადგენლისათვის), თუმცა დარწმუნებული ყოფილა, რომ იგი ვერ შესძლებდა ვალის დაფარვას, რის გამოც იძულებული გახდებოდა მიეცა მისთვის თავისი დარჩენილი მამულის ნაწილი. განრისხებულს. გარდაფხაძეს კაღვრებულ ჩაუთვლია ვიღაც ვიგინდარა მედუქნისაგან ვალის დაფარვის საჯარო მოთხოვნა და იგი სიკვდილით დაშუქრება მას ს. გარდაფხაძეს მართლაც გაუფხავნია იმავე დამეს გ. ონიანის მოსაკლავად შვილი და ძმისშვილი, რომელთაც სროლა აუტეხიათ დუქანში მყოფი მედუქნისათვის და, როდესაც ონიანს სროლითვე უბასუნხია მომღღურნი გაქცეულან<sup>13</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ მევახშეობის აყვავებას დიდად შეუწყო ხელი სახელმწიფოს მიერ ნატურალურ გადასახადთა კომუტაციამ. ცხადია, აღნიშნულმა მოვლენამ ქართველ გლეხობაში და, საერთოდ, მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც აქ ჯერ კიდევ დაბალ დონეზე იღვა კომერციული რეწვა, რის გამოც ქვეყანა მეტად ღარიბი იყო ფულით. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი საქართველოში კომუტაციის საკითხთან დაკავშირებით წერს: „რა თქმა უნდა, ნატურალური გადასახადის ფულადი დაბეგვრით შეცვლას თავისთავად მოსახლეობის ფართო მასისათვის, გლეხობისათვის, არც ბაზარი გაუდიდებდა და არც ფულის შოვნა გაუადვილებია, მაგრამ ეს ფაქტი მით არის მნიშვნელოვანი, რომ მან იძულებული გახდა ხალხი გაცვლა-გამოცვლისათვის, საბაზრო წარმოებისათვის მეტი ყურადღება მიექცია და ამით კარჩაკეტილი მეურნეობის კედლები გაერღვია“<sup>14</sup>. სვანეთის მოსახლეობა ყოველთვის ამჯობინებდა გადასახადთა ფულით დაფარვას. ცხადია ეს გამოწვეული იყო სასტიკი მცირემიწიანობითა და მარცვლეული პროდუქტების მწვავე ნაკლებობით, რის გამოც ისინი იძულებულნი იყვნენ, თვითონ ეყიდნათ

<sup>13</sup> ცნობა მოგვწოდდა ს. ონიანმა, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა.  
<sup>14</sup> ფ. გოგიჩაიშვილი, საქართველოს ეკონომიური განვითარება მე 19 ს., ქუთ. „კვალი“, 1902, №№ 49, 50.

ბარში მარცვლელული პროდუქტები. მართალია, სვანები ფულს უფრო გარე საშოვარზე გასვლით შოულობდნენ, მაგრამ გადასახდლთა კომუტაცია მინც ავღლებდა მათ მევახშეთა ბრჷყალუბში.

მევახშეობის შემდგომ აყვავებას ღიდად უწყობდა ხელს ღროებითვალღებულ გლუხთა ნადელების გამოსყიდვისადმი მისწრაფება. ცნობილი ფაქტია, რომ ხელისუფლებას არავითარი დახმარება ან შეღავათი არ გაუწევია ქართველი გლუხობისათვის ნადელების გამოსყიდვის საქმეში, რის გამოც ისინი იძულებულნი იყვნენ, მიემართათ „მზრუნველი“ მევახშეებისათვის, რომლებიც, საბოლოო ანგარიშში, თვითონ იგდებდნენ ხელთ მათ ნადელებს — როგორც საბატონოს, ისე სახაზინოს, — ხოლო ნადელის გამოსყიდვას ესოდენ მოწადინებულ გლუხაკს კი ღამის გასათევი ადგილიც კი არა რჩებოდა. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ამ მხრივ სვანეთშიაც.

გ. ონიანი სესხულობს ორიოდ გროშს მევახშე მღვდლისაგან ე. ონანისაგან და სოფ. ქ. ხუნდერში (ქვემო სვანეთი) ხსნის დუქანს, იგი ვაჭრობს ნისიად და აძლევს სესხს გლუხობასა და თავაღაზნაურობას მაღალი სარგებლი. ა. გ. ონიანი ყოველნაირი ხერხით ცდილობს გლუხთა დაკაბალუბას, რომლებიც ფულს სესხულობენ მისგან ნადელის გამოსყიდვად; ხდება კი პირიქით: მღვდლუნე გ. ონანი, გასესხებული თავნას მაღალი სარგებლის მუშეობით, თვითონვე იგდებს ხელში მათს ნადელებს. გარდა ამისა, იგი იმდენ ფულსაც აგროვებს, რომ ახერხებს ღამხეთის სოფლის საზოგადოებაში უზარმაზარი ტერიტორიის, ე.წ. „შარის“ ყიდვას თავისი ტყით, სახნავი მიწითა და საძოვრებით. გ. ონიანს მეწარმის ნიჭიც აღმოაჩნდა და მოახერხა თავისი კაპიტალის გადასროლა მიმოქცევის (მევახშეობის) სფეროდან — წარმოების სფეროში, რისთვისაც კაპიტალის ნაწილს აბანდებს ხე-ტყის მრეწველობაში. იგი იწყებს მდინარე ცხენისწყალზე ხე-ტყის დაცურებას საქილაოში (სოფ. მარანი) ი. ოჭრამჭედლიშვილის (სერებრიაყვიის) ყოფილი სახერხი ქარხნისათვის, რომელიც იმხანად იტალიელთა ხელში იყო.

როგორც ცნობილია, შინამრეწველობის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს წარმოების პერიოდისა და სამუშაო ღროის ერთმანეთისაგან დაშორება. ასეთ პირობებში მიწომოქმედების დამატების სახით წარმოიქმნება სოფლური დამხმარე მრეწველობა, — ე. წ. შინამრეწველობა, — რომელიც კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პროცესში საიმედო დასაყრდენად გადაიქცევა იქ პირველად ვაჭრის სახით შექრილი კაპიტალისტისათვის.

გ. ი. ლენინი ასხვავებს რა წვრილ სარეწვევებში სავაჭრო კაპიტალის ძირითად ფორმებს, აღნიშნავს, რომ სავაჭრო კაპიტალის ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა არის მისი შეერთება მევახშეობასთან<sup>15</sup>. ვაჭარი კაპიტალისტი თავდაპირველად შუამავლის როლში გამოდის სოფლის შინამრეწველთა პროდუქციის რეაგულარულად შესყიდვას და ამ უკანასკნელის უფრო ფართო ბაზარზე გასაღებას. ვაჭარი კაპიტალისტი შემსყიდველი ხდება, რომელიც ამავე ღროს მევახშეობასაც ეწევა. იგი სოფლის შინამრეწველს სესხად აძლევს ფულს, ნედლეულსა და მასალებს მზა ნაწარმის წინასწარ დაწესებულ დაბალ ფასებში მისთვის მიყიდვის პირობით. ვაჭარი კაპიტალისტი, ეს შემსყიდველი — მევახშე, თანდათანობით იქცევა ჩამომრიგებლად და სოფლის შინამრეწველებს წარმოების საშუალებებსაც კი აწვდის, რითაც თიშავს მათ წარმოებისაგან და, წარმოების საშუალებებზე საკუთრების უფლების მეოხებით, თვით ექცევა წარმოების სათავეში. რეფორმისმერმინდელი პერიოდის სვანეთში,

<sup>15</sup> გ. ი. ლენინი, ოხს., ტ. 3, გვ. 429.



შემსყიდველები და ადგილობრივი მედუქნეები გლეხებსა და მემამულეებს სესხად აღევდნენ ფულს შომავალი წლის მოსავლის წინასწარ დაწესებულ დაბალ ფასებში მათთვის მიყიდვის პირობით. ისინი მათ მოთხოვნილ თანხაზე მეტსაც ასესხებდნენ ხოლმე, რათა ვერ შესძლებოდათ ვალის გადახდა დათქმულ ვადაზე და, სარგებლის ზედშეკვეცის მეოხებით, ხელში ჩაეგდოთ მათი მეურნეობები.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ „გლეხების დამოკიდებულება ფულის პატრონთაგან აუცილებლად ლეზულობს კაბალის ფორმას. ისე, როგორც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ განვითარებული კაპიტალიზმი, თუ არ არის მსხვილი-სასაქონლო-სავაჭრო და ფულად-სავაჭრო კაპიტალი, სწორედ ასევე წარმოუდგენელია წინაკაპიტალისტური სოფელი, თუ იქ არ არის წვრილი ვაჭრობი და შემსყიდველები, რომლებიც წვრილი ადგილობრივი ბაზრების „ბატონ-პატრონებს“ წარმოადგენენ“, რამდენადაც კაპიტალისტური ურთიერთობების შემდგომი განვითარების პროცესი „წინაკაპიტალისტურ“ სოფელშიაც აყალიბებს და აბატონებს კაპიტალისტური წარმოების წესს, ამდენად „კაპიტალიზმი თავს უყრის ყველა ამ ბაზარს, აერთებს მათ დიდ ნაციონალურ და შემდეგ მსოფლიო ბაზრად, არღვევს კაბალისა და პირადი დამოკიდებულების პირველყოფილ ფორმებს, ღრმად და ფართოდ ავითარებს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ჩანასახი ფორმით უკვე არსებობენ თემურ გლეხობაშიაც, — და ამნაირად ამზადებს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრას“<sup>16</sup>.

საქართველოში (ისევე, როგორც ევროპასა და რუსეთში) მრეწველობის განვითარებამ არაჩვეულებრივად გაზარდა ვაჭრობა. კაპიტალიზმის განვითარებამ და ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებამ ვაჭრობას აქ ფართო გასაქანი მისცა. „... მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად უმაგალითო სისწრაფით ხდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრის გაფართოება და სავაჭრო მიმოქცევის ზრდა, ჩნდება მრავალი საკრედიტო დაწესებულება, იზრდება ფულის ტრიალი, ვაჭრობაში ებმება საქართველოს ყველაზე მიყრუებული კუთხეებიც კი“<sup>17</sup>.

სვანეთში, თვით რეფორმამდელ პერიოდშიაც კი, ვაჭრობა საგრძნობლად იყო ფეხმოკიდებული. პროფ. მ. დუმბაძის დაკვირვებით, დადემუქელიანებს „გარკვეული ფულადი შემოსავალი უნდა ჰქონოდათ აგრეთვე ლახამულელი ვაჭრებისაგანაც“<sup>18</sup>. რეფორმისმერმინდელი პერიოდის სვანეთში აღინიშნება ვაჭრობის შედარებით სწრაფად განვითარება. აქ ამ საქმეს პირველ ხანებში ძირითადად გარედან მოსული პირები (ებრაელები და სომხები) აწარმოებდნენ. აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის საქმეში თანდათან ებმებიან ადგილობრივი მკვიდრნიც. ს. კეკელიძე გადმოგვცემს, რომ „სვანებმა ვაჭრობა, მეფახშეობა... ისწავლეს, ვაჭრობასა და მეფახშეობაში დახელოვნდნენ მთელი რიგი სვანები და ხელობად გადაიქციეს...“<sup>19</sup>.

ამის მომსწრეთა გადმოცემით, ზემო სვანეთში ვაჭრობას ეწეოდნენ: გ. ხარძინი, ვ. მარგველაძე, გ. ზვისტანი, ლ. კორძია, ლ. იოსელიანი, გ. დედოფანი, მ. ჭაღლა, ი. ჭაღლა გ. წუ-

<sup>16</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 448.

<sup>17</sup> პ. რატანი, ა. კიკვიძე, ი. კაპარავა, ა. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, ტ. II, აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 82.

<sup>18</sup> მ. დუმბაძე, დასავლეთი საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 118.

<sup>19</sup> ს. კეკელიძე, ზემო სვანეთი, ვახ. „მწყემსი“, 1915, № 15, 16.

ლუკიანი და სხვა.<sup>20</sup> მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქვემო სვანეთში ადგილობრივი ვაჭრები გ. ონიანი, ე. ლობჯანიძე, ნ. ფარჯიანი, გ. მუშველიანი, ე. კობალიანი, ჯ. ხაბულიანი და სხვები ხსნიან დუქნებს და კონკურენტის უწევენ აქ სავაჭროდ მოსულ ლილიაშელ ებრაელებს და სომხებს.<sup>21</sup>

ყოველივე ამან, როგორც წესი, დიდად შეუწყო ხელი რეფორმისმერმინდელი პერიოდის სვანეთში მევახშური კრედიტის ფორმების განვითარებას. მევახშური კაპიტალის მოძრაობის ფორმას მევახშური კრედიტი წარმოადგენს. ქვემო სვანეთში (ყოფილი სადადიანო სვანეთი) მევახშური კრედიტის სარგებლის დონე საშუალოდ 30% იყო. აქ გასესხების აქტი თამასუქით (გექსილით) ფორმდებოდა. გადახდის ვადის გასვლის შემთხვევაში ხდებოდა სარგებლის ზედშეკაცვა. სესხად გაიცემოდა აგრეთვე მარცვლეული და პირუტყვი. აქ სარგებლის დონე 50%-მდე აღწევდა. შედარებით მაღალი იყო სარგებლის დონე ზემო სვანეთში. აქ იგი 50% და ხშირ შემთხვევაში მეტიც იყო.

როგორც ვხედავთ, სვანეთში მევახშური კრედიტის სარგებლის დონე, საქართველოს ბარის რაიონებთან შედარებით, გაცილებით დაბალი იყო, რაც, რათქმაუნდა, ქვეყნის ამ ნაწილში საქონლურ-ფულადი ურთიერთობების, ვაჭრობის (კომერციული თაოსნობის) და საერთოდ, ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონით იყო გამოწვეული.

მიუხედავად ამისა, სტიქიური უბედურებები, გადასახადთა კომუტაცია, შემსყიდველ-მევახშეთა გაჩენა, დუქნის საკრედიტო ორგანიზაციად გადაქცევის ფაქტი, მევახშეობის სხვა ფორმების განვითარება და, საერთოდ, კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრებისათვის საჭირო წინამძღვარების მომზადების ტენდენცია, — აქაც ფართო ნიადაგს უმზადებდა მევახშეობის სწრაფად განვითარებას, თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც აღვნიშნეთ გარკვეულ დრომდე ფეოდალურ ურთიერთობათა კონსერვაციას უფრო ემსახურებოდა.

მევახშურ კაპიტალს ორადი ბუნება აქვს: ერთი მხრივ, იგი რეკოლუციურ როლს ასრულებს, რამდენადაც გარკვეული ზომით არღვევს წარმოებისა და საკუთრების ძველ ფორმებს; ე. ი. ანადგურებს ფეოდალურ საკუთრებას, წვრილგლეხურ და წვრილბუტყუაზიულ საკუთრებას, სობს ყველა იმ ფორმას, როდესაც მწარმოებელი ჯერ კიდევ მესაკუთრეა თავისი წარმოების საშუალებებისა, აქცევს მათ დაქირავებულ მუშებად და ახდენს ფულადი ქონების ცენტრალიზაციას, აჩქარებს წარმოების საშუალებებისაგან უშუალო მწარმოებელთა გათიშვის პროცესს, აღრმავებს სოციალურ დიფერენციაციას, რითაც ხელს უწყობს კაპიტალისტური წარმოების წესის წინამძღვრების მომზადებას და, მეორე მხრივ, რამდენადაც მევახშეობის დროს ადგილი აქვს ფულის არა როგორც კაპიტალის, არამედ როგორც მხოლოდ ყიდვისა და გადახდის საშუალების სახით გასესხებას, რაც სასტიკად აფერხებს სავაჭრო და სასესხო კაპიტალების წარმოშობა-განვითარების პროცესს, გარკვეულ დრომდე ამუხრუტებს კაპიტალისტური ურთიერთობების აღმავლობას, თამაშობს კონსერვატორის როლს, რადგანაც იგი დაინტერესებულია არსე-

<sup>20</sup> ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967, გვ. 149.

<sup>21</sup> ცნობა მოგვაწოდა ს. ონიანმა.

ბული წარმოების წესის შენარჩუნებაში, რომელიც უზრუნველყოფს მისთვის დიდ შემოსავალს.

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ „კულაკები, რამდენადაც მე ვხედავ, იმას ამჯობინებენ, რომ გლეხი თავიანთ კლანჭებში იყოლიონ, როგორც ექსპლოატაციის საგანი, ვინემ გააჩნავონ იგი ერთხელ და სამუდამოდ და შეიძინონ მისი კუთვნილი მიწა. აქედან მე ვასკენი, რომ რუსი გლეხიც იქ, სადაც იგი საჭირო არაა მუშად მეზობელ ფაბრიკასა თუ ქალაქში, ასევე ძალიან გამძლეა და ასევე დიდხანს და შეუპოვრად შეებრძოლება სიკვდილს“<sup>22</sup>.

მევახშეობის ეს ორადი ხასიათი ანალოგიურადაა გამოკვეთილი საქართველოშიც. ჩვენებური კულაკი-მევახშე არჩევდა ნელ-ნელა გამოეფიტა გლეხის მეურნეობა ვიდრე მისი მიწა ერთბაშად ჩაეგდო ხელში, რადგანაც ამ გზით იგი უფრო მეტს ღებულობდა. გლეხი კულაკ-მევახშეს მოუსავლიან წლებშიც უხდიდა მაღალ სარგებელს, მაშინ როცა მიწას დაპატრონებული მევახშე ვერაფერს მიიღებდა და, ამას გარდა, გლეხის საკუთრებაში მიწის დატოვებით, იგი თავიდან იცილებდა მეწარმეებრივ ფუნქციებსაც. ასეთი ტენდენცია შეუნელებლად მიმდინარეობდა რეფორმისმერმინდელ წლებშიც: კულაკები ხდებიან შემსყიდველები, ხსნიან ღუქნებს, — რათა კიდევ უფრო გაბატონდნენ სოფელში. მაგალითად, გაზეთ „თემის“ ჯავახიანი კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ აქაური გლეხობა „მთელი თავისი ქონებით და წარმოებით ეკუთვნის მეღუქნეებს და მიკიტნებს“<sup>23</sup>. რაჭიდან იუწყებოდნენ, რომ „ყოველნაირი ჩარჩი, სპეკულიანტი ამ კუთხეს დაპატრონებია და შეუბრალებლად ყვლეფს მას“<sup>24</sup>. გაზეთ „თემის“ კორესპონდენტი კახეთიდან იუწყებოდა, რომ აქაური მევენახე გლეხები ახლა უფრო იყო ჩავარდნილი კულაკებისა და მევახშე-სირაჯთა ვალებში, ვიდრე ოდესმე“<sup>25</sup>.

პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ „საერთოდ სოფლის ღუქანს ამიერკავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დამკვირვებელი ერთხმად ახასიათებენ, როგორც „ჭვეყნის ტიპიურ კუთვნილებას“; იგი „რალაც საერთოა სოფლის ტრაქტირსა და ფუნდუქს შორის“. ღუქანში მგზავრს შეეძლო ემოვნა თავშესაფარი; აქ ყოველთვის მოიპოვებოდა სოფლის მოთხოვნილების საგანთა უმრავლესობა, დაწყებული ღურსმნითა და გათავებული არაყით, ჩურჩხელით, თამბაქოთი და საქალამნე ტყავით. ღუქნის ასეთი სახე ჩვენში გარკვევით ყალიბდება მე-19 საუკ. დასაწყისიდანვე. ალ. დიუმა (მამა), რომელმაც ამიერკავკასიაში იმოგზაურა 1858-1859 წწ., ავიწერს დაბა მარანში არსებულ ტიპიურ „სასტუმრო-ღუქანს“<sup>26</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ღუქანის საქართველოს სოფლებში იშვიათობას წარმოადგენდა და თანაც ღარიბი იყო შემოტანილი საქონლით. იმავე საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, აღებ-მიცემობისა (ვაჭრობის) და ფულის ბრუნვის განვითარების მეოხებით, ღუქანი თანდათანობით კარგავს თავის პირვანდელ (სამიკიტნოს) ფუნქციებს და იქნეს ახალ (საკრედიტო ორგანიზაციის) ფუნქციებს. იგი

<sup>22</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ, თბ., 1952, გვ. 348.

<sup>23</sup> გაზ. „თემი“, 1913, № 132.

<sup>24</sup> გაზ. „აზრი“, 1916, № 36.

<sup>25</sup> გაზ. „თემი“, 1911, № 33.

<sup>26</sup> იხ. პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. II, გვ. 820-821.

იწყებს ფულის გასესხებას მაღალი პროცენტით და ამ მხრივაც მისი მფლობელი არაფრით არ ჩამორჩებოდა სოფლის „ბანკორებს“ (ვაჭარ-შემსყიდველებს). მეტ-ნაკლები ზომით ასეთსავე როლს ასრულებდა ღუქანი დასავლეთ საქართველოშიც: აქაურ სოფელში მან როგორც სამიკიტნომ ვერ მიღწია წარმატებებს, რის გამოც იგი თანდათანობით იქცეოდა საკრედიტო დაწესებულებად. აქაური მეღუქნეები თითქმის ხელს იღებდნენ საქონლით ვაჭრობაზე და იწყებდნენ მხოლოდ ფულით, როგორც საქონლით ვაჭრობას, რაც აჩქარებდა ღუქნის, თუ შეიძლება ითქვას, როგორც ფულის გასესხების კანტორად გადაქცევის პროცესს. დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მეღუქნის ნორმალურ სარგებლად ითვლებოდა 50-80%. უნდა ითქვას, რომ აქ (რაჭაში, სვანეთში და სხვა რაიონებში) ღუქანმა, როგორც ტრაქტირმა (სამიკიტნომ) ვერ შეძლო გლეხობაზე გავლენის მოხდენა და ფაქტიურად იგი საკრედიტო ორგანიზაციას წარმოადგენდა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „წვრილი ადგილობრივი ბაზრების აუცილებელ კუთვნილებას, გარდა ხელოსნობის პრიმიტიული ფორმებისა, წარმოადგენს აგრეთვე სავაჭრო და სავაზმო კაპიტალის პრიმიტიული ფორმები... რაც უფრო მიყრუებულია სოფელი, რაც უფრო დაშორებულია ის ახალი კაპიტალისტური წესების, რკინიგზების, დიდი ფაბრიკების, მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების გავლენას, — მით უფრო ძლიერია ადგილობრივი ვაჭრებისა და მევახშეების მონობოლია, მით უფრო ძლიერია გარეშემო გლეხობის დამორჩილება მათდამი და მით უფრო უხეშ ფორმებს ღებულობს ეს დამორჩილება. ეს წვრილი წურბელა აუარებელია (გლეხთა პროდუქტების სიმცირესთან შედარებით) და მათთვის ბევრნაირი ადგილობრივი სახელია გამოგონილი“<sup>27</sup>.

როგორც საერთოდ საქართველოს ბარში, ასევე სვანეთშიც, ღუქანმა მე-19 საუკუნის დასაწყისში მოიკიდა ფეხი. 1908 წელს ლაილაშელმა (ორბელის სოფლის საზოგადოება) დ. პეტრო-1-ოვმა სოფ. ქ. ხუნდერში (ლაშხეთის სოფლის საზოგადოება), ახნაურ დევედარაისაგან იჯარით აღებულ მიწაზე, პირველმა გახსნა ღუქანი, რომელმაც სამი წელი ივაჭრა. იმავე სოფლის საზოგადოებაში (სოფ. მელე) მცხოვრებმა გ. ონიანმა, ახნაურ დევედარაიანთან შეთანხმებით, მოახერხა დ. პეტროსოვის გაქვება და მის ღუქანს თვათონ დაეპატრონა. 1910 წელს იმავე სოფელში ე. ლობჯანიძემ, ხოლო მეზობელ სოფელში (ჩუკული) ნ. ფარჯიანმა გახსნეს ღუქნები. ცოტა მოგვიანებით გ. მეშველიანი (ლენტეხში) და ე. კობალიანი (ძველი ნაკანტორევი — ლენტეხის სოფლის საზოგადოება) ხსნიან ღუქნებს. ასევე, ჩოლურის სოფლის საზოგადოებაში მჭედელმა ჯ. ხაბუ-ლიანმა გახსნა ღუქანი.<sup>28</sup>

სვანეთში თვით ადგილობრივი თავადაზნაურობაც კი ვაჭარ-შემსყიდველებსა და მეღუქნეებს „ახალი მოდის თავადებს“ ეძახდნენ. პირველ ხანებში სვანეთში აღნიშნულ ღუქნებს წმინდა სამიკიტნოს ხასიათი ჰქონდა. გარდა ამისა ღუქანში მეზავრს შეეძლო ღამე გაეთია. ეს იყო, თუ შეიძლება ითქვას, „სასტუმრო ღუქანი“. ღუქნის ინსტიტუტის განვითარების აღნიშნულ საფეხურზე მეღუქნე სვანეთში, მსგავსად მეზობლებისა, მისდევდა მიწადმოქმედებას; ხშირ შემთხვევაში მას ჰქონდა წისკვილი და არყის სახდელი ქვაბიც. როგორც ჩანს მეღუქნისათვის პირველ ხანებში ღუქანი მისი მეურნეობის დამატებითი (დამხმარე) დარგი იყო. შემდეგ, ფულის ტრიალისა და

<sup>27</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 447.

<sup>28</sup> ცნობა მოკვლეულია ს. ონიანმა.





ფორმა და მით უფრო მისი პირველი ფორმა უშუალო მწარმოებელს ართმევდა მეურნეობის თაოსნობის (გაძლოლის) სტიმულს.

როგორც აღვნიშნეთ, მევახშური კაპიტალი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გარდა, გლეხთა და თვით მემამულეთა მიწებსაც ეტანებოდა. რეფორმისმერმინდელმა ხანამ ჩვენში მევახშური კაპიტალის გავლენის სფერო იქამდე გაზარდა, რომ იგი გლეხის სანადელო მიწასაც კი იგდებდა ხელში. აღნიშნული პროცესი სვანეთში და საერთოდ, ქუთაისის გუბერნიისაში, შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რადგანაც აქაური მკვიდრნი, რა თქმა უნდა, მცირემიწიანობის გამო, ცდილობდნენ არ დაეკარგათ მამულები.

უნდა ითქვას, რომ კრედიტისათვის დაწინდებული სანადელო მიწის ნაკვეთის ფაქტიური მფლობელი მევახშე ხდებოდა, რადგანაც მიწის ნაკვეთი მას თავში ქონდა დაგირავებული, ხოლო სარგებელს თავნის მიღებამდე ყოველწლიური მოსავლის სახით ღებულობდა; თავნის გადახდის შესაძლებლობა კი იშვიათი და გამონაკლისი იყო რეფორმისმერმინდელ პერიოდში, როდესაც როგორც წესი, აღინიშნება დროებითვალდებულ გლეხთა მისწრაფება სანადელო მიწის ვადამდე გამოსყიდვისადმი. როგორც აღვნიშნეთ, ეს გარემოება ნაყოფიერ ნიადაგს უმზადებდა მევახშეობის განვითარებას სოფლად, რასაც მეფის მოხელეები და ხალხსნები სასოფლო კრედიტის განვითარების დაბალი დონით ხსნიდნენ; მაშინ, როდესაც მევახშეობა გაცილებით მეტი ზომით იყო განვითარებული იმ სოფლებში, სადაც უკვე არსებობდა სოფლის ამხანაგობათა შემნახველ-გამსესხებელი სალოები. საბოლოო ანგარიშში, დროებითვალდებულ გლეხთა მისწრაფებას სანადელო მიწების ვადამდე გამოსყიდვისადმი, საწინააღმდეგო შედეგი მოსდევდა: ისინი საბოლოოდ კარგავდნენ მას.

მევახშეობის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს, აგრეთვე, მიწის სიმცირისა და არაორგანიზებულ გლეხთა შორის კონკურენციით გამოწვეული მიწის საიჯარო ფასის ზრდა. გლეხი იძულებული იყო სანახევროდ აელო მიწის მცირე ნაკვეთი, რაშიც ქრთამიც კი უნდა მიეცა მეიჯარისათვის, რასაც იგი მევახშისაგან სესხულობდა. აღნიშნული პროცესი ფართოდ იკავებდა გზას სვანეთში უკიდურესი მცირემიწიანობის გამო, რაც მის მკვიდრთ მევახშეთა გამოუვალ ვალებში ავლდებდა.

ბოლოს შეიძლება დავასკვნათ, რომ, როგორც ბარის საქართველოს, ისე სვანეთის გლეხობაშიც მე-19 საუკუნის მთელ მანძილზე განვითარებული მევახშეობის თითქმის ყველა ძირითადი სახე, თუ აღრე არა, 40-50-იან წლებიდან მაინც, უკვე ჩამოყალიბებულია. საგლეხო რეფორმამ, წარმოშვა რა სოფლის მოსახლეობის თავისუფალი ექსპროპრიაციის შესაძლებლობა ფართო მასშტაბით, მევახშეობის განვითარებას მეტი გასაქანი მისცა. რეფორმამ (ბატონყმობის იურიდიული ნორმების გაუქმებამ) აქაც ფართო შესაძლებლობა მისცა ვაჭარ-მედუქნეს, შემსყიდველს, მევახშესა და კულაკს (რაც, ხშირ შემთხვევაში, ერთ პიროვნებაში იყო თავმოყრილი) ღარიბ გლეხთა დაკაბალებისათვის და, ამასთანავე, თითქმის ხელუხლებლად შეუნარჩუნა ფეოდალ-მემამულეს ეკონომიკური ბატონობა ყოფილ ყმებზე.

სვანეთში, საქართველოს ბარის რაიონების მსგავსად, უმცირესობის ხელში თავს იყრიდა ეს ე. წ. „მონაგარი“ უმრავლესობის გალატაკების ხარჯზე, რომელსაც, რა თქმა უნდა, ჯერ არ შესწევდა მუშის პირდაპირ დამორჩილების უნარი მისი მუშაძალის შესყიდვის გზით, რის გამოც მათი დაკაბა-

ლებისა და საბოლოოდ მასთან მიჯაჭვის მიზნით გარკვეულ დრომდე მევახშურ ქამანდს იყენებდა. ზემომოყვანილი ზოგიერთი ფაქტი იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ სვანეთის მოსახლეობის ამ უმცირესობის ხელში თანდათანობით თავს იყრიდა როგორც მევახშური, ისე სავაჭრო და მრეწველური კაპიტალების ძაფები, რამდენადაც ისინი ეწეოდნენ მათი „მონაგარის“ გასახებას მიწისა და სხვა გირავნობით, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შესყიდვას ვაჭრისა და შემსყიდველისათვის მისაწოდებლად. მაგრამ, ყოველივე ზემოხსენებულთან შედარებით, სავაჭრო მიწათმოქმედებისა და სხვა მომენტების განუვითარებლობა აქაური მოსახლეობის უმცირესობის ამ „მონაგარს“ უმთავრესად მევახშეობისა და, ასე ვთქვათ, ვაჭრობის (მიმოქცევის) სფეროში გადაისვრიდა ხოლმე, თუმცა როგორც ამ სახით, ისე პირდაპირი გზითაც იგი გვერდს არ უვლიდა მიწების შესყიდვისა და მიწათმოქმედების (სოფლის მეურნეობის) გაუმჯობესების საქმესაც და ამით აჩქარებდა სოფლად წვრილი წარმოების დაშლის პროცესს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მევახშე მისი კაპიტალის უშუალოდ წარმოებაში დაუბანდებლობით თავიდან იცილებდა მეურნეობის გაძლოის თაოსნობას და რაც მთავარია, მევახშური კრედიტის მაღალი სარგებლის მეოხებით, ფანტასტიკურად ზრდიდა თავის „მონაგარს“, გარდა ამისა აღნიშნულ პროცესს ამუხრუჭებდა ძლიერი ფეოდალური გადმონაშთები; ყოველივე ეს, — როგორც ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა რუსული სოფლის მაგალითზე, — აფერხებდა გლეხობის დაშლას. საქართველოს სოფელში — როგორც კოლონიური ქვეყნის სოფელში — რუსულ სოფელთან შედარებით, უფრო ნაკლები ტემპით მიდიოდა „... კაპიტალის შემდგომი გავერობიულება, მისი გარდაქმნა სავაჭრო კაპიტალიდან მწარმოებლურ კაპიტალად, შუასაუწყუნობრივი კაპიტალიდან — უახლეს კაპიტალად“<sup>31</sup>. ამიტომ კაპიტალიზმმა (რამდენადაც მევახშური კრედიტი არ იყო ხელსაყრელი მრეწველი კაპიტალისტიკისათვის, რადგანაც მაღალი სარგებელი ნთქავდა თითქმის მთელ მათ მოგებას) შექმნა მისთვის ხელსაყრელი საკრედიტო სისტემა თვით ფეოდალიზმის დაშლის პერიოდში, რამაც შემდგომ მძლავრი განვითარება მიიღო, თუმცა მევახშური კრედიტი მაინც განაგრძობს არსებობას კაპიტალიზმისა და თვით მისი განვითარების უმადლესი სტადიის — იმპერიალიზმის დროსაც, რაც განსაკუთრებით ფართოდაა გამოყენებული კოლონიურ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ საქართველოს გლეხობამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იხსნა თავი მევახშეობის მხუთავი მარწუხებოსაგან.

<sup>31</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 448.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

### დავით კაციტაძე

## თურქეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეების ქართული დოკუმენტური წყაროების გაცნობით

თურქეთსა და საქართველოს შორის XVII—XVIII საუკუნეებში გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა არსებობდა, რაც ასახულია ევროპულ წყაროებში<sup>1</sup>. ამ ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ადგილობრივი ხანის ქართულ დოკუმენტებშიც. ამ ურთიერთობის ხასიათს აშუაყად ჩვენ არ ვეხებით, რადგანაც იგი საქაო სისრულითაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში<sup>2</sup>. წინამდებარე ნაშრომის მიზანია მიმოხილვა XVII—XVIII საუკუნეების ქართული დოკუმენტური წყაროების ცნობებშია თურქეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიისათვის.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, თურქეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ მასალები შემოუნახავს XVII-XVIII საუკუნეების ქართულ დოკუმენტურ წყაროებს: „მზითვის წიგნებში“, ცალკეულ პირთა საქონლის ნუსხებში, აგრეთვე ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რიგის დოკუმენტურ წყაროებში დიდი რაოდენობით იხსენიება ის საქონელი, რომელიც დამზადებულია აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ კი თურქეთში ან მის პროვინციებში<sup>3</sup>. ამჟამად, ეს საქონელი საქართველოში ვაჭრობის გზით არის მოზვედრილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: მასალები თურქეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისათვის გაცილებით მრავალადაა დაცული აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, ვიდრე დასავლეთ საქართველოსთან. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ „ეკონომიურად დასუსტებულ დასავლეთ საქართველოში სავაჭრო ვაჭრობის მთავარ ობიექტებზე (ფუფუნების საგნებსა და ძვირფას ქსოვილებზე) შედარებით ნაკლები

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 10, 37, 158; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბილისი, 1964, გვ. 45, 89; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1962, გვ. 133; Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673 гг., Тифлис, 1902, стр. 35;

თურქეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ორმხრივი ხასიათისა იყო: თურქეთიდან საქართველოში შემოქონდათ ძვირფასი ქსოვილები, ხალჩები, ხანჯლები, თურქული ზანდუკები, ტყავის ნაწარმი, ცხენის აღკაზმულობა, ძვირფასი შალები, შედებილი და სახეებიანი ტილოები, დამარილებული თევზი, საკმეველი, პილპილი, შაქარი და სხვ. სამაჯეროდ საქართველოდან თურქეთში გაქონდათ თაფლი, ცვილი, ადგილობრივი ტილო, ხარის, კვერნის, წაყის ტყავები, ბზის ხეები.

<sup>2</sup> ვ. გაბაშვილი, XVI-XVIII სს საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1968.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 173.



მოთხოვნებზე იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ფეოდალები უფრო ყმაძირავლნი და მდიდარნი იყვნენ<sup>4</sup>. ამასთანავე, XVI-XVIII სს დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრება გაცილებით უფრო დაბალ ფონზე იდგა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში<sup>5</sup>.

მართალია, სამეგრელოს მთავარი თურქეთთან და დასავლეთ ევროპასთან ვაჭრობას ყოველნაირად უწყობდა ხელს და ამ მიზნის მისაღწევად თავის სამთავროში ასახლებდა სომეხ, ებრაელ და თურქ ვაჭრებს; როგორც ჩანს, მას სურდა ვენეციელი ვაჭრების ჩამოყვანაც კონსტანტინოპოლიდან; იგი მათ მთელ რიგ შეღავათებსაც კი ჰპირდებოდა. ევროპელ ვაჭრებს დადიანი სთავაზობდა შუამკულობასაც აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში და ამ საქმის მომგებანობასაც უსახავდა<sup>6</sup>. ამასთანავე სამეგრელოს მთავარს თავისი კარისკაცების შესამოსად სტამბულიდან და ირანიდან შემოჰქონდათ ძვირფასი ქსოვილები<sup>7</sup>, მაგრამ ასეთი რამ ეპიზოდურ მოვლენას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრები) ხშირად ირანული ორიენტაციისა იყვნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, არც თუ იშვიათად ისინი თურქეთთანაც აბამდნენ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას. ისინი მოხერხებულად სარგებლობდნენ იმ წინააღმდეგობებით, რაც ირანსა და თურქეთს შორის არსებობდა<sup>8</sup>.

ქართული დოკუმენტური წყაროებიდან ჩანს, რომ თურქი ვაჭრები იკიდებდნენ ფეხს აღმოსავლეთ საქართველოშიც. მაგ., XVIII საუკუნის დასაწყისის ერთი დოკუმენტის ცნობით თბილისში ვხვდებით სტამბოლელ ვაჭარს: „1701 წ. თბილისში ბაზარში მდგომ დუქანს თავისი შეგირდით იძენს ვინმე სტამბოლელი ხოჯა. რა ხასიათის საქონლით უნდა ევაჭრა ამ სტამბოლელს არ ჩანს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ იმდენად იკიდებს ფეხს თბილისში, რომ დუქანსაც ყიდულობს თავისი საქონლის გასაყიდად<sup>9</sup>. როგორც ჩანს, იგი საკმაოდ ხანგრძლივად სახლობს თბილისში. სხვა ქართული დოკუმენტის ცნობით აშკარა ხდება, რომ იზმირელი ვაჭარი მონაწილეობს ახტალის მადნების ექსპლოატაციაში<sup>10</sup>.

ქართული დოკუმენტური წყაროების ცნობების თვალის გადევნებით, შესაძლებელია ზედბ, ნაწილობრივ მაინც, დადგენა იმისა, თუ რა საქონელი შემოდიოდა თურქეთიდან საქართველოში. ზემოხსენებული დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ თურქეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ ოქროქსოვილები, აბრეშუმის, შალის და უბრალო (ტილოს) ქსოვილები<sup>11</sup>.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> III. A. Meschia, *Города и городской строй феодальной Грузии*, Тбилиси, 1959, стр. 124.

<sup>6</sup> დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, გვ. 89.

ФРГ	1965	80,0	80,5
Италия	1964	84,0	84,0
Мексика	1960	41,0	34,0
Индия	1961	16,0	15,6

Таким образом, можно сделать некоторые выводы, характеризующие основные направления совершенствования слагаемых технического прогресса с точки зрения их влияния на показатели эффективности производства и главным образом, на производительность труда.

Во-первых, анализ существующих методик и разработок по данной проблеме показывает, что при изучении влияния прогресса техники на производительность труда ни в коей мере нельзя ограничиваться одним показателем, каким совершенным бы он не был. Только система показателей обеспечит познание экономических процессов, связанных с техническим прогрессом, раскроет присущие ему противоречия и, следовательно, будет способствовать повышению научного уровня его планирования;

Во-вторых, в систему этих показателей можно включить и применить фондовооруженность, техническую вооруженность, энерго — и электровооруженность труда, а также — численность условно-высвобожденных работников;

В-третьих, для применения перечисленных показателей имеется соответствующая отчетная и статистическая база, дальнейшее совершенствование которой необходимо в целях получения наиболее достоверных соотношений показателей. Их расчет не связан с введением дополнительной отчетности и вполне может применяться на всех уровнях планирования.

<sup>27</sup> См. ж. «Вопросы экономики», 1970, № 8, стр. 63.

(Представлена академиком АН Грузинской ССР, И. Микеладзе)



## სამართალი

### თენგიზ ლილუაშვილი

#### მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სასამართლო შეშეცნება

ყოველი კონკრეტული სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის განხილვა-გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუდიტებლობა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებზე გაპირობებულია იმით, რომ ასეთი წესით სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობიდან გამომდინარეობენ. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ცნობილია, შეიძლება წარმოიშვას იურიდიული ფაქტების საფუძველზე, ე. ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლებრივი ნორმა გარკვეულ იურიდიულ შედეგს უკავშირებს. სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებულ დებულებას, რომლის თანახმად სამოქალაქო საქმეზე სასამართლო ადგენს „იმ გარემოებათა არსებობას ან არარსებობას, რომლებიც ასახულებენ მხარეთა მოთხოვნებსა და შესაგებებს“. არსებითად იმავე მდგომარეობას აქვს ადგილი სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს. სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე განისაზღვრება დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული კონკრეტული ნიშნებით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, „სისხლის სამართლის“ პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე. ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. აქედან გამომდინარე უნდა დადგინდეს იმ ფაქტების არსებობა ან არარსებობა, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის ყველა ნიშანს (დანაშაულის ობიექტს, ობიექტურ მხარეს; სუბიექტს, სუბიექტურ მხარეს). გარემოებები, რომლებიც უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის საქმეზე, ჩამოთვლილია აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლში. ის გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, სასამართლომ უნდა დაადგინოს ობიექტური ქეშმარიტების შესაბამისად, ე. ი. ისე, როგორც მათ ადგლი ჰქონდათ სინამდვილეში. ასეთი მოთხოვნა პირდაპირაა ჩამოყალიბებული კანონში კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად სასამართლო მოვალეა „მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი“. ამავე კოდექსის 152-ე მუხლით სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საქმის ყველა გარემოების სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას, „ქეშმარიტების დადგენას“. ანალოგიური მოთხოვნები ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 და 242-ე მუხლებში.

ცნობილია, რომ შეშეცნება წარმოადგენს სინამდვილის ასახვას ადამიანის ცნობიერებაში. შეშეცნებითი პროცესის მიზანს სწორედ ქეშმარიტების დადგენა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე კი, საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა შეშეცნების პროცესი. შეშეცნების პროცესი და საერთოდ ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა რეგულირდება გარკვეული განზოგადებული პრინციპებით. მაგალითად არსებობს ისტორიით და ადამიანების გამოცდილებით განმტკიცებული გარკვეული წესი ლითონისა და ხის დამუშავებისა, საკვების მომზადებისა, ბავშვის სწავლებისა და აღზრდისა და ა. შ. იმ

მოთხოვნებისა თუ პრინციპების ერთობლიობას, რომელიც უნდა დაიცვას აღამიანმა სინამდვილის ამათუიმ სფეროს გამოკვლევის პროცესში, უწოდებენ შემეცნების მეთოდს. არსებობს მეთოდები, რომლებიც გამოიყენება შემეცნების ყველა სფეროში. ამასთან ერთად არის ისეთი მეთოდებიც, რომლებიც გამოიყენება შემეცნების ერთ რომელიმე ან მეცნიერების ერთ რომელიმე დარგში<sup>1</sup>.

სასამართლო შემეცნების დროსაც გამოკვლევის კერძო მეთოდების ანუ ხერხების გვერდით გამოიყენება აგრეთვე მეცნიერული კვლევის საერთო მეთოდებიც, როგორცაა დაკვირვება და ექსპერიმენტი, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, ანალოგია და ა. შ. ამ თვალსაზრისით, სასამართლო შემეცნება არ განსხვავდება მეცნიერული შემეცნებისაგან.

ცნობილია, აგრეთვე, რომ მეცნიერული ცოდნის სისტემის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი ფაქტების აღმოჩენას. მეცნიერებისათვის ფაქტების მნიშვნელობის შესახებ მ. პლანკი წერს, რომ რომელიმე ფიზიკური თეორიის გადასინჯვის თუ შეცვლის პირველი საბაზი თითქმის ყოველთვის არის ერთი ან რამდენიმე ფაქტის დადგენა, რომლებიც ვერ თავსდება მანამდე არსებული თეორიის ჩარჩოებში. ფაქტი წარმოადგენს იმ არტინდისეულ საყრდენ წერტილს, რომლის მეშვეობითაც ადგილიდან იძვრის ყველაზე სოლიდური თეორიებიც კი<sup>2</sup>. მაგრამ მეცნიერული შემეცნება გულისხმობს არა მარტო ფაქტების დადგენას, არამედ ამ დადგენილი ფაქტების ახსნას, გამოსაკვლევი მოვლენის მეცნიერული თეორიის შექმნას<sup>3</sup>.

სასამართლო შემეცნების მიზანიც ფაქტების დადგენაა და ამ თვალსაზრისითაც ის არ განსხვავდება მეცნიერული შემეცნებისაგან. მაგრამ მას არა აქვს და არც შეიძლება მიზნად ჰქონდეს სინამდვილის მოვლენების განვითარების კანონზომიერების დადგენა, ახალი ცნებებისა და მეცნიერული თეორიის შექმნა. სასამართლო ისეთი ორგანოა, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს მართლმსაჯულების წინაშე მდგომი წმინდა პრაქტიკული ამოცანები. ამისათვის სასამართლომ მხოლოდ უნდა დაადგინოს სინამდვილის სრულიად განსაზღვრული ფაქტები და მისცეს ამ დადგენილ ფაქტებს სწორი შეფასება.

სასამართლო შემეცნება განსხვავდება აგრეთვე მეცნიერული და ყოველგვარი სხვა სახის შემეცნებისაგან იმიტაც, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავს იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენასა და გამოკვლევის როგორც კერძო, ისე საერთო მეთოდების გამოყენების პროცესს უალურ ფორმას. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ აღნიშნული მეთოდების გამოყენების დროს ზუსტად უნდა დაიცვას პროცესუალური კანონმდებლობით განსაზღვრული წესები. მაგალითად, ექსპერიმენტის ჩატარება დაიშვება იმ პირობით, თუ ეს არ ამცირებს მასში მონაწილე პირების ღირსებას და არ არის საშიში მათი ჯანმრთელობისათვის. ექსპერიმენტის ჩატარებას უნდა ესწრებოდენ თანამოწმენი, ხოლო აუცილებ-

<sup>1</sup> Марксистско-Ленинская философия, «Диалектический материализм», Изд-во «Мысль», М., 1968, стр. 291.

<sup>2</sup> М. Планк, Единство физической картины мира. М, 1966, стр. 73.

<sup>3</sup> დაწვრილებით ამ საკითხებზე იხილეთ — «Вопросы гносеологии, логики и методологии научного исследования». Вып. 2, Изд-во Ленинградского университета, 1970.



ლობის შემთხვევაში ბრალდებული, დაზარალებული, ექსპერტი. ექსპერი-  
მენტის ჩატარების თაობაზე უნდა შედგეს ოქმი და ა. შ.

ამრიგად, სასამართლო შემეცნებას აქვს ბევრი საერთო მეცნიერულ შე-  
მეცნებასთან, მაგრამ მათ შორის არის არსებითი განსხვავებაც, რის გამოც  
სასამართლო შემეცნება არ შეიძლება გავავიგოთ მეცნიერულ შემეცნებას-  
თან.

სასამართლო შემეცნების პროცესში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი გარე-  
მოებები, რომელთა დადგენა ჩვეულებრივი მეთოდებით და კნობილი სა-  
შუალებებით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოსათვის დიდი და-  
ზმარების გაწევა შეუძლია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. მეცნიერულ-  
ტექნიკური პროგრესი ქმრავალმხრივ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი  
ურთიერთობის სხვადასხვა სფეროზე. ამ ზეგავლენის გარეშე არ დარჩენილა  
სასამართლო შემეცნებაც. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა სა-  
სამართლო შემეცნებაზე სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება; ეს არის:  
1. სასამართლო შემეცნების საგნის გაფართოება ისეთი გარემოებებით, რო-  
მელთა გამოკვლევა და დადგენა სპეციალური ცოდნისა და სათანადო პროფე-  
სიული გამოცდილების გარეშე შეუძლებელია; 2. მეცნიერულ-ტექნიკური მი-  
ღწევების დანერგვა სასამართლო პრაქტიკაში საქმისათვის მნიშვნელობის  
მქონე გარემოებების დადგენისა და ტყვიცებულებათა ფაქსირების მიზნით.

განვიხილოთ ეს მიმართულებები ცალ-ცალკე.

**1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სასამართლო შემეცნების სა-  
განი.** მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თავისებურება მდგომარეობს არა  
მარტო იმაში, რომ ის უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რის  
საფუძველზე ხორციელდება საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ტემ-  
პის დაჩქარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, არამედ იმაშიც,  
რომ მას ზოგიერთ შემთხვევაში წარმოებაში შეაქვს მავნე და დაამიანის ჯანმ-  
რთელობისათვის საზიანო ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ვიბრაცია,  
ხმაური, ელექტრომაგნიტური გამოსხივება და ა. შ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში აღნიშნულია,  
რომ შრომის პირობების ყოველმხრივი გაჯანსაღება და შემსუბუქება ხალ-  
ხის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ყვე-  
ლა საწარმოში დაინერგება უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუა-  
ლებანი და უზრუნველყოფილი იქნება სანიტარულ-ჰიგიენური პირობები,  
რომლებიც აღმოფხვრიან საწარმოო ტრავმატიზმსა და პროფესიულ დაავადე-  
ბას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიული კავშირების საკავ-  
შირო ცენტრალური საბჭოს 1962 წლის 23 იანვრის დადგენილებაში საწარ-  
მოებსა და მშენებლობაზე შრომის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონის-  
ძიებათა შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქარ-  
თველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1962  
წლის 7 აპრილის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამეცნიერო-საკვლევი  
ინსტიტუტების, საპროექტო ორგანიზაციებისა და საკონსტრუქტორო ბიურო-  
ების ხელმძღვანელები ვალდებული არიან შეასრულონ შრომის დაცვის ყველა  
მოთხოვნა ტექნოლოგიური პროცესების, საწარმოების პროექტების და მოწ-  
ყობილობათა კონსტრუქციების შემუშავების დროს; გამონახონ მავნე საწარ-  
მოო ფაქტორების ზემოქმედებისაგან მუშაკების დაცვის შედარებით სრულ-  
ყოფილი საშუალებანი, სათანადო შემთხვევებისათვის გაითვალისწინონ დამ-

ცველი მოწყობილობა, ბლოკირება და ავტომატურად მოქმედი სასიგნალო აპარატურა; წარადგინონ დასაბუთებული წინადადებანი უსაფრთხოების ტექნიკისათვის, საწარმოო სანიტარიის, ტექნოლოგიური და სამშენებლო დაპროექტების მოქმედ ნორმებსა და წესებში სათანადო ცვლილებათა შესატანად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 57-ე მუხლი პირდაპირ ავალებს აღმინისტრაციას დაწერგოს უსაშიშროების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ საწარმოო ტრავმატიზმს და უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, თავიდან აგვაცილებენ მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული დაავადების წარმოშობას.<sup>4</sup>

ამრიგად, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არც ერთი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევა, რა ეფექტის მომტანიც არ უნდა იყოს ის სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით, არ შეიძლება დაინერგოს ისეთი ღონისძიებების წინასწარი შემუშავების გარეშე, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამინის ჯანმრთელობას მათი უარყოფითი ზეგავლენისაგან.

აეილოთ რადიაქტიური ნივთიერებანი. ცნობილია, რომ ამ ნივთიერებას იყენებენ სხვადასხვ მიზნებისათვის, მათ შორას მეცნიერულ-კვლევითი, სამკურნალო და დიაგნოსტიკური მიზნებისათვის. რამდენადაც რადიაქტიური ნივთიერების გამოყენებას თან ახლავს საშიშროება ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, ამდენად აღნიშნული მიზნებისათვის ამ ნივთიერების გამოყენებამდე აუცილებელია შემუშავებულ იქნეს უსაფრთხოების სპეციალური ნორმები. ასე, მაგალითად, არსებობს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში რადიაქტიური ნივთიერებით მუშაობის წესები. ეს წესები განსაზღვრავენ კონკრეტულ ზომებს, რომლებიც აღმოფხვრიან არასასურველი შედეგების დადგომას, თავიდან აგვაცილებენ უბედურ შემთხვევებს. აღნიშნული წესები შეიცავენ, მაგალითად ნორმას, რომლის თანახმად რადიაქტიური ნივთიერება შეიძლება გამოიყენონ სამკურნალო, დიაგნოსტიკური და სხვა მიზნებისათვის მხოლოდ იმ პირობით, თუ ის მოთავსებულია ისეთ საცავში ან იმყოფება ისეთ ფიზიკურ მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს გარემოცველ გარემოში რადიაქტიური ნივთიერების გავრცელების შესაძლებლობას. საგანგებო წესებთაა განსაზღვრული, აგრეთვე, თუ სახელდობრ როგორც საცავში ან როგორ ფიზიკურ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს რადიაქტიური ნივთიერება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ნორმაშემოქმედებით საქმიანობასთან კავშირზე მიუთითებს მრავალი საბჭოთა მეცნიერი-იურისტი, კერძოდ, პროფ. ს. ბრატუსი წერს: „აეილოთ მაგალითად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ტექნიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის ეს სფერო ძალიან შორსაა სამართლის დარგიდან; მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენს პირობებში ტექნიკური ნორმები ატარებენ „სამართლებრივ სამოსელს“. იმისათვის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საფუძველზე შევცვალოთ ტექნიკური წესი, უნდა შევცვალოთ იურიდიული ნორმა, რომელშიაც ეს წესია ჩამოყალიბებული“<sup>4</sup>.

აღნიშნულს შეიძლება დავუმატოთ, რომ რამდენადაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად არ ამ მარტო ვითარდება არსებული, არამედ აღმოცენდება მეცნიერების ახალი დარგები, ახალი პროფესიები, ახალი ტექნიკური საშუალებები, ამდენად წარმოიშობა არამარტო არსებული ნორმების შეცვლის, არამედ აგრეთვე, სრულიად ახალი ტექნიკური და სპეცია-

<sup>4</sup> სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970, № 29.  
<sup>5</sup> С. Н. Братусь, Экономика и право, «Коммунист», 1963, № 13, стр. 97.

ლურ-პროფესიული ნორმებისა და წესების შემუშავების აუცილებლობა. ასეთი ნორმების დარღვევას შეიძლება შედეგად მოყვეს ზიანი, რომელიც უნდა ანაზღაურდეს სამოქალაქო სამართლებრივი წესით. ზოგჯერ კი ამგვარი ნორმის დარღვევისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად ისჯება ფეთქებად ან რადიოაქტიურ ნივთიერებათა შენახვის, გამოყენების, აღრიცხვის ან გადაზიდვის დადგენილი წესების დარღვევა, აგრეთვე — ამ ნივთიერებათა უკანონო გადაზიდვა ფოსტით ან ბაგაჟით, თუ ამ მოქმედებას შეიძლებოდა მძიმე შედეგი მოჰყოლოდა ან თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა.

ბუნებრივია, რომ ასეთი საქმეების განხილვა-გადაწყვეტისას სასამართლოში უნდა დადგინდეს, ჯერ ერთი, წინდახედულობის რა ნორმა არსებობს მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებისათვის და, მეორეც, დარღვეულია თუ არა ეს ნორმები. რამდენადაც ასეთი ნორმები სპეციალურ-პროფესიული, უფრო სწორად, ტექნიკური შინაარსის მატარებულნი არიან, აღნიშნული გარემოებების დადგენა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ პირების მეშვეობით, რომლებიც აღჭურვილი არიან სათანადო ცოდნით.

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწვევს ტექნიკური შინაარსის მქონე ნორმების რიცხოვრივ ზრდას, — აქედან გამომდინარე კი, — იმ გარემოებათა წრის გაფართოვებას, რომლებსაც იურიდიული შედეგები უკავშირდება და რომელთა დადგენა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამის დარგებში.

2. მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გამოყენება სასამართლოს შემეცნებით საქმიანობაში. სასამართლო პრაქტიკაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის პრობლემა მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, რომელთა დაყენება და გაშუქება ერთ საერთო წერილში შეუძლებელია. ჩვენ შევეჩვენებით მხოლოდ ერთ საკითხს, რომელიც არ არის სათანადოდ შესწავლილი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, კერძოდ, შეუძლია თუ არა სასამართლოს უშუალოდ გამოიყენოს მეცნიერულ ტექნიკური საშუალებები, და, თუ შეუძლია, — რა ფარგლებში და როგორი პირობების არსებობისას.

სისხლის სამართლის პროცესუალურ ლიტერატურაში ამ საკითხზე არსებობს მოსაზრება, რომელიც ერთი მხრივ უშვებს სასამართლოს მიერ ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს, კერძოდ, ნივთიერ მტკიცებულებათა ცალკეულ თვისებებსა და ნიშნებზე დაკვირვებისას, მეორე მხრივ კი, კრძალავს ექსპერტის დანიშვნის გარეშე იმ დასკვნების გამოყენებას მტკიცებულების სახით, რომლებიც შეიძლება გავაკეთოთ ტექნიკური საშუალებით წარმოებული დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე<sup>6</sup>.

ამრიგად, საკითხი სასამართლოს მიერ ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ მტკიცების საგანში შემავალი იურიდიული ფაქტების დადგენის მიზნით, ღიადაა დატოვებული, ხოლო სასამართლოს მიერ ამ საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით, არაა გადაწყვეტილი სათანადო სისრულითა და თანმიმდევრობით.

<sup>6</sup> Теория доказательств в советском уголовном процессе. Часть Особая. Изд-во «Юридическая литература», М., 1967, стр. 198-199.

რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის პროცესუალურ ლიტერატურას, აქ ეს საკითხი საერთოდ არ არის დაყენებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის პროცესში, სადაც არ არის წინასწარი გამოძიების ორგანოები და მასხადაძვე მთელი ფაქტიური მონაცემის შეგროვება და გამოკვლევა მთლიანად სასამართლოს ეკისრება, ეს საკითხი, თუ უფრო მეტად არა, არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე სისხლის სამართლის პროცესში.

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების სასამართლოს შემეცნებითი მიზნებისათვის გამოყენების პროცესუალური თავისებურებანი მნიშვნელოვნად გაპირობებულია დასადგენ გარემოებათა ხასიათითა და შინაარსით. ამიტომ მოკლედ შევეხებით ამ საკითხს. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები სასამართლომ შეიძლება დაადგინოს როგორც უშუალო, ისე გაშუალებული შემეცნების გზით<sup>7</sup>.

სასამართლო შემეცნების ფორმების თვალსაზრისით საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები შეიძლება ორ ჯგუფად დაგვით: ა) გარემოებანი, რომლებიც განაგრძობენ არსებობას სასამართლოს მიერ საქმის განხილვა-გადაწყვეტის დროს (აწმყო ფაქტები) და ამიტომ შესაძლებელია მათი გრძნობადი აღქმის გზით დადგენა და ბ) გარემოებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში, და ამიტომ მათი დადგენა უშუალო შემეცნების გზით შეუძლებელია. ასეთი ფაქტები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გაშუალებული გზით, მტკიცებულებების გამოყენებით.

პროცესუალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ გარემოებათა დადგენის წესს. ამასთან კანონმდებელი, მთელ რიგ სამართლებრივ პრინციპებთან ერთად, მხედველობაში იღებს თვით დასადგენი გარემოების ხასიათს და მისი შემეცნების ფორმების თავისებურებას.

ასე, მაგალითად: თუ დასადგენ გარემოებას ადგილი აქვს აწმყოში, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მომენტში და ამასთან ერთად მისი გრძნობადი აღქმა შესაძლებელია, პროცესუალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ფაქტის ასეთი გზით დადგენის შესაძლებლობას და წესს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით „დანაშაულის კვალისა და სხვა ნივთიერი დამატკიცებელი საბუთების გამოქვეყნების, შემთხვევის ვითარებისა და აგრეთვე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა გამორკვევის მიზნით გამოძიებული აწარმოების შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობის, შენობის, საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერებას“. იმავე კოდექსის 273-ე, 274-ე და 295-ე მუხლების თანახმად იგივე პროცესუალური მოქმედების შესრულება შეუძლია სასამართლოს. ასეთივე შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლი.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, სასამართლო დათვალიერება სწორედ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სასამართლოს მიერ უშუალოდ აღქმის საშუალებას წარმოადგენს. სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გრძნობადი აღქმის გზით დადგენის დასაშვებლობას ჩვეულებრივ იმით ასაბუთებენ, რომ ასეთი აღქმისას საჭირო არ არის ლოგიკური, აზრობრივი პროცესების ჩარევა, რადგან ემპირიულ საფუძვლზე ხდება ფაქტის მხოლოდ კონსტატაცია. ეს ფაქტი ერთნაირად აღიქმება როგორც სასამართ-

<sup>7</sup> М. В. Курьлев, Основы теории доказывания в советском правосудии. Изд-во БГУ им. Ленина, Минск, 1969, стр. 9.



ლოს, ისე საქმეში მონაწილე პირების მიერ, რის გამოც მათ არ შეიძლება დაეხადოთ ექვი აღქმის ადექვატურობაში აღსაქმელ საგანთან. მართლაც, როგორც სწორად მიუთითებს დ. უზნაძე „არასდროს ადამიანის ფსიქიკა ისე ახლოს არ დგას სინამდვილესთან, როგორც აღქმის შემთხვევაში: აქ სინამდვილე პირდაპირ მოქმედებს ჩვენზე და აღქმამ მისი მაქსიმალურად უშუალო ასახვა უნდა მოგვეცეს“<sup>8</sup>.

მაგრამ ცნობილია, რომ გრძნობადი აღქმის შესაძლებლობები შეზღუდულია. ეს შეზღუდულობა ძირითადად გაპირობებულია თვით გრძნობის ორგანოების ბუნებრივი შესაძლებლობებით. მაგალითად ჩვენ არ შეგვიძლია გავიგონოთ თუმცა ძლიერი, მაგრამ ჩვენგან გარკვეული მანძილით დაშორებული ხმა. შეზღუდულია აგრეთვე მხედველობითი აღქმა და ა. შ. ადამიანი მართალია შეზღუდულია თავისი გრძნობის ორგანოების ფიზიოლოგიური საზღვრებით, — წერს კ. მეგრელიძე — მაგრამ ამის გამო საეხსებით არ არის შეზღუდული თავის შემეცნებაში. ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ის აფართოებს თავის აღქმასა და შემეცნებას დაუსრულებლად, ბუნებრივი შესაძლებლობების საზღვრებს იქით<sup>9</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით, იბადება კითხვა, შეუძლია თუ არა სასამართლოს უშუალო შემეცნების დროს გამოიყენოს მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებები, თუ ის უნდა შემოიფარგლოს თავისი გრძნობის ორგანოების ბუნებრივი შესაძლებლობებით, ხოლო თუ ეს საკმარისი არ არის, — მიმართოს გამოყენებულ შემეცნებას, კერძოდ დანიშნოს ექსპერტიზა?

შემეცნებაში ხელსაწყოების როლის ვაზრდასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა სპეციფიკური ფილოსოფიური პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მათს ლოგიკურ-მეთოდოლოგიურ სტატუსსა და შემეცნებაში გნოსეოლოგიური ფუნქციის გარკვევასთან.

ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად ხელსაწყო წარმოადგენს ჩვენი გრძნობის ორგანოების გაგრძელებას. ხელსაწყოს განსაზღვრავენ აგრეთვე როგორც მატერიალურ სხეულს, რომლის უნარი — ასახოს სხვა მატერიალურ სხეულთა თვისებები, გამოიყენება ადამიანის მიერ მათი შემეცნებისა და პრაქტიკული მიზნებისათვის. პირი, რომელიც იყენებს ხელსაწყოს, უშუალოდ თავისი გრძნობის ორგანოებით აღქვამს ხელსაწყოში მოხდარ ცვლილებას, მაგრამ სახელდობრ რას ასახავს ეს ცვლილება, ამაზე თითონ გრძნობადი აღქმა პასუხს ვერ გავცემს. აქედან გამომდინარე აკეთებენ დასკვნას, რომ ხელსაწყოთა გამოყენება მოითხოვს განყენებული თეორიული აზროვნების მუდმივ მუშაობას ამ ხელსაწყოთა ჩვენების ინტერპრეტაციისათვის<sup>10</sup>. ეს დებულება საეხსებით სწორია, იმისდა მიუხედავად, თუ რა სახის ხელსაწყოებს ვიყენებთ ჩვენ შემეცნების მიზნებისათვის. მაგალითად, ზოგჯერ ადამიანის სხეულში ტყვიის აღმოსაჩენად იყენებენ რენტგენის სხივებს. მაგრამ ეკრანზე შეიძლება დავინახოთ გამოსახულება, რომელიც მხო-

<sup>8</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ. 1940 წ. გვ. 463.

<sup>9</sup> К. Р. Мегрелидзе, Основные проблемы социологии мышления. გ-ბა „საქკოთა საქართველო“, თბ., 1965, გვ. 218.

<sup>10</sup> იხ. Современные проблемы теории познания диалектического материализма, Изд-во «Мысль», М., 1970, стр. 352-354; В. Г. Иванов, О роли прибора в научном познании. «Вопросы гносеологии, логики и методологии научного исследования», Вып. 2, Изд-во Ленинградского университета, 1970, стр. 89-102.

ლოდ ემსგავსება ტყვიას. საჭიროა აზროვნება, დასკვნის გაკეთება, რადგან სხვანიარად შეუძლებელია იმის დადგენა, არის ადამიანის სხეულში ტყვია, თუ არა.

ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო რაიულდება საკითხი აღქმის ადეკვატურობის შესახებ აღსაქმელ საგანთან ეს გართულება გამოწვეულია იმით, რომ თუ ჩვეულებრივ შემთხვევაში აღქმა სინამდვილის მაქსიმალურად შესაბამის ასახვას გვაძლევს, რადგან სინამდვილე პირდაპირ მოქმედებს ჩვენზე, რის გამოც აღქმის შინაარსში სუბიექტური მომენტების შეტანა თითქმის შეუძლებელია, ხელსაწყოთა გამოყენებით აღქმისას კი — პირიქით, სინამდვილესა და შემმეცნებელს შორის ჩნდება ხელსაწყო, რომლის ჩვენების ინტერპრეტაციისათვის საჭიროა აზროვნება, დასკვნების გაკეთება. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში აღქმის უტყუარობა და სიზუსტე თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვან წილად ამ დასკვნებზეა დამოკიდებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თითქოს უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ რახან შემეცნებაში ხელსაწყოთა გამოყენება მოითხოვს თეორიული აზროვნების მუშაობას, სასამართლოს არ შეუძლია თითონ უშუალოდ გამოიყენოს ჩხინი. საქმე ისაა, რომ სასამართლო თავის პროცესუალური მდგომარეობით საბოლოოდ აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და წყვეტს საკითხს, თუ რომელი ფაქტი უნდა ჩაითვალოს დადგენილად. ამიტომ, თუ ხელსაწყოთა გამოყენებით ფაქტის დადგენისათვის საჭიროა ლოგიკური აზროვნება, დასკვნების გაკეთება, მაშინ სასამართლომ უნდა დააწინასაღებოს ექსპერტიზა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუხდებოდა თავისი საკუთარი დასკვნების შეფასება. ეს კი, მხედველობაში რომ არ მივიღოთ საკუთარი დასკვნებისადმი კრიტიკული მიდგომის საეჭვობა, ფაქტიურად წაართმევდა მხარეებს კანონით მინიჭებულ უფლებას უარყონ მტკიცებულებები და წამოაყენონ თავიანთი მოსაზრებანი მათი უტყუარობის, თუ მცდარობის შესახებ: სასამართლო შემეცნების შედეგების უტყუარობის შემოწმება იმ პროცესუალური საშუალებებით, რაც გათვალისწინებულია ექსპერტისათვის ან მოწმისათვის (მაგ. დაკითხვა ან დაპირისპირება), სასამართლოს განსაკუთრებული პროცესუალური სტატუსის გამო დაუშვებელია.

მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ გრძნობადი აღქმაც, როგორც ამას მისი გაღრმავებული ანალიზი გვიჩვენებს, არ არსებობს აზროვნების გარეშე, წარსულის გამოცდილებისა და განზოგადების გარეშე<sup>11</sup>. განსხვავებას გრძნობად და აბსტრაქტულ-ლოგიკურ შემეცნებას შორის იმაში კი არ ხედავენ, რომ პირველი მოკლებულია განზოგადების უნარს, ხოლო მეორესათვის იგი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია: განზოგადებას ადგილი აქვს შეგროვებებშიც და აზროვნებაშიც; განსხვავება მხოლოდ ამ განზოგადების თვისებრივ მდგომარეობაშია<sup>12</sup>.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების უშუალოდ გამოყენების დაუშვებლობა იმ მოტივით, რომ მათი ასეთი

<sup>11</sup> იხ. დიალექტიკური მატერიალიზმი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1970, გვ. 433; Н. Б. Медведев, Теория отражения и ее естественно-научное обоснование, Соц-экзиз, 1963, стр. 90-115.

<sup>12</sup> ნ. ქორიძე, ვ. ი. ლენინი და მარქსისტული გნოსეოლოგიის ზოგიერთი საკითხი, გ-ბა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971, გვ. 104-106.

გამოყენება მეტნაკლებად ყოველთვის მოითხოვს თეორიული აზროვნების მუშაობას, არ იქნებოდა სწორი. გრძობადი აღქმაც როგორც ცოდნის ემპირიული საფეხური არ არსებობს მსჯელობისა და მაშასადამე აზროვნების ელემენტების გარეშე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიერ ფაქტიური გარემოებების ამ გზით დადგენის შესაძლებლობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაითვალისწინა კანონმდებელმა.

ამრიგად, შემეცნებითი მიზნებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების უშუალოდ გამოყენება სასამართლოს მიერ პრინციპულად დასაშვებია; საკითხი ეხება მხოლოდ იმას, თუ რა ფარგლებში ან რა პირობების არსებობისას შეუძლია მას გამოიყენოს ეს მიღწევები.

თუ გავითვალისწინებთ სასამართლო პროცესულურ მდგომარეობას და შემეცნებაში ხელსაწყობა გნოსეოლოგიურ ფუნქციას, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევა ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: ა) როდესაც მისი გამოყენება ხელმისაწვდომია საქმეში მონაწილე პირებისათვის, ხოლო მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისათვის საჭირო არ არის სპეციალური ცოდნა ან პროფესიული გამოცდილება, რის გამოც მათ არ შეიძლება დაეხადოთ ეჭვი ამ შედეგების ობიექტურ სინამდვილესთან შესაბამისობაში და ბ) როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევის გამოყენება არ არღვევს მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებს, მხარეთა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა უფლებებს და არ ამცირებს მათ პატივსა და ღირსებას. არ შეიძლება სწორი ჩვენების მიღების მიზნით დასაკითხ პირს შეუშაპუნოთ, მაგალითად, რაიმე ნარკოტიკული ნივთიერება, და არა მარტო იმიტომ, რომ ეს არღვევს მის პატივსა და ღირსებას, არამედ იმიტომაც, რომ სასამართლო წარმოების პრინციპების თანახმად მხოლოდ ნებაყოფლობით მიღებულ ჩვენებას (ალარებას) შეიძლება ჩონდეს მნიშვნელობა. შეგნებულად ტყუილი ჩვენებისათვის მოწმე შეიძლება დაისჯოს, მაგრამ სწორი ჩვენების მიღება იძულებით ან ჯანმრთელობისათვის საშიში რაიმე საშუალებებით დაუშვებელია. ამჟამად არსებობს მრავალი საშუალება რომელთა გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ისეთი დიდი მსხვერპლის გაღება, როგორცაა მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპების შელახვა, შეუწყნარებელია. სასამართლოს, მაგალითად არ შეეძლო გამოიყენებინა მტკიცებულებათა ფიქსირების მიზნით ისეთი, თითქოსდა სრულიად უვნებელი საშუალება, როგორცაა ხმის ჩამწერი აპარატი, ვიდრე არ შემუშავდა მისი გამოყენების პროცესულური წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმეში მონაწილე პირების უფლებების დაცვას. მაგალითად, სასამართლომ წინასწარ უნდა გააფრთხილოს ის პირები, ვის ხმასაც იწერენ, დაკითხვა მთლიანად უნდა ჩაიწეროს და დაუშვებელია ჩაწერა დაკითხვის მხოლოდ ნაწილისა; აკრძალულია იმავე დაკითხვის დროს მიცემულ ჩვენებათა განმეორება სპეციალურად ხმის ჩასაწერად; დაკითხვის დამთავრების შემდეგ ხმის ჩაწერას მთლიანად ასმენინებენ დაკითხულს, ხმის ჩაწერა უნდა დამთავრდეს დაკითხულის განცხადებით, რომელიც ადასტურებს მის სისწორეს და ა. შ.

ამრიგად, სასამართლოს მიერ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების უშუალოდ გამოყენების ფარგლები, ზემოდ აღნიშნული სხვადასხვა ხასიათის მიზე-

ზების გამო, შეზღუდულია, ამიტომ, აუცილებელი შეიქმნა სასამართლოს მიერ ამ მიღწევების გაშუალებული გამოყენების ისეთი პროცესუალური ფორმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მარტო საძიებელი გარემოების ობიექტური ქეშმარიტების შესაბამისად დადგენას, არამედ საქმეში მონაწილე პირების კანონიერი უფლებების დაცვასაც.

პროცესუალური კანონმდებლობა იცნობს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების სასამართლოს მიერ გაშუალებული გამოყენების სხვადასხვა ფორმებს (სპეციალისტის მონაწილეობა სასამართლო და საგამოძიებო მოქმედების წარმოებაში, სასამართლო ექსპერტიზა, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ჩაბმა პროცესში საქმეზე დასკვნის მისაცემად). მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების განსხვავებული პროცესუალური ფორმების არსებობა გაპირობებულია სასამართლოში მცოდნე პირების საქმიანობის სხვადასხვანაირი შინაარსით. ასე, მაგალითად: სპეციალისტი (ამ ცნების პროცესუალური გაგებით) მოწოდებულია დახმარება აღმოუჩინოს სასამართლოს ფაქტების აღქმაში, ამა თუ იმ პროცესუალური მოქმედების სრულყოფილად ჩატარებაში. ის არავითარ პროცესუალურ მოქმედებას დამოუკიდებლად არ ატარებს და არ აყალიბებს დასკვნას. სულ სხვა შინაარსის საქმიანობის შესასრულებლად იწვევენ სასამართლოში ექსპერტს: ის დამოუკიდებლად ატარებს გამოკვლევას, ავლენს ფაქტიურ მონაცემს (ცალკეულ ნიშნებს, თვისებებს), აფასებს მათ თავისი სპეციალური ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების საფუძველზე და აკეთებს დასკვნას სასამართლოსათვის საინტერესო ფაქტების არებობის ან არარსებობის შესახებ. ექსპერტის დასკვნა არის მტკიცების ერთ-ერთი დამოუკიდებელი საშუალება, რომელსაც არავითარი წინასწარი დადგენილი ძალა ან რაიმე უპირატესობა მტკიცების სხვა საშუალებებთან შედარებით არ აქვს.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს აღნიშნული პროცესუალური ფორმების დაწვრილებითი ანალიზი. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე გარკვეულ ეტაპზე არ შეიძლება არ გამოიწვიოს შესაბამისი პროცესუალური ფორმების ცვლილებები.

არც ისე შორეულ მომავალში ტექნიკის განვითარება ისეთ დონეს მიიღწევს, როდესაც ხელსაწყო ითამაშებს შუალედი რგოლის როლს არა ობიექტსა და ადამიანის გრძნობის ორგანოებს შორის, არამედ გამოსაკვლევ ობიექტსა და კიბერნეტიკულ მანქანას შორის. პრინციპში — წერს გ. პახომოვი, — შესაძლებელია ელექტრონულ-ლოგიკური მანქანა, რომელსაც ექნება უნარი ავტომატურად ჩატარებული და გაანალიზებული ექსპერიმენტების საფუძველზე აავოს ჰიპოთეზები და დაგვემოს ექსპერიმენტები მათი შემოწმების მიზნით. ასეთ ვითარებაში არა მარტო აღქმის ფუნქცია, არამედ მიღებული მონაცემების ლოგიკური გადაამუშავებაც ადამიანის გარეშე წარმოებს და ადამიანი ეცნობა მხოლოდ განზოგადებულ მონაცემებს. ასეთ პირობებში არა აქვს ადგილი ობიექტის არც პირდაპირ და არც გაშუალებულ გრძნობად აღქმას. ეს არის ისეთი ნიშნების აღქმა, რომელნიც მიღებული მონაცემების ლოგიკური გადაამუშავების შედეგს გამოხატავენ<sup>13</sup>.

<sup>13</sup> Б. Я. Похомов, Место эксперимента в научисм познании, «Современные проблемы теории познания диалектического материализма», т. II, Изд-во «Мысль», М., 1970, стр. 351-352.

ბუნებრივია, რომ მსგავსი მანქანების გამოყენება, მაგალითად, სასამართლო ექსპერტების მიერ შეცვლის მათი საქმიანობის შინაარსს. კერძოდ, ექსპერტებს აღარ მოუხდებათ თვითონ უშუალოდ გამოავლინონ ფაქტიური მონაცემები (ნიშნები, თვისებები) და შემდეგ შეაფასონ ეს მონაცემები იმ თვალსაზრისით, თუ რა დასკვნები შეიძლება გაეაკეთათ მათ საფუძველზე სასამართლოსათვის საინტერესო გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ. ამ ოპერაციებს თვითონ მანქანები შეასრულებენ.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში პროცესუალისტების წინაშე დაისმის მრავალი საკითხი, მათ შორის, რა ფუნქციების შესასრულებლად უნდა მოვიწვიოთ ექსპერტი (სპეციალისტი), ხომ არ ამოიწურება მისი საქმიანობა მანქანის სწორად მუშაობისადმი თვალყურის დევნებით ან იმის განსაზღვრით, თუ როგორია მიღებული შედეგები უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ექსპერტს და ა. შ.

ამრიგად, დადგება დრო, როცა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების მართლმსაჯულების მიზნებისათვის გამოყენების ამჟამად არსებული ფორმები შეუსაბამოაში აღმოჩნდებიან იმ საქმიანობათა შინაარსთან, რომლებსაც დღეს ეს ფორმები ემსახურებიან. ეს კი აუცილებლად გამოიწვევს ამ ახალი შინაარსის შესაბამისი პროცესუალური ფორმების შემუშავების აუცილებლობას.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, სამართლის სექტორმა)

## პუბლიკაცია

ოთხან გობფრიდ კერლერი

### ბამოკვლევა ენის წარმოშობის შესახებ\*

მეორე თავი. ორში ერთი: ან ეს ნაკლოვანება და ხარვეზები შეუსაბამო ადამიანის მოდგმისათვის, ან არადა ბუნება მას მოჰპყრობია როგორც უსასტიკესი დედინაცვალი, თითოეულ მწერს კი — როგორც მზრუნველი და მოსიყვარულე დედა. ყოველ მწერს აქვს ის, რაც მას სჭირდება და იმდენი, რამდენიც ჰყოფნის. ...ადამიანში ყველაფერი უაღრესად შეუთანხმებელია: შეგრძნებებიცა და მოთხოვნებიც, ძალებიცა და სამოქმედო წრეც, ორგანოებიცა და ენაც. საპოვნელია ის შუა წევრი, რომელიც დაპირისპირებულ წევრთა შორის წონასწორობას აღადგენდა.

შუა წევრისათვის რომ მიგვეგნო, ბუნების ანალოგიით, დანაკლისის ასეთი შევსება გვაპოვნინებდა ადამიანის თავისებურებასა და მისი მოდგმის ხასიათს; თანაც, გონებისა და სამართლიანობის მოთხოვნით, იგი ჩაითვლებოდა იმავე მნიშვნელობის ბუნებრივ ნიჰად, რაც ცხოველთათვის ინსტინქტია.

ჰოდა, თუ ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა მიზეზი სწორედ ამ თავისებურებაშია და თუ ამ ნაკლოვანებათა შუაგულში, ინსტინქტთა უქონლობით გამოწვეულ სიცარიელეში, ვიპოვიდით მაგიერის ჩანასახს, ასეთი პარმონია იქნებოდა გენეზისური საბუთი იმისა, რომ აქ უნდა ვეძიოთ კაცობრიობის ქეშმარიტი გზა, ხოლო ადამიანის მოდგმა ცხოველისას აღემატება არა საფეხურებრივი მეტ-ნაკლებობის მიხედვით, არამედ — თვისებრივად. თუ კაცობრიობის ამ ახალმოჩენილ თვისებაში ვიპოვიდით ადამიანის ენის წარმოქმნის აუცილებელ გენეზისურ საფუძველსაც (მსგავსად იმისა, როგორც ცხოველთა ინსტინქტებში მივაგენით ყოველი სახეობისათვის თავისებური ენის უშუალო საფუძველს), მაშინ მიზანსაც მიღწეულად ჩავთვლიდით. ამ პირობის ძალით, ენა ადამიანისათვის იქნებოდა ისევე არსებითი და მნიშვნელოვანი, როგორც ის, რომ იგი ადამიანია... და თუ ადამიანის წარმოდგენის ძალები არ იფარგლება ფიქვის უჯრედებით ან ობობას ქსელით, ე. ი. ვერ გაუტოლდება ფუტკრისა და ობობას ოსტატობას, სამაგიეროდ, მის წინაშე გადაიშლება უფრო ფართო ასპარეზი. არ არსებობს ისეთი საქმე, რაშიაც ადამიანი იჩენდეს მწერის სრულყოფილ ხელოვნებას; სამაგიეროდ, მის ხელთ არის ფართო სარბიელი, რათა თავისი თავი ბევრგან გამოსცადოს და ამ გზით უფრო სრულყოფილიც გახდეს...

რაც არ უნდა დავარქვათ ადამიანის ძალების ასეთ დისპოზიციას: განსჯა, გონება, რეფლექსია თუ სხვა, — ამას არა აქვს მნიშვნელობა; ოღონდ ნუ მივიჩნევთ მათ განცალკევებულ ძალებად ან ცხოველური ძალების ხარის-

\* დასაწყისი იხ. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1973, № 1.

ხობრივ მატებად. აქ მოჩანს ყველა ადამიანური ძალის მთლიანი ორგანიზაცია, მისი გრძობადი, შემეცნებელი და ნებელობითი ბუნების ერთიანი აღნაგობა; ან, უკეთ რომ ვთქვათ, ეს არის აზროვნების ერთადერთი პოზიტიური ძალა, რომელიც სხეულის გარკვეულ— ორგანიზაციას ერწყმის და ადამიანისათვის გონებაა, ხოლო ცხოველისათვის — უნარი, რასაც ადამიანში თავისუფლებას ვეძახით, ცხოველში კი — ინსტინქტს. ... ადამიანის გონიერება, მისი მოდგმის ბუნება, სულ სხვა რამ არის; კერძოდ, ეს არის ადამიანის მოაზროვნე ძალის მთლიანი დანიშნულება მის გრძობადობასა და ინსტინქტებთან კავშირში. და თუ მოვიშველიებთ ყველა ზემოთქმულ ანალოგიას, ეს არის შემდეგი:

ადამიანს რომ ცხოველის ინსტინქტები დაჰყოლოდა, არ ექნებოდა ის, რასაც დღეს გონებას ვეძახით; რადგან ეს ინსტინქტები ისე ბრმად წარმართავდა ადამიანის ძალებს ერთი მიმართულებით, რომ მას აღარ დარჩებოდა თავისუფალი შემეცნების სფერო.

ადამიანს რომ ცხოველის შეგრძნებები ჰქონოდა, ის მოკლებული იქნებოდა გონებას; რადგან ადამიანის გრძობათა ძლიერი აღზნებადობა, მათ მიერ აღძრული ძლიერი წარმოდგენები ჩანასახშივე მოაშთობდნენ ყოველი სახის ცივ რეფლექსიას. მეორეს მხრივ, თუ უკუვაგდებდით ცხოველის გრძობადობასა და ერთ წერტილში ჩაკეტილობას, მივიღებდით სხვა არსებას, რომლის პოზიტიური ძალაც მეტი სიცხადით იჩენს თავს უფრო დიდ სივრცეში და უფრო ფაქიზი ორგანიზაციით; უკეთ რომ ვთქვათ: ცალკე მდგომი და თავისუფალი, იგი არა მარტო შემეცნებელია, არა მარტო სურვილის მქონე და მოქმედი, არამედ ისიც იცის, რომ შეიმეცნებს, ჰსურს და მოქმედებს. ეს არსება ადამიანი გახლავთ და მისი ბუნების მთელ ამ დისპოზიციას, კოველი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საზრიანობას (Besonnenheit) ვარქმევ. თუ ადამიანი ვერ იქნებოდა ინსტინქტით აღჭურვილი ცხოველი, თავისი სულის ლაღად მოქმედი პოზიტიური ძალის მეოხებით, ის უნდა ყოფილიყო საზრიანი არსება. დასკვნების ამ ჯაჭვს რომ რამდენიმე რგოლი წაეშობოდა, მოსალოდნელ შემოტევასაც თავიდან ავიცილებ.

რაკი გონება არ წარმოადგენს განცალკევებით მოქმედ ძალას, არამედ ის არის ადამიანის მოდგმისათვის ნიშანდობლივი ყველა ძალის თავისებური მიმართულება, ადამიანს იგი უნდა ჰქონოდა ადამიანობის პირველსავე მომენტში. საზრიანობა უკვე მოჩანს ბავშვის პირველსავე ფიქრებში, მსგავსად იმისა, როგორც მწერი ამჟღავნებს იმთავითვე თავის მწერობას... ნიშნავს თუ არა გონიერული ქცევა ჩამოყალიბებული გონებით აზროვნებას? როცა ვამბობთ: ჩვილი საზრიანობას ამჟღავნებსო, ვანა ამით იმის თქმა გვსურს, რომ იგი მსჯელობს და აზროვნებს მსგავსად სოფისტისა; კათედრაზე ან მსგავსად სახელმწიფო მოღვაწისა თავის კაბინეტში? სამგზის ბედნიერია ის, რომ ჯერ არაფერი გაეგება ამ გულისგამაწვრილებელი გონებრივი ლათაიებისა! აბა რომელი დამთხვეული მოჰყვებოდა იმის მტკიცებას, თითქოს ადამიანი თავისი ცხოვრების პირველსავე წამში ისევე აზროვნებდეს, როგორც რამდენიმე წლის ვარჯიშის შემდეგ? ეს იქნებოდა სულიერ ძალთა განვითარების უარყოფა და ამით საკუთარი მოუშფიფებლობის აღიარებაც... საზრიანობა ადამიანური ძალების გაწონასწორებაა ადამიანისათვის ნიშანდობლივი ძირითადი მიმართულებით და ეს ადამიანის ხედვრია მისი არსებობის როგორც პირველ, ისე ბოლო წუთებში. ადამიანის გონება ისე ცხადად გამოსჰყვის მისსავე

გრძნობადობაში, რომ ყოვლისმცოდნესა და ამ სულის შემქმნელს სულის პირველსავე მომენტში განუპერტია ცხოვრებისეულ მოქმედებათა მთლიანი ხლართი, მსგავსად იმ გეოდეზისტისა, ვინაც მოცემული კლასის მიხედვით, პროგრესიის ერთი წვერიდან ამოსვლით სწვდება მთლიან პროპორციას...

ადამიანმა ენა შექმნა მისთვის ნიშანდობლივ მდგომარეობაში საზრიანობისა, მან პირველად აამოქმედა საზრიანობა (რეფლექსია) თავისუფლად... საზრიანობა არის ადამიანის სპეციფიკური და არსებითი თვისება; ასევე — ენაცა და ენის დამოუკიდებლად შექმნაც მის მიერ. ამგვარად, ადამიანისათვის ენის შექმნა ისევე ბუნებრივი ყოფილა, როგორც ის, რომ იგი ადამიანია! განვმარტოთ ეს ორი ცნება: რეფლექსია და ენა.

ადამიანი რეფლექსიას მაშინ ამჟღავნებს, როცა მისი სულიერი ძალა ისე თავისუფლად მოქმედებს, რომ ყველა გრძნობის ორგანოში ხმაურით შემოჭრილ განცდათა ოკეანეში მას შეუძლია, ასე ვთქვათ, ერთი რომელიმე ტალღა გამოყოს, შეაჩეროს, ყურადღება მისცენ წარმართოს და ეს ყურადღება კიდევაც გააცნობიეროს. ადამიანში რეფლექსია დასტურდება მაშინაც, როცა იგი ამა თუ იმ მომენტში ყურადღებას ფიზიკურად მოიკრებს და ნებისმიერად შეაჩერებს თავის შეგრძნებებში მოფარფატე ბუნდოვანი სახეებიდან ერთ-ერთ მათგანზე, მას უფრო დინჯი, ნათელი დაკვირვების საგნად გაიხდის და გამოყოფს იმ ნიშნებს, რომლის თანახმადაც მას სწორედ ეს საგანი წარმოუდგება და არა რომელიმე სხვა. ასე რომ, რეფლექსია მკლავდება ადამიანის მიერ არა მარტო ყველა თვისების იოლსა და მკაფიო გამოცნობაში, არამედ ერთი ან რამდენიმე ნიშნის განმასხვავებლად შერაცხვაში. ასეთი განმასხვავებელ ნიშნად ცნობის პირველივე აქტი წარმოქმნის ცხად ცნებას; ასეთია სულის პირველი მსჯელობა, გამოწვეული იმ ნიშნით, რომელმაც ადამიანმა გამოყო და რაც ცხადად აღებუქდა მის სულს როგორც რეფლექსიის ნიშანი. ჩინებულია! მაშ, შევძახოთ ჰერაკლიტის პირველივე ნიშანი სულის სიტყვა! და მასთან ერთად გაჩნდა ადამიანის ენაც!

აი, ადამიანის თვალწინ გაიღვა რაღაც საგანმა, დავუშვათ, ცხვარმა. ადამიანი არც მშვიდობით და მსხვერპლსმოწყურებული მგლის მსგავსად შეხედავს მას და არც სისხლით გაუმაძღარი ლომის მსგავსად! — ესენი მსხვერპლს უკვე თავიანთ სულშივე გრძნობენ და ტუბობას ეძლევიან; მათ იმორჩილებს მათივე გრძნობადობა და, ინსტინქტით შეპყრობილნი, თავს აცხრებიან თავიანთ ნადავლს. ადამიანი არც იმ ცხოველივით იქცევა, რომელიც თავისი ინსტინქტის შესაბამისად ცხვრის მიმართ გულგრილობას ამჟღავნებს. რაწამს ადამიანს აღეძვრის სურვილი ცხვრის გასაცნობად, მას არც ინსტინქტი აშორებს და არც რაიმე გრძნობა ეწევა ცხვრისაკენ. ადამიანის წინაშე ცხვარი ისეთ სახეს მიიღებს, როგორც ეძლევა იგი მის შეგრძნებებს: თეთრი, ფაფუკი, ბეწვიანი. საზრიანობაში ნაწრთობი სული დაეძებს ნიშანს — ცხვარი ბლავის (blökt)! აჰა, ეს ნიშანიც! შინაგანი გრძნობა მყისვე ამოქმედდა. ცხვრის ხმა, — რამაც უდიდესი შთამბეჭდავი ძალით იმოქმედა ადამიანზე, რამაც უკან დასწია მხედველობითა და შეხებით შემჩნეული ყველა თვისება, — წინ გამოიჭრა, ადამიანის სულში ღრმად შეაღწია და შიგ ჩაიბუღა. ცხვარი კვლავ მოექცა ხედვის არეში: თეთრი, ფაფუკი, ბეწვიანი... ადამიანი კვლავ ხედავს მას, ეხება, აკვირდება, ნიშანს დაეძებს — ცხვარმა კვლავ დაიბლავა და ადამიანმა კვლავ იცნო იგი! „აჰა, ეს ისევე შენა ხარ — Du bist das Blökende! —



სულმა ის შინაგანად იგრძნო, ადამიანურად შეიმეცნა, რაკი ცხვარი გარკვეული ნიშნის მიხედვით იცნო და მას სახელიც უწოდა. ასე ცხადად რომ არ შეეცნო, ადამიანი ვერც აღიქვამდა ცხვარს, რადგან მას ვერც ერთი სხვა გრძნობა ან ინსტინქტი ცხვრის მიმართ ვერ შეუესებდა სიცხადის უქონლობას... ეს ნიშანი იგივეა, რაც სიტყვა-ნიშანი. ბღვილი, რაც ადამიანის სულმა ცხვრის საცნობ ნიშნად აღიქვა, ასეთი რეფლექსიის ძალით, ცხვრის სახელად გადაიქცა... ეს ის ნიშანია, რითაც სულმა ცხადად გაიაზრა გარკვეული ცნება. სხვა რა უნდა იყოს იგი, თუ არა სიტყვა? და სხვა რა უნდა იყოს ადამიანის ენა მთლიანად, თუ არა ამგვარ სიტყვათა ერთობლიობა?..

✓ვისაც კი ენის წარმოშობაზე დაუწერია, უმეტესად ენის სათავეს დაიძებ-  
და არა იმ ერთადერთ ადგილს, სადაც ის შეიძლება ყოფილიყო: ბევრს აწუხებდა ბნელი ეჭვი: საერთოდ იპოვიდნენ თუ არა მას ადამიანის სულში? მის აღმოჩენას ცდილობდნენ, მაგალითად, ადამიანის სამეტყველო ორგანოთა აგებულებაში; თითქოს ორანგუტანგი ოდესმე შეძლებდა იმავე ორგანოებით ენის მოპოვებას. მას დაეძებდნენ ვნებათა გამოხატველ ბგერებშიაც; თითქოს ყველა ცხოველი არ გამოსცემდეს ასეთ ბგერებს და რომელიმეს ამათგან ენა შეექმნას. წამოაყენეს ბუნების ხმათა მიბაძვის პრინციპიც; თითქოს შესაძლებელი იყოს ასეთ ბრმა მიდრეკილებაზე რაიმეს აგება. ვანა ამ მიდრეკილების მქონე მაიმუნმა ან კიდევ კაპუკამა, რომელიც ასე მშვენიერად ბაძავს ბუნების ხმებს, მოახერხეს ენა შეექმნათ? დაბოლოს, უმეტესობამ შეთანხმება ივარაუდა, რომლის წინააღმდეგაც ყველაზე მკაცრად რუსომ გაილაშქრა; მართლაცდა, რას ნიშნავს ეს ბუნდოვანი გამოხატულება: „ენის თაობაზე ბუნებრივი შეთანხმება?“ ასე ბევრმა და აუტანელმა შეცდომებმა, რაც ენის ადამიანური წარმოშობის შესახებ გამოითქვა, თითქმის გააბატონა საპირისპირო შეხედულება, თუმცა იმედი მაქვს, რომ ეს შეხედულება დიდხანს ვერ გასტანს. ✓ადამიანის პირის აგებულება როდი ქმნის ენას: მუნჯი ადამიანად რჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე, რაკი ის აზროვნებს; ეს იმას ნიშნავს, რომ ენის სავანე მუნჯის სულშია საძიებელი! აქ არც განცლით გაჩენილ ბგერებს ეხება საქმე, რადგან ენა მოაზროვნე არსებამ შექმნა და არა სულიერმა მანქანამ! ვერც მიბაძვის პრინციპს მოვიშველიებთ; ბუნების შესაძლო მიბაძვა მხოლოდ საშუალებაა იმ ერთადერთი მიზნისათვის, რასაც შემდგომ განვმარტავ. ვერც საზოგადოებრივ შეთანხმებას გავიხდით ამოსავლად: ტყეში მცხოვრებ მარტოხელა ველურსაც უნდა შეექმნა ენა, თუნდაც მას არსოდეს ემეტყველა ამ ენაზე. ენა იყო ადამიანის სულის თანხმობა თავისსავე თვითან და ისევე აუცილებელი, როგორც ის, რომ ადამიანი არის ადამიანი. სხვას ვერ გაუგია, თუ როგორ შექმნიდა ადამიანის სული ენას; ჩემთვის კი წარმოუდგენელია, ადამიანის სული ყოფილიყო ისეთი, როგორც ის არის და სწორედ ამის ძალით უსათუოდ არ შეექმნა ენა სამეტყველო ორგანოებისა და საზოგადოების დაუხმარებლად!

✓ყველაზე ნათლად ენის ასეთ წარმოშობას ადასტურებს საპირისპირო არგუმენტები. ენის ღვთაებრივი წარმოშობის თავგამოდებული მომხრე<sup>1</sup>, იმავედროულად, ენის ჰუმანიტად ადამიანური წარმოშობის დამცველადაც გვემლინება. მისი მთავარი არგუმენტი, უფრო მართებული გაგებით, მასვე უპირისპირდება და წარმოადგენს ენის ადამიანური წარმომავლობის დასაბუთ-

<sup>1</sup> ზიუსმილი.

ბას. იგი ამტკიცებს, რომ „ენის გამოყენება აუცილებელია გონების გამოსაყენებლად!“ მაგრამ განა ამით ისიც არ მტკიცდება, რომ „თუკი გონებით სარგებლობა ადამიანისათვის ბუნებრივია, ასევე ბუნებრივი უნდა იყოს ენის გამოყენებაც?!“ ✓ სამწუხაროდ, მას არ დაუსაბუთებია თავისი დებულება... აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, თითქოს თავისთავად შეუძლებელი იყოს აბსტრაქცია ფიზიკური ნიშნის გარეშე. მე მხოლოდ ვამტკიცებ, რომ არა მარტო გონების გამოყენება სათანადოდ ვერ განხორციელდებოდა ნიშნის გარეშე, არამედ — თვით გონების უმნიშვნელო გამოყენებაც, ადამიანური საზრიანობის უელემენტარულესი გამოვლენაცა და უმარტივესი მსჯელობაც კი წარმოუდგენელია ნიშნის უქონლად... ხფლო თუ იგი [ზიუსმილჰი] დასძენს: ვერც ერთი ადამიანი თვითონ ვერ შექმნიდა ენას, რადგან ენის შექმნას გონება სჭირდება, ე. ი. ენა უკვე უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ ის იქნებოდა, მე ვაჩერებ მარადიულ წრებრუნვას, კარგად ვაკვირდები მას და აი, რას მეუბნება იგი: ratio et oratio! თუ ადამიანს ვერ ექნებოდა გონება ენის გარეშე, ენის შექმნა ადამიანისათვის ისევე ბუნებრივი, ისევე ძველი, ისევე პირველადი და ისევე დამახასიათებელი ყოფილა, როგორც გონებით სარგებლობა.

ზიუსმილჰის დასკვნებს მარადიული წრებრუნვა შეეპარქვი, რადგან იგი ისევე შემოძლია შევებრუნო მის წინააღმდეგ, როგორც მას შეუძლია შემოებრუნოს ჩემს წინააღმდეგ, ბრუნვა კი უსასრულოდ გრძელდება. უნოდ ადამიანს არა აქვს გონება და არც გონების გარეშე — ენა. ენისა და გონების უქონლად ადამიანი ვერაფერს შეითვისებდა ღმერთისაგან, ხოლო უამისოდ მას არც გონება ექნებოდა და არც ენა: — საით მივყავართ ამ გზას? როგორ ისწავლიდა ადამიანი ენას ღმერთის ჩაგონებით, თუ მას არ ექნებოდა გონება? ენის გარეშე ხომ შეუძლებელია გონების თუნდაც მცირედი გამოყენება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ადამიანს ენა ჰქონია მანამდის, სანამ ენა ექნებოდა. ღმერთის გაკვეთილის პირველი მარცვალიც რომ დეძლია, ის ხომ, და ამას ბატონი ზიუსმილჰიც აღიარებს, ადამიანი უნდა ყოფილიყო ანუ შეძლებოდა ნათლად აზროვნება, ხოლო პირველსავე ნათელ აზრთან ერთად მის სულში ენაც უნდა გაჩენილიყო; მაშასადამე, ენა წარმოქმნილა საკუთარი საშუალებებითა და არა ღმერთის ჩაგონების გზით. მე კარგად ვიცი, რასაც ემყარება, ჩვეულებრივ, ასეთი წარმოდგენა ღმერთის პედაგოგობისა, კერძოდ, ბავშვებისათვის ენის გადაცემას მშობლების მიერ. მაგრამ ეს ასე როდია. მშობლები ვერასოდეს შეასწავლიდნენ თავიანთ ბავშვებს ენას, ბავშვები რომ თვითვე არ ქმნიდნენ მას პარალელურად. მშობლები მხოლოდ საგანთა განსხვავებას მიაპყრობდნენ ბავშვთა ყურადღებას გარკვეულ სიტყვიერ ნიშანთა მეოხებით. ასე რომ, ისინი ენით კი არ უცვლიან ბავშვებს გონებას, არამედ ენის შემწვობით უმსუბუქებენ და ბიძგს აძლევენ მათ მიერ გონების გამოყენებას. ✓ ასეთი ზებუნებრივი შემწვობის სხვა მიზეზებით ანსნას არაფერი ესაქმება ჩემს მიზანთან. ირკვევა, რომ ღმერთს კი არ შეუქმნია ენა ადამიანისათვის, არამედ ადამიანებს უნდა შეექმნათ იგი საკუთარი ძალების გამოუდგებელი მოქმედებით.

როგორც ვხედავთ, საკმარისია მხედველობიდან გამოვგრჩეს ნამდვილი გენეზისი, რომ შეცდომათა ველიც ორსავე მხრივ უსაზღვროდ ფართოდება: ან ენა ისე ზეადამიანურია, რომ იგი ღმერთს უნდა შეექმნა, ან ისე არა-ადამიანურია, რომ მას ყოველი ცხოველი შექმნიდა სურვილისამებრ. ჭეშ-

მარტიების მიზანი კი ერთადერთ წერტილშია, საიდანაც ყველა მიმართულე-ბით მოჩანს, თუ რატომ ვერ შექმნიდა ენას ვერც ცხოველი და ვერც ღმერთი და რატომ უნდა შეექმნა ენა სწორედ ადამიანს, თანაც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს... პირველივე ადამიანური აზრი, პირველივე ცნობიერი მსჯელობა, საკუთარ სულში დიალოგის გამართვაა. პირველივე ადამიანური აზრი თავისი არსით უკვე სხვასთან დიალოგის გამართვაა! პირველივე ნიშანი, რასაც მე შევიცნობ, სიტყვაა ჩემთვის და იმავდროულად გადასაცემი სიტყვაა სხვისთვის!..

მისამდე მივდივართ. ასე და ამრიგად, დავიჭირეთ ის ფოკუსი, სადაც პრომეთეს ციური ნაპერწკლიდან აღიზნება ადამიანის სული. პირველ ნიშანთან ერთად ენაც წარმოიქმნა. როგორ უნდა ქცეულიყო პირველი ნიშნები ენის ელემენტებად?

1. ბ გ ე რ ე ბ ი. ჩიზლდინის<sup>2</sup> ბრმა იმის ნიმუშია, თუ რა ნელა ვითარდება მხედველობა, რა ძნელად სწვდება სული სივრცის, ფორმისა და ფერის ცნებებს, რამდენი ცდა უნდა ჩაეტარებინათ და გაზომვის რა ხელოვნებისათვის უნდა მიეღწიათ, რომ ამ ნიშნებით ცხადად ესარგებლათ; მხედველობა ამიტომაც ვერ იქნებოდა ენისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი. გარდა ამისა, მხედველობის შეგრძნება ისე ცივი და უტყვი იყო, ხოლო სხვა უფრო უხეში შეგრძნებები ისე ბუნდოვანი, რომ, ბუნების თანახმად, ენის პირველი მოძღვარი ან არაფერი, ან მხოლოდ სმენა უნდა ყოფილიყო.

ჩვენს თვალწინ ცხვარმა გაივლია. ბუნების დიდსა და ვრცელ სურათში იგი წარმოგვიდგა ყველა თავისი წვრილმანით, მოხაზულობითა და ფერებით. რამდენი რამ არის გასარჩევი და რა ძნელია მათი გარჩევა! ყველა ნიშანი ფაქიზად არის ერთმანეთში ჩაწნული ან გვერდიგვერდ დალაგებული და მაინც რაოდენ ძნელია მათი გამოთქმა! ვის შეუძლია ამიტყველოს ფორმები? ვის შეუძლია ბგერით გამოთქვას ფერები? ადამიანი ხელს შეახებს ცხვარს; შეხების შთაბეჭდილება თუმცა უფრო სრულია და უფრო საიმედო, მაგრამ — მეტისმეტად ბუნდოვანი, მეტისმეტად გაურკვეველი. ვის შეუძლია გამოთქვას ის, რასაც შეხებით განიცდის? მაგრამ, ჩუ, ცხვარმა ხმა გამოსცა! და, აჰა, მოსწყდა ნიშანი ფერად ტილოს, სადაც ესოდენ ძნელდებოდა რაიმეს გარჩევა, მოსწყდა და ღრმად, მკაფიოდ შემოიჭრა სულში. „აჰა!“ შესძახებს ახალბედა მოწაფე, მსგავსად ჩიზლდინის თვალახელილი ბრმისა: „ახლა კი გიცნობ, არ შემეშლები, — შენ ბღავიხარ!“ გვერტი ღულუნებს, ძალი ყელს! გაჩნდა სამი სიტყვა, რომლებიც მან თავის ლექსიკონს შეჰმატა, ხოლო სათაზნადო სამი ცხადი ცნება — თავის ლოგიკას. გონება და ენამ შეთანხმებულად გადადგა ფრთხილი ნაბიჯი, ხოლო ბუნება ნახევარ გზაზე შემოეგება მათ სმენის შემწეობით. ბუნებამ არა მარტო გაახშირანა ნიშანი, არამედ სულსაც ღრმად დაამჩნია იგი. ნიშანმა ხმა გამოსცა, სულმა ის დაიჭირა და ასე მივიღეთ ხმოვანი სიტყვა!

მაშასადამე, ადამიანი ყურით აღმქმელი არსებაა, ბუნებით მოწოდებული ენისათვის; ირკვევა, რომ თვით ბრმაცა და მუნჯიც შექმნიდა ენას, თუ იგი სრულიად უგრძობელი და ყრუ არ იყო. აბა დასვით ადამიანი მყუდროდ

<sup>2</sup> Philol. Transact. Abridgment. იხ. ასევე ჩიზლდინის ანატომია, სმიტ-კესტნერის ოპტიკა, ბიუფონის „ბუნების ისტორია“, ენციკლოპედია და სიტყვა «aveugle» ათ პატარა ფრანგულ ლექსიკონში.



და უშფოთველად უკაცრიელ კუნძულზე: ბუნება უმალ შემოაღწევს მასში სმენის გზით. მას თითქმის ათასობით უხილავი არსება გაუბამს საუბარს, თუნდაც ბაგე სამუდამოდ ჰქონდეს დადუმებული, თვალი კი — ჩამქრალი, იგი მაინც ვერ გაძლებს უენოდ. როცა საბრალო მარტოსულს ხის ფოთლები სიის მოჰკვირან, წყარო ნანას ეტყვის და მოზუზუნე ქარი ლოყებს გაუგრილებს, როცა მიჩუხჩუხე წყარო წყალს მიაწვდის, შრიალა ხე კი — ნაყოფს, მას აღძვრის ინტერესი გაეცნოს თავის კეთილისმყოფელ არსებებს და ეუფლება სურვილი, თავის სულში მათ სახელი შეარქვას. ასე გახდება ხე შრიალა, ქარი — ზუზუნა, წყარო — ჩუხჩუხა და პაწია სიტყვარიც მზადაა სამეტყველო ორგანოების მოლოდინში. მაგრამ რა ღარიბი და უცნაური უნდა იყოს ის წარმოდგენები, რასაც ეს ხეიბარი ამგვარ ბგერებს დაუკავშირებს<sup>3</sup>.

მიეცით ადამიანს შეგრძნებათა სრული თავისუფლება, დაე, მან დაინახოს, მოსინჯოს და განიცადოს ერთდროულად ყველა არსება, რომლის ხმაც კი ყურში ჩაესმის, — რამოდენა აუდიტორია ექნებოდა ცნებათა და ენის შესასწავლად! ნულარ ჩამოიყვანთ ღრუბლებიდან მერკურსა და აპოლონს საოპერო მანქანებით; უამისოდაც მთელი მრავალხმიანი, ღვთაებრივი ბუნება ენის მოძღვარსა და შთამაგონებელს წარმოადგენს. იგი ადამიანის წინაშე ჩამოატარებს ყველა არსებას: ყოველ მათგანს პირზე აკერია თავისი სახელი, რასაც იგი გადასცემს თავის ფარულსა და მიწიერ ღმერთს, როგორც მისი ვასალი და მსახური; ყოველ მათგანს, ადამიანის სამეუფო წიგნში შეაქვს თავისი საცნობი სიტყვა როგორც ხარკი, რათა მან ამ სახელთა გაგონებით ისინიც მოიგონოს, ამიერიდან მათ მოუხმოს და მათთან ყოფნით დატკბეს...

ენა რომ ანგელოზს ან რომელიმე ციურ სულს შეექმნა, განა ენის მთელი აღნაგობა არ იქნებოდა ანაბეჭდი ამ სულის აზროვნების წესისა? აბა საიდან გამიჩნდებოდა ანგელოზის წარმოდგენა, თუ არა მისი ანგელოზური, არამიწიერი თვისებებიდან? მერედა, სად მოჩანს ეს თვისებები ჩვენს ენაში? ამ სასახლის [ენის] აგებულება და სქემა, თვით საძირკველიც კი, — მთლიანად ცხადყოფს მის ადამიანურ ბუნებას! ... პირველი ლექსიკონი თავს უყრიდა ყოველნაირ ბგერებს. ყოველი მგლეჩი საგანი გამოსცემდა თავის სახელს, რითაც ადამიანის სული ამ საგნის წარმოდგენას აღიბეჭდავდა და მას საცნობო ნიშნად გაიაზრებდა; — რა გასაკვირია, თუ ეს შორისდებულები პირველ სიტყვებად გადაიქცნენ. აღმოსავლური ენები ხომ საგნა ზმნებით, რომლებიც ენის მთავარ ძირებს ქმნიან, აზრი საგნის შესახებ მერყეობდა მოქმედსა და მოქმედებას შორის და ბგერას უნდა აღენიშნა ის საგანი, რაც ამ ბგერას გამოსცემდა. ამიტომაც ზმნებმა მოგვცა სახელები და არა პირუთუ. ბავშვი ცხვარს ეძახის არა ცხვარს, არამედ ისეთ არსებას, რომელიც ბლავის ანუ შორისდებულს ზმნად გადააქცევს. ამ ფაქტის ახსნა უნდა ვეძიოთ ადამიანური აღქმის თანდათანობით განვითარებაში და არა უზენაესი სულის ლოგიკაში.

ყველა ძველი თუ ველური ენა უხვად შეიცავს ამგვარი წარმომავლობის ნიშნებს, ხოლო აღმოსავლეთის ხალხთა ფილოსოფიურ ლექსიკონში ყოველი ძირეული სიტყვა, მონათესავე სიტყვათა ოჯახთან ერთად, თუ სწორად და საღად გავიაზრებთ მათს ისტორიას, იქნებოდა ადამიანის სულის მოძ-

<sup>3</sup> დიდრო თავის წერილში «Sur les sourds et muets» თითქმის არც ხეხება ამ მთავარ საკითხს, ჩერდება რა ინერსიებასა და ათასგვარ სხვა წერილმანზე.

რაობის მატიანე, მისი განვითარების ისტორია; ასეთი ლექსიკონი მთლიანად იქნებოდა ბრწყინვალე დადასტურება ადამიანის სულის გამოგონებლობითი ხელოვნებისა. გამოდგებოდა თუ არა იგი ასეთივე საბუთად ენის სწავლების ღვთაებრივი მეთოდისათვის? ვეჭვობ, რომ არა!

რაკი მთელი ბუნება ხმას გამოსცემს, შემგარძნობი ადამიანისათვის არაფერია ამაზე უფრო ბუნებრივი: ბუნება ცოცხლობს, ლაპარაკობს, მოქმედებს; ველური შესტკერის მაღალ ხეს მშვენიერი კენწეროთი და უკვირს: კენწერო შრიალებს, — ეს ხომ შემოქმედი ღმერთია თავად! ველური პირქვე ემზობა და ლოცვას იწყებს. აქ მოჩანს შემგარძნობი ადამიანის ისტორია, ზმნების სახელმად გადაქცევის იდუმალი გზა და აბსტრაქციისაკენ გადადგმული უმსუბუქესი ნაბიჯიც! ჩრდილოეთ ამერიკის ველურებს ხომ დღესაც ყველაფერი სულიერად ჩევენებათ: ყოველ სავანს თავისი ვენია ჰყავს, თავისი სული. ეს რომ ბერძენებთანაც გვხვდება და აღმოსავლეთის ხალხებშიაც, ამას მოწმობს მათი უძველესი ლექსიკონიცა და გრამატიკაც — ისეთი, როგორც ბუნება წარმოუდგა პირველ შემოქმედს; ეს არის პანთეონი — სულიერ, მოქმედ არსებათა მთელი სამყარო!

როცა ადამიანმა ყოველივე თავის თავს დაუკავშირა, როცა წარმოიდგინა, რომ ყველაფერი მას ეხმინება, მის სასარგებლოდ ან საპირისპიროდ მოქმედებს, როცა ისიც ჩაება ამ სასიკეთო თუ მტრულ მოქმედებაში, უყვარდა ან სძულდა და ყოველივეს ადამიანურად აღიქვამდა, — ადამიანის კვალი პირველ სახელგებშიაც უნდა ასახულიყო; ისინიც გამოხატავდნენ სიყვარულსა და სიძულვილს, წყევლა-კრულვასა და ლოცვა-კურთხევას, მორჩილებასა და ურჩობას; ამ გრძნობამ ბევრ ენაში წარმოშვა არტიკლი; ყველაფერი გასულიერდა, ქალად თუ კაცად გადაიქცა: ყველგან გაჩნდნენ ღმერთები, ქალღმერთები, მოქმედი კეთილი და ბოროტი არსებანი. მივინვარე ქარიშხალიცა და საამო ნიაფიც, ანკარა წყაროცა და მრისხანე ოკეანეც, — მთელი მითოლოგია ჩამარხულია ძველი ენების ოქროს წილში, მათს ზმნებსა და სახელებში. უძველესი ლექსიკონი იყო მოგუთუნე პანთეონი, ორთავე სქესის თავშესაყარი ვრცელი დარბაზი, სწორედ ისეთი, როგორც ბუნება წარმოუდგებოდა ენის პირველ შემოქმედს. უძველეს ველურ ხალხთა ენა და მითოლოგია გზის გამკვლევია ადამიანის ფანტაზიასა და ენებათა ლაბირინთებში...

ასე და ამრიგად, თვალსაჩინო და რეალური ხდება ის, რასაც ასე ხშირად ამბობდნენ ძველები და რასაც ასე ხშირად უაზროდ იმეორებენ ახლები; კერძოდ ის, რომ პოეზია წინ უსწრებს პროზას! მართლაცდა, რა უნდა ყოფილიყო პირველი ენა, თუ არა პოეზიის ელემენტთა ერთობლიობა, თუ არა ხმოვანი, მოქმედი, მოძრავი ბუნების მიბაძვა — ყველა არსების წამოძახილთა შემცველი და ადამიანის ემოციური შორისდებულებით გაცოცხლებული! ეს არის გონებით დაჯილდოებული ყველა არსების ბუნებრივი ენა — ვარდამუილი ბგერებად, მოქმედების, ვნებისა და ცოცხალი ზემოქმედების სახეებად! ეს არის სულის ლექსიკონი, რაც ამავე დროს ყველა არსების მითოლოგია და მათი საქმისა თუ სიტყვის გასაოცარი ეპოპეაც!..

უძველესი ტრადიციის თანახმად, ადამიანთა მოდგმის პირველი ენა სიმღერა იყო. ამუსიკის ბევრ მოყვარულს ეგონა, რომ ადამიანმა ეს სიმღერა ჩიტებისაგან შეითვისა და, საერთოდ, რაღა არ ეგონათ! ვეება კოშკის საათს თავისი მკრელი კბილანებით, დაჭიმული ზამბარებითა და მძიმე გირებთ შე-

უძლია ზარივით ახმიანდეს, მაგრამ ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ასევე წარმოვიდგინოთ პირველი ადამიანი, — თითქოს ის თავისი მისწრაფებებით. მოთხოვნილებებით, თავისი ძლიერი განცდებით, თითქმის ბრმადმოქმედი ყურადღებითა და ჯერ კიდევ განუვითარებელი ყელით ბუღბუღს. ჰაძაძედეს, თუნდაც ბევრი იწერებოდეს ამის შესახებ მუსიკისა და პოეზიის ისტორიაში. რა თქმა უნდა, დასაშვებია ენა მუსიკალური ბგერებით (ლაიბნიციც ხომ ამასვე ფიქრობს!)<sup>4</sup>, მაგრამ პირველი ადამიანისათვის ასეთი ენა მიუწვდომელი იქნებოდა თავისი დახვეწილობისა და სიფაქიზის გამო. ყველა ცოცხალ არსებას მოეპოვება საკუთარი ხმა და ამ ხმის შესაბამისი ენა ყოველი საგნისათვის. სიყვარულის ენა ბუღბუღის ბუღბუღში ტკბილი გალობაა, გამოქვაბულში — ლომის ღრიალი, ტყეში — ნადირის ვნებიანი ძახილი და ბნელ კუთხეში — კატის შემზარავი ჩხავილი; ცხოველთა ყველა სახეობა მეტყველებს თავის ენაზე და მეტყველებს არა ადამიანისათვის, არამედ თავისთვის; მათთვის ეს ენა ისევე ტკბილია, როგორც პეტრარკას სიმღერები ლაურასადმი! არც ბუღბუღი გალობს იმისათვის, რომ ადამიანს თავისი ენა სხვას ნიმუშად დაუსახოს და არც ადამიანი მოისურვებდა ენის შექმნას ბუღბუღის წაბაძევით. თანაც რაოდენ შემზარავი უნდა იყოს ასეთი ნახევრად ბუღბუღისა და ნახევრად ადამიანი წარმოდგენა გამოქვაბულში ან ტყეში ნადირობის დროს. თუ ადამიანის პირველი ენა სიმღერა იყო, იგი ისევე ბუნებრივი იქნებოდა მისთვის, ისევე შესაფერისი მისი ორგანოებისა და ბუნებრივი მიდრეკილებებისათვის, როგორც ბუღბუღის გალობა — ბუღბუღისათვის. სწორედ ასეთი გახლდათ ჩვენი ხმოვანი ენაც. კონდილიაკი, რუსო და სხვები უკვე ნახევრად მიუახლოვდნენ ამ აზრს, როცა უძველეს ენათა პროსოდიკა და სიმღერა ემოციური შექაზილებიდან გამოჰყავდათ. განცდა უთუოდ აცოცხლებდა და ამაღლებდა პირველ ბგერებს, მაგრამ მარტო ემოციური ბგერებიდან ვერასოდეს წარმოიქმნებოდა ადამიანის ენა; აქ გვაკლია ის, რაც განსაზღვრავს ენის წარმოშობას: ეს არის, სწორედ, ყოველი არსებისათვის სახელის დარქმევა თავისივე ენის შესაბამისად. მღეროდა და ჟღერდა მთელი ბუნება, ხოლო ადამიანის სიმღერა თავს უყრიდა ბუნების ხმებს იმის მიხედვით, თუ რამდენად საჭიროებდა მათ მისი გონება, აღიქვამდა მისი გრძნობები და გამოთქვამდა მისი ორგანოები. ეს გახლდათ სიმღერა, მაგრამ ეს არ იყო არც ბუღბუღის გალობა და არც ლაიბნიცის „მუსიკალური ენა“, არც მხოლოდ ცხოველური შექაზილები, არამედ — ყველა არსების ენის გადმოცემა ადამიანის ხმისათვის ბუნებრივი გამოს ჩარჩოებში!..

ჩვენთვის ნათელი გახდა, თუ როგორ წარმოიქმნებოდა ბგერებიდან სიტყვები მათი გადაქცევით საცნობ ნიშნებად გონების მიერ; მაგრამ ყველა საგანი რომ არ გამოსცემს ხმას? მაშ, საიდან გაჩნდა ის სიტყვა-ნიშანი, რომელიც სულმა მათ დაარქვა? საიდან შეითვისა ადამიანმა უხმოს გახმოვანების ხელოვნება? რა საერთო აქვს ფერს ან სიმრგვალებს თავის სახელთან?.. ენის ზებუნებრივი წარმოშობის მომხრეს რჩევა მზადა აქვს: „ნებისამებრ! ვის შეუძლია გაიგოს და ღმერთის გონებაში ეძიოს, თუ რატომ ჰქვია მწვანეს — მწვანე და არა ლურჯი? ცხადია, მას ასე ენება და იმიტომ!“ აი, ამით მოგვიტყვიან გზას; მთელი ფილოსოფია ენის შექმნის ხელოვნებისა თავის ნებაზეა მიშველებილი და ყოველი სიტყვა წარმოგვიდგება როგორც *qualitas occulta*,

<sup>4</sup> Oeuvres philosophiques publiées p. Raspe. გვ. 232.

როგორც რაღაც ნებისმიერი. (კუდად ნუ ჩამომართმევთ და, ვერ გამიგია, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „ნებისმიერი“. ჯერ კიდევ უხეში გრძნობადობის მქონე ბუნების შვილისათვის, რომლის ძალებიც ჯერ ისე არ დახვეწილა, რომ უსარგებლოდ დაიხარჯოს, მოუქნელისა და ღონიერისათვის, ვინც არაფერს აკეთებს საჭირო მიზეზის უქონლად და არც ჰსურს რაიმე ტყუილ-უბრალოდ გააკეთოს — ამგვარი ადამიანისათვის — ენის შექმნა, ცარიელ ნებაზე მიშვებით, საესებით ეწინააღმდეგება მის ბუნებას; და, საერთოდ, მარტოოდენ ადამიანის ნებასურვილიდან მომდინარე ენა არ შეესაბამება ადამიანის სულიერ ძალებს და უპირისპირდება მათ.)

11. როგორ უნდა შეექმნა ადამიანს ენა საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, თუკი ბუნება მას არ კარნახობდა ბგერას? რა კავშირშია ერთმანეთთან მხედველობა და სმენა, ფერი და სიტყვა, სუნი და ბგერა?.. ისინი საგნებში კი არ არის მოცემული თავისთავად, როგორც ამ საგანთა თვისებები, არამედ ჩვენი შეგარძნებებია მხოლოდ და, როგორც ასეთი, ისინი ერთმანეთს ერწყმიან. ჩვენ ვართ მოაზროვნე sensorium commune, რომელიც ყოველი მხრივ განიცდის შეხებას. ამით იხსნება ყოველივე.

ყოველი ალქია იმყარება ერთიან განცდას, რაც სრულიად სხვადასხვა შეგარძნებას ისეთი შინაგანი, მტკიცე და გამოუთქმელი კავშირით კრავს, რომ ამ კავშირიდან წარმოიქმნება უსაკვირველესი მოვლენები. მე ვიცი არს ერთი მაგალითი იმისა, როცა ზოგიერთი ჩვენთაგანი, იქნებ ბავშვობის შთაბეჭდილების გამო, უშუალო განცდის ზეგავლენით, მყისვე აკავშირებს რომელიმე ბგერას რომელიმე ფერთან ან რაიმე მოვლენას სრულიად განსხვავებულ ბუნდოვან გრძნობასთან, რასაც დინჯი გონების თვალთ არავითარი ნათესაობა არ უნდა ჰქონდეს მასთან; აბა ვის მოუვა აზრად ერთმანეთს შეადაროს ბგერა და ფერი; ჩვენ ხშირად ვაერთებთ სრულიად სხვადასხვა შეგარძნებას, რასაც მაშინ თუ ვამჩნევთ, როცა წონასწორობას ვკარგავთ ან კიდევ, როცა ავადმყოფური ფანტაზიით ვართ შეპყრობილნი. აზრთა ჩვეულებრივი დინება ძალზე სწრაფია, შეგარძნებათა ტალღები ისეთი ყრუ ხმაურით უერთდება ერთმანეთს, ჩვენს სულში ერთბაშად იმდენი რამ იყრის თავს, რომ იდეათა უმეტესობას ისე განვიციდით, თითქოს წყაროს ნაპირას ვთვლემდეთ და, თუმცა ყოველი ტალღის ჩხრიალი ყურს სწვდება, ეს ხმა იმდენად სუსტია, რომ ბოლოს ძილს მიაქვს ყველა ჩვენი მკაფიო შეგარძნება. საკუთარ აზრთა შეჩერება რომ შეგვიძლებოდა და ყოველი შემაერთებული კვანძის მოსინჯვა, რა სფოცრებას აღარ ვიხილავდით აქ, რა უცნაურ ანალოგიებს უგანსხვავებულესი შეგარძნებებისა, რასაც ჩვენი სული შეუფერებლად მიჰყვება! მაშინ ყველანი დავემსგავსებოდით იმ შეშლილთ, რომლებიც, თუმცადა ჰკვიანურად აზროვნებენ, მაგრამ თავიანთ აზრებს მეტისმეტად გაუვებრად და უცნაურად აკავშირებენ!

1... ადამიანის გრძნობათა ყოველი დანაწევრება ბიუფონის, კონდილიაკისა და ბონეს მიერ — აბსტრაქციებია მხოლოდ. ფილოსოფოსმა რომ განცდათა ერთ ძაფს გაადევნოს თვალი, მეორეს უნდა მოეშვას, ბუნებაში კი ყველა ეს ძაფი ერთ ქსოვილს ქმნის! (რაც უფრო ბუნდოვანია შეგარძნებები, მით უფრო მეტად ერწყმიან ისინი ერთმანეთს; რაც უფრო მოუქნელად, რაც უფრო ნაკლები სიმარჯვითა და სიცხადით იყენებს ადამიანი ერთს მეორის გარეშე, მით უფრო ბუნდოვანია ისინი! მივუყენოთ ეს ენის წარმოშობას! მას ხელი შეუწყო ადამიანთა მოდემის სიბალღემ და გამოუტყდელიობამ!

...<sup>1</sup>მთელი რიგი დაკვირვება მიგვიჩინებს იმაზე, თუ ბუნების სიბრძნემ სულით ხორცამდე როგორ განაწყო ადამიანი ენის შესაქმნელად. აქ უნდა შევნიშნოთ მთავარი: „რადგან ადამიანი მხოლოდ სმენის გზით ითვისებს მოძღვარი ბუნების ენას და უამისოდ იგი ენას ვერ შექმნიდა, სმენა, გარკვეული აზრით, ცენტრალურია ადამიანის შეგრძნებათ შორის; სმენა ადამიანის სულის კარიბჭეა და სხვა შეგრძნებათა გამაერთიანებელი“<sup>2</sup> უფრო გარკვევით:

1. სმენა არის შუათანა ადამიანურ შეგრძნებათა შორის, ახლომყოფი გარედან აღსაქმელ სფეროებთან. შეხება ყოველივეს აღიქვამს მხოლოდ თავის თავში... მხედველობა ჩვენივე თავიდან განუზომლად შორს გაგვტყორცნის, ხოლო სმენა შეტყობინებადობის ხარისხით შუაში დგას. რა კავშირი აქვს ამას ენასთან? წარმოიდგინეთ ისეთი არსება, ვისთვისაც მთავარია შეხების უნარი: რაოდენ ვიწრო უნდა იყოს მისი სამყარო და, რადგან იგი მოკლებულია სმენის უნარს, ალბათ, მწერის მსგავსად ქსელის გაბმას შეეცდება, ბგერების საშუალებით ენას კი ვერასოდეს ვერ შექმნის; ან, თუ გნებავთ, ისეთი არსება. რომელიც მხედველობად არის ქცეული: რა ამოუწურავი უნდა იყოს მისი ხედვის არე, რა უკიდევანოდ შორს გატყორცნილი და რა უსაზღვროდ მრავალფეროვანი; მისი ენა (რის შესახებაც არაფერი ვიცით!) წარმოგვიდგება ერთგვარ სახეობად უსასრულოდ ფაქიზი პანტომიმებისა, მისი დაწერილობა — ერთგვარ ალგებრად ფერებისა და ხაზებისა, მაგრამ — არამც და არამც ადამიანის ენად! ჩვენ, სმენის მქონე არსებანი, შუაში ვდგავართ. ჩვენ ვხედავთ, ჩვენ ვეხებით. დანახული თუ შეხებით აღქმული ბუნება ხმას გამოსცემს; იგია სწორედ სამეტყველო ენის მთავარი მოძღვარი და ჩვენს ყველა შეგრძნებაშიაც თითქოს სმენადა ვართ ქცეულნი.

მოდით, განვიცადოთ ჩვენი პოზიციის ხელსაყრელობა, რადგან მისი შემწეობით ხდება ყოველი შეგრძნება ენობრივი. ცხადია, სმენა უშუალოდ მართო ბგერებს გვაწვდის; ადამიანი ვერაფერს გამოიგონებს, მან მხოლოდ უნდა იბოვოს, მხოლოდ მიბაძოს. მაგრამ, ერთი მხრით, მას შეხება ემოცია, მეორე მხრით — მხედველობა: შეგრძნებები ერთმანეთს ერწყმის და იმ ადგილს უახლოვდება, სადაც საცნობი ნიშნები ბგერებად გარდაიქმნება. ასე ამეტყველდება ის, რასაც ვხედავთ და ისიც, რასაც შეხებით განვიცდით...  
სმენა არის ჩვენი ცენტრალური და შემაერთებელი უნარი: ჩვენ ენობრივი არსებები ვართ.

✓ 2. სმენას შუა ადგილი უჭირავს შეგრძნებათა შორის სიცხადითა და გარკვეულობით. იგი საკუთრივ ენის ორგანოა. ხოლო რა ბუნდოვანია შეხება! იგი დუნეა, რადგან მასში ყველაფერი ერთმანეთშია ჩახლართული. აქ ძნელად თუ გამოიყოფა საცნობი ნიშანი: იგი გამოუთქმელია! რაც შეეხება მხედველობას. იგი ერთბაშად ნიშანთა იმოდენა სიმრავლეს გვაჩვენებს, რომ სული ამ სიუხვის წინაშე უძლური ხდება. ამიტომაც [მხედველობით] რაიმეს გამოყოფა იმდენად სუსტია, რომ ამის მიხედვით რაიმეს კვლავცნობა საკმაოდ ძნელდება. ✓ სმენა კი შუაშია, იგი გულგრილად ეკიდება შეხების ბუნდოვან ნიშნებსა და მხედველობის ფაქიზ ნიუანსებს. მაგრამ, აი, შეხებითა და მხედველობით განცილდ საგანს მოსწყდება ბგერა! მასში თავს იყრის ორთავე შეგრძნების ნიშნები და სიტყვაც წარმოიქმნება! სმენა ორსავე მიმართულებით მოქმედებს თავის ირგვლივ: მას მეტი ერთიანობა შეაქვს



როგორც შეხების ბუნდოვან ნაირფეროვნებაში, ისე მხედველობის უაღრესად ნათელ მრავალფეროვნებაში. და რადგან მრავალფეროვნების ასეთი შემეცნება ერთის შემწეობით, ნიშნის შემწეობით, ენის წარმოადგენს, სმენაც ენის ორგანოდ გვევლინება.

3. სმენა არის შუათანა სიცხადის მხრივაც და იგი ამითაც განეუთვნება ენას. გაგონილი ბგერა ისე შინაგანად სწვდება ჩვენს სულს, რომ იგი მყისვე გადაიქცევა ნიშნად, თანაც — მკაფიო ნიშნად...

4. სმენა შუა შეგრძნებაა იმ დროის მხრივაც, რომელშიაც იგი მოქმედებს... აბა დააკვირდით, როგორ გვზოგავს ენის მოძღვარი სმენის შემწეობით: მას სულში თანდათანობით შემოაქვს ერთი ბგერა მეორის მიყოლებით, გვაწვდის და არასოდეს გვეპნცავს, გვაძლევს და კვლავ ბევრი აქვს მოსაციმი...

5. სმენა შუა შეგრძნებაა თვითგამოსახვის მოთხოვნილების მხრივაც... შეხება მოქმედებს უაღრესად ბუნდოვნად; მით უფრო ნაკლებად გამოითქმის იგი, რადგან მეტისმეტად გვეხება ჩვენ, ძლიერ ეგოისტურია და თავის თავში ჩაძირული! ასევე გამოუთქმელია მხედველობაც... ხოლო სმენის საგნები მოძრაობას უკავშირდება: ისინი ჩაგვევლიან და ხმასაც გამოსცემენ. ისინი გამოთქმადია თავიანთი მოძრაობის მეოხებით! აი, რამოდენა შესაძლებლობაა ენის შექმნისათვის!

6. სმენა შუათანა თავისი განვითარების მხრივაც... ბუნება პირველი ცხადი განცდისათვის სულს აღვიძებს ბგერის მეოხებით, თითქოს მას შეხების ბუნდოვანი თვლემიდან აფხიზლებს და უფრო სათუთი განცდისათვის ამწიფებს... ადამიანის განვითარების გზა საუკეთესოა და ერთადერთი! რაკი ყველა შეგრძნება ერთობლივად მოქმედებს, ჩვენ, სმენის გამო, თითქოს მუდამ ვიმყოფებით ბუნების სკოლაში, განზოგადებასა და მასთან ერთად მეტყველებასაც ვეუფლებით...

თუ თავს მოვუყრით ყველა ბოლოს, ერთი დაკვრით გავხსნით იმ ხლართსაც, რასაც ადამიანის ბუნება ჰქვია და რასაც აუცილებლობით მივყავართ ენისაკენ... ენით არის, რომ ადამიანში ყოველივე გაწონასწორებულია, ნაკლოვანიც არის და შევსებულიც; გარკვეული განზრახვით დალაგებულიცა და დანაწევრებულიც! ერთიანობა და კავშირი, პროპორცია და წესრიგი, მთლიანობა და სისტემა! ადამიანი — ეს არის საზრიანობისა და ენის მქონე არსება, რეფლექსიისა და ენის შექმნის უნარით დაჯილდოებული! ყველა ამ დაკვირვების შემდეგ ვინმეს რომ მოესურვებინა და ენობრივი არსების ასეთი განსაზღვრა უარეყო, იგი ბუნების დამკვირვებლიდან ჯერ მის დამანგრეველად უნდა ქცეულიყო, ყველა მითითებული ჰარმონია დისონანსებად ექცია, ხოლო ადამიანური ძალების ბრწყინვალე სასახლე — ნანგრევებად, მისი (ადამიანის) გრძნობადობა გაუღებლად რუკებინა და ბუნების შედევრი ნაკლითა და ხარვეზებით, სუსტი მხარეებითა და კონფუსიებით შეაყრობილ არსებად წარმოედგინა...

ასე და ამრიგად, ადამიანური ენის შექმნის შესაძლებლობა შინაგანად მტკიცდება ადამიანის სულის თავისებურებით, ხოლო გარედან — ადამიანის ორგანიზაციით, ასევე — ყველა ხალხის ენათა მსგავსებით, როგორც მათი კომპონენტებისა, ისე ენის დიადი და თანდათანობითი განვითარების მხრივაც გონებასთან ერთად. ამაში ერთი წამითაც არ დაქვევდება ის, ვინც არ უარ-

ყოფს ადამიანის გონებას ან, რაც იგივეა, ვინც ის მაინც იცის, თუ რა არის გონება, ვისაც ფილოსოფიურად უფიქრია ენის ელემენტებზე, ვისაც დამკვირვებლის თვალთ გადაუხედავს დედამიწის ენათა თვისებებისა და ისტორიისათვის...

ადამიანის სულში ენის გენეზისი ისევე თვალნათლივია, როგორც ესა თუ ის ფილოსოფიური მტკიცება, ხოლო ყველა დროის, ენისა და ხალხის გარეგნული ანალოგია ამ მტკიცებას დამარწმუნებლობის ისეთ ხარისხს ანიჭებს, რაც მხოლოდ ისტორიის უტყუარი ფაქტების მიმართ არის შესაძლებელი. რათა ყველა შემოტევას გავუმკლავდეთ და ეს დებულება გარეგნულადაც თითქმის ისეთივე ცხადი გავხადოთ, როგორც ფილოსოფიური ჭეშმარიტება, ნება მიბოძეთ, ყველა გარეგანი ვითარებისა და ადამიანური ბუნების სრულ ანალოგიაზე დაყრდნობით დავამტკიცო, რომ სწორედ ადამიანმა შექმნა თავისი ენა და ისიც გავარკვიო, თუ რა პირობები იქნებოდა საამისოდ ყველაზე უფრო ხელსაყრელი.

გერმანულიდან თარგმნა ლ. ლამიშვილმა



## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მელიორაციის აბსტრუქტული პრობლემატიკა

(პროფ. ნ. იაშვილი, მელიორაცია სოფლის მეურნეობაში, თბ., 1970, გვ. 281.  
გამომც. „მეცნიერება“, რედ. პროფ. ბ. ხასია).

სკკპ პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მელიორაციულ სამუშაოთა თანმიმდევრულ განხორციელებას. დასახულია ამოცანა, რათა „შესრულდეს საირიგაციო მშენებლობის ვრცელი პროგრამა გვალვიან რაიონებში მილიონობით ჰექტარი ახალი მიწების მორწყვისა და გაწყლიერებისათვის და არსებული სარწყავი მიწათმოქმედების აღმავლობისათვის; გაფართოვდეს... ზედმეტად დატენიანებული მიწების მელიორაციის სამუშაოები“<sup>1</sup>. ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სამუშაოები იქნა ჩატარებული განვილი პერიოდში. ასევე გრანდიოზული ამოცანებია დასახული მომავლისათვის.

სკკპ XXIV ყრილობაზე, სკკპ ცკ ანგარიშგებით მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ „ჩვენი გეგმები ხუთწლეულის მიმდინარე საკითხების გადაწყვეტას მჭიდროდ უკავშირებენ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად პერსპექტიულ მიმართულებებს. პარტიამ განსაზღვრა ამ ამოცანათა გადაწყვეტი გზები. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის შემდგომ ტექნიკურ ხელახლა აღჭურვას, მის მექანიზაციას, ქიმიზაციას და დიდ სამუშაოთა განხორციელებას მიწების მელიორაციისათვის“<sup>2</sup>. სკკპ V X IV ყრილობის დირექტივებში — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ ნათქვამია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება, სხვა ღონისძიებებთან ერთად, უნდა უზრუნველვყოფდეს „მიწების ფართო მელიორაციის გზით“<sup>3</sup>.

აღნიშნულიდან ნათელია, თუ რაოდენ აქტუალური და თანადროულია პროფ. ნ. იაშვილის მიერ, ჯერ კიდევ 1970 წელს გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომი — „მელიორაცია სოფლის მეურნეობაში“, რომელშიც დახასიათებულია მელიორაციის გადამწყვეტი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში. ზოგადი წინამძღვრების შემდგომ წიგნში განხილულია ირიგაცია მსოფლიოს მთავარ ქვეყნებში, უფრო დაწვრილებით მოთხრობილია მელიორაციაზე სსრ კავშირში და სპეციალურად შესწავლილია მელიორაცია საქართველოში.

ავტორს დასმული საკითხის ირგვლივ დამუშავებული მასალის გამოქვეყნება განზრახული აქვს ორ წიგნად. წინამდებარე სარეცენზიო ნაშრომი

<sup>1</sup> სკკპ პროგრამა, თბ., 1967, გვ. 90.  
<sup>2</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 64.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 326.

(წიგნი პირველი) შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველი განყოფილება შეიცავს სამ თავს. პირველ თავში ზოგადი წინამძღვრების სახით ავტორს დამუშავებული აქვს საკითხები: ადამიანი და მელიორაცია, ადამიანი და წყალი, მელიორაციის ისტორიიდან, მელიორაციის სახეები, მელიორაციის დაგეგმვა და დაპროექტება.

გადმოგვცემს რა წყლის უკეთ გამოყენებისათვის ადამიანის მიერ მელიორაციის თანდათანობით ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების ზოგად წინამძღვრებს, ამის შემდეგ, ავტორი იხილავს მელიორაციის მოკლე ისტორიის და ახასიათებს მსოფლიოში მელიორაციის თანამედროვე მდგომარეობას. აქვე განხილულია მელიორაციასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები — დეფინიციები; გამოთქმულია, აგრეთვე, მოსაზრებები მელიორაციის დაგეგმვისა და დაპროექტების შესახებ. გაშუქებულია თანამედროვე მელიორაციის თეორიისა და პრაქტიკის სახეები, შედგენილობა, მათი ურთიერთობა და ეფექტურობა. აქვე მოტანილია შემდეგი საყურადღებო ცნობა: „მთელს ჩვენს პლანეტაზე მიწათმოქმედნი ამუშავებენ 800 მილიონზე მეტ ჰექტარ მიწას. აქედან მხოლოდ 13 პროცენტი ირწყვება, მაგრამ, მეცნიერთა გაანგარიშებით, პროდუქტიულობის მხრივ ეს რაოდენობა ტოლფასია, დაანარჩენი 87 პროცენტი ნაღრწყავი მიწებისა“ (გვ. 5).

ამვე განყოფილების მეორე თავში განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნებში სარწყავი და ამოშრობილი მიწების ოდენობისა და მისი გამოყენების საკითხები. ნაჩვენებია მელიორირებული მიწების რაოდენობრივი და თვისებრივი გაადგილება გეოგრაფიული ზონების, დასახლების სიმჭიდროვის, მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და სხვა ნიშნებით. მესამე თავი კი ეძღვნება სსრკ-ში სარწყავი და დაშრობილი მიწების პრობლემებს. აქ ავტორი ახასიათებს ჩვენი დიდი სამშობლოს წყლის სივრცეებს, ჰიდროტექნიკური მელიორაციის განვითარების ძირითად ეტაპებს, მელიორაციის მდგომარეობას მოკავშირე რესპუბლიკებში, სარწყავი და გაწყლიანებული მიწების (საძოვრები) ფონდების თანამედროვე მდგომარეობას და გამოთქვამს მეტად საყურადღებო მოსაზრებებს მელიორაციის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

ნაშრომის მეორე განყოფილებაში განხილულია საკუთრივ საბჭოთა საქართველოში მელიორაციის საკითხები. პირველ თავში აქ ავტორი აკეთებს ერთგვარ ისტორიულ ექსკურსს ჩვენს რესპუბლიკაში მელიორაციის განვითარების შესახებ (უძველესი დროიდან რუსთაველის ეპოქამდე, აქედან ვანტანგ მეექვსემდე, შემდეგ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და ბოლოს 1801 წლიდან ვიდრე 1921 წლამდე).

მელიორაციის აღორძინების საკითხისადმი მიძღვნილი ამვე განყოფილების მეორე თავი, სადაც განხილულია შემდეგი საკითხები: მელიორაციული მშენებლობა 1921-1968 წწ., მელიორაციის თანამედროვე მდგომარეობა, გაადგილება და განვითარების პერსპექტივები. „საქართველო — წერს ავტორი — უძველესი ცივილიზაციის და კულტურის ქვეყანა, მიწების მორწყვასა და მთლიანად მელიორაციაში მდიდარი შემოქმედებითი წარსულის მქონეა. წყლის რესურსების მრავალმხრივი გამოყენება აქ ფრიალ მაღალ დონეზე იდგა. ქართველმა ტომებმა ეგვიპტელებთან, ბაბილონელებთან, ასურელებთან, ირანელებთან და სხვა შორეულ თუ ახლო მეზობლებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარეს მრავალფეროვან ჰიდროტექნიკას — განსაკუთრებით კი მიწების მორწყვასა და ამოშრობას. დადგენილია, რომ საქართველოში წყალთამურ-

ნეობრძივი საქმიანობა უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. სისტემატური ხასიათის იყო იგი ძვ. წ. IV საუკუნიდან მაინც, თუ უფრო ადრე არა“ (გვ. 102).

ნაშრომში მოტანილია მრავალი ფაქტობრივი მასალა, ლიტერატურული წყაროები და ცალკეულ ავტორთა მოსაზრებები, რომლითაც ნათელი ხდება, რომ სარწყავი არხებისა და საირიგაციო სისტემების მშენებლობის ერთ-ერთ უძველეს და შესანიშნავ ოსტატებად ქართველები გვევლინებიან, რომ მათ, ძველ კულტურულ ხალხებთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს სარწყავი არხებისა და წყალსადენის მშენებლობას და რომ ხელოვნური მორწყვა ყოველთვის, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საქართველოს მთელ ეკონომიკაში. როგორც ირკვევა, რუსთაველის ეპოქაში მარტო სამგორის არხის სიგრძე 20 კმ. სიგრძისა ყოფილა, ხოლო ალაზნის არხისა — 119 კმ., რომელშიც რწყავდა 53 ათას ჰექტარ მიწას, რომ სწორედ ამავე პერიოდში დიდად დაწინაურებულა ამ მხრივ ტირიფონის, მუხრანის სარწყავი სისტემა. მაგრამ მონღოლების ბარბაროსულმა შემოსევებმა საფუძველი გამოუთხარა და მოშალა იგი. ამას კი ქართლ-კახეთისა და საქართველოს ზოგიერთი სხვა მხარის გაუქვაციელება მოჰყვა, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით.

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე წყალთა მეურნეობისა და წყალთა სარგებლობის მხრივ ქვეყანაში მთლიანი ქაოსი სუფევდა, რუსეთთან შეერთების შემდეგ კი სარწყავი წყლით სარგებლობის ჩვეულებანი, წესები და კანონები, „როგორც სხვა ქართული წესები და ჩვეულებანი, რუსეთის მთავრობისათვის გაუგებარი იყო და რასაკვირველია, მათს გაგებას არ ცდილან. პირველ ხანებში ამას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. მხოლოდ როდესაც წყლის მფლობელობის უფლებამ დაევა — ქიშპობა გამოიწვია, მთავრობამ მასში ჩარევისა და ჩვეულებრივი წეს-კანონების არეგდარევის გამო, ძველი ტრადიციული ადამ-სამართალი სრულიად მოშალა... რუსეთთან შეერთების შემდეგ წყალთა მეურნეობა მთავარმართებლის (შემდეგში მეფის ნაცვალი კავკასიაში) კანცელარიის საპოლიციო უწყების ხელში გადავიდა. პირველმავე განკარგულებებმა საუკუნეებით დამკვიდრებული წყლით სარგებლობის წესები მოშალა და სარწყავი ფართობები კიდევ უფრო შეამცირა“ (გვ. 136).

ნაშრომიდან ირკვევა, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში შექმნილა სპეციალური სავაჭრო კომპანიები, რომელთაც უცდიათ საირიგაციო მშენებლობის სარფიანად გამოყენება, მაგრამ მას დადებითი შედეგები არ მოყოლია. შემდეგ კი, ე. წ. „წყლის ინსპექციამ კავკასიაში“ ვანიზრახა ამ საკითხის წინ წამოწევა, მაგრამ პრაქტიკულად მასაც არაფერი გამოუვიდა. ასე, რომ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ამ მიმართულებით თვალსაჩინო რამ თითქმის არაფერი გაკეთებულა, ხოლო საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში (1918-1920) ეს საკითხი არ დაძრულა ყინულის წერტილიდან და რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა სერიოზული ყურადღება მის გეგმაზომიერ განვითარებას.

მელიორაციული ღონისძიების გატარების მიზნით უკვე 1922 წ. საქართველოს რევოლუციურ კომიტეტთან იქმნება „სავანგებო კომისია“, რომელიც მნიშვნელოვან ღონისძიებებს სახავს და ატარებს ამ მიმართულებით. მას შემდეგ ღღემდე ის გადაიქცა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად

და საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის ყურადღების ცენტრში აყენებს ზემოხსენებულ საკითხებს.

თუ რევოლუციამდე სარწყავად თითქმის მხოლოდ წვრილ მდინარეებს და ნაკადულებს იყენებდნენ, 1921 წლიდან იწყება დიდი მდინარეების (რიონი, ლიხვი, მტკვარი, იორი, ალაზანი და სხვ.) გამოყენება. ნაშრომში მოტანილია მონაცემები იმის შესახებ, რომ სარწყავი ფართობი 1921 წლისათვის ჩვენს რესპუბლიკაში თუ უდრიდა 95 ათას ჰექტარს, 1930 წ. მან 139 ათასი ჰა, 1940 წელს — 241 ათასი, 1950 წ. — 285 ათასი, 1960 წ. — 339900, ხოლო 1966 წ. — 363 ათასი ჰექტარი შეადგინა (გვ. 152). ამასთან, ტარდებოდა ინტენსიური მუშაობა სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციის მიმართულებით. კერძოდ, 1921-1936 წწ. რეკონსტრუირებულ იქნა სარწყავი სისტემები: ტირიფონის — 4799 ჰა ფართობზე, სკრა — ქარელის — 1158, საღთისის — 13120, ვანათის — 1459, ქეხის — 200, თემი-ოკამის — 2380, მუხრანის ველის — 9425, ნი-ნოწმინდის — 488, სულ კი — 33029 ჰექტარ ფართობზე.

1956-1960 წწ. ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციისათვის დოღლიაურში, მუხრანში, საგურამოში, გლდანში, სულ 1825 ჰექტარზე.

ნაშრომიდან ნათელია, რომ საქართველოში მთელი დამუშავებული მიწების ერთი მესამედი სარწყავია, საიდანაც აღმოსავლეთ ნაწილზე მოდის 84%, დასავლეთზე კი 16%. მეურნეობის კატეგორიათა შორის ის ასე ნაწილდება: კოლმეურნეობებს უკავიათ 41%, საბჭოთა მეურნეობებს — 39%, საკარმიდამო მეურნეობებს — 16%, ხოლო დანარჩენი დამხმარე მეურნეობებს — 4% (გვ. 169).

საქართველოს სსრ დაჭობებულ და ჰარბტენიანი მიწების 280 ათასი ჰექტარი ფართობიდან, (მ შ. 250 ათასი დასავლეთ და 30 ათასი აღმოსავლეთ საქართველოში) 1965 წ. ბოლოსთვის ამოშრობილი იყო მხოლოდ 115 ათასი ჰა (აქედან 96 ათასი დასავლეთ და 19 ათასი აღმოსავლეთ საქართველოში).

ნაშრომის მთავარ ღირსებად, ჩვენი აზრით, მიჩნეულ უნდა იქნას ის, რომ ავტორი ემპირიულად კი არ გადმოგვეცემს იმას, რაც იყო გაკეთებული ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მელიორაციის დარგში საბჭოთა ხელისუფლების მთელ პერიოდში, არამედ იგი საკითხების თანმიმდევრულად განხილვისას აანალიზებს არსებულ ნაკლოვანებებს და სახავს მელიორაციის ძირითადი სახეების შემდგომი სრულყოფის მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებებს.

ეგება რა მელიორაციის თანამედროვე მდგომარეობას, ავტორი წერს, რომ სადღეისოდ არსებული წყალსაცავი სისტემები და მოსარწყავი ფართობი (363 ათასი ჰა) არაა უზრუნველყოფილი წყლის საჭირო რაოდენობით, სარწყავი ქსელი არ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, არ გააჩნია სათავე-ნაგებობანი დაახლოებით 70 ათას ჰა ფართობზე. სარწყავქსელიანი მიწების მეორე ნახევარი ზშირად მოუზრწყავი რჩება წყაროებში წყლის უკმარისობით.

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში არსებული სარწყავი სისტემების წყლით უზრუნველყოფა შეიძლება მათი მარგიქმედების კოეფიციენტის არსებული 0,5-დან 0,63-მდე ამაღლებით. ეს კი „ძალზე მნიშვნელოვანი რეზერვია... წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობეს-

დება, როცა დამთავრდება (1980 წ.) მომქმედი და ახალი სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია და მშენებლობა“ (გვ. 159). ავტორის აზრით, აუცილებელია ირიგაციული მიწების მომავალი საერთო ფონდიდან (970-1150 ათასი ჰა) 370 ათას ჰა-ზე მოეწყოს კოლექტორულ-დრენაჟული ქსელი (გვ. 160). ნაშრომში დასაბუთებულია, რომ წყლის რესურსების დიდი მასშტაბით გადიდებისა და დეფიციტის ლიკვიდაციისათვის, საჭიროა პირიქითა ანუ თუშეთის ალაზნის, აგრეთვე დაღესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგი სხვა მდინარის ჩამონადენის ერთი ნაწილის გადმოსროლა კახეთის აუზში (გვ. 161).

როგორც აღინიშნა, ავტორი ვაბედულად და დასაბუთებულად აკრიტიკებს ირიგაციის და საერთოდ მელიორაციის დარგში არსებულ ნაკლოვანებებს. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ მხრივ, ნაკლი ბევრია, ირიგაციული და მთლიანად მელიორაციული სამუშაოები ძალზე ვაკუანტრებულია; ძვირადღირებული ჰიდროტექნიკური დანადგარების აგების შემდეგ ყველგან დაუყვანებლივ და საჭირო ზომით არ შენდება სარწყავი ქსელი, ძალზე დაგვიანებით ეწყობა მიწების მეურნეობრივი ათვისება, არ ხდება ქსელის ექსპლოატაცია. ამის შედეგია დაბანდებათა გაყინვა და უმოქმედობა, ნაგებობათა დაზიანება და ზარალი.

„დაუმაჯობელი სარწყავი (და ამოშრობის) სისტემა გადადის იმათ ხელში, ვისაც ყოველთვის როდი აინტერესებს ნამდვილი საქმე. ისინი არ იცავენ მელიორაციული სისტემების ექსპლოატაციის ელემენტარულ წესებს. წყალს ხშირად უგეგმოდ იყენებენ, თვითნებურად იტაცებენ. ამის გამო არხები ისილება და ლამით ივსება, მოუპირკეთებელი ნაპირები ირღვევა, არხი წყალს აღარ ატარებს და აქა-იქ შეტბორდება. წყალი იფარება მცენარეებით, რომლებიც იხრწნება, ბაყაყებისა და სხვა ქვეწარმავალთა, კოდოსა და სხვა მწერების ბუდედ იქცევა; ფართობს აქაობებს, ზოგჯერ მასში ნარჩენებსა და ნავავს ჰყრიან, რომელიც ღებება და ანტისანიტარიის კერებს წარმოქმნიან“ (გვ. 162-163).

საესებით სამართლიანადაა აღნიშნული, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არ არიან სპეციალისტი მელიორატორები, მრწყველი მუდმივი ბრიგადები და რაც მთავარია, კარგად არ არის ორგანიზებული მათი შრომა და ანაზღაურება. სუსტი მატერიალური დინტერესებულობა აფერხებს და აზიანებს საქმეს. უკმარია შესაბამისი ინვენტარიც.

ყურადსაღებია ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ რწყვის ცნობილ ხერხებს შორის (დაწვიმება, წყლის მიყვანა მცენარესთან მიწისქვეშა მილსადენებით, ზედაპირული მოღვარვით, სარწყავი ქსელითა და სხვადასხვა კვლეებით და ა. შ.) ყველაზე უფრო პროგრესული, ტექნიკურად საუკეთესო და ეკონომიკურად ეფექტურია დაწვიმებით მორწყვა. მის მრავალ უპირატესობათა შორის ნაშრომში დასახელებულია: წყლისა და შრომის ხარჯვის მაქსიმალური ეკონომიურობა, სამუშაოთა მექანიზაციის შედარებით სიადვილე, ნიადაგის გამორეცხვისა და ეროზიული პროცესების აღკვეთა, ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნება და სხვა.

ავტორის დასკვნით, „მელიორაცია უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების კომპლექსია, რომელიც სრულ ეფექტს მხოლოდ მაშინ მოიტანს, თუ თანმიმდევრულად, პროპორციულად ყველა მის შემადგენელ ელემენტს მაღალხარისხოვნად შეასრულებენ. ერთის ან ორის დაკლება მრავალი სხვა აშენე-

ბული ელემენტის ეფექტს, ძალზე ამცირებს, თუ სულ არ გააუფასურა — აქ სრული ძალით ვლინდება ე. წ. „მინიმუმის კანონის“ ან ვიწრო რგოლების მოქმედება — ერთიან ღონისძიებათა სისტემაში“ (გვ. 197).

ბოლოს, ნაშრომის 222-ე გვერდზე ავტორი სახავს რიგ გადაუდებელ ამოცანებს და იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მელიორაციის შემდეგი გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის; კერძოდ, ავტორს მიაჩნია, რომ საჭიროა: დასახული იქნას ვზები და მეთოდები, ხერხები და წესები, მეტწილად რთული რელიეფის მოშანდაკებისათვის, რაც ძალზე დიდი ზომითაა ჩასატარებელი საქართველოს სსრ ყველა მოსარწყავ და ამოსაშრობ მიწებზე; კონსტრუირებულ იქნას რაც შეიძლება ეკონომიური მანქანები მელიორაციული ფართობებისა და მათი ცალკეული ნაკვეთების დაგეგმარების, მოსწორებისა და მოშანდაკებისათვის; შეიქმნას ადვილად გადასატანი, მობილური, მკვრივი და მსუბუქი აღნაგობის მანქანები მელიორაციული (ირიგაციისა და დრენაჟის) არხების გატანისა და რემონტისათვის და ა. შ. ყოველივე ზემოხსენებულ ღონისძიებათა პრაქტიკაში დანერგვა და ცხოვრებაში ვატარება, უთუოდ მოუტანს დიდ ეფექტს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას და მას გადააქცევს უფრო მაღალგანვითარებულ და რენტაბელურ დარგად.

ნაშრომის მრავალ ღირსებათა შორის აღსანიშნავია, ისიც, რომ მასში ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი „მელიორაციის განვითარების პერსპექტივები“, რომელიც მოიცავს 1970-2000 წლებს. აქ როგორც მთლიანად საქართველოს სსრ, ისე მისი ყველა კუთხისათვის ცალ-ცალკე მოცემულია აღნიშნულ პერიოდში სარწყავი და ამოსაშრობი მიწების გაფართოების პერსპექტივები. ფრიად საყურადღებოა 220 გვერდზე მოტანილი მე-17 ცხრილი — „მელიორირებული მიწების გაფართოების პერსპექტივები საქართველოს სსრ“, სადაც მელიორაციის სახეების (მორწყვა, ამოსრობა, გაწყლიერება, რეკონსტრუქცია, მოქანდაკება) მიხედვით დაპროექტირებულია პერსპექტიული განვითარების მაჩვენებლები საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის.

მოსაწონია ის გარემოება, რომ ნაშრომი ერთ-ერთი პირველთაგანია საბჭოურ ლიტერატურაში (ქართულ ენაზე კი ერთადერთი), რომელშიც კომპლექსურადაა განხილული მელიორაციის ზოგადი საკითხები, სარწყავი და ამოსაშრობი მიწები მსოფლიოში — კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით, ასევე, სსრ კავშირსა და საქართველოს სსრ და მისი განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა. მაგალითად, სასურველი იყო ავტორს სხვა საკითხებთან ერთად მეტი ყურადღება გაემახვილებინა ირიგაციის და საერთოდ მელიორაციის ეკონომიკური ეფექტურობის ძირითად საკითხებზე. ნაშრომის 223-229 გვერდებზე ავტორი ვრცლად მიმოიხილავს თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურას, მაგრამ წარმოგვიდგენს მათს მხოლოდ დადებით მხარეებს და არაფერს ამბობს ნაკლოვანებების შესახებ.

ნაშრომში ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება განმეორებები (იხ. 137 და 143) და დასაზუსტებელი ადგილები. მაგალითად, ნაშრომის 169 გვ. ავტორი წერს, რომ ამჟამად სარწყავი მიწების 41% მთელს რესპუბლიკაში უკავია კოლმეურნეებს. სინამდვილეში კი კოლმეურნეებს უკავიათ მისი — 16%, ხოლო კოლმეურნეობებს — 41%.



მაგრამ, ეს და სხვა არარსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი, სრულიადაც არ ამცირებენ სარეცენზიო ნაშრომის მაღალ ღირსებას. იგი დაწერილია პრობლემის ღრმა ცოდნით, მდიდარი სტატისტიკური მასალების ანალიზის საფუძველზე და ინტერესით იკითხება. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სპეციალისტებს და ყველა დაინტერესებულ მუშაკს, ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებსა და სტუდენტებს, შესაბამის ტექნიკუმების მოსწავლეებს.

სასურველია ამ ნიჟიერად დაწერილი ნაშრომის გამოცემა რუსულ ენაზე.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი — ბ. სპეზანიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი — რ. ზოგონია



## ДИАЛЕКТИКО-МАТЕРИАЛИСТИЧЕСКИЙ ДЕТЕРМИНИЗМ — ОСНОВА НАУЧНОГО ПОЗНАНИЯ

(М. А. ПАРНИОК, Принцип детерминизма в системе материалистической  
диалектики. Издательство «Наукова думка», Киев, 1972)

Важность принципа детерминизма как необходимой основы науки неоспорима. Это понимают и враждебные научному познанию различные идеалистические направления в философии, которые пытались и пытаются представить крах механистического детерминизма как крах принципа детерминизма вообще, подобно тому как крах метафизического материализма, в связи с революцией в естествознании в конце XIX и в начале XX вв., пытались представить как крах материализма вообще. Но как тогда на смену метафизическому материализму пришел в науку материализм высшей формы — диалектический материализм, подобно этому: в наше время повсюду утверждается в науке высшая форма детерминизма — диалектико-материалистический детерминизм.

Механистический или лапласовский детерминизм оказался узким, ограниченным, но не ввиду детерминизма, а ввиду механицизма.

В чем состояла ограниченность и ошибочность механистического детерминизма? Объединяя все его разновидности, его недостатки в основном можно свести к следующим:

1. Он крайне обеднял причинно-следственную связь, сводя ее к механическим явлениям и представляя линейно-односторонне. На самом же деле причинно-следственная связь, каузальность, во-первых, является только одним из определений универсальной связи<sup>1</sup>, ее многообразия, а во-вторых, ни в коем случае не является однолинейной, а сама обладает многосторонностью и богатством разнообразия внутри себя. И, конечно, современные науки, открывая все новые и новые формы каузальности, не могут обходиться одной только механической формой ее в своих объяснениях вещей. Механистический детерминизм вообще не понимал относительного характера своих понятий и вообще человеческого познания<sup>2</sup>, и поэтому при незнании диалектики не мог не завести науки в тупик.

2. Он не понимал, что при возникновении новых уровней материи по крайней мере некоторые законы сменяются, появляются новые законы (лапласовский детерминизм), которые не связаны «наследственно» с законами предыдущих уровней. Например, когда давление и температура входят в пределы, в которых возникают химические явления, законы последних не развиваются из законов термоядерных, электродинамических и т. д. явлений.

3. Огромной, сковывающей развитие науки силой являлось различие механистическим детерминизмом существенных явлений и связей от несущественных (Гольбах). Для него все связи все вещи и явления были одинаково существенными. Такое понимание в конеч-

<sup>1</sup> В. И. Ленин, ПСС, т. 29, стр. 146.

<sup>2</sup> Там же, стр. 189.

ном счете столь же мало может служить основой науки как и индетерминизм. При бесконечности связей, если они одинаково важны и существенны, и несущественных связей вообще нет, наука так же не в состоянии понять и объяснить мир, как и на основе индетерминизма вообще, отвергающего причинную зависимость и закономерность. Крайности сходились и здесь. В то время, как механистический детерминизм, который сам понимал невозможность учета всего бесконечного разнообразия связей, был этим крайне огорчен, для диалектико-материалистического детерминизма в этом нет ничего досадного и т. д.

Словом, механистический детерминизм оказался слабо вооруженным в борьбе как против фаталистической теории предопределенности, так и против индетерминизма.

На смену этому, крайне узкому, детерминизму в современной науке завоевывает свое, подобающее ему место, в качестве ее основы диалектико-материалистический детерминизм. И марксистско-ленинская философия планомерно и сознательно ускоряет этот процесс. А это сверхважно, особенно для международного рабочего революционного движения и коммунистического строительства; строительства, которое проходит на основе использования естественных законов развития-преобразования природы и общества.

Уже опубликовано немало содержательных монографий и статей по проблемам детерминизма вообще, и в частности в физике, кибернетике, биологии, медицине, в общественных науках. Значительный интерес представляет в этом плане коллективная монография — «Проблема причинности в современной физике» (М., 1960), книга Г. А. Свечникова — «Категория причинности в физике» (М., 1961) и «Причинность и связь состояний в физике» (М., 1971), книга В. М. Ничик «Диалектический материализм о категории причинности» (Киев, 1960), работы академика АН УССР М. Э. Омельяновского, в которых рассмотрены вопросы причинности, статистической и динамической детерминации, категории абсолютного и относительного; книга А. П. Шептулина — «Система категории диалектики» (М., 1967) и др. Надо отметить и интересную книгу аргентинского философа и ученого Марио Бунге — «Причинность» (М., 1962) и др.

И теперь к этой литературе прибавилась рецензируемая здесь фундаментальная работа М. А. Парнюк «Принцип детерминизма в системе материалистической диалектики» (Киев, 1972), которая, конечно, также не исчерпывает проблемы, но вносит значительный вклад в ее разработку. Упомянутая монография представляет собой попытку дать общетеоретический очерк принципа диалектико-материалистического детерминизма, характеристику различных аспектов процесса детерминации, особенностей видов отношений детерминации и, соответственно, содержания определенных категорий; установить систему категорий детерминизма, показать последние как ступени познания, найти логическую связь между ними. Работа посвящена не анализу конкретных проблем детерминизма в специальных науках, а общеполитическим аспектам проблемы.

Монография состоит из введения и четырех глав: I. Взаимодействие; II. Детерминация как отношение и процесс; III. Необходимость; IV. Свобода; которые расчленены на 13 параграфов.

Освещая поставленные вопросы, автор опирается на соответствующие положения марксистско-ленинской философии и, последова-



тельно используя их, не просто дает свой анализ, а ставит его в органической связи с имеющимися в современной литературе взглядами. С этой целью он привлекает сотни источников и авторов, представителей философии и конкретных наук как отечественной, так и зарубежной литературы, подвергая при этом аргументированной критике неприемлемые с точки зрения материалистической диалектики взгляды. И дело вовсе не в том, согласны ли мы с автором во всех частностях, а в том, что он на протяжении большой книги (свыше 20 п/л) нигде не спускается до уровня компиляции, плеоназмов и трюизмов, которые так нередки, к сожалению, у некоторых авторов.

Рецензируемая книга отличается тем, что в ней на каждой странице чувствуется пульсация живой мысли и безусловная истинность общей концепции. Есть у нас немало авторов, которые ни в чем не ошибаются и поэтому их не в чем упрекнуть, если отвлечься от того, что они ничего и не предлагают. Страшны не ошибки, тем более при правильности общей концепции, а отсутствие мысли или ошибки именно вследствие отсутствия мысли, ошибки, которые поэтому не побуждают мысль. Отраднo, что читатель рецензируемой книги не встретит в ней неплодотворной мысли, вредных ошибок. Понятно, что здесь мы не ставим себе целью дать систематический анализ содержания книги. Коснемся лишь некоторых вопросов.

Всякая наука исследует объективно существующие специфические отношения вещей своей области, но прежде всего их устойчивые, регулярные, существенные отношения. С другой стороны, согласно автору, существуют науки, изучающие отношения, отвлеченные от их конкретных носителей (математика, логика, кибернетика, грамматика). «Вообще свойства вещей выражаются в логической форме категорий, а всеобщие отношения — в законах материалистической диалектики как соотношениях между категориями» (8) — пишет автор и анализирует прежде всего объективные возможности познания и общие вопросы диалектики их превращения в действительность.

Исходными категориями марксистского детерминизма, согласно автору, являются категории связи и обособленности. Под связью у автора понимается прежде всего отношение зависимости вещей друг от друга (в различных ее формах), при котором изменение свойств и состояния одной из взаимосвязанных вещей сопряжено с определенными изменениями в другой вещи. Но надо заметить, что не всякая связь, например, пространственная и временная, предполагает зависимость. Связь вообще, это взаимоопределяемость вещей в каком-либо отношении.

Исследуя вопросы: вещи и отношения, связи и обособленности, взаимодействия и сосуществования в главе посвященной проблеме взаимодействия, автор высказывает немало аргументированных соображений. Автор не повторяет упрощенное понимание положения диалектического материализма об универсальности взаимообусловленности вещей. «Как нет связи данной вещи со всеми вещами, — пишет он, — так нет и обособленности данной вещи от всех вещей» (23). Если из всех разнообразных форм связей выделить наиболее важную — причинно-следственную связь — связь взаимодействия, то ограниченность такой связи для любой конечной материальной системы можно было бы показать, и по нашему убеждению с этим согласится автор, исходя из необходимости материального носителя воздействия. «Всякое взаимодействие вещей, как правильно пишет автор, выражается в обмене веществом и энергией, а следовательно информацией» (30). Если это так, а это неоспаримо для современной науки, то принимая

скорость распространения воздействия (переноса его носителем) равной  $c$ , а продолжительность существования данной вещи равной  $t$ , то взаимодействие осуществляется только для вещей, находящихся внутри радиуса равного  $ct$ , ибо после истечения времени  $t$ , данная вещь или материальная система уже исчезает. Непонимание этого является одним из узких мест механического детерминизма (стр. 11).

В этой же главе автор приводит положение Маркса о том, что «свойства данной вещи не возникают из ее отношения к другим вещам, а лишь обнаруживаются в таком отношении...»<sup>3</sup>. В нашей литературе, кстати, распространено неправильное толкование этого положения. Изучение его в контексте не может оставить сомнения в том, что у Маркса речь идет об отнесеней вещей, об их количественно-качественном сравнении, об их равенстве или неравенстве, словом об уравнении. Между тем, у многих авторов «отношение» употребляемое здесь в указанном смысле превратилось в слово «взаимодействие» вследствие чего все положение сделалось глубоко ошибочным. Можно привести лишь один пример, чтобы убедиться в распространенности этого ошибочного толкования. «Свойства тела, как известно (Подчеркнуто мной Ш. К.), пишет Ю. А. Жданов, не создаются в его взаимодействии с другими телами, а лишь проявляются»<sup>4</sup>. Уже одна известность автора этих слов и подчеркнутые слова делают излишним доказывать особо распространенность этого заблуждения. Такое понимание противоречит в корне самой сущности диалектики — ее ядру, основному закону об источнике развития. При взаимодействии тел одни свойства проявляются, другие появляются. Если бы это было иначе, если бы в процессе взаимодействия свойства тел **лишь** проявлялись, а не появлялись, то подлинно научной философией оказался бы метафизический, а не диалектический материализм; не было бы возникновения новых и исчезновения старых качеств.

Правда, при взаимодействии тел всегда появляются свойства изменяться, но в процессе изменения появляются и новые свойства. При взаимодействии магнитом на железо проявляются свойства первого намагничиваться, а второго — намагничиваться, но вместе с тем второе приобретает свойства магнита, т. е. у него это свойство появляется. Когда зерно попадает в благоприятные условия у него проявляется свойство произрастать, но он превращается в корни, стебель и т. д. Это не проявление, а появление, возникновение новых качеств. Считать это проявлением, значит стать на точке зрения метафизической теории преформизма. М. А. Парнюк обошел этот вопрос. Очевидно, он считает все это само собой понятным, трюизмом. Мы согласны с ним, но критика тем более необходима, чем проще вопрос, неправильное толкование которого распространено, ибо простота вопроса является нередко мерой его диапазона и притом обратно пропорциональной простоте.

В основной части своей книги — во второй главе, посвященной проблеме детерминации как отношению и процессу — автор рассматривает вопросы о понятии детерминации, об абсолютном и относительном, условии и обусловленном, возможности и действительности, вероятности и достоверности, причине и следствии (действии), основании и существовании.

<sup>3</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 23, стр. 67.

<sup>4</sup> Диалектика—теория познания, „Проблемы научного метода“. М., 1962, стр. 362.



Автор подвергает критике ошибочную и реакционную теорию равного значения факторов, которая ведет к фатализму и выбивает почву из под науки, лишает смысла практически-революционную планово-преобразовательную деятельность людей. Интересен проводимый автором аналог между процессом труда по отношению к продукту труда и процессом детерминации по отношению к ее результату. Как в продукте труда снята, опредмечена рабочая сила и снята ее активность, так в результате детерминации снята активность детерминирующих факторов. Этот аналог можно углубить, сопоставив изменения происходящие в процессе производства участвующих в нем факторов — с изменениями детерминантов происходящими в процессе детерминации. Совершенно прав автор утверждая, что «вне движения, всеобщей мерой которого является энергия, детерминация не совершается» (55). Можно заметить, между прочим, что поэтому и ошибочно утверждать, что закон детерминирует, действует и т. д. понимая это в буквальном смысле, либо у законов нет энергии, они не детерминируют, а являются законами детерминации, т. е. детерминация происходит согласно законам. «Принцип преодоления сопротивления лежит в основе любого процесса детерминации» (55) — утверждает автор. Будучи в курсе имеющегося в литературе заблуждений, автор должен был здесь подчеркнуть, что это сопротивление и борьба; взаимодействие имеет своими компонентами конкретные детерминанты: взаимодействуют вещи по определенным законам, а не с законами.

Автор делает правильное заключение, что детерменизм есть теория отношений опосредствования, учение о детерминации как процессе, в котором производятся вещи и явления, определяются природа и способы их существования, раскрываются способы их производства и т. д.

Интересен и глубок также анализ диалектики связи абсолютного и относительного данной автором: «Если бы движение было лишь абсолютным, самостоятельным, безотносительным, то тем самым исключался бы покой, ибо движение есть движение по отношению к чему-то покоящемуся; оно зависит от покоящихся вещей. Да и движется покоящееся. Если бы не было покоя, что бы тогда изменялось. Без отношения с покоем движение перестает быть движением» (66). В этом высказывании автора много интересного, но было бы безусловно, ошибочно, понимать отнесение движения «к чему-то покоящемуся» как наличие в мире абсолютно фиксированной неподвижной точки, между тем, как покой в материалистической диалектике понимается относительно к формам движения (т. е. в смысле отсутствия в теле тех или иных форм движения) или относительно к другому (другим) телу (телам).

Совершенно правильно автор считает преемственность основой поступательного движения. «Новое несет в себе все приобретенное на предыдущих этапах движения, пишет автор, поэтому оно в каких-то чертах повторяет первоначальные стадии, исходные предпосылки. Изменение не бывает без сохранения, факторы условий не только изменяются, но сохраняются» (95). И здесь много глубокого и интересного, с подобными положениями мы встречаемся, как известно, и у Гегеля, что можно посмотреть с автором: так уж все приобретенное и несет в себе новое? Смотря как понимать «все приобретенное». Но материалистическая диалектика не рассматривает приобретение вне потери, созидание вне разрушения, когда речь идет о конечной вещи, материальной системе и т. д. Приобретение — потеря (утрата) и созидание

— разрушение, это — единство противоположностей, которые существуют только благодаря друг другу.

Интересна мысль автора о том, что особенностью становления является наличие элементов старого и нового (111). Читая эти строки автора вспоминаются глубокие мысли В. И. Ленина о понятии «переход»: «Но что же значит слово переход? Не означает ли оно, в применении к экономике, что в данном строе есть элементы, частички, кусочки и капитализма, и социализма. Всякий признает, что да»<sup>6</sup>. Это указывает на то, что автор везде имплицитно или эксплицитно всегда исходит из единой марксистско-ленинской концепции в чем и состоит большое достоинство его книги.

Нам кажется плодотворной и глубокой мысль автора, согласно которой термин «действительность» в паре категории возможность — действительность носит не ту информационную нагрузку, которую он имеет будучи взятый отдельно. В последнем случае он обозначает реальность вообще, которая содержит в себе обе стороны выражаемые парой упомянутых категорий. Здесь «возможность — исходный момент, действительность — результат процесса» (120). Категория «возможности», по мысли автора отражает не только тенденцию развития, но и противоположную тенденцию, и другие тенденции. Возможность, развиваясь переходит в необходимость и потом в действительность. Надо заметить, что возможность есть некоторая неопределенность, поскольку она всегда содержит в себе же свою противоположность и поэтому переход возможности в действительность происходит путем последовательного исключения из наличия различных возможностей, всех кроме одной. Осуществление одной возможности само означает исключение всех остальных. Заинтересованный читатель здесь найдет немало пищи для размышлений.

Направляя удар против фатализма, автор пишет: «важно познать главные, необходимые факторы и для того, чтобы в своей практической деятельности, создав достаточное количество детерминирующих факторов, вызвать к жизни нужное явление или избежать нежелательного явления, устранив его необходимые факторы. Немаловажно знать так же пределы, в которых можно изменять, варьировать главные факторы» (123—124). От этой мысли легко перейти к осознанию диалектики свободы и необходимости. Человек имеет возможность, которая беспрерывно умножается и развивается в связи с развитием науки и техники, непосредственно действовать на детерминанты, на факторы и это область его свободы, — а не на законы их взаимодействия — это область ограничения, но и осуществления свободы, ибо именно на основе знания этих законов человек заранее может вычислить тот вариант детерминантов до их вступления в процесс взаимодействия, который приведет к намеченной цели. Человек не выбирает и не может выбирать как должны и будут взаимодействовать детерминанты, это — область необходимости, он может выбрать и выбирает сами детерминанты, исходя из законов их взаимодействия; это — область превращения необходимости в свободу.

Вероятность, согласно автору, носит объективный характер, выражая недостаточность совокупности детерминирующих факторов. Он соглашается с тем, что вероятность является количественным отношением между наличными детерминирующими данное явление факторами и факторами недостающими для того, чтобы оно осуществлялось.

<sup>6</sup> В. И. Ленин, ПСС, т. 33, стр. 295—293.

Соглашаюсь с И. В. Кузнецовым, он утверждает, что при прочих условиях, вероятность выпадания любой грани при подбрасывании кубика  $= 1/6$ . Отсюда можно сделать вывод, что вероятность какого-либо явления всегда равна отношению 1 к сумме всех наличных возможностей, приведенных к общему знаменателю — т. е. с учетом того, что не все варианты возможности одинаковы. Надо сказать, что эта теория подсчета не претерпела почти никаких изменений со времени лапласовского «Опыта философской теории вероятностей». Но автор из общего обзора и обобщения устоявшихся положений конкретных исследований приходит к выводу, что «вероятность и достоверность как в материальной действительности, так и в мышлении не отделены непроходимой гранью. То, что в одном отношении и в одно время является вероятным (вероятно правильным, вероятно истинным), в другом отношении и в другое время выступает достоверным, достоверно правильным и достоверно истинным и наоборот», «...в действительности человеческого знания представляет собой единство вероятных и достоверных положений, единство гипотез и теории» (176).

Причинение автор определяет как способ производства вещей из условий, «Причина — активное начало, принуждающее условия изменяться» (177). Было бы ошибочно отрицать объективность такого соотношения, но нам кажется неправильным считать его единственным. Ведь сама причина срабатывает лишь в определенных условиях. Поэтому бывает трудно различить причины от условий, хотя это различие очень важно как для науки, так и для практической деятельности. Можно напомнить один из простейших фактов из области агробиологии. Долгое время считалось, что причиной неурожайности и гибели огурцов в северных районах является низкая температура, пока не открыли определенный вид микробов, которые размножаются в условиях низкой температуры, и которые и являются ближайшей причиной гибели этих растений. И когда условие отделили от причины и нашли средство борьбы против болезнетворных микробов, огурцы прижились прекрасно.

Поэтому совершенно правильным надо признать утверждение автора, что «Причина детерминирует новую действительность в одном отношении, условия — в другом» (208). Нам кажется, что причина и условие тоже не отделены друг от друга непроходимой гранью и в известных условиях могут переходить друг в друга.

По вопросу множественности причин одного и того же действия, автор разделяет взгляд И. Д. Панцхава, считающего что одно и то же действие имеет одну и ту же причину, но причина обладает множеством носителей. Смешение носителей причины с самой причиной и приводит к ошибочному заключению о наличии множества причин, но я предложил бы вместо «носителей», говорить о разных формах существования одной и той же причины, одной сущности. Ведь различие вещей одной сущности по формам существования, рядом с различием других вещей по сущности, характерная черта материалистической диалектики.

Отдавая должное противоположным взглядам и их авторам, автор рецензируемой книги защищает точку зрения одновременности причины и действия. При этом он не изменяет своему стилю, подробно рассматривать и анализировать аргументы критикуемых взглядов и аргументировать свою точку зрения. Мы здесь воздержимся от рассмотрения этого столкновения взглядов, заметим только, что, на наш взгляд, напрашивается аналогия между причинно-следственной связью и связью возможности и действительности. По мнению М. А. Парнюк, к



ошибочному заключению предшествования причины действию во времени приходят из-за смещения вещи, которая существует раньше действия, с причиной являющейся только частью вещи. Кроме того он объясняет это тем, что «всякое воздействие передается от одной вещи к другой с конечной скоростью. И, поэтому, для того, чтобы подвергающаяся воздействию вещь соответствующим образом отреагировала, нужен некоторый интервал времени — скрытый период действия. И до тех пор, пока эта вещь не отреагировала, пока не закончился скрытый период, пока не возникло действие, воздействующая вещь не стала еще причиной» (193).

Достойны изучения взгляды автора по вопросу основания и существования. В параграфе, посвященном этому вопросу, читатель также найдет немало побуждающих к размышлению положений.

В главе посвященной необходимости автор, излагая на высоком научном уровне учение материалистической диалектики о диалектической взаимосвязи случайности и необходимости, подвергает различные ошибочные взгляды глубокой научной критике.

«Необходимость в чистом виде, — утверждает автор, — имеет место лишь в логике. В реальной действительности необходимость всегда существует в костюме случайностей.

В понятиях, в законах науки и в теориях необходимость отражается односторонне, в чистом виде. Познание необходимости, очищенной от случайностей, осуществляется логическим методом; познание же необходимости в единстве со случайностью — историческим методом» (1262). Есть авторы, которые пожелают оспаривать эти положения в некоторых аспектах, но спор, в силу глубоко научного содержания самих формулировок, не может быть бесплодным.

Интересные высказывания содержатся в книге о законах. Нельзя не согласиться с автором, когда он пишет, что «всякий закон природы (Мы сказали бы: всякий естественный закон. Ш. К.), означающий определенность вещей и их отношений, является ограничением разнообразия. Поскольку наука изучает законы, постольку она расширяет ограничения разнообразия, неопределенности» (242). Это глубоко научное понимание природы естественных законов. Автор определяет задачу подлинной науки как раскрытие необходимости за случайностями, выражающейся в законах (259). Вместе с тем он совершенно правильно интерпретирует положения В. И. Ленина о том, что понятие закона одна из ступеней познания человеком единства и связи, взаимозависимости и цельности мирового процесса и о том, что явления богаче закона. Замечательны следующие формулировки автора: «Закон — внутренняя и необходимая связь между конкретными вещами. Законы представляют собой имманентные формы необходимой детерминации сдвиг вещей другими или самодетерминации...», «Законы не возвышаются над вещами, не создают вещей, не детерминируют вещи и не определяют движение вещей. Законы внутренне присущи вещам, являются одним из видов их отношений» (277). Подобные же, будящие критическую мысль, соображения высказаны о законах на страницах 282, 283, 285, 287 и многих других.

Закон представляет ограничение явлений действительности но, конечно, не во всех отношениях, и здесь испытывает крах всякий фатализм. Внутри закономерности, например, образования любого сложного вещества, да и любого атома и молекулы, существует бесконечное множество никогда не повторяющихся вариантов индивидуального «расселения» миллиардов атомов и молекул, бесконечного числа элементарных частиц. Для вещества совершенно безразлично какой именно

из бесконечного числа частиц, например, электронов окажется в каком из тех мест, где по закону вообще должен быть электрон: закон образования данного вещества остается к этому совершенно индифферентным. И это так во всех областях действительности: внутри компонентов-детерминантов данного события, детерминирующегося согласно определенному закону, существуют бесконечные, никогда не повторяющиеся варианты мелких событий, которые законом события большего масштаба не ограничены.

В этой же главе книги, читатель найдет глубокое рассмотрение диалектики соотношения статистических и динамических законов и других вопросов. Не задерживаясь на них мы переходим к заключительной главе книги, посвященной проблеме свободы.

Объективные естественные процессы детерминации совершаются сами по себе в соответствии с присущими вещам законами. Общественные объективные процессы осуществляются вследствие приложения к объекту целеполагающей деятельности субъекта.

Целесообразная деятельность имеет следующие свои моменты: субъективную цель как идеальный образ будущей действительности; средства реализации цели; объект целесообразной деятельности; самодеятельность; результат целесообразной деятельности.

Цели, с одной стороны, порождаются человеческими потребностями, которые существуют в форме интересов. Цель представляет собой идеальный образ предмета потребности. С другой стороны, они формируются на основе объективных условий. Я думаю, было бы в духе автора сказать, что цель выражает единство противоположностей: субъект-объект; между потребностями и возможностями их удовлетворения, которые содержатся в данной действительности; превращение же возможности в действительность и удовлетворение потребности снимает противоположность, тем что переводит ее на последующую ступень.

Автор интересно раскрывает далее диалектику возникновения и достижения цели. При наличии средств реализация цели зависит прежде всего от деятельности субъекта. Только деятельность переводит предмет из идеальной формы в виде цели в материальную форму результата.

Целевое отношение является лишь особой формой процесса детерминации. Субъект как самый активный компонент выступает причиной, а все другие средства — условиями, содержащими в себе возможность новой действительности. Но причина здесь наперед знает свое действие как цель, преднамеренно использует себя и условия (средства) для осуществления цели — производства действия. Результат деятельности и есть действие, новая действительность, объективированная цель. Целеполагающая деятельность есть свободное производство новой действительности.

Автор совершенно правильно утверждает, что без знания необходимости, достижение цели носит стихийный, случайный, вероятный характер; что «цели, противоречащие необходимости, объективным отношениям детерминации, недостижимы: действия людей, направленные на достижение этих целей, обречены на неудачу» (269). Но в главе IV посвященной проблеме свободы совершенно не в унисон со своей диалектико-материалистической концепцией автор пишет: «для того, чтобы была достигнута цель, т. е. чтобы результат деятельности совпал с целью, необходимо, чтобы наша деятельность согласовалась с законами природы» (351). Согласно марксистско-ленинскому, диалектико-материалистическому учению о детерминизме, которому автор посвя-

ტილ-такой фундаментальный труд, деятельность человека не может не согласоваться с естественными законами природы или общества, она всегда детерминирована согласно этим законам, однако, она не всегда успешна. Успешность нашей деятельности не вопрос согласования с естественными законами, а вопрос их использования — вопрос согласованности ее с самой целью, которая может быть намечена в согласии с законами, но не может быть достигнута при неправильной организации средств ее достижения; которая будет означать не нарушение законов, а смешение самих средств достижения цели. Неудачи объясняются, конечно, не нарушением законов, несоответствием деятельности людей объективным законам, а их неправильным использованием или невозможностью осуществления их использования в своих интересах. Человек тонет, падает, горит, испытывает неудачи не потому, что его деятельность (действие) не согласованы с объективным законом, который он ни в каких обстоятельствах не может нарушить, а потому, что не знает естественных последствий своих действий или не в состоянии осуществить соответствующие правильно намеченной цели действия.

В заключение кстати вспомнить одно изречение Гельвеция. Он говорил, что среди книг также легко можно попасть в плохое общество, как и среди людей. Отрадно отметить, что автор рецензируемой монографии М. А. Парнюк создал книгу, в обществе которой каждый интересующийся нашей философией читатель получит большое удовлетворение и большую пользу, беря эту книгу в руки он сразу попадет в хорошее общество.

Ш. А. КОБАХИДZE



## ძრონიკა და ინფორმაცია

### საიუბილეო ფურცელი

ჟურნალ „მაცნე“ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და საზოგადოების სერიის სარედაქციო კოლეჯი

გულთბილად ულოცავს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს  
მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ ანგია თადეოზის ძე  
ბოჭორიშვილს

დაბადების 70-ისა და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს. ვუსურვებთ სასიქადულო მეცნიერს ხანგრძლივსა და ჯანმრთელ სიცოცხლეს, ვუსურვებთ ახალ წარმატებებს მეცნიერულსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში!

ჟურნალ „მაცნე“ სარედაქციო კოლეჯი.

### გამოჩენილი მაცნიერი და აღზრდილი — ანგია თადეოზის ძე ბოჭორიშვილი

(საიუბილეო სხდომაზე წაკითხული მოხსენება)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ანგია თადეოზის ძე ბოჭორიშვილს დაბადებიდან 70, ხოლო სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის დაწყებიდან 45 წელი შეუსრულდა. იმ ნაშრომების ღირებულება, რომლებიც მან ამ ხნის მანძილზე შეიტანა ქართული მეცნიერების საგანძურში, იმდენად დიდია, რომ ყოველ ერს შეეძლო ეამაყა, მათი ავტორით. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება პედაგოგიური კადრების პროფესიული მომზადებისა და მორალური ჩამოყალიბების საქმეში. ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, იშვიათად შეხვდებით სკოლას, სადაც არ მოღვაწეობდეს მასწავლებელი, რომელსაც მისი ინტელექტუალური და მორალური ძალების მადლიახი, კეთილმყოფელი ზემოქმედება არ განუტყდია. ჩვენს იუბილარს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი სახალხო აღიარებისათვის ის დიდი და ნაყოფიერი შრომაც საკმარისი იქნებოდა, რაც მრავალრიცხოვანი ახალგაზრდა მეცნიერული კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეს მოაწოდოდა.

ანგია ბოჭორიშვილს ჰაბტუკობიდან როგორც სტიქია, ისე დაეუფლა ორი დიდი ადამიანური ძალა: მოვალეობის, ყოველდღიურ პირად კმაყოფილების ძიებასთან შეურიგებელი, გრძნობა და ჭეშმარიტების ძიების დაუოკებელი წყურვილი. მთელი მისი პირადი ცხოვრება თავიდანვე ამ ორ მაღალ მორალურ ძალას დაექვემდებარა და ამ დიდებული ძალების სიჭარბემ მისცა მას შესაძლებლობა, საკუთარი ცხოვრების უპირველეს მიზნებად ექცია მოვალეობა და ჭეშმარიტება და პირადი ცხოვრების მძიმე მომენტებშიაც კი, მთელი თავისი სულიერი შესაძლებლობანი მაღალ მეცნიერულ ჭეშმარიტებათა ძიებისა და უანგარო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისაკენ

წარმართა. იგი ახლაც, 70 წლის ასაკშიც, განსაცვიფრებელი ძალითა და ენერგიით განაგრძობს მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ახალგაზრდული გატაცებით ეხმარება საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა კულტურულ მოვლენას და განუხრელი პრინციპულობითა და მიუღდომელი სიმკაცრით იბრძვის ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული აზროვნების აღმავლობისა და სიწმინდისათვის.

ზემოაღნიშნულ განმეორებათა გამო, ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობა და კულტურის ძეგლები დღეს საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ანგია თადეოზის ძე ბოჭორიშვილის დაბადების 70-ე და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის 45-ე წლისთავს.

ანგია ბოჭორიშვილი დაიბადა 1902 წლის დეკემბერში ზემო სვანეთის სოფელ ლახამულაში, სადაც მამამისი თადეოზი ჭკვადუების ოჯახში იყო შესული ზედსიძედ. ბავშვობა 10 წლამდე ამ სოფელში გაატარა და აქვე დაამთავრა მან პირველდაწყებითი სასწავლებელი, რის შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ — სემინარიაში, რომელიც მალე გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზიაში მას ფსიქოლოგიასა და ლოგიკას ასწავლიდა ცნობილი პედაგოგი გივლა კვიციანიძე, რომელმაც დიდად შეუწყობი ხელი მასში ფილოსოფიური საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას. ამავე მეტყველებს ისიც, რომ გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე ა. ბოჭორიშვილი დეკარტეს შესახებ კითხულობს მოხსენებას, რომელიც კუნო-ფიშერის და სხვა ფილოსოფიის ისტორიკოსთა მონოგრაფიულ გამოკვლევათა შესწავლის საფუძველზე იყო მომზადებული.

იმ დროს ქუთაისში არსებობდა ახალგაზრდა მარქსისტული ორგანიზაცია „სპარტაკი“, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ორგანო — ჟურნალი „III ინტერნაციონალი“. იგი არალეგალურად ისტამბებოდა და ეწეოდა მარქსისტული იდეების პროპაგანდას ახალგაზრდობაში; მარქსისტული პოზიციებიდან აწარმოებდა ბრძოლას მენშევიკების, ანარქისტებისა და ფედერალისტების წინააღმდეგ. ანგია ბოჭორიშვილი იყო „სპარტაკის“ წევრი და თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა მის მუშაობაში. 1917 წელს, ჯერ კიდევ 15 წლის ჭაბუკმა, ამ ჟურნალის მე-5 ნომერში „ა-ის“ ფსევდონიმით მან გამოაქვეყნა წერილი — „დღევანდელი უთანხმოება“. წერილს დართული ჰქონდა რედაქციის შენიშვნა: „ავტორის ზოგიერთ შეხედულებას არ ვიზიარებთ, რის შესახებაც ჩვენს მოსაზრებებს ჟურნალის მორიგ ნომერში გამოეთქვამთ“. მაგრამ ჟურნალის მორიგი ნომერი არ გამოსულა, რადგან მთავრობის მიერ მიღებული ზომების შედეგად რედაქციამ შესწყვიტა მუშაობა. თვითონ ანგია ბოჭორიშვილი ამ ჟურნალის გავრცელების დროს დააპატიმრეს, მაგრამ იგი ახლობლების დახმარებით მალე გათავისუფლდა. ზემოაღნიშნული სტატიის გაცნობა გვარწმუნებს, თუ მისი ავტორი, თავის ასაკთან შედარებით, რამდენად დიდად ყოფილა დაინტერესებული მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრებით.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ანგია ბოჭორიშვილი დიდ დროს უთმობდა ფილოსოფიური ლიტერატურის შესწავლას. პირველად იგი, როგორც თვითონ მოგვითხრობს, ბოგდანოვის „ემპირიომონიზმით“ ყოფილა გატაცებული, მაგრამ ლენინის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის შესწავლის შემდეგ, მას შეხედულება არსებითად შესცვლია.

ქუთაისის პირველი გიმნაზიის წარმატებით (მედლით) დამთავრების შემდეგ, 1920 წელს ანგია ბოჭორიშვილი შედის თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ფსიქოლოგიურ განყოფილებაზე და საფუძვლიანად ჰკიდებს ხელს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის შესწავლას. იმ დროს ლექციებზე დასწრება არ იყო სავალდებულო, ა. ბოჭორიშვილს ეკონომიური სიყვაროვით არ აძლევდა შესაძლებლობას, რომ სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე თბილისში ეცხოვრა. ამიტომ პირველი ორი წლის მანძილზე ცხოვრობდა და საუნივერსიტეტო კურსების მომზადებაზე მუშაობდა სოფელ სვირში, მამის ოჯახში. მან აქ დამოუკიდებლად მოამზადა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველი ორი წლის გეგმით გათვალისწინებული კურსი და თითქმის ერთდროულად ჩააბარა გამოცდები სწავლების ორი წლის გეგმით გათვალისწინებულ სამეცნიერო დისციპლინებში. პირველად ამ გამოცდებზე გაეცნო იგი ჩვენს სასიქადულო მეცნიერებს: დიმიტრი უზნაძეს, შალვა ნუცუბიძეს, სერგი დანელიასა და სოფიო წერეთელს, რომელთა დიდი მოწონება დაიმსახურა და, მათი მეშვეობით, მთელს უნივერსიტეტში ვახდა ცნობილი როგორც განსაკუთრებული ნიჭისა და ერუდიციის მქონე სტუდენტი. მესამე კურსიდან ანგია ბოჭორიშვილი აქტიურად ჩაება ფილოსოფიური სემინარების მუშაობაში, რაც მაშინ უნივერსიტეტში სწავლების ერთ-ერთ წამყვან ფორმად ითვლებოდა. აქ მან კიდევ უფრო გამოამჟღავნა თავი როგორც ფილოსოფიური წყობის ინტელექტის მქონე მოაზროვნე და ჰუმანიტების ძიებით გატაცებულმა ახალგაზრდამ.

1925 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ანგია ბოჭორიშვილი ცნობილი მეცნიერების: დიმიტრი უზნაძისა და შალვა ნუცუბიძის შუამდგომლობით მიღებულ იქნა ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტად. დ. უზნაძე, რომელიც იმ დროს ერთდერითი ფსიქოლოგი იყო საქართველოში, დიდ იმედებს ამყარებდა თავის სასიქადულო მოწაფეზე და განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მის მიმართ.

1927 წელს, ასპირანტურაში ყოფნის პერიოდში, ანგია ბოჭორიშვილმა უნივერსიტეტის „მომამბეში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი — „სიმძიმის ილუზიის ანალიზი წოლის არეში“. ეს შრომა მან დ. უზნაძის ხელმძღვანელობით დაამუშავა. ეს იყო ქართულ ფსიქოლოგიაში პირველი ექსპერიმენტული გამოკვლევა, რითაც იწყება, აგრეთვე, განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, — ამიტომ იგი ქართული ფსიქოლოგიის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს: ამ გამოკვლევამ ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე უარყო გ. მიულერის თეორია, რომელიც სიმძიმის ილუზიებს მოტორული განწყობის იმპულსებზე აფუძნებდა. ასპირანტურის უკანასკნელი წლის მანძილზე ანგია ბოჭორიშვილი იმყოფებოდა მივლინებაში ლენინგრადში ბეზტერვის (ტენის) ინსტიტუტში, სადაც გულდასმით სწავლობდა რუსული ფიზიოლოგიის მიღწევებს. 1928 წელს იგი ამთავრებს ასპირანტურას და სექტემბრიდან კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგად ფსიქოლოგიაში, პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში, დიფერენციალურ ფსიქოლოგიაში და ფსიქოტექნიკაში.

1933 წელს ანგია ბოჭორიშვილი გადაყვანილ იქნა ქუთაისში, ამ ქალაქში პედაგოგიური ინსტიტუტის გადასვლასთან დაკავშირებით. ქუთაისში ცხოვრებასთანაა დაკავშირებული მისი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის დიდი ნაწილი. ამ ქალაქში მოღვაწეობის პერი-

ოდში იგი შეთავსებით კითხულობდა ლექციებს ბათუმის პედაგოგიურ და ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტებში. 1957 წლამდე ხელმძღვანელობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ ფსიქოლოგიის, ხოლო შემდეგ — პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრას და, სამუშაოდ თბილისში გადაყვანამდე, წლების მანძილზე მუშაობდა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო დარგში. ანგია ბოჰორიშვილი კითხულობდა ღრმა მეცნიერული შინაარსითა და დიდი ზნეობრივი შთაგონებით აღსავსე ლექციებს და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მეცნიერ პედაგოგთა მთელი თაობების აღზრდის საქმეს ფილოსოფიის, ლოგიკის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და ესთეტიკის სპეციალობებში. მისი ლექციების ინტელექტუალური და მორალური ზემოქმედების ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ისინი წარუშლელ კვალს ტოვებდნენ მსმენელთა ფსიქიკაში. მისი ყოფილი მოწაფეებისა და სტუდენტების ყოველდღიური საქმიანობა დღესაც განიცდის მათს მადლიან ზეგავლენას.

ანგია ბოჰორიშვილი ქუთაისში სისტემატურად კითხულობდა ლექციებს მოსახლეობის ფართო მასებში, — მშობლებთან, მასწავლებლებთან და წარმოება-დაწესებულებების მუშაკებთან ეწეოდა ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და ეთიკური ცოდნის პროპაგანდას, რითაც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მათში. იმ დროს, ალბათ, ქუთაისში იშვიათად ნახავდით ჰაბუქსა და ზრდა-დასრულებულ ადამიანს, რომელსაც მისი ლექცია ერთხელ მაინც არ ჰქონოდა მოსმენილი. ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში იგი ქალაქის ცხოვრებაში ყოველგვარი მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყების აქტიური მონაწილე იყო. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში 1948 წელს შეიქმნა ლოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, რომელმაც ბევრი კარგი მეცნიერი და აღმზრდელი სპეციალისტი მისცა ჩვენს რესპუბლიკას. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის სკოლების, თეატრების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში, ამიტომ რამდენჯერმე იყო არჩეული ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატად და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრად.

1939 წელს ანგია ბოჰორიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „ფსიქოლოგიის საგანი (გერმანულ ფსიქოლოგიაში)“. ეს ნაშრომი შემდეგ მისი „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხების“ სახელით ცნობილი სამეტომეულის პირველი წიგნის სახით გამოქვეყნდა. 1955 წელს იგი არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და გადმოყვანილია ქ. თბილისში საქ. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგის თანამდებობაზე, ხოლო 1957-1960 წლებში არჩეული იყო საქართველოს მეცნ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

ანგია ბოჰორიშვილის მნიშვნელოვანი ღვაწლი აქვს საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას მისი დარსების დღიდან, ხოლო თბილისში სამუშაოდ გადმოსვლის შემდეგ წლების მანძილზე იყო საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე. ამ საზოგადოების საკავშირო და რესპუბლიკური გამგეობისაგან მრავალი სიგელი აქვს მიღებული მას საქართველოს საზოგადოება „ცოდნის საქმიანობაში“ დამსახურებისათვის.



ანგია ბოჭორიშვილი წილების მანძილზე აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობაში. იგი იყო ქუთაისის მესხიშვილისა და თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს სამხატვრო საბჭოების წევრი და უშუალო მონაწილეობას იღებდა მათს პრაქტიკულ მუშაობაში.

ანგია ბოჭორიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას მიეძღვნა საიუბილეო სესია, რომელმაც მოისმინა ცხრა მოხსენება. ისინი მისი გამოკვლევების სხვადასხვა მხარეს ეხებოდნენ და არასრულად, მაგრამ მაინც გარკვევით უჩვენებდნენ, თუ რა ღირებულებანი შეიტანა დღევანდელმა იუბილარმა ქართული მეცნიერული აზროვნების სავანძურში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ანგია ბოჭორიშვილის ცხოვრების სტილი, რაც არსებითად განსაზღვრა ქვეშარტებისაკენ მისწრაფებამ. ამ სწრაფვამ ყველა სხვა ცხოვრებისეული ინტერესი დაჯაბნა და დაიმორჩილა მასში. მეცნიერული ძიებისა და ქვეშარტების ხილვის პროცესში იგი გვაგონებს ექსტაზში შესულ მორწმუნეს, რომელიც რელიგიურ თავდავიწყებას ისეთი ძალით ეძლევა, რომ სხეულებრივი წამების გზით მიყენებულ მწვავე ტკივილებსაც კი არ განიცდის. ბატონ ანგია სხეულებრივ ტკივილებს, როცა ასეთი რამ აწუხებს, ხშირად ებრძვის იმით, რომ საინტერესო და ძნელად გასაგები წიგნის კითხვას იწყებს და წაითხულ შინაარსზე ყურადღების კონცენტრაციას ისეთი ძალით ახდენს, რომ ტკივილის შეგრძნებისათვის ცნობიერებაში ადგილი არ რჩება; იგი სხეულებრივ ტკივილებსაც კი ივიწყებს, როცა მეცნიერულ აზრებს ქვეშარტების მწვერვალებისაკენ მიჰყვება და დიდ და ძნელად დასაძლევ პრობლემებს ეჭიდება. აღნიშნული გარემოება გასაგებს ხდის, თუ როგორ შესძლო ანგია ბოჭორიშვილმა განვლილი ცხოვრების მანძილზე იმ უზარმაზარი მეცნიერული მუშაობის წარმოება, რომლითაც იგი დღესაა წარმოდგენილი ჩვენს წინაშე. აღნიშნული მეცნიერული მუშაობის შრომატევადობა მხოლოდ იმ წიგნების, იმ გამოკვლევების მოცულობით არ განისაზღვრება, რომლებიც მან გამოაქვეყნა. მის მიერ დღემდე ჩატარებული მეცნიერული კვლევა-ძიება რომ შრომატევადობის მიხედვით შეაფასოთ, აუცილებელია, თვალი გადაავლოთ ლიტერატურის მოცულობასა და ხასიათს, რომელიც მან შეისწავლა საფუძვლიანად იმისათვის, რათა საკუთარი მეცნიერული პროდუქცია მოეცა. წიგნის სისქე, თავისთავად, არაფერს გვეუბნება იმ მეცნიერული მუშაობის სიღრმესა და მოცულობაზე, რომელიც მათს დაწერას უძღოდა წინ. მის მიერ შესწავლილი, ერთი პიროვნების შესაძლებლობასთან შედარებით, უზარმაზარი მოცულობის მეცნიერული ლიტერატურა. ამასთან, მის მიერ შესწავლილი წიგნების ავტორები არიან მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები, რომელთა ნააზრების წვდომა და კრიტიკული განხილვა დიდ ინტელექტუალურ ძალ-ღონეს მოითხოვს. ანგია ბოჭორიშვილის გამოკვლევები მეცნიერების ამ ტიტანების აზრებთან ბრძოლაშია შექმნილი და მათი შრომების გვერდით, თავიანთი მეცნიერული სიღრმით, საპატიო ადგილს იკავებენ.

დიდმა მეცნიერულმა ინტერესმა და ფართო ვრუდიციამ, რაც მან ხანგრძლივი და დაუღალავი შრომის შედეგად მოიპოვა, ჩვენს პატივცემულ იუბილარს შესაძლებლობა მისცა, რომ მრავალმხრივი მეცნიერული მუშაობა ეწარმოებინა და ყველგან წარუშლელი კვალი დაეტოვებინა. ასეთ კვალს ატარებს მისი სამეცნიერო-საორგანიზაციო, სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა. შევჩერდეთ ამ მოღვაწეობათა ზოგიერთ მომენტზე.



1939 წლიდან 1941 წლამდე ანგია ბოჭორიშვილი შეთავსებით მუშაობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში, — ცნობილია ზოგად ენათმეცნიერებასთან დაკავშირებული მისი გამოკვლევები. 1941 წლიდან — ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გახსნის პირველი დღიდან — 1962 წლამდე, იგი არის ამ ინსტიტუტის მუდმივი თანამშრომელი და 1960 წელს მან აქ შექმნა ფილოსოფიის ისტორიის განყოფილება. 1962 წელს მასვე მიენდო ფილოსოფიის ინსტიტუტის ახლად გახსნილი განყოფილების — ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის განყოფილების ხელმძღვანელობა და ამ ინსტიტუტში, საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში პირველად, ჩამოყალიბდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილება, რომელიც ნაყოფიერ კვლევა-ძიებას აწარმოებს ბურჟუაზიული ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური თეორიების კრიტიკის მიმართულებით მარქსისტული ფილოსოფიის პოზიციებიდან; ამ განყოფილების ყველა თანამშრომელი მისი უშუალო ხელმძღვანელობითაა მომზადებული სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის. განყოფილებაში, მისივე საერთო ხელმძღვანელობითა და თანამშრომლობით გამოსცა „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის“ ორი ტომი (მესამე ტომი ჩაშვებულა სტამბაში). ჩვენი ღრმა რწმენით, გაივლის ხანი და დაინტერესებული მკვლევარები საბჭოთა კავშირში ანთროპოლოგიის საკითხების სისტემატური კვლევა-ძიების ისტორიას ამ ნაშრომებით დაიწყებენ.

ბატონი ანგია დიდი ხნის მანძილზე იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბექდვიით ორგანოს — „მოამბის“ რედაქტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ამ ჟურნალის 50 ტომი გამოიცა. მისივე რედაქტორობით გამოდიოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ჟურნალი „მაცნე“, რომლის ერთ-ერთი რედაქტორი იგი ამჟამადც არის („მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია) და ახალი ენერგიით, აქტიურად მონაწილეობს ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში.

ჩვენს დღევანდელ იუბილარს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის დაცვასა და გადარჩენაში — იმ უაღრესად მკაცრი შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ამ მეცნიერული მოძღვრების განადგურებას ისახავდა მიზანდ. მაშინ განწყობის პრობლემებზე მომუშავე ზოგიერთ ფსიქოლოგს მერყეობა დაეტყო, ანგია ბოჭორიშვილი კი, თუმცა საკუთრივ განწყობის ფსიქოლოგიაში არ აწარმოებდა კვლევა-ძიებას (სხვა საკითხებით იყო დაინტერესებული), მაშინვე ამ თეორიის დამცველთა მოწინავე რიგებში ჩადგა და პირველი დარტყმები თავის თავზე მიიღო. მან მთელი თავისი ავტორიტეტი, მორალური და ინტელექტუალური შესაძლებლობანი გამოიყენა, რათა განწყობის ფსიქოლოგია დაღუპვისაგან გადაერჩინა და მის დამცველთა მოწინავე რიგებში იდგა შემდგომ იმ ინტელექტუალურ ბრძოლაშიც, რომელიც ამ ფსიქოლოგიის წინაშე გაიმართა ჟურნალ „Вопросы психологии“-ს ფურცლებზე.

დიდება და პატივისცემა მას ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში ასეთი რაინდული შემართებისათვის!

განსაკუთრებით დიდად ზრუნავს ჩვენი იუბილარი სამეცნიერო კადრების აღზრდაზე. მეცნიერული ძიების დიდი ინტერესი, ფართო ერუდიცია და პრობლემების სიმრავლე მას შესაძლებლობას აძლევს, რათა ნიჭიერი ახალგაზრდობა დიდი რაოდენობით ჩააბას მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. მას მოუშალება რამდენიმე ათეული მეცნიერი მუშაკი და მისი მოწაფეები წარმატებით

მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; მათ შორის საკმაოდ არიან მეცნიერების დოქტორები და დამსახურებული მოღვაწეები. ცოტა მოიპოვება მეცნიერი, რომელსაც ამდენი ამაგი დაეღო ახალგაზრდა კადრების მომზადებისათვის. მისი მიზანი მუდამ იყო და არის ახალგაზრდა მკვლევარში ფაქიზი და შორსმწვდომი აზროვნების უნარის, მყარი მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვევებისა და მაღალი მორალური შეგნების გამომუშავება.

ანგია ბოჭორიშვილმა, დაუღალავი შრომისუნარიანობითა და მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესის წყალობით, შექმნა ასზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომელთა შორის ბევრია მონოგრაფიული გამოკვლევა. ეს გამოკვლევები ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის პრინციპული, ფუძემდებელი საკითხების გარკვევის საქმეს ემსახურებიან და მეცნიერული აზრის სინათლისა და სიღრმის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ; ყოველი მათგანი განსაზღვრულ მეცნიერულ სიახლეს შეიცავს. დიდი მოცულობის შრომებიდან, პირველ რიგში, შეიძლება დავასახელოთ „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხების“ სამეტომეული, „ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის“, კანტის ესთეტიკა“, „ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში“, „არაცნობიერების პრობლემა ფსიქოლოგიაში“ და „ფსიქოლოგია“ (სახელმძღვანელო); მართო ამ ნაშრომთა საერთო მოცულობა 2400 გვერდს აღემატება. დაახლოებით ასეთივე ოდენობისაა მისი დანარჩენი ნაშრომები, თუ ყველას ერთად მოვუყრით თავს. ამ პატარა ნაშრომებიდან ზოგიერთი, თავისი მეცნიერული ღირებულებით, მონოგრაფიულ გამოკვლევას უტოლდება. ამ გამოკვლევებში, როგორც აღვნიშნეთ, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ყველაზე კარდინალური საკითხებია განხილული და შესწავლილი. მათში მსოფლიოში ცნობილი ბევრი მეცნიერის შეხედულებაა საფუძვლიანად დალაგებული და კრიტიკულად განხილული. საკუთარ მოსაზრებებს ამ ავტორთა შეხედულებებთან ავითარებს და გამოთქვამს ჩვენი მეცნიერი, რითაც იგი გარკვევით გვიჩვენებს იმ ადგილს, რომელსაც მისი გამოკვლევები იკავებენ მეცნიერებაში.

ათეული წლების დაუღალავი მუშაობაა საჭირო, რათა ორიგინალში იქნას შესწავლილი იმ საზღვარგარეთელი ავტორების შეხედულებები, რომელთა საფუძვლიანი შეფასებისა და გამოყენების შესაძლებლობას ახლა ანგია ბოჭორიშვილის შრომები იძლევიან. ამიტომ ეს შრომები დიდ დახმარებას უწყვენ მკვლევარებს, განსაკუთრებით — ახალგაზრდა მეცნიერებს, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე ცნობილ საზღვარგარეთელ ავტორთა შეხედულებების კრიტიკულ ათვისებასა და გამოყენებაში.

ანგია ბოჭორიშვილის ზუთი წიგნი „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხების“ სამეტომეული, „ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის“ და „ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში“ — ფსიქოლოგიური მეცნიერების დაფუძნებისა და ფსიქოლოგიის საგანთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის საქმეს ემსახურება. ავტორი იძლევა ფსიქოლოგიის სავანის პრობლემების ორიგინალურ გადაჭრას: იგი, უჩვენებს იმ არსებით განსხვავებას, რაც არსებობს ცნობიერებასა და მის შინაარსებს შორის და ფსიქოლოგიის სავანად თვლის განცდებს, ე. ი. ცნობიერების იმ კატეგორიის შინაარსებს, რომელნიც სუბიექტურობის ნიშნით ხასიათდებიან. თვითონ ცნობიერება, როგორც აქტი, მისი აზრით, ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტი არაა, მაგრამ იგი ფსიქიკურის ანუ განცდის არსებობის აუცილებელი პირობაა. ფსი-  
14. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1973 № 2

ქიკური მხოლოდ ცნობიერებაშია. იგი მხოლოდ ფენომენია. ცნობიერების გარეთ მას არსებობა არ აქვს. ა. ბოჭორიშვილის აზრით, მხოლოდ ცნობიერების ფენომენების — განცდების — კვლევით შემოსაზღვრული წმინდა ფსიქოლოგია არაა ერთადერთი ფსიქოლოგია, ასეთი ფსიქოლოგიის გვერდით შეიძლება სხვა სახის ფსიქოლოგიაც არსებობდეს და უნდა არსებობდეს კიდევ, მაგრამ ყოველგვარ ფსიქოლოგიურ კვლევა-ძიების, — რამდენადაც შესწავლის საგანს განცდის რომელიმე მხარე წარმოადგენს, — განცდის წმინდა ფსიქოლოგია ანუ ცნობიერების ფსიქიკურ ფენომენტა არსობრივი კვლევა უნდა უძღოდეს წინ. ამავე გამოკვლევებში ავტორი უჩვენებს იმ სპეციფიკურ კანონზომიერებას, რომელიც ფსიქიკური სამყაროსათვისაა დამახასიათებელი და, რომლის გამოც, შესაძლებელია ფსიქიკური სინამდვილე დამოუკიდებელი კვლევა-ძიების საგნად იქცეს. იგი, ებრძვის რა ფსიქოლოგიზმს ფსიქოლოგიაში, იძლევა სუბიექტური სამყაროს ობიექტური კანონზომიერების არსებობისა და შემეცნების შესაძლებლობის დასაბუთებას.

კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითად მეთოდს — თვითდაკვირვების მეთოდს საბჭოთა ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით, — ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან, ძლიერი მოწინააღმდეგეები გაუჩნდნენ. წამოყენებულ იქნა თეზისი ამ მეთოდის ფსიქოლოგიაში გამოყენების პრინციპული შეუძლებლობის შესახებ. ზემოდასახელებულ გამოკვლევებში მისმა ავტორმა უარყო ეს თეზისი და სრული დამაჯერებლობით დაასაბუთა დებულება: ფსიქიკური პროცესების ფენომენალურ თავისებურებათა გათვალისწინება თვითდაკვირვების მეთოდის გამოყენების გარეშე სრულიად შეუძლებელია; ამასთან ერთად, მან ნათელიყო ის გაუგებრობა, რომელმაც თვითდაკვირვების მეთოდის პრინციპული შეუძლებლობის ყალბი აზრის შემუშავებას შეუწყო ხელი.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების დიდ მონაპოვარს წარმოადგენს ანგია ბოჭორიშვილის უკანასკნელი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ „კანტის ესთეტიკის“ სახელწოდებით გამოქვეყნდა. ვფიქრობთ, სპეციალისტები დამეთანხმებიან იმაში, რომ ეს წიგნი კანტისა და კანტიანელთა შესახებ შექმნილ მსოფლიო ლიტერატურაში საპატიო ადგილს დაიკავებს, ავტორი ამ ნაშრომში კანტის ძნელად გასაგებ ესთეტიკურ შეხედულებათა თავისებურ, მეცნიერული თვალსაზრისით, უადრესად საინტერესო და დამაჯერებელ ინტერპრეტაციას იძლევა და, ამასთან დაკავშირებით, ავითარებს საკუთარ შეხედულებებს ესთეტიკისა და ესთეტიკური ფენომენის ბუნების შესახებ. იუბილარისადმი მიძღვნილმა სამეცნიერო სესიამ საკმაო სისრულით წარმოგვიდგინა მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულებანი და შინაარსეული მხარე.

თავისი ნაყოფიერი და უანგარო სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობით ა. ბოჭორიშვილმა სამართლიანად დაიმსახურა ფართო საზოგადოებრიობის საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ჩვენი მეცნიერის ღვაწლი და იგი დააჯილდოვა „შრომის წითელი დროშის ორდენით“, მედლებითა და სიგელებით. ღვაწლმოსილი მეცნიერი, კვლავაც ახალგაზრდული ენერგიითაა სავსე. იგი ახლაც ვაჟკაცური შემართებით მიიწევს წინ მეცნიერების ახალი მწვერვალების დასაპყრობად. მისგან კიდევ მრავალი სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიის დამუშავებას მოვლიან ფილოსოფიური აზრის მაძიებელნი და პატივისმცემელნი.

ბიოგრაფიული ცნებები

ალამიანი, პიროვნება, გაგება

ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ისტორია არსებითად იმ დროიდან იწყება, როცა ალამიანი თავის თავს მიემართა როგორც პირს (პერსონას)<sup>1</sup>, როცა მან თავისი თავი გაიზარა ისეთ არსებულად, რომელსაც თავისი შემადგენელი ნაწილების („ფენების“) სიმრავლისა და ურთიერთდაპირისპირებულობის მიუხედავად, „ერთიანი მიზანწარმართული თვითქმედების განხორციელება შეუძლია“ (ვ. შტერნი) და, ამიტომ, „საკუთარი ქმედების პასუხისმგებელია“ (კანტი). საკუთარ ქმედებაზე კი პასუხს მხოლოდ ის აგებს, ვინც თავის თავს იზარებს როგორც პირს (პერსონას), როგორც „ერთიანი მიზანწარმართული თვითქმედების“ უნარის მქონე არსებას. მაგრამ არაა საკმარისი თავისი თავის გაზარება „ერთიანი, მიზანწარმართული თვითქმედების“ უნარის მქონე არსებად — საჭიროა, რომ ალამიანმა, გარდა ამისა, განახორციელოს კიდევაც ეს თვითქმედება, იყოს არა მხოლოდ მიზანწარმართული ქმედების უნარის მქონე არსება (პირი), არამედ — ამ უნარის აქტუალური განმახორციელებელიც: იყოს თავისი ერთიანი სახის, თავისი „პირის“ მქონე; იყოს პიროვნება. პიროვნებად ყოფნა, მასშადადამე, ნიშნავს „ერთიანობას სიმრავლეში“, — ალამიანის შემადგენელი ფენების მთლიანობას.

როგორ იქმნება ალამიანის მთლიანობა? რა ქმნის ალამიანის შემადგენელი ნაწილების ერთიანობას, მათს მთლიანობას? „ნაწილთა ორგანიზაციის“ შედეგია იგი, თუ მთლიანობა თვითონაა ის პირველადი „მაორგანიზებელი“, რომელიც ალამიანის შემადგენელ „ფენებს“ თავის თავში მოხსნის და მათ თავისნაირად აამეტყველებს? ერთი მხრივ, თუ ალამიანის პიროვნება ალამიანის შემადგენელი ფენების ორგანიზაციის შედეგია, თუ ის მთლიანობა, რომელიც ალამიანის შემადგენელ ნაწილებს თავისებურ, ერთიან გამომეტყველებას აძლევს, იმთავითვე მოცემული, მაშინ ალამიანი ყოველთვის „უდანაშაულოა“: იგი არ არის თავისი მოქმედების პასუხისმგებელი, რადგან მისი პიროვნება „უმისიოდაა შექმნილი“. მეორე მხრივ, თუ ალამიანი თვითონ განეწყობა თავისი თავისადმი როგორც პირისადმი (პერსონისადმი) და ამ „მოზიციის“ თავისებურებაა ის, რაც ალამიანის პიროვნულობას ქმნის, — მაშინ როგორია პიროვნულობის ონტოლოგიური სტატუსი? რას ნიშნავს პიროვნებად ყოფნა: თავისი თავის (თავისი „სუბსტანციის“) განხორციელება, თუ რაღაცა გარემყოფი ინსტანციის გამოვლენას და ამით ისეთ განხორციელებას, რომელსაც თავისი განხორციელების სახრისი თავისი ყოფნის მიღმა აქვს?

ამგვარად, საკითხი — ალამიანი და პიროვნება გულისხმობს სამი მომენტის ურთიერთგამიჯვრებას, ესენია: ალამიანი, პირი, პიროვნება და ეს სამი მომენტი ერთი მთლიანი ალამიანის სტრუქტურული მომენტებია. მთელი კი პირველია „როგორც არსებობის ნიშნის, ისე შემეცნების მათუქმნებლობის ძალით“<sup>2</sup>, ამიტომ ალამიანში უნდა დაიძებნოს ის არსებითი, საიდანაც მისი სტრუქტურული მომენტები გამოიყვანება.

1. ალამიანის რაობის საკითხი გულისხმობს ალამიანის ისეთ რაღაცა თავისებურებას, რაც მას სამყაროს სხვა მოვლენებისაგან განასხვავებს და რაც, შესაბამისად, მისი რაობის საკითხის დაყენებას განაპირობებს; ეს თავისებურება უკვე ალამიანის ორბუნებოვნებიდან გამომდინარეობს: „ალამიანი როგორც

<sup>1</sup> Hoffmeister, Wörterbuch der Philosophischen Begriffe. Art. „Anthropologie“.  
<sup>2</sup> ა. ბ. კ. ო. ო. შ. ვ. ი. ლ. ი., ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შესახებ; წიგნში: „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები“, I, 1970, გვ. 3.

თეორიული შემეცნების ობიექტი, ექვემდებარება აუცილებლობას, ... ხოლო ადამიანი თავისთავად, როცა ის ზნეობრივი აქტის სუბიექტად გვევლინება, ივარაუდება როგორც თავისუფალი არსება, ბუნების მოვლენების გარეთ არსებული ინსტანცია<sup>3</sup>. ადამიანის პრობლემა ეხება სწორედ ადამიანს, როგორც „ბუნების მოვლენების გარეთ არსებულ ინსტანციას“, იმის გარკვევას, „თუ რა ადგილი უჭირავს ადამიანს მსოფლიოში მისი მიმართების მიხედვით ბუნების აუცილებლობასთან, ბუნების მოვლენების სრულ დეტერმინაციასთან, ერთი მხრით, და ზნეობრივ სამყაროსთან, მეორე მხრით. როცა ამ განზომილებაში ადამიანის ადგილი გაირკვევა, მაშინ გარკვეული აღმოჩნდება ადამიანის სხვა კონსტიტუციური ნიშნებიც“<sup>4</sup>.

მაშასადამე, ადამიანის რაობის საკითხი ეხება იმ არსებულს, რომელიც მიმართებაშია როგორც ბუნების მოვლენებთან, ასევე ზნეობრივ სამყაროსთან, თავის თავთან როგორც თავისუფალ არსებასთან; ამიტომ ადამიანის რაობის კვლევა ნიშნავს „ადამიანის ძებნას მიმართებაში“<sup>5</sup>.

ადამიანის მიმართებაში ძებნა ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, იმის გარკვევას, თუ რატომაა „მიმართებაში ყოფნა“ არსებითი ადამიანისათვის; რა არის ადამიანის ის ძირითადი ნიშანი, რომელიც მხოლოდ მიმართებაში ვლინდება. ადამიანის ფენომენი ხასიათდება არაერთგვაროვან, დაპირისპირებულ ფენათა თანაარსებობით, ამიტომ საჭიროა შევეცადოთ იმ არსებითის გამოვლენას, რაც ადამიანის შემადგენელ ფენებს მთლიან, თვისებრივ გამომეტყველებას აძლევს. რა არის ეს არსებითი? ჩვენთვის ესაა კითხვა იმ არსებითის შესახებ, რაც ადამიანის მიმართებითობას აფუძნებს. ადამიანი, ერთი მხრით, საზოგადოებრივი არსებაა, სოციალურ ურთიერთობათა ჯამია, ხოლო, მეორე მხრით, ბიოლოგიური სამყაროს წარმომადგენელი და ამ სამყაროს ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია (და ამ ევოლუციის „გვარეობითი ყოფიერებაა“). გვაძლევს თუ არა ბიოლოგიურობა და სოციალურობა ადამიანის ამოწურავ დახასიათებას? საერთოდ, შეიძლება თუ არა ბიოლოგიურობა და სოციალურობა ადამიანის დეფინიციად, მისი სპეციფიკური ნიშნის დახასიათებად ჩაითვალოს? ადამიანი რომ სოციალური და ბიოლოგიური არსებაა, იგი რომ მატერიის განვითარების შედეგი და ერთ-ერთი ფორმაა, ცხადია, ჯერ კიდევ არ იძლევა პასუხს კითხვაზე: რა ქმნის თვითონ ამ ფორმის, ამ ბიოლოგიური და სოციალური არსების თავისებურებას, იმას, რითაც იგი სიცოცხლის სხვა ფორმებისაგან (და საერთოდ მატერიალური და ბიოლოგიური სამყაროს სხვა ფორმებისაგან) განსხვავდება? რა არის ის, რაც ადამიანს მის ადამიანურობას ანიჭებს? ეს რომ გავიგოთ, რომ გავიგოთ ის, თუ რა არის თვითონ ადამიანი, საამისოდ ადამიანის გარემყოფ ინსტანციებს კი არ უნდა მივმართოთ, არამედ თვითონ ადამიანს: ადამიანის გასაგებად თვითონ ადამიანიდან უნდა ამოვიდეთ, რადგან „ადამიანის ძირი თვითონ ადამიანია“<sup>6</sup>. რა არის ის ძირი, რომელიც ადამიანს თავის განუყოფელ თავისებურებას ანიჭებს და რომლის წვდომა იქნება ადამიანის გაგება თვითონ ადამიანიდან ამოსვლით?

<sup>3</sup> ა. ბოტკოვილი, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შესახებ, გვ. 24.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>6</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. I, 1955, стр. 422.

ადამიანი როგორც ბიოლოგიური და სოციალური არსება, ორმხრივი განპირობებულობის საგანია: ერთი მხრით, იგი დეტერმინირებულია მატერიალურითა და ბიოლოგიურით, იგი მატერიალურისა და ბიოლოგიურის განვითარების ჩარჩოებშია ჩაყენებული, მათზეა მიჯაჭვული და მათ ვერასოდეს დააღწევს მთლიანად თავს; მეორე მხრით, ადამიანი სოციალური არსებაა და ეს სოციალურობა მას განსაზღვრავს ჯერ კიდევ მის დაბადებამდე იმ ტრადიციების, კანონების, წეს-ჩვეულებების სახით, რომლებიც მას არ შეუქმნია და რომლებიც მას მზამზარეულად ხვდება როგორც მისი ყოვლის განხორციელების საფუძველი და განმსაზღვრელი. რას გვაძლევს ასეთი დეტერმინირებულობა? ავგისნის თუ არა იგი პროგრესს, განვითარებას, ისტორიას როგორც კაცობრიობის ქმნადობა-განვითარების ზედამავალ პროცესს? — ცხადია, — ვერა. ადამიანი როგორც ბიოლოგიურ-სოციალურის მონა, ვერასოდეს შეძლებდა ამ „ბიოლოგიურ-სოციალურის“, სამყაროს, გადაკეთებას (მარქსი). სამყაროს გარდაქმნას, ისტორიის შექმნას მხოლოდ მაშინ შეძლებს ადამიანი, როცა იგი თავის სოციალურ-ბიოლოგიურ ყოფნასთან მიმართებას დაამყარებს, როცა იგი თავისი საკუთარი განპირობებულობის გადალახვას იწყებს. ეს კი ადამიანს შეუძლია მხოლოდ თავისი თავისუფლებიდან ამოსვლით: ადამიანის ძირი თავისუფლება უნდა უნდა იყოს, რათა ადამიანი გავიგოთ ადამიანიდან ამოსვლით; მაშასადამე, — „ადამიანის ძირი თვითონ ადამიანია“ და „ადამიანი თავისუფლებიდან უნდა გავიგოთ“ — ტოლფასოვანი დებულებებია და ისინი შეიძლება ასე გაერთიანდეს: „ადამიანის ძირი არის თავისუფლება“<sup>7</sup>. ამით მიღწეულია ადამიანის გავების ერთგვარი წინასწარი ნათელყოფა. მაგრამ რას ნიშნავს „თავისუფლებიდან გავება“? რა არის ადამიანში თავისუფლების მატარებელი?

**მიმართების** დამყარება გულისხმობს მიზანდასახულ მოქმედებას, განზრახულ თვითმიმართებას; მიმართებას კი ამყარებს ცნობიერება: ცნობიერება თვითონაა მიმართება და მიმართებაში არსებობს. ცნობიერება ნიშნავს მიმართულად ყოფნას, ინტენციას, რომელიც თავისუფლებაშია დაფუძნებული და თავისუფლებიდანაა განხორციელებული. თავისუფლების მატარებელი, მაშასადამე, არის ცნობიერება. ცნობიერება როგორც მიმართება ერთდროულადაა მიმართული ადამიანის საკუთარ ყოფნაზეც და სამყაროზეც: ადამიანის ყოფნა არის ყოფნის განხორციელება, ყოფნის განხორციელება კი ადამიანს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა იგი თავის ყოფნაში შემოიტანს სამყაროს როგორც თავისი თავის აუცილებელ კორელატს. ცნობიერება, რომელიც თავის თავთანაა მიმართებაში, წარმოადგენს თვითცნობიერებასაც, „ცნობიერება“ როგორც თვითცნობიერება კი არა მხოლოდ თეორიული, გნოსეოლოგიურ-ამსახველი ცნობიერებაა, არამედ — შემქმნელიც. იგი „არა მხოლოდ ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ ქმნის კიდევაც მას“<sup>8</sup>. ასეთი ცნობიერება არის ცოცხალი გონი.

ცნობიერება როგორც გონი, როგორც ასახვა და შექმნა — ნიშნავს თვით-ასახვასაც და თვითშექმნასაც, — ესაა თვითგავება, რომელიც მოიცავს თვით-აგებას როგორც თვითგარდაქმნასა და სამყაროს გარდაქმნას: ადამიანს სამყაროს გარდაქმნა შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა იგი გარდაქმნის თავის წარმოდგენას სამყაროს შესახებ; უფრო ზუსტად: სამყაროს წარმოდგენა და სამყა-

<sup>7</sup> К. Маркс, Ф. Энгельс. Из ранних произведений. 1954, стр. 145.

<sup>8</sup> Ленин, Сочинения, т. 34, стр. 204.

როს გარდაქმნა ერთიანი პროცესის ორი მხარეა, მათი ერთმანეთისაგან დაცილება მხოლოდ აბსტრაქციითაა შესაძლებელი; ამით, ადამიანის თვითგაგება და სამყაროს გაგება ერთი მთლიანი ფენომენია. თვითგაგება ნიშნავს საკუთარი სულიერ-ბიოლოგიურ-გონითი ყოფნის (თავისი თავის „შემდგენელი ფენების“) ცნობიერ დასტრუქტურებას. რადგანაც ცნობიერება (იგივე გონი) თავისუფლების მატარებელია და თავისუფლებიდან განხორციელებული აქტია, ამიტომ ადამიანის თავისუფლებიდან გაგება ნიშნავს ადამიანის გონიდან გაგებას.

ვინაიდან ადამიანის „ყოფიერების ინდივიდუალური სპეციფიკური განსხვავებულობის“ საფუძველი არის თავისუფლება როგორც გონითი ცნობიერება, ამიტომ ადამიანი არა მხოლოდ მატერიალურ-ბიოლოგიურ-სოციალური ზოგადის დაქვემდებარებული მოვლენაა, არამედ იგია ასევე (და სწორედ ესაა მისი „არისი“) ისეთი რაღაც, რაც თავის დეტერმინირებულობას, თავის დაქვემდებარებულობას აცნობიერებს, მასთან მიმართებაში დგება, და ამით თავისი ყოფნის თვითშექმნასა და გარდაქმნას ეწევა. ის, ვინც თავისი ყოფნის შექმნასა და გარდაქმნას ეწევა, არის ისეთი არსება, რომელსაც შეუძლია თავისი თავი ამა თუ იმ სახით, ასეთი თუ ისეთი გეშტალტით, მთლიანობით გამომეტყველებით წარმოადგინოს, — არსება რომელსაც შეუძლია იყოს მთლიანი. მაგრამ თავისი თვითშექმნა და თვითგანხორციელება ადამიანს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა მისი თვითგანხორციელება მოიცავს როგორც საკუთარ გონით-სულიერ-ვიტალურ ძალებს, ისე — სამყაროს; ამიტომ არსება, რომელსაც შეუძლია იყოს მთლიანი, არის ის არსება, რომელსაც შეუძლია ჰქონდეს თავისი თავი და თავისი სამყარო — ყოფიერება. არსება, რომელსაც შეუძლია ჰქონდეს ყოფიერება, წარმოადგენს იმ არსებას, რომელსაც შეუძლია მიმართების დამყარება ყოფიერებასთან, — ესაა ადამიანი. ადამიანი, მაშასადამე, არის ყოფიერებასთან მიმართების დამყარების შესაძლებლობა.

ამგვარად, ადამიანის მიმართებითობას აფუძნებს ცნობიერება როგორც ცოცხალი გონი, რომელიც თვითონაა მიმართება და მხოლოდ მიმართებაში არსებობს<sup>9</sup>. მიმართებაში მყოფი ადამიანი კი წარმოადგენს თავისი ყოფნის შესაძლებლობიდან მასტრუქტურებელ და მაგეშტალტებელ არსებას, — იმ არსებას, რომელიც საკუთარი ყოფნის შესაძლებლობებს — თავის სულიერ-გონით-ვიტალურ ძალებსა და სამყაროს — საკუთარი თავისუფლებიდან ასტრუქტურებს და აგეშტალტებს; მათ ახალ და ახალ თვისებრიობას ანიჭებს.

ცნობიერების წყვეტილი ბუნების გამო, ადამიანის მთლიანობა არასოდეს „არ არის“, იგი ყოველთვის ხელახლა იქმნება და ეს შექმნა მომდინარეობს გონითი თავისუფლებიდან, რომელიც მაშინ ვლინდება, როცა ადამიანი გადაწყვეტილებას იღებს. ადამიანის მთლიანობა თავისთავად კი არ „ხდება“, იგი მისი შემადგენელი ფენების ორგანიზაციიდან კი არ „გამომდინარეობს“, არამედ გონითი თავისუფლების როგორც გადაწყვეტილების ფენომენია, მისი ფუნქციაა. ადამიანის მთლიანობა იქმნება თავის საკუთარ ყოფნასთან მიმართებაში და, თუ ასეთი მიმართება არ არის, მაშინ არც მთლიანობაა. მთლიან ადამიანს აქვს ყოფიერება (საკუთარი თვითონი და საკუთარი სამყარო). ყოფიერება კი აქვს იმ ადამიანს, რომელიც მიმართებაშია ყოფიერებასთან. რადგანაც მი-

<sup>9</sup> А. Бочоришвили, Основное субъективное условие адекватного познания, сб. С. А. К. Мозыг, XL:1, 1955, стр. 6.

მართებას ამყარებს გონითი ცნობიერება, ამიტომ „როცა ჩვენ გვაქვს ცნობიერება, მაშინ ჩვენ გვაქვს ყოფიერება, ე. ი. ყოფიერებისაკენ მიმართულობა“<sup>10</sup>.

თვითცნობიერებისა და თვითაგების უნარის მქონე ერთეულ ადამიანს ეწოდება პირი (პერსონა). პირი არის ისეთი სულიერ-გონით-ვიტალური არსება, რომელსაც შეუძლია თავისი თავის შექმნა საკუთარ თავისუფალ არჩევანში დაფუძნებული თვითდასტრუქტურების გზით: ადამიანი ყოფიერებასთან შესაძლებელ მიმართებაში — ერთეული ადამიანი, რომელსაც შეუძლია ჰქონდეს ყოფიერება. ადამიანი, რომელსაც აქვს ყოფიერება თავისუფალი თვითარჩევისა და თვითგანხორციელების საფუძველზე, არის პიროვნება; მიმართებაში შეგნებულად მყოფი ადამიანი, მაშასადამე, არის პიროვნება. „ადამიანის კვლევა მიმართებაში“, ამიტომ, არის ადამიანის როგორც პირის კვლევა მისი პიროვნულობის განხორციელებაში. პიროვნება არის ადამიანის „სუბსტანცია“, „პიროვნება ადამიანის ცენტრია“<sup>11</sup>.

2. პირი და პიროვნება იმ ცნებათა რიგს უნდა მიეკუთვნოს, რომლებიც ფილოსოფოსთა ყურადღებას ფილოსოფიის მთელი ისტორიის მანძილზე ინარჩუნებენ: სამყაროს ანიმისტურ-პანთეისტური განცდიდან მომდინარე, პერსონის ცნება იჭრება რელიგიურ სისტემებში (ღმერთი როგორც „პერსონა“), ეთიკასა და იურისპრუდენციაში, ფილოსოფიურ თეორიებში, რომლებიც პერსონალიზმის დაფუძნებას ცდილობენ; და ბოლოს — სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, რომლებიც, ამ უახლოეს დროში მაინც, თავიანთ ძირითად ამოცანას პიროვნების შესწავლაში ხედავენ (ამასთან, უმეტესად, ცნების სოციოლოგიური თუ ფსიქოლოგიური შემოსაზღვრის გარეშე). ცხადია, თავისთავად ეს გარემოება სრულიადაც არაა შემთხვევითი. საქმე ხომ არსებობის ისეთ ფორმასა და ისეთ არსებულს ეხება, რომელიც როგორღაც თვითონაა თავისი ყოფნისათვის პასუხისმგებელი; მაგრამ თავის ყოფნაზე პასუხი მხოლოდ იმას შეუძლია აგოს, ვინც თავის ყოფნას თვითონ აგებს. ვინ არის და რა არის ეს არსებული, რომელიც თვითონ ქმნის თავის თავსა და თავის ყოფნას? სუბსტანციაა იგი თუ მეორადი, გამოყვანილი რაღაც, თავისი საფუძვლის თავის გარეთ მსაჭიროებელი? პიროვნულობის განხორციელება, პიროვნებად გახდომა, ნიშნავს განსაზღვრული სახის მიღებას, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს იმ თავისებურ, განსაკუთრებულ წესს, რომლის მიხედვითაც ადამიანი როგორც პირი, — თავისი შემადგენელი „ნაწილების სიმრავლის მიუხედედად, — რეალურ, თავისებურ და თვითღირებულ ერთიანობას ქმნის და როგორც ასეთი ცალკეული ფუნქციების სიმრავლის მიუხედედად რაღაც ერთიან მიზანსწრაფულ თვითმოქმედებას ახორციელებს“<sup>12</sup>. პიროვნების საიდუმლოების გასაღებია ის თავისებურება, რომლის მიხედვითაც ადამიანი თავის ყოფნას ასტრუქტურებს, თავის თავს უდგება როგორც პირს. რა ქმნის ამ თავისებურებას და რის მიხედვით იქმნება იგი? რა ქმნის პიროვნების განსაკუთრებულობასა და თავისებურებას?

როგორც აღვნიშნეთ, პიროვნება არის მიმართებაში მყოფი ადამიანი, ამიტომ მხოლოდ მიმართებაში მყოფ ადამიანს აქვს თავისი „სუბსტანცია“ როგორც პიროვნება; მაგრამ შესაძლებელია თუ არა ადამიანის „ცენტრისა“ და

<sup>10</sup> А. Бочоршвили, Основное субъективное условие адекватного познания, გვ. 6.

<sup>11</sup> ა. ბოჭორიშვილი, რა არის კულტურა?, 1965, გვ. 19.

<sup>12</sup> W. Stern, Person und Sache, II, S. 4.



„სუბსტანციის“ შესახებ ლაპარაკი იქ, სადაც ფაქტიურად არავითარი ცენტრი და სუბსტანცია არაა მზა სახით მოცემული? როგორ „შეიძენს“ ადამიანი მიმართებაში თავის თავს, თუ მიმართების გარეშე მას არავითარი „თვითონი“ არა აქვს? არსებობს ამ კითხვის გადაჭრის ორი ალტერნატივა: პირველი უშვებს რაღაც „ნიმუშს“, რომელიც წარმოადგენს ადამიანის გარემოვ პერსონულ სუბსტანციას, რომელიც ადამიანს ავალდებულებს და წარმართავს: ამ თვალსაზრისისათვის, ცხადია, გამორიცხულია თვითონ ადამიანის სუბსტანციალობის პრობლემა: ადამიანი არის გზა, ქმნადობა, მის მიღმა მყოფი პერსონალური სუბსტანციის თვითგანხორციელება; ერთეული, ინდივიდუალური, პიროვნება როგორც განსაკუთრებულობა და განუმეორებლობა ილუზიაა. იგი არ არის თავისი ყოფნის პასუხისმგებელი, რადგან აკეთებს იმას, რაც მას სხვამ გააკეთებინა. მეორე თვალსაზრისის ამოსავალია ის ფაქტი, რომ ადამიანში არაფერი „გამზადებული“ და „ჩამოყალიბებული“ არაა მოცემული, რომ ადამიანი თავის „სახეს“, თავის პიროვნულობას ცხოვრების მანძილზე იძენს. აქედან ეს მიმართულება ასკვნის ადამიანის სუბსტანციური გაგების უმართებულობას, ადამიანის იმ „ბირთვის“ არარსებობას, რომლის თვითგაშლაც პიროვნების ჩამოყალიბებას დააფუძნებდა. არ უნდა იყოს საკამათო ის გარემოება, რომ ამ თვალსაზრისისათვის პიროვნების არსია განხორციელება, რომლის საზრისია არა თავისუფალი ნება, არამედ — თვითნებობა; პირადი პასუხისმგებლობა აქ შეცვლილია „ყველაფერი შესაძლებელია“ თეზისით.

ზემოთქმულის შესაბამისად, ფილოსოფიის ისტორიაში გამოიკვეთა პერსონის ორი ცნება: მეტაფიზიკურ-ონტოლოგიური და პრაქტიკული. მეტაფიზიკურ-ონტოლოგიური მიმართულების წარმომადგენლებისათვის არსებულები პერსონულ არსთა იერარქიაა, რომლის მწვერვალზედაც იმყოფება ყოვლადპერსონა, როგორც პერსონულ არსთა მომცველი და გამგებელი (ლაიბნიცი, ლოტცე, ბოსტრემი, რენუევი, ტაიხმულერი, შტერნი)<sup>13</sup>. ჩვენი საუკუნის ოციან წლებიდან, სიცოცხლის ფილოსოფიისა და, განსაკუთრებით, ეგზისტენციალიზმიდან მომდინარე ტენდენციების შესაბამისად, პიროვნების მეტაფიზიკურ-სუბსტანციალური გაგება თანდათან უკან პლანზე გადადის: სიცოცხლის ფილოსოფია წარმოადგენს ადამიანის გაგებას „ისტორიულობიდან“ (განცდის პრეზენტულობიდან), ხოლო ეგზისტენციალიზმი ადამიანის გაგებას „დროულობიდან“. ამიტომ, ადამიანის სტატიკური, სუბსტანციალური გაგების ნაცვლად ამ მიმდინარეობებში ლაპარაკია არა იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანი, არამედ — როგორ არის იგი. „როგორ“ ვლინდება მოქმედებაში და მოქმედებით, აქტი და აქტივობით; შესაბამისად, პიროვნებაც გაიგება როგორც „აქტივობი“<sup>14</sup>, აქტი და აქტივობის მქონე, როგორც „განხორციელება“.

პიროვნების სიცოცხლის ფილოსოფიური გაგების მავალითად შეიძლება დავასახელოთ შელერი, რომლისთვისაც ადამიანი გონითი არსებაა, გონი კი „წმინდა აქტუალობაა“, რომელიც მხოლოდ თავისი აქტების თავისუფალ განხორციელებაში არსებობს; ხოლო იმ აქტების ცენტრი, რომლებშიც გონი არსებობს როგორც ბოლოვად ყოფიერებაში მოვლენილი და მომწყვედული რაღაც, არის პერსონა პერსონა, მამასადამე, გონითი აქტების ერთიანობა და არსებობს მხოლოდ როგორც ამ აქტების „აქტივობა“. მათი განხორციელება. გონი კი ნიშ-

<sup>13</sup> ცნე ის ისტორიისათვის: 1. Trendelenburg, Zur Geschichte des Wortes Person. Kan'stud. XIII, 1908; 2. გ. ცინცაძე, პერსონალიზმი; წიგნი: XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, 1970.

ნავს რეფლექსიას, თვითცნობიერებას, რომელსაც შეუძლია საკუთარი ცნობიერებისა და შემეცნების საგნად აქციოს როგორც სამყარო, ისე საკუთარი თავი. ამიტომ ადამიანის აქტების განხორციელების ცენტრიც, ე. ი. პერსონა, შეღერის, მიხედვით, არ შეიძლება სამყაროს ნაწილი იყოს ან რაიმე განსაზღვრულ „სადმე ყოფნას“ ან „როდისმე ყოფნას“ ფლობდეს — „იგი შეიძლება მხოლოდ უმაღლეს ყოფიერებით საფუძველში იყოს მოთავსებული“<sup>14</sup> და ერთეულ ადამიანებში (ერთეულ პერსონაში) „არსებობს“ როგორც ამ „უმაღლესი ყოფიერებითი საფუძველი“ რეფლექსია, თვითცნობიერება. როგორც თვითრეფლექსია და თვითცნობიერება, პერსონა არის „განცდის უშუალოდ თანაგანცდადი ერთიანობა და არა მხოლოდ მოაზრებელი საგანი უშუალოდ განცდილის უკან და გარეთ“<sup>15</sup>; ამიტომ „პერსონა როგორც პერსონა ობიექტივირებადი ყოფიერება კი არაა, არამედ იგია, სწორედ როგორც „აქტი“... თავისი მუწყოფიერების მიხედვით მხოლოდ თანა-განხორციელების (თანაზროვნების, თანანდობის, თანაგრძნობა) მეშვეობით ყოფიერებითი მონაწილეობის უნარის მქონე ყოფიერება“<sup>16</sup>. მაგრამ ის, რაც თვითონ „არსად არ არის“ და რაც მხოლოდ „ყოფიერების უმაღლეს საფუძველშია“, ცხადია, ვერც ჩაითვლება არსებულად. პიროვნება როგორც ერთხელად, ფაქტიური არსებობა, ამ გავებით, მოჩვენებაა, ფსიქოლოგიური ილუზიაა: იგია, შეღერის მიხედვით, მხოლოდ აქტების განხორციელება და ამ განხორციელების ერთიანობა. მაგრამ რა ქმნის ამ ერთიანობას? შეღერისათვის ამ ერთიანობის საფუძველია „უმაღლესი ყოფიერება“, და არა თვითონ პიროვნება, რომელიც ამიტომ არის „კონკრეტული, განსხვავებული არსის მქონე აქტების თვითონ არსისეული ყოფიერებითი ერთიანობა“, რომელიც „აქტების ყველა არსისეული დიფერენციის“ წინამძღვარი<sup>17</sup>. ამით, მამასადამე, პიროვნება აქტების ყოფიერებითი ერთიანობაა და ამ აქტების განხორციელების ერთიანობაა ის, რაც შემდეგ აფუძვნებს პიროვნების სხვადასხვა განხორციელებებს და ამ განხორციელებათა „დიფერენცს“, მათს სხვადასხვაობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეღერისათვის პიროვნება თვითონ კი არაა თავისი საკუთარი განხორციელების საფუძველი, არამედ იგია თავისი განხორციელების ერთიანობას სხვისი მეშვეობით იქნეს.

შესაძლებელია თუ არა ადამიანში ისეთი რაიმეს დაძებნა, რაც მის პიროვნულობას, მის „განხორციელებას“ თვითონ მისგანვე დააფუძნებს? პიროვნულობა განხორციელებაში ყოფნაა, იგი აქტში და აქტივობით არსებობს. მაგრამ რა ქმნის ამ განხორციელების საზრისს? რა ქმნის პიროვნების ერთხელადობას? ყოფიერება „სპეციფიკურ ინდივიდუალურ განსხვავებულობათაგან“ (მარქსი) შედგება<sup>18</sup>. „ინდივიდუალური განსხვავებულობა“ არა მხოლოდ „ადამიანი საერთოდ“, ადამიანი როგორც „გვაროვნული ყოფიერება“, არამედ — ცალკეული, ერთეული ადამიანიც. რა ქმნის ერთეული ადამიანის „სპეციფიკური ინდივიდუალური განსხვავებულობის“, ადამიანის პიროვნულობის საფუძველს? პერსონა „არაა ნივთი, არაა სუბსტანცია, არაა საგანი“, — პერსონა „ყოფნის“ განხორციელებაა; მაგრამ საჭიროა თვითონ განხორციელების პოზიტიური განსაზღვრა: რა არის „განხორციელების“ საზრისი და როგორ იღებს იგი ამ საზრისს? ეგზისტენციალიზმში ეს საკითხი ყველაზე მწვავედ მ. ჰაიდეგერმა დააყენა. ჰაიდეგერი ეთანხმება დილთაის, შეღერსა და ჰუსერლს იმაში, რომ ადამიანი არც სუბსტანციაა და არც სუბიექტი<sup>19</sup>.

ადამიანი არის მხოლოდ გზა, განხორციელება, ამოცანა, ქმნადობა და არა მყარი არსებობა. ამ განხორციელების საზრისს კი ჰაიდეგერი ადამიანის როგორც „მუნყოფნის“ „დროუ-

<sup>14</sup> M. Scheler, Die Stellung d. Menschen im Kosmos, 1962, S. 29, 41, 47.  
<sup>15</sup> M. Scheler, Der Formalismus in der Ethik,.... 1954, S. 382.  
<sup>16</sup> M. Scheler, Wesen und Formen der Sumpathie, 1923, S. 257.  
<sup>17</sup> იქვე, გვ. 394. იხ. ასევე: ვ. კაკაბაძე, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის რაობა მაქს შეღერის ნააზრევში. „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები“, I, 1970.  
<sup>18</sup> ფ. ენგელსი, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებამდე, 1953, გვ. 8.  
<sup>19</sup> M. Heidegger, Sein und Zeit, S. 50.

ლობაში“ „ხედავს, რომელიც თავის მხრით, დროის როგორც ყოფიერების საზღვრისის „ღიაობის ადგილია“. ამიტომ ჰაიდეგერისათვის „პერსონა“ სხვა არაფერია, თუ არა ხელზე მყოფი ვინის მცდარი ძიება, რაც ჩრდილავს „ყოფიერებით-ისტორიული ეგზისტენციის არსებითს“ („das Wesende der seinsgeschichtlichen Existenz“). ეს „არსებითი“ („das Wesende“) კი ჰაიდეგერისათვის არის პიროვნებისაგან წინასწარ დაცლილი ეკსისტენციის „ექსისტური შიგანდგომა“ ზეპერსონული „ყოფიერების ქვეშარიტებაში“<sup>20</sup>.

მაგრამ რითი განსხვავდება ჰაიდეგერის წინასწარ გაუპიროვნებულ ეკსისტენცია ზეპერსონულ „ყოფიერების ქვეშარიტებაში“ „შიგანდგომა“ შელერის „უმაღლეს ყოფიერებით საფუძველში მდგომარეობისაგან“? პიროვნება, ერთხელადი, იქაც და აქაც მხოლოდ სხვისი განხორციელებაა, სხვისი გზაა, ქმნადობაა; მაგრამ თავისი ყოფნის (განხორციელების ერთიანობის) თავის თავში საფუძვლის არმქონე ყოფნა, რომლის ყოფნის საფუძველი სხვამ ჩაყარა, — ასეთი ყოფნა ვერ შეძლებს გამართლება მისცეს საკუთარ ყოფნას; როგორც ეს ყოფნა მყოფისათვის დაუფუძნებადი, ასევე დაუფუძნებადი და გაუმართლებელი იქნება ამ ყოფნის ყოველგვარი განხორციელებაც. ყველაფერი შეიძლება ასეც იყოს და სხვაგვარადაც. ჩვენი არსებობის ბოლოვადობა, რომელსაც, ერთი მხრით, დაბადება, ხოლო, მეორე მხრით, სიკვდილი შემოსაზღვრავს, — ჩვენი ყოფნის განხორციელებას დაუფუძნებლად ხდის. ჩვენთვის უცნობია რა იყო ჩვენს „დაბადებამდე“ და რა სურდა ჩვენი ამ ქვეყანაში ჩამოვადებით ზეპერსონულ „ყოფიერების ქვეშარიტებას“ (ჰაიდეგერი), ან იმავე „უმაღლეს ყოფიერებით საფუძველს“ (შელერი); აქედან, — საკუთარი ყოფნისა და მოქმედების გასამართლებლად მხოლოდ იმის აღიარება რჩება, რომ „ყველაფერი დასაშვებია“ და „ყველაფერი წარმავალია“: ესაა ისტორიზმი და რელატივიზმი, რომელიც თანამედროვე ეგზისტენციალიზმის გამოსავალიცაა და შედეგიც. აქედან, უახლესი ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა „ისტორიზმი და მისი გადალახვა“<sup>21</sup>.

ისტორიზმის გადალახვას პერსონალისტურად ორიენტირებული მკვლევარები პერსონის მეტაფიზიკურ და პრაქტიკულ ცნებათა თავისებური სინთეზით ცდილობენ. ეს მიმართულება მიზნად ისახავს, სუბსტანციის ცნების ახლებური გააზრებით, პიროვნების ისეთ მყარ რაღაცას შიგნით, რაც მის პიროვნულობას თვითონ მისგან დააფუძნებს. ასეთი „მყარის“ ძიება, ცხადია, წარმოადგენს სიცოცხლის ფილოსოფიისა და ეგზისტენციალიზმის მიერ თითქოსდა საბოლოოდ დისკრედიტირებული ადამიანის სუბსტანციალური გაგების ხელახლა აღდგენის თავისებურ ცდას. მაგრამ რა სიმყარე და სუბსტანციულობა შეიძლება იყოს მარად მიმდინარე და მარად ცვალებად ადამიანურ სიცოცხლესა და ყოფნაში? ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის, რინტელენის ცდა — დაძლეულ იქნეს ეგზისტენციალიზმიდან მომდინარე რელატივიზმისა და ისტორიზმის საფრთხე<sup>22</sup>. რინტელენი აზრის იმ განწყობას, რომელიც თანამედროვე ფილოსოფიას განსაზღვრავს, ახასიათებს როგორც „ბოლოვადობის ფილოსოფიას“, როგორც ისეთ ფილოსოფიას, რომლისთვისაც ყველაფერი დროულ-წარმავალია, ყველაფერი დი-

<sup>20</sup> M. Heidegger, *Platos Lehre von der Wahrheit*, 1947.

<sup>21</sup> ასეთია ე. ტროელტის წიგნის სათაური: E. Troeltsch, *Der Historismus und seine Überwindung*, 1924.

<sup>22</sup> Rintelen, *Philosophie der Endlichkeit*, 2. Aufl., 1960.

ნამიკურია. რინტელენი საკითხს შემდეგნაირად აყენებს: ჩვენს დროულ არსებობაში რომ ყველაფერი ადრე თუ გვიან „მთავრდება“, არაა საკამათო; მაგრამ განა „აღარაფერია ისეთი, რაც ამის ზევით მიუთითებს, — თუ ყველა ე. წ. კემპარტიტებები მხოლოდ ხანმოკლენი არიან? ნუთუ ეს ცვალებადობა ჩვენს გულს, ჩვენს ეგზისტენცსაც ეხება?“<sup>23</sup>.

რინტელენის აზრით, ბრძოლა ადამიანის პერსონული ყოფნის სუბსტანციური თვისების წინააღმდეგ დაიწყო მას შემდეგ, რაც სუბსტანცია ვიწრო, ნივთიერი მნიშვნელობით გაიგეს. „პერსონა არის გონიერი არსების დაუნაწილებადი სუბსტანცია“, — ასეთი იყო ბოეთუსის მიერ მოცემული განსაზღვრა, რომელიც მთელს შუა საუკუნეებში ბატონობდა. საბოლოოდ, ასეთი ნივთიერი, „ხელზე მყოფი“ სუბსტანციის წინააღმდეგ ბრძოლამ ადამიანის საკითხში მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს ლაპარაკობენ არა იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანი, არამედ რაოორ არის იგი. ჩვენ ყოველთვის ვართ მხოლოდ გზა, განხორციელება, ამოცანა, ქმნადობა, ამით, საბოლოოდ უარყოფილია ადამიანში ყოველივე ზედროული. ჰაიდეგერი, რინტელენის მიხედვით, აქ დასაწყისი კი არაა, არამედ შედეგია, იმის შედეგი, რომ „აღარ სცნობენ სუბსტანციას როგორც იდეალურ, არსით ავსებ (Wesenserfüllenden) ერთიანობის საფუძველს, რომელიც სახეზეა, როგორც მავალდებულებელი“. ეს ერთიანობის საფუძველი, „ბირთვი“, რინტელენის აზრით, არის პერსონა: „ადამიანურ პერსონას თავის გონში შეუძლია ღია ჰქონდეს თავისთვის ის სფერო, რომელიც ბოლოვადობას გადალახავს“. ბოლოვადობის გადალახვა ნიშნავს ტრანსცენდენტთან მისვლას: „ბოლოვადობის გადალახვა, პერსონა და ტრანსცენდენტი“ ერთმანეთთანაა დაკავშირებული<sup>24</sup>; ადამიანი ასეთი მთლიანია, — იგია „ბოლოვადობა და ტრანსცენდენტიისაკენ სწრაფვა“ და, როგორც ასეთი, დისპარმონიულია; ამ დისპარმონიულის მთლიანობას კი ქმნის გონი, რომელიც „მიმართულების მიმცემა და ღირებულებითი მიმართების წყდლომას ესმარება“. ამიტომ ადამიანის გავება სტატიკური უნდა იყოს და არა წმინდა დინამიკური.

რინტელენის მიხედვით, არაა საკამათო, რომ პერსონა „ღროის შესაბამისია“ (jeweiliges) და, როგორც ასეთი, „არ თავსდება ცნებაში“; მაგრამ ეს დროულ-წარმავლობა არ გამოირჩევა იმ არსს, რომელიც ამ წარმავალში ვლინდება და რომლითაც იგი განისაზღვრება. ადამიანში დაშვებულ უნდა იქნას რაღაც გონითი სული (Geistseele), — გონი, ანდა — საამისო ნასახი მაინც, — რომელიც ისე კი არ იცვლება, რომ არსად ვეღარ ჩაითვალოს; პირიქით, ცვალებადობა ნიშნავს იმას, „რომ ადამიანი სხვადასხვა დროში თავისი სულის სულ სხვადასხვა გამოთქმას“ (როგორც რომელი, როგორც ინდოელი და ა. შ.) აღწევს და რომ ადამიანის ეს მუდმივი არსი „როგორც საზრისი და ღირებულებითი შინაარსი“ ისტორიულობაში აღწევს სხვადასხვა სიღრმესა და განზომილებას, ვარიაციასა და გამოყოფილობას და ამით ერთხელადობა ის, რაც ჩვენს ეგზისტენციალურ ამოცანას ქმნის“; ამიტომ „არსი ყოველთვის იგივეა, მაგრამ ღირებულებათა რეალიზირების სავეობის საფუძვრი ყოველთვის სხვადასხვაა“<sup>25</sup>, ამიტომ, რინტელენის მიხედვით, ეგზისტენცი და პერსონა მეტაფიზიკური საწყისი ია: პერსონას, რომელიც ღირებულების დაფასებისა და ნაწილობრივ მისი განხორციელების საწყისია, შეუძლია ღირებულების მქონის ამოქმედებაც და მისთვის „არას“ თქმაც; მაშასადამე, პერსონა ის, რითაც ჩვენ შევდივართ ყოფიერების ახალ ფენაში — ესაა „ეოცხალი გონის შესაძლებელი თავისუფლების“ ფენა. ადამიანს საერთო აქვს ცხოველებთან თავისი ქვედა ფენები, რომლებიც ადამიანში გადასხვაფერებულა მისი გონითი არსის მეშვეობით: ადამიანი არის განსაკუთრებული სახის გონით-სულიერ-ვიტალური არსი, რომლის მუწყოფიერების უმაღლესი ღირებულებითი ფორმა განსაზღვრულია მისი პერსონული გონით; იგი უადრესად ერთხელადია და სულ სხვა რაღაცაა, ვიდრე ზოგადი ცნება ან უსულო სავანი, — „მისი არსია... განხორციელებული გონი“. პერსონა ნიღაბი კი არ არის, „არამედ იგია ადამიანური არსების ყოფნისა და მისი ინტიმურობის გამომეტყველება“.

რინტელენი თანამედროვე ეგზისტენციფილოსოფიის დამსახურებას იმაში ხედავს, რომ იგი ადამიანის დამახასიათებელ თავისებურებას ეძებს მის ეგზისტ-

<sup>23</sup> Rintelen, Philosophie d. Endlichkeit, 2 Aufl., 1960, S. 60.  
<sup>24</sup> იქვე, გვ. XI, 60.  
<sup>25</sup> იქვე, გვ. 47-48.

ტენცში, მის ყოფნის შესაძლებლობაში; მაგრამ რინტელენი ამ თვალსაზრისს ოლპორტის შემდეგი დებულებით ავსებს: პერსონა „არის რაღაც და აკეთებს რაღაცას“; იგია არსი და მოქმედება ერთდროულად; პერსონა ყოველთვის მომავალზეა წარმართული, თავის თავზე წინაა და „ნაესაყდელისაკენ მისწრაფის“<sup>26</sup>.

საკუთარი, თავისი თავისადმი დასმული ამოცანის მეოხებით პერსონა თავის თავზე იღებს ვალდებულებებს, — მას შეუძლია თავის თავს მოეწოდოს ახალი სიმაღლეებისაკენ, თვითამაღლებისაკენ; ამიტომ პერსონა „არა მხოლოდ sum-ი, არამედ — sursum-იც, არა მხოლოდ ყოფნა, არამედ — („ზევით“) ამაღლება“. პერსონა როგორც გონით-სულიერ-ვიტალური ან იგივე სუბიექტურ-გონით-სულიერი სიცოცხლე და მოქმედება „ემყარება გონით-სულიერ-ვიტალური ძალების განზოცოვების ერთიანობას“ და თავისი დამოუკიდებელი, თუმცა შეზღუდული თავისუფლებიდან, შესაძლებლობა აქვს ყველაფერს „თავისი ერთხელად ანაბეჭდი დაინიშნოს“. ამიტომაც იგი არა წმინდა აქტიური მოძრაობა და ცვლილება, არამედ — „საფუძველიც ყველა თავისი გაშლისა და გადასხვაფერებისა, რომელიც თავისი თავის მსგავსი რჩება“. ამით რინტელენი ილაშქრებს იმათი (ეგზისტენციფილოსოფოსების) წინააღმდეგ, ვინც „წმინდა დინამიკის გულისათვის“ ადამიანური არსებობა სასვებით გაძარცვა სტატიკური თვისებებისაკენ.

რინტელენისათვის ერთხელადისა და ზოგადის ეგზისტენციფილოსოფიური დაპირისპირება არაა მისაღები; მისი აზრით, „ყოცლებელია ეგზისტენციის შეგება... ღირებულებების მინიჭებით: პერსონა თავის სიღრმეში ერთხელადი ეგზისტენცია, განზოცოვებისა და გასრულქმნალების მისთვის დამახასიათებელი მიმართულებით, — ის არც ზოგადად, ცნებითად მიიწვდომება და არც გარსიანად აღიჭირება; მაგრამ პერსონა მხოლოდ მაშინაა ნამდვილი ეგზისტენცია, როცა იგი ადამიანურ ღირებულებებს შეიწყნარებს და მათი გაშინავანებისათვის იზრუნებს, — ასეთი ადამიანური, ჰუმანური ღირებულებები თუ უარყავით, „მაშინ ჩვენ უახლოესი ისტორიული გამოცდილებიდან ვიცით, თუ საით შეიძლება ამან წაგვიყვანოს და როგორ შეიძლება ადამიანმა თავისი არსი დაივიწყოს“<sup>27</sup>. ამიტომ ადამიანური ღირებულებები ადამიანის არსის მაკონსტიტუციურებად უნდა მივიჩნიოთ.

რინტელენს მიაჩნია, რომ „პერსონის არსით ბირთვი“ („Wesenskern“), „ადამიანურ ეგზისტენციაში“ სამი გადამწყვეტი ღირებულებითი შესაძლებლობაა მოთავსებული: გონითი თავისუფლება, „შენ-თან“ მიმართება და გადაწყვეტის თვისება. თავისუფლება როგორც „გონის უმაღლეს განსაზღვრულობას ემყარება სიყვარული, პატივისცემა (Verehrung), სრულყოფილი ხედვა, ნატერა (Sehnsucht)“. შემოქმედებითი გონითი თავისუფლებით ადამიანი „ღმერთს ენათესავება“ და ამითაა ამაღლებული ყველა სხვა არსებულზე. თავისუფლება კი მიიღწევა მხოლოდ მისი ღირებულებების მქონე საფუძვლიდან — ღირებულებათა სავსეობიდან (ადამიანური, ჰუმანური ღირებულებებიდან). თავისუფლება არის არაგონითის, მექანიკურის დეტერმინაციისაგან დამოუკიდებლობა, — „მიბრუნებული იმისაკენ, რასაც ჩემი არსის ავსება შეუძლია“ ე. ი. — ადამიანური ღირებულებისაკენ; ამის შემდეგაც ადამიანი, აგრეთვე, განსაზღვრული „სიყვარულის, პატივისცემის, სრულყოფილი ხედვისა და ნატერის“ მეშვეობითაც და გონის მიერ წაყვანილი, თუ მთლიანად დეტერმინირებული არა. ასე იქნეს გონი უპირატესობას თვითონებობის წინააღმდეგ; ხოლო თავისუფლება ის საფუძველია, რომელსაც მე — შენ-ის ურთიერთობა ემყარება. ესაა ის, რასაც იასპერსი კომუნერაციას უწოდებს: „მე — შენ-ის მიმართებაში ამოძრავება პირველად ადამიანის ბირთვი“, — ადამიანური თავისუფლება კი „ადამიანური გადაწყვეტილების“ წინამძღვარიცაა; ამგვარად, „სიყვარული, ღირებულება და პიროვნება... უჩვენებენ გზას ტრანსცენდენტის ზღურბლისაკენ“<sup>28</sup>, ღირებულებათა სავსეობისაკენ.

პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც რინტელენს ბოლოვადობის ფილოსოფიის დაძლევა სურს, მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ადამიანი არის როგორც ეგზისტენცია (ყოფნის შესაძლებლობა), ისე პერსონა. ადამიანი არის რაღაც და აკეთებს რაღაცებს; როგორც

<sup>26</sup> G. W. Allport, Persönlichkeit, Struktur, Entwicklung und Erfassung der menschlichen Eigenart, 1949.

<sup>27</sup> Rintelen, Philosophie der Endlichkeit, S. 447-448.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 449-450, 453.

რალამ, იგია ადამიანურ ღირებულებათა სავსეობის რეალიზაცია (პერსონა); როგორც რალამის კამეზა, როგორც რუმორ შოვნა (ეგზისტენცია), იგია ღირებულებათა რეალიზაციის ერთიანობა, განხორციელების ერთიანობა, რომლის მაცოცხლებელია ღირებულებათა სავსეობაზე მიმართულად ყოფნა — გონითი თავისუფლება; ამიტომ პერსონა და მგზინა-ბნენი მეტაფიზიკური საწყისებიცაა. ეგზისტენცია პერსონის ეგზისტენციაა და პერსონა „ადამიანური არსების ყოფნისა და მისი ინტიმურობის“ — ე. ი. ეგზისტენციის — გამომეტყველებაა. ამით, რინტელენის მსოფლმხედველობა შეიძლება დახასიათდეს როგორც ვ. შტერნისა და კ. იასპერსის კონცეფციათა თავისებური სინთეზის ცდა, მისი მიზანი არსებითად ეთიკურია: ესაა პიროვნულობის ისეთი მეტაფიზიკური საფუძვლის ჩვენება, რომელიც ყოველგვარ „განხორციელებას“ კი არ შესაძლებელყოფს და გაამართლებს, არამედ — მხოლოდ ადამიანურ ღირებულებათა სამსახურში მყოფს. მაგრამ პიროვნება არის ის, ვინც თავის თავში ატარებს თავისი ყოფნის საფუძველს. პიროვნებას, თუ იგი რეალურად არსებობს, თავის თავში უნდა ჰქონდეს თავისი „შინაგანი, საკუთარი კანონი“ როგორც თავისი „არსებობის აუცილებელი პირობა“<sup>29</sup>. პიროვნების მართხმალღობას, მაშასადამე, მისი ერთხელადი და „საკუთარი, შინაგანი კანონი“ უნდა აფუძვნებდეს. ამიტომ რინტელენის პერსონალიზმშიც ამ კუთხით უნდა შემოწმდეს.

რინტელენისათვის ადამიანის, პერსონის როგორც მართული ზომადის „არის ყოველთვის იგივე რჩება“; მხოლოდ „ღირებულებათა სხვადასხვა განხორციელების საფეხურია სხვადასხვა ყოველთვის“<sup>30</sup>. მმტაზონიკური სწავლის, მაშასადამე, თავის თავს ავლენს პიროვნებათა სახით და ამიტომ იგი ნიშნავს პირვნული სწავლის ფაქტიურ უარყოფას. მაგრამ მაშინ რაღა განსხვავებაა „მეტაფიზიკურ საწყისსა“, „უმალღეს ყოფიერებით საფუძველს“ (შელერი) და „ყოფიერების ქეშმარიტებაში ექსტატურ შიგანდგომას“ (ჰაიდეგერი) შორის, რაღა უფლებით აკრიტიკებს რინტელენი ამ დებულებებს და რაღა რჩება მისი „პერსონალიზმიდან“?

საინტერესოა, რომ რინტელენი თავის პერსონალიზმს უპირისპირებს მარქსიზმს, რომლის შესახებაც, როგორც ჩანს, მას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს; ყოველ შემთხვევაში, მისთვის მარქსიზმი როგორც კოლექტივიზმი „პერსონალიზმის“ აბსოლუტურად საპირისპიროა. მაგრამ გამორიცხავს თუ არა პერსონალიზმი, როცა იგი წარმოადგენს არა მეტაფიზიკურ თეორიას, არამედ — ადამიანის ღირსებისა და ღირებულების, მისი პიროვნების ხაზგასმას, — მარქსიზმს როგორც „კოლექტივიზმს“? კოლექტივიზმი, ამ ცნების საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით, აზროვნებისა და სასიცოცხლო მოქმედების ისეთი ფორმაა, რომელიც უპირისპირდება კაპიტალისტურ ეგოიზმსა და ინდივიდუალიზმს; მაგრამ პიროვნება და პიროვნებად ყოფნა ხომ სწორედ ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის (და არა ინდივიდუალობის) გადაღახვავა; იგი მე და შენის ურთიერთობაში (კომუნიკაციაში) გაიშლება, როგორც ამას თვითონ რინტელენიც აღიარებს! რატომღა გამორიცხავს კოლექტიურობა — მე და შენის ურთიერთობა — პერსონულობას, პიროვნებისა და პიროვნებად ყოფნის შესაძლებლობას? არ უნდა იყოს საკამათო ის გარემოება, რომ მარქსთან კოლექტიურობა სწორედ იმის საპირისპიროს გულისხმობს, რაც რინტელენს ესმის ამ ცნებაში. მარქსისათვის „კოლექტიურობა“ ადამიანთა ჯოგური თავყრილობა კი არაა, არამედ თვითონ ადამიანის არსია: „ადამიანური არსი არის ადამიანთა ქეშმარიტი ერთობა“<sup>30ა</sup>.

ზოგადისა და ერთხელადის დაპირისპირება, როცა საქმე ადამიანს ეხება, სწორედ იმიტომ არაა გამართლებული, რომ „ინდივიდუალურ ყოფიერებაში

<sup>29</sup> ა. ბოკორიშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, III, გვ. 426.

<sup>30</sup> Rintelen, Pchilosophie der Endlichkeit, S. 48.

<sup>30ა</sup> K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 1, стр. 447.

ადამიანის გვარეობით ყოფიერება გამოხატული და პირიქით<sup>31</sup>. ადამიანი ისეთი ერთხელადი და ერთეული არსებაა, რომელიც თავის თავში მოიცავს თავისი გვარის „გვარეობით ყოფიერებას“: იგი ერთეულიცაა და ზოგადიც და ეს „ზოგადი ერთეული“ როგორც „ყოფიერების სპეციფიკური ინდივიდუალური განსხვავებულობა“ წარმოადგენს როგორც ცალკეულ ადამიანს, ისე ადამიანს საერთოდ. ამიტომ ადამიანი არა მხოლოდ გვარეობითი ყოფიერებაა, არამედ — პირიც, თვითცნობიერებისა და თვითაგების უნარის მქონე არსება, რომელსაც შეუძლია თავისი გონით-სულიერ-ვიტალური ძალების თვითგანხორციელება თავისი გონითი თავისუფლებიდან. ადამიანი ისეთი ზოგადია, რომლის ზოგადობაში აუცილებლობით შედის მისი ერთეულად ყოფნა, პირად ყოფნა; ადამიანი ერთეული ზოგადია, ე. ი. ისეთი ერთეული, რომელსაც თავისი ზოგადი თავის თავში აქვს. ამიტომ ყოველი ცალკეულის პირადობას აფუძნებს გონითი თავისუფლების პირადული ფორმა თუ წესი, როგორც თვითგანხორციელებისა და თვითაგების საკუთარი პირადული ამოცანა და პირადული შესაძლებლობა. ესაა ის ამოცანა, რომელიც ადამიანის, როგორც პირის (პერსონის) წინაშე დგას: იგი ვალდებულია თავისი თავი (ადამიანურობა) გაშალოს და განახორციელოს თავისი საკუთარი გონითი თავისუფლებიდან საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად და ასე პირიდან (პერსონიდან) გახდეს პიროვნება, დაუბრუნდეს თავის თავს, იყოს ადამიანი. ამით პერსონა განხორციელება, მაგრამ — ისეთი, რომელსაც განხორციელების საზრისი თუ მიზანი თავის თავშივე აქვს. იგია ერთეული ადამიანის როგორც პირის გონითი თავისუფლებით წარმართული თვითგანხორციელების წესი, რომლის მიზანია ადამიანურობის როგორც საკუთარი შესაძლებლობის განხორციელება. პერსონას საკუთარ თავში აქვს საკუთარი ტრანსცენდენტი — საკუთარი სუბსტანცია, ადამიანურობა, — რომელთან მისვლა მისი მიზანი და ამოცანაა; პიროვნება ყოველთვის „თავის თავზე წინაა“ და მხოლოდ ასე ქმნის ადამიანის სუბსტანციას, მის ცენტრს.

მაგრამ როგორ „ხდება“ პიროვნებად ყოფნის ამოცანის გადაჭრა? როგორ აღწევს ადამიანი თავის თავს? რა არის საამისოდ საჭირო? როგორ იქცევა იგი სუბსტანციისა და ცენტრის მქონედ?

8. ადამიანი თავის თავში შეიცავს თავის ზოგადს — ადამიანობას როგორც საკუთარი გონით-ვიტალურ-სულიერი ძალების საკუთარი გონითი თავისუფლებიდან განხორციელების შესაძლებლობას; ადამიანს, მაშასადამე, შეუძლია იყოს პიროვნება. მაგრამ შესაძლებლობა არ ნიშნავს შესაძლებლობის განხორციელებასაც: „ადამიანისათვის ყველაზე მეტად ისაა დამახასიათებელი, რომ ის დაბადებისას მხოლოდ მრავალი შესაძლებლობის მატარებელია, მაგრამ მხოლოდ შესაძლებლობისა. ჩამოყალიბებულად და საბოლოოდ გარკვეულად მას თითქმის არაფერი აქვს“. ადამიანს აქვს შესაძლებლობა ადამიანი გახდეს, „მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი ადამიანი“; „საჭიროა მოქმედება, გარკვეული მიმართულებით აქტივობა“, რათა „ადამიანმა ადამიანობა... მოიპოვოს“<sup>32</sup>, პიროვნება გახდეს; რა სახის „აქტივობაა“ ეს? — ესაა „თავის თავთან დაბრუნებისაკენ“ მიმართული აქტივობა: „ადამიანობის მოპოვება“, შესაბამისად, შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის „თავის თავთან დაბრუნების

<sup>31</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Из ранних произведений, стр. 591.

<sup>32</sup> ა. ბოქორი შვილი, რა არის კულტურა?, 1964, გვ. 16-17.

გზით“<sup>33</sup>. თავის თავთან დაბრუნებული ადამიანი, ცხადია, იქნება თავისი თავის, თავისი ცენტრისა და სუბსტანციის მქონე ადამიანი — პიროვნება. როდისაა ადამიანი „თავის თავთან დაბრუნებული“? როდისაა იგი „სუბსტანციისა“ და „ცენტრის“ მქონე?

რაზან ადამიანის არსებითი ნიშანი მიმართებაში ყოფნის შესაძლებლობაა, ამიტომ ადამიანის პიროვნულობაც მიმართებაში უნდა იქნას ნაძიები. როგორ დაუბრუნდება მიმართების წყალობით თავის თავს ადამიანი?

ცხადია, ყოველგვარი მიმართვის გარეშე არსებული ადამიანი აბსტრაქტიცია: ადამიანი ყოველთვის იმყოფება მიმართებაში, ადამიანი, ამიტომ, ყოველთვის წარმოადგენს პირს, თვითარჩევისა და თვითშექმნის უნარის მქონე არსებას, რომელიც „ერთიან მიზანწარმართულ თვითქმედებას ახორციელებს“ და „თავისი მოქმედების პასუხისმგებელია“. როდის გვაქვს საქმე იმ „მიზანწარმართულ“ ნებისმიერ მოქმედებასთან, რის პროცესშიც პიროვნება ჩნდება?

ადამიანი როგორც „მიმართებაში ყოფნის შესაძლებლობა“ გონის მქონე არსებაა და გონითი ცნობიერებაა ის, რაც „მიმართებაში ყოფნას“ შესაძლებელყოფს; სწორედ გონი „აძლევს ადამიანს იმის საშუალებას, რომ მან თავისი თავი დაუპირისპიროს ბუნებას, საზოგადოებას, სამყაროს“. ამ დაპირისპირებაში „ადამიანისათვის იქმნება მე და არამე, პირველ რიგში კი მე და შენ“<sup>34</sup> ესაა პიროვნების არსებობის დასაწყისი: პიროვნება იქმნება იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ადამიანი უპირისპირდება სხვას გონითი აქტის საფუძველზე. გონითი აქტის მწარმოებელი არსება არის პიროვნება და ეს აქტი იმდენად არსებობს, რამდენადაც მასში ნაფულისხმევი, ინტენდირებულია სხვა, არამე, შენ; გონით აქტში სხვა მეს ინტენდირების წანამძღვარი კი „გონითი ინტერესის განსაზღვრული მიმართულებით წარმართვაა“<sup>35</sup>, იგი ნებისმიერი მოქმედება და თავისუფალ ნებისყოფაშია დაფუძნებული. მაშასადამე პიროვნება ჩნდება მაშინ, როცა ადამიანი ახდენს შენის ინტენდირებას, როცა იგი აღიარებს მეორ მეს თავისთავად არსებობას. ამით მე და შენ, ჩემი და სხვა პიროვნება, ის დაპირისპირებულებანია, რომელთაც უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ: როცა მე ვაღიარებ სხვა პიროვნების არსებობას, მაშინ მე ამითვე ვადასტურებ ჩემი პიროვნების არსებობასაც და მაქვს როგორც სამყარო, ისე — საკუთარი თვითონი, ვარ მთლიანი, მაქვს ყოფიერება. როცა ადამიანს აქვს ყოფიერება, მაშინ იგი იმყოფება კიდევაც ყოფიერებასთან (სამყაროსა და თავის თავთან) მიმართებაში და ამით ქმნის თავის თავსა და სამყაროს. ასეთი ადამიანი არის თავისი სუბსტანციისა და ცენტრის — პიროვნების — მქონე, იგი მთლიანია და თავის თავთანაა დაბრუნებული.

ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია პირის ცნების დაზუსტება: პირი (პერსონა) მიმართებაშია სამყაროსთან, მაგრამ არა თავის თავთან: მისთვის არ არსებობს სხვა და ამიტომ მას არა აქვს ყოფიერება, იგი არაა მთლიანი. სხვა პიროვნების არსებობის აღიარება ნიშნავს სხვა სამყაროს, უცხო არსებობის აღიარებას; ხოლო

33 ა. ბოკორიშვილი, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შესახებ, „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები“, I, გვ. 3.

34 ა. ბოკორიშვილი, რა არის კულტურა? 1965, გვ. 18.

35 E. Rothacker, Logik und System der Geisteswissenschaften, 1926, S. 128.



როცა აღიარებულია უცხო არსებობა, მაშინ მიღებულია კიდევაც მისი ერთგვარი, თუმცა უარყოფითი შემეცნება: მე ვაღიარებ, რომ არსებობს სხვა, არამე და რახან „ყოველგვარი უარყოფა არის განსაზღვრება“, ამით, მაშასადამე, მე ვაღწევ სავსებით პოზიტიურ შედეგს: მე ვიცი, რომ არის სხვა და ამით ვიცი, რომ ვარ მე.

შენის არსებობის აღიარება, სხვა მეს, სხვა პიროვნების განზრახვითი ინტენდირება, ნიშნავს სხვისი არსებობის გაგებით აღიარებას, პირველად გაგებას.

მაშასადამე, პიროვნება ჩნდება მაშინ, როცა იგი ახდენს სხვა პიროვნების არსებობის გაგებით აღიარებას და სხვა პიროვნების გაგებითი აღიარებაა ის, რაც ქმნის გამგებისა და გასაგების არსებობის საკმარის და აუცილებელ პირობას. „არსებობისათვის საკმაო პირობა [კი] საკმაო აგრეთვე შემეცნებისათვის“ შესაბამისად, ყოველგვარი გაგება როგორც შემეცნება უნდა ამოდოდეს გასაგების არსებობის „გაგებითი აღიარებიდან“, როგორც ისეთი ვითარებიდან, რომელიც აფუძნებს გამგებისა და გასაგების თავისთავად არსებობას. ხოლო ის, რაც თავის თავშია დაფუძნებული, წარმოადგენს „ისეთ მოვლენას, რომელიც თავისთავიდან არის გასაგები, [და] არ საჭიროებს ზემდგომ ვითარებას, რომლიდანაც ის უნდა იქნეს გაგებული“: ესაა არსებობის დადასტურება როგორც უკვე შეიცავს შემეცნებას<sup>36</sup>.

გაგებითი აღიარება, მაშასადამე, ნიშნავს პიროვნებად ყოფნას როგორც გამგებად ყოფნას; გამგები ყოფნა, პიროვნებად ყოფნა კი სხვისი არსებობის გაგებითი აღიარებით და სხვა პიროვნების ინტენდირებითაა შესაძლებელი. „გაგებითი აღიარება“ და „არსებობის დადასტურება“, ცხადია, არ ეხება თვითონ გასაგების თავისთავად არსებობას: გასაგები მაშინ კი არ ჩნდება, როცა მას „აღიარებენ“, არამედ ამ აღიარებით ჩნდება პიროვნება როგორც გაგება. გაგებით აღიარებას კი წინ უსწრებს „საგნის“ ცნობიერებაში მოცემულობა როგორც ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულის ცნობიერებაში ასახვა. ცხადია, ცნობიერებაში ასახვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს შემეცნებას: „ცნობიერების ფუნქციაა შემეცნებელ სუბიექტს შემეცნების ობიექტი წარუდგინოს“<sup>37</sup>;

შემეცნება კი ახდენს ცნობიერი ყოფიერებიდან, „რეალურად არსებულებიდან იმის ამორჩევას“, გასაგებას, რაც მას აინტერესებს, და იწყებს შემეცნებით ოპერაციებს: „შემეცნება არის მოცემულზე სხვადასხვა ოპერაციების ჩატარება“<sup>38</sup>. მაგრამ საგნის შემეცნება შეიძლება როგორც საგნის მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში ჩართვით, ისე მიზეზობრივი ჯაჭვისაგან დამოუკიდებლად, თვითონ საგნის საკუთარი, მისი სხვაზე დაუყვანადი არსებისა და საზრისის ძიებით. პირველია ახსნითი შემეცნების გზა, მეორე — გაგებითი შემეცნებისა. მაშინ როცა ახსნითი შემეცნება შემეცნების პროგრესს ხედავს „რაოდენობის სულ უფრო და უფრო მზარდ შემცირებაში“ (კონტი), გაგებითი შემეცნების პროგრესი გასაგების რაოდენობის ინციტირებაში კი არ მდგომარეობს, არამედ, — პირიქით, — ზრდაში. გაგების ინტენსივობა და გამგები პიროვნების სიღიადე დამოკიდებულია იმ სულიერ-გონითი ინდივიდუალობების რაოდენობაზე, რომ-

<sup>36</sup> ა. ბოჭორიშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, ნაწ. 3, გვ. 426, 443, 453.

<sup>37</sup> А. Бочорншвили, Основное субъективное условие адекватного познания, стр. 8.

<sup>38</sup> ა. ბოჭორიშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, გვ. 253.

ლებიც მისი გავებითი აღიარების სფეროში შემოვლენ. როცა ჩვენ გვაქვს ის გონითი აქტი, რომელიც პიროვნებას ქმნის, მაშინ „ჩვენ გვაქვს“ პიროვნება. ვინაიდან პიროვნება თავის ყოფაში მოიცავს სამყაროსაც, ვინაიდან პიროვნება არსებობს მხოლოდ თავისი თავისა და სამყაროს თავისუფალი დაგვემვა-არჩევის ერთიანობაში, — ამიტომ სხვა პიროვნების გავებითი აღიარება ნიშნავს სხვა სამყაროს არსებობის გავებითს აღიარებასაც; ამით, პიროვნება არსებობს არა მხოლოდ სხვა პიროვნებასთან მიმართებაში, არამედ — მისი არსებობისათვის ასევე აუცილებელია სამყაროსთან მიმართებაც. ოღონდ ის სამყარო, რომელთანაც მიმართებაში ჩნდება პიროვნება, არის პიროვნული სამყარო.

მაშასადამე, პიროვნება „თავის თავზე წინაა“ როგორც იმ გონითი აქტების განზრახული განზორციელების შესაძლებლობა, რომლებშიც სხვა პიროვნებაა აღიარებული. სხვისი როგორც არა მეს აღიარება ნიშნავს სხვისი არსებობის, ღირებულებათა სხვა სისტემის გავებით აღიარებას და ამით თავისი პიროვნულობის დადასტურებას. მაშასადამე, პიროვნების არსია გონითი ცნობიერებით წარმართული და გონითს ცნობიერებაში დაფუძნებული „ნების თავისუფალი ხედვა“ (შტერნი). ის აქტი, რომელშიაც სხვა პიროვნებაა ინტენდირებული, ნიშნავს როგორც სხვა ღირებულებათა სისტემის არსებობის გავებით აღიარებას, ისე ამ ღირებულებათა სისტემის თავისებურ ხედვას. ამ გონითი ხედვის აქტში კი არა მხოლოდ აისახება სხვა პიროვნება, არამედ იქმნება კიდევაც ახალი პიროვნება, — ეს ახალი პიროვნებაა თვითონ გამგების პიროვნება. მაშასადამე, პიროვნება არის თავისუფალი გონითი აქტის ხედვის თავისებურება და ამ ხედვის თავისებურებაა ის, რაც პიროვნების საზრისს ქმნის და საიდანაც პიროვნება გაიგება. ამგვარად, პიროვნება გაიგება პიროვნულ ღირებულებათა სამყაროს მთლიანის პიროვნული ხედვის თავისებურებისაგან; და პიროვნულ ღირებულებათა სამყაროს მთლიანი გაიგება პიროვნების იმ გონითი ხედვიდან, რომელშიც ეს სამყაროა ინტენდირებული და რომელიც პიროვნების საზრისს ქმნის.

„მთლიანი ფენომენის“ — ადამიანის — მიმართ ეს ნიშნავს: ადამიანის მთლიანობას ქმნის ის გონითი ცნობიერება, რომელიც მიმართებაში არსებობს და რომელიც თვითონაა მიმართება. როცა არსებობს ასეთი მიმართება, ე. ი. როცა არის ის გონითი აქტი, რომელიც მიმართულია ყოფიერებაზე (სამყაროსა და საკუთარ ყოფნაზე), მაშასადამე, „როცა ჩვენ გვაქვს ცნობიერება“, მაშინ „გვაქვს ყოფიერება, ე. ი. ყოფიერებაზე მიმართულობა“<sup>39</sup>. ადამიანი არის ის, რასაც აქვს ყოფიერება და ადამიანი გაიგება იქედან, თუ როგორ აქვს მას ყოფიერება. როგორი ყოფიერებაც აქვს ადამიანს, ასეთია თვითონ ადამიანი და ამიტომ ადამიანი გაიგება მისი საკუთარი ყოფიერებიდან, თვითონ მისგან ამოსვლით.

ყოფიერება როგორც ყოფიერებაზე მიმართულობაა ის „ძირი“, საიდანაც ადამიანი გაიგება, ამიტომ უბრალოდ არ არსებობს ის „გარეშე ინსტანცია“, საიდანაც ადამიანის გავება იქნებოდა შესაძლებელი; ადამიანი უნდა გავიგოთ თვითონ ადამიანიდან, მისი საკუთარი საზრისიდან როგორც მისი საკუთარი არსიდან ამოსვლით.

<sup>39</sup> А. Бочоришвили, Основное суб'ективное условие адекватного познания, стр. 8.

მაშასადამე, „ადამიანის შემეცნების ამოცანად მისი საზრისის წვდომა უნდა დავსახოთ“, მაგრამ ეს საზრისი ადამიანისადმი ტრანსცენდენტი ინსტანციიდან კი არ უნდა იქნას გარკვეული, არამედ თვითონ ადამიანში უნდა იქნეს ნაპოვნი. ასეთ შემეცნება არის „თავის თავადი გაგება, ისეთი გაგება, რომელიც არ საჭიროებს ტრანსცენდენტური ინსტანციით გამართლებას“, და რომელიც „შინაგან დასაბუთებას“ ემყარება<sup>40</sup>. ადამიანის გაგება კი მხოლოდ მაშინ ემყარება „შინაგან დასაბუთებას“, როცა ის მიმართება, რომელიც თვითონ ადამიანის არსია და რომელიც ადამიანი — ყოფიერების მიმართებაა, „... არსობრივი ხასიათად წარმოგვიდგება“, როცა ეს მიმართება არის ყოფიერების არსებობის საფუძველი — არა ადამიანისაგან დამოუკიდებელი გარესამყაროს არსებობის საფუძველი — არამედ ადამიანის თვითყოფნისა, რომელიც მაშინ არსებობს, როცა ადამიანს აქვს სამყარო და თავისი თავი — ყოფიერება. ყოფიერების მქონე ადამიანი არის საკუთარი საზრისის მქონე. ამიტომ იგი „თავის თავშია დასაბუთებული“, და „თავისთავიდან არის გასაგები და არ საჭიროებს ზემდგომ ვითარებას, რომლიდანაც ის უნდა იქნას გაგებული“.

ზემოთქმული ჩვენის აზრით შესაძლებლობას იძლევა შემოსაზღვრულ იქნას თვითონ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საგანი: ადამიანი როგორც ბიოლოგიური და სოციალური არსება, იმ მატერიის დიალექტიკური განვითარების შედეგია, რომლის „პირველადი ფორმები არის ცხოველი, მისი თანდაყოლილი და ყოფიერების სპეციფიკურ ინდივიდუალურ განსხვავებათა გამოწვევი ძალები“ (მარქსი)<sup>41</sup>. ამიტომ ადამიანის, როგორც „ყოფიერების სპეციფიკური ინდივიდუალური განსხვავებულობის“ შემეცნების საკითხი ერთი მხრით მატერიის, როგორც „ყოფიერების სპეციფიკურ ინდივიდუალურ განსხვავებულობათა“ მატარებლისა და გამოწვევის შემეცნების საკითხს (ონტოლოგიას) ექვემდებარება. მეორე მხრით, ადამიანი როგორც ისტორიისა და სოციალურის პროდუქტი, ისტორიის ფილოსოფიის საგანია. აქ ადამიანი განიხილება როგორც საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ნაწილი, როგორც მათი კერძო მოვლენა და როგორც მათით დეტერმინირებული. რაც უმეხება ბლამინანს როგორც თავის მატერიალურ-ბიოლოგიურ სოციალურ პროფანსთან მიმართებაში მხოლოდ არსებას, ბლამინანს, რომელიც თავის უმეხველად „უმეხველად“ ამთლიანებს და მათ თავისებურ სტრუქტურულ გამომეტყველებას აქლმებს, რომელიც არის პირი და პიროვნება და რომელსაც „აქვს პროფირება“, იგი ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თემატურ ველში უმოდის.

ეს ნიშნავს: „თეორიის ძირითადი პრინციპი“ უნდა იყოს „ადამიანის ადამიანთან“ საზოგადოებრივი მიმართება“ (მარქსი)<sup>42</sup>, „მესა და შენს შორის დიალოგი“, როგორც „ჰემმარიტი დიალექტიკა“ (ფოიერბახი)<sup>43</sup>.

<sup>40</sup> ა. ბოკორიშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, გვ. 404, 407, 446-447.

<sup>41</sup> ციტირებულია ფ. ენგელსის წიგნიდან: „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებაში“, 1963, გვ. 8.

<sup>42</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, 1956, стр. 623.

<sup>43</sup> Л. Фейербах, Избранные философские произведения, I, 1955, стр. 203.

1978 წელს გამოცემული წიგნები

1. ვ. ჭიქია. საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან.
2. ლ. ბერიაშვილი. მესხეთის მიწათმოქმედება.
3. ავტორთა კოლექტივი. ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიიდან.
4. ავტორთა კოლექტივი. XIX ს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან.
5. რ. ხუღეიშანიანი. ისლამის გადმონაშთები საქართველოში.
6. ლ. ბედუკიძე. ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.
7. თ. გაბიაშვილი. იუდაიზმი და მისი გადმონაშთები საქართველოში.
8. გ. ცინცაძე. ნეოთომიზმის რეაქციული არსი.
9. ავტორთა კოლექტივი. ძველი ისტორიის საკითხები.
10. გ. გიორგაძე. ხეობის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიიდან.
11. თ. ხოსელიანი. დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ნარკვევები.
12. ავტორთა კოლექტივი. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. II.
13. ზ. წერეთელი. შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურა.
14. თ. კინკაძე. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშათა პროფესიონალური შემადგენლობის სოციოლოგიური შესწავლა.
15. ავტორთა კოლექტივი. ფილოსოფიის საგანი.
16. ნ. ტუფინაშვილი. დილთაის ესთეტიკა.
17. ფ. გოგობერიშვილი. მეტაფიზიკურის დაძლევის ცდები თანამედროვე პოზიტივიზმში.
18. ე. კოდუა. კოტე ბაქრაძე.
19. ა. ბეგიაშვილი პოეტური მეტყველების ზოგიერთი ფილოსოფიური პრობლემა.
20. მ. კახეთელიძე. საქართველოს სსრ მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები.
21. თ. გვინჩიძე. ანთიმ ივერიელი.
22. რ. დოლაბერიძე. არქეოლოგიური მასალა სოფელი შენაქოდან.
23. ი. ნანობაშვილი. ტყაყის დამუშავების ხალხური წესები.
24. ს. ავალიანი. სავლე წერეთელი.
25. კ. მეგრელიძე. აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი საკითხები.
26. ავტორთა კოლექტივი. საქართველოს სსრ დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 30 წელი.
27. ავტორთა კოლექტივი. ფსიქოლოგიური გამოკვლევები.
28. ა. შეროზია. ფსიკურის ცნობიერებისა და არაცნობიერების პრობლემისათვის.



29. დ. ფურცელაძე, გ. ნადირაშვილი და ი. ფუთკარაძე. ქართული საბჭოთაო ისტორიის საკითხები.
30. შ. მეგრელიძე. ამიერკავკასია 1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში.
31. ავტორთა კოლექტივი. საბჭოთა საქართველოს სოციალური ეკონომიური განვითარების ისტორიიდან.
32. ი. მირცხულავა. მარქსიზმის პირველი პროგრამული დოკუმენტი.
33. ი. მირცხულავა. ვ. ი. ლენინი ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის დამაარსებელი, სოციალისტური რევოლუციის თეორეტიკოსი და ბელადი.
34. ტ. ლაბარტყავა. სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა.
35. გიორგი თევზაძე. რსდმპ II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა.

პასუხისმგებელი მდივანი **გ. ბოქორაძე**  
*Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе*

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
 Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
 ტელეფონი 37-24-07

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.11.1973; შეკვ. №1757; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
 ქალაქის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 19.95; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
 თაბახი 18.82; უე 01192; ტირაჟი 600  
 ფასი 1 მან.

\*  
 გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
 Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.

\*  
 საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
 Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



ფასი 1 მან.

6-69/7

Индекс 76 196

